

1982/4

ISSN 0132-599 X



# გეოგრაფია

2

1982



# ენათობი



სსრკ-ის ენათმეცნიერების აკადემიის და საზოგადოებრივი-კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის დასახელებული

ფილიალში 58-ბ

№ 2

თბილისი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მემკვიდრეობის კავშირის ორგანო

## შინაარსი

დრამა გარდაქმნათა ათქვეული. მოწინავე	3
ხუბა ბერუღაძე — ლექსები	7
თეიმურაზ ჯანაშვილი — ლექსები	10
ჯამალ იფეილი — ლექსები	14
ოთარ ჩხეიძე — მალი მორე ავტობუსის მოვლა. მოთხრობა	16
მეზარ კვიციანი — ლექსები	25
მირონ ხარბიანი — ლექსები	28
ვათა ხორნაბული — ლექსები	32
გივი ხარბიანი — ორი ლექსი	34
ვანო ურჯუმიანი — დრამატული ნაწარმი. ტრეპი. დრამატული	35
გიორგი ბაქრაძე — უკრაინული. ლექსი. თარგმ. ბ. ხარაჩიძე	77
ალექსანდრე პოეტი. თარგმ. ზ. მუხომბეიძე	79

### 1783 გეორგიანების ტრაქტატი 1783

გიორგი ჯანაშვილი — პირველი გამოცემა	82
-------------------------------------	----

### კრიტიკა და კუმულირებისტიკა

მამია კაკაბაძე — ეკონომიკური საკითხი	92
კობა ბერუღაძე — დრამატული თეატრის ეკონომიკა	101
ნიკოლოზ ჯაფარიძე — მხატვრული და ცხოვრებისეული სივრცე	109
სულხან შოთაძე — კომპოზიციური სივრცე	118
ლალი ავალიანი — ცხოვრების გრძელ ხილი	124

### მეცნიერება

ელეზარ ზინთაძე — ათონის კართული ლიტერატურული სკოლა	131
--	-----

### ბელეტსტიკა

ნათელა ურუშაძე — მემკვიდრეობის	144
--------------------------------	-----



დამზადებულია — სურათები საძარცველოს ცხოვრებიდან

ფიგურების მიმოხილვა

აკაკი ზანიძე — ზინც ფენიონი — „ქართული ლიტერატურა“ 166  
სულხან მეთაულაძე — ლექსი და მართებელი 168

გამოსათხოვარი

თამაზ ბილაძე — ეროსი მანჯგალაძე 173

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროსვილი

საკრედიტო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-  
ლაშვი, მ. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლეზანიძე,  
ლ. მრავალშვილი, ა. სულაბაძე, ა. მუთათელი, ნ. წულეისკირი,  
ვ. წულუკიძე, მ. ბილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე,

გადაეცა ანაწილებად 13. 1. 82 წ., ხელმოწერი-  
ლია დააბეჭდად 22. 2. 82 წ., ანაწილების ზომა  
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16.  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი  
ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო  
თაბაში 16,58.

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, აფხაზელის პროსპექტი, № 12.

ბალეფონები: რედაქტორის — 98-55-11. უფ. 06107. ტირაჟი 26.500. შეკვ. 85. საქ. კ.  
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-13, განყოფი- ცუ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი. ლე-  
ლეგების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. ნინოს ქ. № 14.

საქ. კ. ცუ-ის გამომცემლობა, 1981.

1750

## დიად ბარდაქმნათა ათწლეული

„არა თუ წლები გადესა ტყდომოდ, წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ. ნუ შიატოვებ ლექსს უთვისტომოდ — დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ! ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს, ბევრის ნაბიჯი არის ტატი, დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი“ — ეს ბრძნული ფრთიანი ფრაზები ვალაკტიონს ეკუთვნის, და იგი აქ ჩვენი დროის თავისებურებაზე მოგვითხრობს, როცა თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავს ისტორიის ჩარხი და პოეტი პირველი უნდა იყოს მათ შორის. ვინც სეისმური სიზუსტით გრძნობს ყოველ სახლეს, ყოველი ახალი სიოს შემოჭროლებას. აქ ზუსტად არის განსაზღვრული კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქის — ლენინის საუკუნის ცხოვრების აჩქარებული რიტმი და ტემპი, სადაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა მართო წელიწადს კი არა, თვითუღღ დღეს, და თუ ეს წლები და დღეები აღსავსეა გმირული შრომით, დაუცხრომელი შემოქმედებით, ახლის წარმოქმნით, აღმოცენებით, ძიებითა და მიგნებით, შთაგონებით, მოუსვენარი საქმიანობით — მაშინ დროის ფაქტორს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ ხშირად თვე და დღე უდრის და იტყვენ წლებსა და ათწლეულებს, და ესეც საუკუნის თავისებურებაა.

სწორედ ასეთი იყო განვლილი ბოლო ათი წელი საქართველოს ისტორიაში. „საბჭოთა საქართველოში“ ამ ცოტა ხნის წინ გამოსცა ერთი ვრცელი კრებული, რომლის სათაურია „საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობე-

ბის, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში“; ხსენებული ტომი იხსნება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1972 წლის 22 თებერვალს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით; ამ დოკუმენტმა განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მაგისტრალური მიმართულება და მისი გამოქვეყნების დღიდან დაიწყო საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობის, ცხოვრების ლენინური ნორმების საყოველთაო აღდგენისა და დამკვიდრების, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის გაჩაღებული ბრძოლის პერიოდი. განვლილი ათი წლის მანძილზე ამ ბრძოლამ ბრწყინვალე შედეგი მოიტანა — და ყოველივე ეს ზუსტად არის აღწესხული ზემოხსენებულ კრებულში მოთავსებულ მომდევნო პერიოდის დოკუმენტებში, რომლებიც თავის დროზე ჩვენს პრესაში ქვეყნდებოდა და რომლებიც რესპუბლიკის სოციალ-პო-

ქ. შარქაის საბ. საქ. სს. 4

ლიტერატურა და კულტურულ ცხოვრებას არსებითად განსაზღვრავდნენ. მიუხედავად იგი წინ, რაზმავდნენ ხალხს კომუნისმის მშენებლობის ყველა უბანზე. საქართველოს კომპარტიის ისტორიაში არა ყოფილა სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ ესოდენ ინტენსიური ზრუნვისა და ყურადღების ისეთი პერიოდი, როგორაც სამოცდაათიანი წლებია, როცა საქართველოს შესახებ მიღებულ იქნა მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი, რომლებსაც ზემოაღნიშნული კრებული მოიცავს.

ეს დადგენილებანი — გზის ბრძნული ჩვენებაა, პარტიის ნებისა და აზრის გამოხატულებაა, რომელსაც ხალხის შრომა ხორცს ასხამს, ცოცხალ სინამდვილედ წარმოქმნის, დადგენილების სტრიქონს — გიგანტურ ჰიდროსადგურად, განახლებულ სოფლად, აყვავებულ წალკოტად აქცევს. ასეთია ჩვენი სოციალისტური ცხოვრების დიალექტიკა.

ზშირად ამბობენ ხოლმე — ყოველი წერილი ცოცხალი კაცის ბედზე მეტყველებს, ყოველი წერილის უკან ცოცხალი ადამიანი დგასო. თუ ამ უბრალო კვშმარტებას ზემოხსენებულ კრებულზე გავაერყელებთ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წიგნში ცოცხლობს და წინ მიიბრძვის, იღწვის და შრომობს, კმნის და აშენებს მთელი საბჭოთა საქართველო. აქ მისი ათი წლის ისტორიაა, ჩატეული ბრძნულად მოფიქრებულ, მრავალგზის შემოწმებულ, მეცნიერულად დასაბუთებულსა და უაღრესად ზუსტ, კონკრეტულ ფორმულირებებში; აქ ყოველი ფრაზა, ყოველი სტრიქონი მეტყველებს თუ როგორ მიდიოდა წინ რესპუბლიკა, როგორ სძლევადა სიძნელებებს, იღებდა ახალ სიმალეებს; ერთი სიტყვით, ეს 70-იანი წლების საქართველოს კვშმარტი სარკეა, მართალი მატანა.

აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: თებერვლის დადგენილებას ჩვენმა ხალხმა ისტორიული უწოდა; 70-იანი წლების დასაწყისში განახლების

აუცილებლობა იმდენად მომწიფებულნი იყო, რომ ხალხი ელოდა და დადგენილებას; ამიტომ იყო, რომ ასეთი ენთუზიაზმით შეეგება იგი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას მუშაობის გარდაქმნის თაობაზე და ერთბაშად ამოუდგა მხარში რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას; საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და სახალხო ინტელიგენციამ უმაღლ მოახდინეს თავისი ცოცხალი და მებრძოლი ძალების დიდი მობილიზება, დიდი დარაზმვა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემოქმედებითად შესრულებისა და განხორციელებისათვის. რესპუბლიკის ყველა პარტიისა და მშრომელმა კარგად გაიგო, რომ ამ დიდ ეკონომიურ მოწესრიგებას და დიდ მორალურ განწმენდას ქონდა არა მარტო ერთდროული, არა მარტო სადღეისო მასშტაბი, არამედ წლებითა და ათწლეული წლებით გათვალისწინებული პერსპექტივა. ეს არაერთგზის აღუნიშნავს თავის გამოსვლებში სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს. პარტია მოგვიწოდებდა სადღეისო, დაუყოვნებელი საქმე გაკეთებულიყო ისე, რომ შინაგანად გაგვეთვალისწინებინა სახეალოც, წარმოგვესახა ის გზა, რომელიც ჩვენს ხალხს უახლოესი ხუთწლეულების მანძილზე უნდა გაველო; აქ მთავარი იყო მტკიცე რწმენა და ამ მტკიცე კომუნისტური რწმენით აღნთო მეფოლადეც და მეჩაიეც. მწყმსიეც და მევენახეც, მწერალიც და ინჟინერიც, და ეს ერთსულოვნება, ესოდენ მჭიდრო დარაზმულობა და სულიერი ამალეებულობა გახდა ჩემი წინსვლის ყველაზე საუკეთესო საწინდარი.

ქართულ მწერლობას საამაყოდ აქვს და ამას ხაზგასმით აღნიშნავს თავის ისტორიაში ის, რომ ჩვენი მწერლები ერთგულად ამოუდგნენ მხარში პარტიასა და ხალხს; სწორედ მაშინ დაიწერა რომანები, მოთხრობები, სადაც მკაფიოდ



მხილებული იყო ნეგატიური მოვლენები, დასახული იყო მათი დაძლევის გზა; ეს იყო ცდა ერთგვარი პროგნოზირებისა რესპუბლიკის მორალური კლიმატის სასიკეთოდ შეცვლის წინ. ეს უკვე სოციალისტური რეალიზმის დიალექტიკაა.

და აი გაიარა ათმა წელმა. რა მოუტანეს ამ დაძაბულმა წლებმა საქართველოს, ამის თაობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი აღნიშნავდა:

„თქვენი მიღწევები რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი მუშაობის შედეგია, ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ.“

ყველას გვახსოვს, რა უარყოფითი მოვლენები იყო თავის დროზე ფეხმოკიდებული რესპუბლიკაში. ისინი აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა საქართველოს კომუნისტებსა და მშრომელებს. ამ დოკუმენტების მიზანი, უწინარეს ყოვლისა, ის იყო რომ თირეულად გაგვეჩანსალებინა ვითარება რესპუბლიკაში, განგვემტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დაეხმარებოდით მშრომელებს უფრო წარმატებით გადაეჭრათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნები გამოიტანა. თქვენ შეძელით გაგეჩაღებინათ პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის. ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ რესპუბ-

ლიკის ეკონომიკურ და სოციალისტურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესები დამკვიდრებულიყო. კვლავაც ნიადაგ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველოში მორალური ატმოსფერო ისეთივე წმინდა იყოს, როგორც თქვენებური მთის ჰაერია, ხოლო ახალგაზრდობა კარგად იცნობდეს და განაგრძობდეს უფროს თაობათა, თავდადებულ მშრომელთა და სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტთა საუკეთესო ტრადიციებს. საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანები ჩვენს საერთო სიამყესა და დიდებას შეადგენენ და იუბილეს დღეს ქვეყანა მათ საყოველთაო-სახალხო მადლობას ეუბნება“.

განვლილი ათი წლის მანძილზე ქართული მწერლობა უფრო აქტიურად, უფრო გაბედულად, შეიჭრა ცხოვრების შუაგულში; მან თავის უპირველეს საქმედ აქცია გულთან მიეტანა ყოველი დიდი თუ პატარა საქვეყნო საქმე; ყოველგვარ დაბრკოლებას — ბუნების სტიქიური უბედურება იქნებოდა იგი. თუ სხვა რამ სიძნელე, მწერალი ცდილობდა წინ აღდგომოდა და თავისი ძალღონე მის დასაძლევად წარემართა; ომის დროს ამბობდნენ — საბჭოთა პოეტების ლექსები მტრის თვითმფრინავებს არ აგდებდნენ ძირს და ხიდებს არ აფეთქებდნენ, მაგრამ მტრის გულს მაინც ჰკვირავდნენო. ლექსი ახლაც შრომობდა და იბრძოდა: კახეთში. გვალვისა თუ სეტყვის დროს, პოეტი ვალდებულად თვლიდა თავს ჩასულოყო იქ და ეთქვა გამამხნევებელი სიტყვა გლეხკაცისათვის; დღეს მუშაც და კოლმეურნეც უკვე ისე შეეჩვია პოეტის სიტყვას, მის თანადგომას, თანამოსანგრეობას თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ უკვე ველარ წარმოუდგენია ყოფნა უიმი-სოდ. ქართველი მწერლის ხმას ყურს უგდებს მთელი საქართველო. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ არა ერთი ათეული სახელი როგორც პოეზიის, ისე პროზისა და პუბლიცისტიკის სფეროებიდან, რომლებიც უდიდესი სიყვარულით შემოსა თვითონ ხალხმა, არა ეო-

თი ათეული წიგნი, რომლებიც ბოლო ხანებში გამოიცა და რომლებმაც დიდად გაამდიდრეს და წინ წასწიეს ქართული ლიტერატურა.

ამ დიდ წინსვლასა და აღორძინებას სათავე დაუდო იმ დიდმა, დაულალავმა მზრუნველობამ, იმ დიდმა და კეთილმა გულისხმიერებამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იჩენს მწერლობისადმი და, ჩვენ ვიტყვით, ყოველი მწერლისადმი, ყოველი შემოქმედისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ ქართული მწერლის ნაწარმოები ნამდვილად ქვეუღო ხალხის კუთვნილებად, მის სულეერ სიმდიდრედ, მისი ეროვნული სიამაყის საგნად.

ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ქართულ კულტურას ასე ფართოდ გავლენა მოუტანა კარი მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად. ახალ ქართულ რომანებს, რომლებიც საყურადღებო შენაძენია არა მარტო ქართული მწერლობისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის, მსოფლიო რეზონანსი აქვთ. ეს არსებითად, ბოლო წლებში მიღწეული გამარჯვებაა: ქართული წიგნი ითარგმნება ბერლინსა და პარიზში, პრასასა და ბუდაპეშტში, მსოფლიოს სხვა დიდ დედაქალაქებში. ვის შეეძლო ადრე ამაზე თუნდაც ოცნება? კი! ამას წინათ ლენინური პრემია მიენიჭა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს“, რომანს, რომელიც სავსეა მზით და სინათლით, სიკეთისა და სამართლიანობის მარადიული იდეებით და ამას ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა იმპერიალიზმი საქვეყნოდ ქადაგებს ძალადობას, ცინიზმს, იმპერიალიზტებს არაფრად მიაჩნიათ არა მარტო ადამიანის ბედი, არამედ მთელი ხალხების ბედი, მთელი კაცობრიობის მომავალი, რომელსაც ისინი ატომური შემუსკრით და იავაოქმნით ემუქრებიან. ასეთ

პირობებში, ასეთ ვითარებებში, ქართული მწერლობა დგას მთელი საბჭოთა მწერლობასთან ერთად კაცობრიობის ავანგარდში და მამაცურად იბრძვის ჰუმანიზმის დიდი იდეების დამკვიდრებისათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის.

ქართველ მწერალთა მთელი კოლექტივი ჯანაღი და ჯანღონით სავსეა. ამაზე ნათლად შეტყვევებენ შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა „მნათობის“, „ცისკრის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „დროშის“, „განთიადის“ და სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე და რომლებმაც უკვე დაიმსახურეს როგორც მკითხველთა მოწონება, ისე ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება.

ლიტერატურაში მოვიდა შესანიშნავი მაღალნიჭიერი ახალგაზრდობა, მხარში ამოუდგა უფროს თაობას; ქართულ მწერლობას მტკიცედ სწამს, რომ თვითკმაყოფილება, თავის დამშვიდება ყოველივე იმით, რასაც ჩვენ მივალწიეთ, ძალზე მაგნე სენია, რომელიც ხელს უშლის და აბრკოლებს ჩვენს წინსვლას.

70-იანი და 80-იანი წლების ლიტერატურული აღმავლობა განაპირობა პარტიის განუწყვეტელმა მზრუნველობამ მწერლობის და ხელოვნების მიმართ, განაპირობა იმან, რომ თავის მხრივ მხატვრულმა ინტელიგენციამ ლენინური მოძღვრება ლიტერატურასა და ხელოვნებაზე აქცია თავის შთავაზუნების გზის მაჩვენებლად. წინ გამძღოლ შექმურად.

ასეთი იყო ქართული მწერლობის ტრადიცია, ასეთია დღევანდელი დღეც. ახალი ღვაწლისთვის, ახალი გმირობისათვის არის შემართული მთელი საქართველო: ამ რწმენით აღნიშნავს იგი ისტორიული დოკუმენტის ათი წლის თავსაც, ახალი იმედებით ეგებება ამ თარიღს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც იბრძვის და შრომობს ნათელი მომავლისათვის.



ხუბა ბირულავა

## ახალი წიგნიდან

### ბიჭვინთის ცისკვეთ

დიდი ფიჭრის და აზრის კაცები  
შექვთფინებენ ზღვას ალტაცებით;

შექვთფინებენ თრთოლვით და შვებით,  
ისე უბრალოდ, როგორც ბავშვები!

ზოგი ზის ზღვასთან, როგორც მეთევზე,  
ზოგი ზმებსა თხზავს მუზის ღმერთებზე;

ზოგი კენჭაობს ანდა... კიდაობს,  
ზოგს აჯადოებს ქვა საჭილდაო;

ზოგი, ვით რითმებს, ეძებს ნიჟარებს,  
ვერ იპოვის და განა იჯავრებს...

ამ ფრიამულზე მზეს ეცინება  
და, ვით სიცოცხლე, მთებს ეფინება-

სხვადასხვა ერის რჩეულ მგალობლებს,  
ღმერთო, ურიცხვი დღე უწყალობე!

### იმ ქარიშხალში

ჭოროხის ქარი რომ დაუბერავს,  
წვიმას ელოდე გაგრის გარშემო!  
ჩამოიარა შორმა ღრუბელმა  
და შეარხია ზღვა უსაშველოდ.



ქექდა და ქუხდა. წვიმდა... ო, იმგვარ  
 წვიმაზე ითქმის კოკისპირული!  
 ბიჭვინთის თავზე ცა ჩამოინგრა  
 და კლდეს მიემსხვრა. როგორც ყინული.

მთებს ნიაღვარი მოსწყდა ზევეციით  
 და გაიშალა, როგორც გორგალი.  
 როცა მიასკდა ნაპირს ბლავილით,  
 თავისით შედგა ძალა მბორგავი;

განა თავისით? ზღვამ შეაჩერა  
 და სათოფეზე არ გაიკარა!  
 ბედს დამორჩილდა ღვარი ამჭერად  
 და მინდვრისაკენ გზა გაიკვალა...

არც გამოგია, როგორ დაღამდა  
 ამ გადარეულ წვიმის ხმაურში!  
 იმ ღამემ მაინც ველარ დაღალა  
 მგოსნის ოცნება ფიცხი და ურჩი.

ეოლგისპირეთში გავჩნდი ანაზღად,  
 ნაცნობ ყორღანთან მივაგდე რაში,  
 ვინც სიჭაბუკე გამილამაზა  
 და ჩამოსახლა სინათლე ხმაში...

განთიადისას, დამცბრალ ბუნებას  
 რომ გაელვიძა, ვით მონადირეს,  
 რვაბალიანი

ზღვას აბრუნებდა  
 და თავს უკრავდა თითქოს ნაპირებს.

იმ აღუწერელ გრგვინვა-გრიალში,  
 ეამს მზის ამოსვლის და ბობოქრობის,  
 შევხვდი უშანგი ივანიაშვილს —  
 რუსთავის გმირთა უმრწემეს მშობილს.

— საიდან, როგორ? — არ უთქვამს ჩემთვის.

— საიდან, როგორ? — არ დამცდენია.

ზღვის პირას ასე ვერავის ეტყვი,  
 გინდა უცხოის და გინდა შენიანს.

ეგრძნობდი, რომ ჭაბუკს არც კი ენახა  
 მუხისტეხა და ლელვა ამგვარი.

შეეძახე მხოლოდ: — მამო, შენა ხარ?

მან მიპასუხა: — ეანოც აქ არი!

...ვით იდუმალი ღიმილი მთების,  
 ბიჭვინთის ცისქვეშ იდგა რიერაჟი  
 და წიგნი ჩემი ფოლადის მშების  
 კვლავ გრძელდებოდა იმ ქარიშხალში.

**ქრონოსორ გამია კობახიძის პოსენება**

I

— ამ დალოცვილმა, ვის ღიმილსაც სურათზე ხედავ,  
 ასგან დაპრილი ხელმეორედ მაქცია მხედრად!  
 მიძმო და... იგრანო უფრო მწარე ტკივილის ფესვი, —  
 მელოდებოდნენ მეგობრები მარუხის მთებში...  
 მშაო კეთილო, მე მიხილავს, მე, ჩემი თვალით,  
 ვით უკოცნიდა ჭადო-ხელებს ბერძენი ქალი.  
 შენ ღმერთი ხარო, უმტკიცებდა დაბეჭითებით,  
 ის კი... ჭლარას ისწორებდა მთრთოლვარ თითებით  
 და გადარჩენილს ამშვიდებდა, როგორც მშობელი!  
 ...ვთქვათ, მახარია, აიმ კაცის საგალობელი,  
 ვის თვალეზშიაც ჩაიხედა აჭარის დილამ  
 და საქართველოს ყველა კუთხეს ეკუთვნის შვილად.

II

ბატონო მემედ, კოლხურ ჭერქვეშ რაც გავიგონე,  
 მე უნებლიედ ვათქმევინე ალალ სტრიქონებს,  
 თორემ თქვენს ამაგს დამლოცველი არ დაეღევა, —  
 თქვენ უკვდავება მოგანიჭეს ჭადო-ხელებმა!

**ვინც ერის ტაძარს ეთაყვანება...**

კიმრ კობახიძის სახლ-მუზეუმთან

ვინც ერის ტაძარს, ანუ თეატრს, ეთაყვანება,  
 მას ხამისქურში მიმავალი გზაც ეყვარება:

კობახიძეთა თბილ კერიას ვინც კი ეწვევა,  
 მას უნახესი შთაგონება ვერ გაეჭყევა:

ვინც აქ მოუსმენს ფოთოლთ შრიალს, როგორც შელოცვას,  
 ნათლით შემოსავს ამ სახლსაც და საქართველოსაც!



თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## აფხაზური რვეულიდან

### პროლოგი

ამ სიმღერის სტრიქონები  
აფხაზეთში დავიწყე,  
ვარდისფერი ლაქვარდები  
წინ ქალღმერთად დავიწყე.  
მზეს კალმისტრად სხივი ვთხოვე,  
ვახს — რქაწითლის მელანი,  
და შიგ გული ჩავაქსოვე  
ეთ ჩუქურთმას მტევანი.

სიყვარულის დამკრა ქარმა  
გრაინობის გაშლილ აფრაზე,  
ძველმა ძმამ და შეგობარმა  
მოვაკითხე აფხაზებს.  
რუხის ციხის გავლით მოველ,  
გავევ გალის გზაშარებს,  
დრანდის ვარდით დავითოვე,  
ათონის მზე მაშავებს.

ბზიფმა აღმა ამიყვანა,  
ცას მახლა რიწამა,  
გულში სხივი ამიყვავა,  
მზის წილხვედრმა მიწამა.  
გუმისთის ხმა გავიგონე,  
მისი ფრთები ავისხი,  
გულში ტალღა ავიგორე  
ცისფრის, განა შავი ზღვის.

გახვეულა მწვანე აღში  
ცას ნატყორცნი ბიჭვინთა,  
აფხაზი ძმაც მედგა მხარში,  
თუ კი რამე მიჭირდა.

ზღვაში ბრწყინავს იაგუნდად  
ცაი მიწის ლურჯი და,  
აფხაზ მმასთან ვიყავ მუდამ,  
თუ კი ოდეს უჭირდა.  
განთიადმა განთიადად  
მომაგება ღიმილი,  
მიწა მწვანედ ანთია და  
მზის სხივს სჭიმავს სიმივით:

აფხაზეთო,  
აფხაზებო,  
თქვენთან ვარ და თქვენი ვარ,  
ჩემი აყენის ლეიძლო ძმებო,  
თქვენს გზებს შუქად ვფენივარ.  
არცა მუხლი დაიქანცა,  
ვერც მოლაღა დრომ გული,  
მხედება თქვენი აფხიარცა,  
მომაქვს ჩემი ჩონგური.

გვასაზრდოებს ერთი ფესვი  
ერთი მიწის და მოდგმის,  
ძველებს უთქვამთ:  
ცხრა ძმას დღეში  
მზეი ცხრაჯერ ამოსდის.  
ღვიძლი ძმები  
ვართ წევრები  
ერთი დიდი ოჯახის,  
ჩონგურის ხმით ვუერთდები  
აფხიარცის მოძახილს.

## ქვანახშირის და ოხნების ქალაქს

ბევრი გზები დამივლია  
მიწის ქვეშ თუ ზემოთ,  
ზოგზე სისხლი დამიღვრია,  
ზოგზეც დამწვა მზემო.  
ზოგს თვით ჩემზე გადუვლია  
წვიმიტა და ქარით,  
ზოგს ცის კარი გაუღია.  
ზოგსაც გულის კარი.  
დღეს ტყვარჩელში გამოვყვევი  
მშობის ლამაზ ბილეს,  
დამხვდა მშობის და მოყვრების  
გული თბილზე თბილი.  
უვაილნარში სხივთა ზვირთი  
ბრუნავს როგორც ქარა,  
ქვანახშირის შავი ფილტვით  
სუნთქავს ბახტეჯარა.

მდინარედ რომ მოდიდდება,  
ოფლით გალუმბული,  
ამ მთიდანაც მოდის მთებად  
ინდუსტრიის პური-  
სილამაზის ხატავს ხელი  
მის მიწას და მის ცას,  
მის ნახშირსაც სიცხველვე  
კაცის ხელმა მისცა.  
ლალიძგის ხმაც ჩამესმება  
და მე ვეტყვი ტყვარჩელს:  
— მისი შხეფი დამესხმება  
იორზეც და მტკვარზეც-  
ვადლეგრძელვებ წრფელი გრძნობით  
ულამაზეს ტყვარჩელს,  
ეს სიმღერაც ჩვენი მშობის  
სადლეგრძელოდ დარჩეს.

## სოხუმში უნდა ვიმღერო

ლეგენდის დიოსკურიავე,  
ზღაპრულ სოხუმად აღმდგარო,  
მე შენი სიო მწყურია,  
შენი სიმღერის ცხრაწყარო.

გრანიტს ზღვის ტალღა აწყდება,  
გულთან მეც ვმართავ ასეთ ომს, —  
სოხუმში უნდა ვიმღერო  
სიმღერა სააფხაზეთო.

ამ მზის ქალაქში ჩონგურმაც  
უნდა მზის სხივი აიბას...  
მივესალმო, მომწყურდა,  
ამას — ხაკიბეი აიბას.

რარიგ ხშიერობს, მშიერობს  
აფსნის მალალი გუმბათი...  
მე არშბას მკლავით ვძლიერობ,  
ვხარობ საიდა გუმბათი.

სიტყვამ ვით არ იარაგვოს,  
მათრობს სიმღერის შარბათი,  
დავდივარ.

ვმღერი,  
ვამაყოზ  
შინკუბათი და თარბათი.

ხალხის მადლო და ამაგო,  
მამულო სევბედნიერო,  
აფხაზეთითაც ვამაყოზ,  
აფხაზი ძმითაც ვძლიერობ!

...სოხუმს — გულლიას, კარლიას  
სანთლად დაცენტო, მწადია,  
ქალაქია თუ ბალია,  
სოხმარია თუ ცხადია.

ზეცის ნაჭერი —  
ნაწერი  
პალმების გრძელი კალმებით,  
წიწვით დაწნული საცერი,  
მაგნოლიების კარვები.

ვითვლი შუადღის ტბილ წამებს,  
მაფიცხებს მზეი მკათათვის,  
ქალაქის მუქი სიმწვანე  
ზღვის სილურჯეში გადადის.

სიცოცხლის უსააკობა,  
სივრცეში ფრთადარწეული,  
ტალღებს ჰკვეთს „ნესტორ ლაკობა“ —  
კაცი, ზომალდად ჰკეუელი.

აღელდა, ზღვა აბმურდა —  
სიტყვასთან ვიწყებ ასეთ ომს —  
სოხუმის მთიდან ვთქვა უნდა  
სომღერა სააფხაზეთო.

## თემურ თარბასთან სტუმრობის გახსენება

ხსოვნის ტალღა აგორდება,  
გულის გულს რომ შეხლია,  
თემურ თარბა მაგონდება  
ჩემი გმირი სეხნია.  
იმ მაისში,  
იმ მზის დარში  
ზლაპარს ჰგავდა დურიფში,  
(ლექსად ვერ ვთქვი, დღემდე დავრჩი  
იმ დღის საყვედურებში).  
იღვა დარი, საოცარი,  
დროს და გზას რომ ამოკლებს,  
იღვა გმირის ეზო-კარი  
სამოთხეში სამოთხედ.  
სხივმოწნული აივანი,  
ლობე მიმოდანული,  
ფართო ეზო ხეთა მწვანე  
ჩრდილში იყო დაფლული.  
არხეინად მიცოცავდა  
ხის კენწრისკენ ადესა,  
გაზაფხული მკვირცხლად სწნავდა  
სხივთა ოქროს ბადესა.  
იღვა ღია ალაყაფთან  
კაცი შექად ჰკეუელი,  
მშობელ მიწის ძალა ახლდა,  
სითბო მიწისეული.  
ამ ბუნების ახლდა ეშხი,  
იღვა ეუნთებმაგარი  
შრომის გმირი —  
აფხაზეთში  
ერთი პირველთაგანი.  
მოგვაშუქა ღიმი ცისკრის,  
გვითხრა ომახიანად:

— შემობრძანდი!  
ქართველ ძმისთვის  
გულის კარიც ღია მაქვს.  
ეუსმენ თემურს,  
დაბადებულს  
ბრძენკაცად და ლომკაცად,  
მის აფხაზურს. ამღერებულს,  
გული მყის რომ მომტაცა.  
წინ გაგვიძღვა მასპინძელი,  
ვაზის ნამით ფერილი  
და დაგვიხვდა სუფრა,  
გრძელი  
მრავალუამიერივით.  
გულის სითბო ავსებს დარბაზს,  
ჩამებს — ვაზის ნაყური.  
სეფე სიტყვას ამბობს თარბა,  
სიღინჩით შესაშურით.  
— ძმობისა და სიყვარულის  
სადღეგრძელოს გთავაზობთ!  
და აღმასობს მისი გული,  
მისი სიტყვა გავაზობს.  
ჩამი ხელის გულზე დასვა,  
ღვინის შხეფთა ხტუნვაში,  
ნაწვიმარ ჩაგს დაემსგავსა  
მისი თეთრი ულვაში.  
გულს ვარსკვლავად მინთებელი,  
მერდს ასხმული ფარდა  
გუგუნებდა დიდებული  
აფხაზური ვარადა.  
...მე პირველად ვნახე მაშინ  
აფსნის მზარე ზლაპარული,  
აფხაზური სიტყვის თქმაში  
გული გავიზაფხულე.



თბილისში დიმიტრი გულიას ჩამოსვლის გახსენება

კიდევ ერთი ხსოვნის ტალღა,  
ნისლით რომ არ დაითალხა.

...თბილისი.

ოპერის თეატრი.

სცენაზეა

ოთხმოცი წლის პოეტი დიმიტრი

გულია.

ვისითაც აფხაზი ხალხი ენამზეობს,  
იმ კაცის იუბილეს ზეიმობს სრულიად  
საქართველო.

ფეხზე დგას ხალხსაცხე დარბაზი,  
უკვდავების თითები დახტიან არფაზე,  
მის სიმთა ეღერას ვერც რაი

შეაჩერებს.

ლეონიძე,

გაშახურდია,

ქიაჩელი

მხარში უდგანან აფხაზური სიმღერის  
ფლაგმანს.

...გულიას ლექსის ჩემეულ თარგმანს  
ვეითხოვობ.

ლექსს ჰქვია „გორში“.

პოეტის ხელში საოცრად მორჩილ

სიტყვას

განვიციდი სისხლით და ხორციით.

ჰჭუხს ლექსის სტრიქონი

თუ სულის სიმი თრთის —

თეთრი წამწამები შეეცვარა დიმიტრის

იქნებ დაელანდა თავისი პირველი

მოწაფეობის ქალაქი გორი.

იქნება წარსულის საოკმელში

მზირველის

თვალში ირეკლება ქართლის ცის

ბროლი.

ჩვენი საუკუნის გარიყრაცს თუ

ჰკრეტს —

თავისი სიმღერის წყაროსთავს

უშრეტს —

პირველ წიგნს აფხაზურს,

გულიას პირველ წიგნს

ქართველი მესტამბე თბილისში

სტამბავს.

ვინ ოქრო მოხვეჭა,

ვინ ფული,

ვინ ვერცხლი,

გულიამ გული მისცა აფხაზურ ანბანს.

...დგება ტრიბუნასთან პოეტი მსცოვანი.

წამოდგა დარბაზი მრავალრიცხოვანი.

ტალღებად დაძრული ტაშის ხმა იმისი

ხმა არის თბილისის.

ხმა საქართველოსი.

პოეტის ლელვაში.

სიტყვაში,

ლიმილში

ნიავის ხმაც მესმის.

ჩურჩულიც მდელოსი.

მთებში ატეხილი ქარიშხლის ხმა მესმის.

აფსნის მდინარეთა მშფოთვარე

ხმა მესმის

და, რაც მთავარია,

აფხაზი ხალხის გულის თქმა მესმის.

...თბილისი.

ოპერის თეატრი-

სცენაზეა

ოთხმოცი წლის პოეტი დიმიტრი


გულია.

ვისითაც აფხაზეთი საქვეყნოდ

ენამზეობს.

იმ დიდი პოეტით ამაყობს სრულიად

საქართველო.



ჯანსაღი იმედი

### ილია და კაკი

ორი მოხუცი გადმოსცქერის მალლიდან პროსპექტს.  
 ცაში არიან, სამიწაოდ ვერ მოუცლიათ.  
 მათ სიცოცხლეში ბოროტება თუმცა ვერ მოსპეს.  
 ეს პოეტებიც ამზადებდნენ რევოლუციას.  
 იდეებით მშვიდად და თუ ჩვენი ღელვა გალომებთ.  
 ვიცი, რომ დასტურს აიღვეთ წინსვლას ყოველ  
 ხუთწლიანს  
 და თქვენი წყვილი მოაგონებს გამვლელ-გამომვლელს.  
 რომ პოეტებიც ამზადებდით რევოლუციას.  
 მომავალს მზერენ, დაილოცოს ეს გარინდება,  
 ადგილიდან ფეხს წლები ამ წყვილს ვერ მოუცვლიან.  
 არ დაივიწყო, ჩემო ხალხო, ჭეშმარიტება,  
 რომ პოეტებიც ამზადებდნენ რევოლუციას.

### საიდუმლო ქვევრი

რუსთაველური, შავთელური,  
 ჩახრუხაული  
 წაგვიკითხავს და არ გვსმენია  
 დამწერის ხმითა.  
 ვინ იცის, იქნებ, სადმე ქვევრში  
 ჩახრახნილია  
 ჩვენი წინაპრის ზმა მწუხარე  
 ზარივით წმინდა.

ხომ შეიძლება, რომ კვეალავდეთ  
 დილით ახალ თოვლს.  
 სარკველი რამე მიწის პირზე  
 გამოისახოს.  
 ქვევრი! იველ ლეინოს მოველოდეთ...  
 და, რომ ავხადოთ,  
 რომელმან შექმნა სამყაროო, —  
 ამოიძახოს.

## ყარაჩოხელის სიკვდილი

ეთიმ გურჯთან ღვინოს სვამდა,  
არაყს სვამდა ფიროსმანთან,  
საბოლოოდ ილოცა და  
გადაავლო თვალი  
ლამპარჩამჭრალ ალაჩოხებს...  
ყველა ძმაცაც ყარაჩოხელს  
ხვალ სიკვდილი დააჩოქებს,  
მის კუბოსთან ძალით.

გაიშლება ამჭრის თალხი,  
აიშლება ამ ხნის ხალხი,  
დაიცლება არღნის ქანგი —  
უხილავი ჯადო.  
ვაეყაცს ნამუსშეულახავს  
დახატავს და რჩეულ ნახატს,  
ხვალის თბილისს შეუნახავს  
გუდიანთ ლადო.

## ზ ე დ კ ვ ე ლ კ

წლევანდელმა გაზაფხულმა რალაც სევდად  
თრიალეთის მთის კალთაზე მომისწრო,  
ზედაველას შევხიზნივარ... გამახსენდა  
წინაპართა სისხლიანი ომის დრო.  
აქ დაბნელდა არაერთი მეომრის მზე...  
ჩაეიმუხბლე გაღვიძებულ წყაროსთან...  
გადიქუხა, თუ გიორგი ლეონიძემ  
საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა.

## ნ ა ხ ე ვ ა რ მ ა ჯ ა მ ა

ჩემო პატარა სახელო,  
ჩემო თავო და ნისლა თმავ,  
დიდი პოეტის სახელო  
არ გვიწყალობა ყისმათმა.  
მაგრამ ცრემლჩამოღვენილი  
როდი ვუვლიდი დავლურს მე,

პალოს, რომელიც ღმერთივით  
გორის ციხეზე დავლურსმე.  
და მუდამ ვწერდი, ვეყარობდი,  
ფიქრიც გამაჩნდა უღევი,  
დარდიანეთის წყაროთი  
ნებივრად ნასულდგმულევი.





ოთარ ჩხიძე

## მალე მეორე ავტობუსიც მოვა

მოთხრობა

და გროვდებიან წამსვლელნი ცხადია, გროვდებიან და ვერცა გროვდებიან;

მოსაცდელსა თუ საჩრდილობელში მზე ჩაწოლილა, მზე პარპაშებს და შიგ არ უშვებს არავისა;

ვერც გადაიწვიმებ, შიგ ასხამს წვიმაცა, თოვლიც შიგ აყრის, ქარიც შიგვეა რო ბუქნის ზოლმე, მტვერიცა ბუქნის, მტვერი და ქარი, აიყოლიებს საჩრდილობელსაცა ანუ მოსაცდელსა ავტობუსისა, აიყოლიებს და ჩააბამს ჩარბუზანასა:

და ასეა, რო გროვდებიან და ვერცა გროვდებიან; თუ მიიყუებიან აქეთ-იქითა, — ჩრდილებში ცხადია, ხისა თუ კედლისა, აქეთ-იქითა, ზოგი ახლოსა, ზოგიც ცოტა მოშორებითა; არც ისე ცხელა, ჭერ კიდევ აღრეა, — პირველი ავტობუსი სულ აღრე გადის, — მიიყუებიან ისე მაინცა.

მოსაცდელი თავისთვისაა, პირლია მოსაცდელი, გაღნიოშებული, თავისთვისაა და აღესილა მზითა; ავტობუსიც იქ ჩამოდგება, ხალხს ჩამოსკლის და შეუშვებს მზესა, მერე ესენიც თან მიჰყვებიან, მზეს მიჰყვებიან, ჩაიხუთებიან ცოტა არ იყოს და ინანებენ იქვე, ნეტავი არსად მივდიოდეთო, — მზე ჯო იმატებს, მხურვალეა იმატებს, იმა-

ტებს და იმატებს; მაგრამ, მაგარიც სწორედ ისაა, რო უნდა წავიდნენ, აბა მაშრაო: ის ავადაა, აგერა ევე, ი დედაბერი, ორი სხვა ქალი რო ჩაჰტრენია აქეთ-იქიდანა, ერთი რძალია და ერთიცა ასული, თავისნნი ცხადია, რო ვერ დამსხდარან, რო უჭირთ დგომაცა, — დედაბერს უჭირს რალა თქმა უნდა, — რო არსადაა ჩამოსაჯდომი და მალე რო მოვა ავტობუსიცა: თუმცა ქვეები მაინცა ჰყრია, ჩამოსასხდომიდა რალა თქმა უნდა, მაგრამ იქ სამი კაცი ჩამჭდარა, ერთიცა ქალი ორი ბავშვითა; ემანდ არ იფიქრო, კაცები ადგილს არ დაუთმობდნენო, არა, არ იფიქრო, — დაუთმეს, შესთავაზეს, ეახლნენ კიდევცა, მიგაბრძანებთ და დაგაბრძანებთო, — ჰოდა, არ იფიქრო; ოთხი თუ ხუთი ყმაწვილიც მოსულა: ოთხნი იყვნენ და ერთი მიემატა, მერე გამოაკლდა, ისეც მიემატა, ისეც გამოაკლდა... თუმცა ეს რაო, ანუ სხეები რალას ჩამოვთვალო, როცა აქ მხოლოდ იმის თქმა მინდა, ყველას თავისი საქმე რო ეწვეა, საქმეი საშური, ოღონდ არცთუ ისე საშური, პირველ ავტობუსს რო გაჰყოლოდნენ დილაადრიანა, — ჰურისთვისაო თუ ხორცისთვისაო, ყველისთვისა თუ კარაქისთვისაო, არც ისე საშური, ოღონდ არც ისე

17500

საგვიანო, მესამესათვის რო დაეცადათ: მესამეთი დაბრუნდებოდნენ, ესენი ცხა-ლია: მეორეთი დაბრუნდებოდნენ, ისინი ცხადია, პირველს გაყოლილნი, ან გახარებულნი დაბრუნდებოდნენ, ან დაღონებულნი დაბრუნდებოდნენ, — რას იზამ ასეთი წუთისოფელი, ღამე დღეს უთენებიაო. ნუ იტყვი, აქ, რო სხვა სტრუქციონი აჯობებდაო, — აჯობებდა რაღა თქმა უნდა, ჭერ ეს მომადგა ენაზედა და მერე იმასაც გავიმეორებ:

და გროვდებიან ერთისიტყვიითა:

და რო გროვდებიან, მოდიან ისინი-ცი: თამარი და გიორგი, ცოლი და ქმარი, მეტი არაფერი, — ცოლი და ქმარი, ნელნელა მოდიან, ყოვანდებიან და ისე მოდიან, ეგება ჩამოდგეს ავტობუსიცა, რო არ დაუცადონ არცერთი წუთიცა, — ჩამოდგეს და ესენიც მიადგნენ: ასე ნებათ და ყურები დაუცქვეტიათ, აბა და ჰაო, ხმა ჰო არ ისმისო, — მეტი არაფერი, მეტი არაფერი, სხვა ამით იქ არ ეკითხებათ არაფერი, არც ის უნდათ, რო იმათ იკითხონ, არა, არ უნდათ: მიდიან ესენი თავიანთთვისა, თავიანთ გზაზედა, თავიანთ საქმეზედა, მიდიან და ერიდებიან ავ თვალსა, ავ გულსა, კილსა თუ შურსა, ერიდებიან და თუ აუქციევენ ამას თუ მინცა, დამცინავ თვალს მინც ვეღარ აუქციევენ. ეს თვალი აბრაზეთ ყველაზე მეტადა, აბრაზეთ და აბეზრებთ, ანთუ აბეზრებთ და აბრაზეთ, ანთუ... რაც არის, იყოსო: აგერ ჭერ რო არ მიახლოვებულან, უკვე აბრაზეთ იმათი თვალები, ქვებზე რო სხედან, სამნი რო სხედან, ესენი ვითომც რო არც დაუნახავთ, რო შეჭედან ერთიმეორესა, თავს ჩაკიდებენ და ისევე შეჭედან, ანთუ სადღაც რო გაიქტირებიან, ვითომ და რაო, სადმე ლოუნელი ჰო არ წამოჩნდაო, — აბრაზეთ ანათა, რადგან იციან, ამათ ოო ჰკოლავენ, ისინი ცხადია, იციან, იციან, განა ევქვებათ?.. რა სათქმელა!... ეს-მიო მკაფიოდა, თუმცა ისინი არას ამბობენ, კონტს არა სძრავენ, კონტს არამეთქი, და მარც ესმიო, ამათაც ესმიო და თვითონაც ესმიო ერთმანეთისა:

„რა გოგო იყო!...“  
„ბევრი არაფერი!...“  
„შენ ეგრე გეგონოს“.  
„მეგონოს?! არ მახსოვს, რო?!...“  
„რა გახსოვს ისეთი?...“  
„ბევრი არაფერი რო იყო“.  
„მეტი რა გეთქმის“.  
„ვითომ რადაო?“  
„არავის არაფერი არ გაგივიდათ და ვითომ არაფრად ჩავვივლიათ:“  
„ვითომ ხელი არც რო შემეველოს!...“  
„ისემც რა გითხარი!...“  
„რა მითხარი?... ერთხელ რუზე გადავხატუნე“.  
„როგორ დაგანება?!“  
„მამინ ჭერ სად იყო!.. მერე აუფლვა და აპა ჩამოახშო“.  
„არც ეგრეა...“  
„ეგება კიდევ შეგეველო ხელი“:  
— ჰეჰეჰე...  
— ჰიჰიჰი...  
— ჰა, ჰა, ჰა...  
ესლა წამოსცდებათ, ეს „ჰაჰაჰი...“ სხვა დანარჩენი ჩაივლის ისე უსიტყვებოდა, ოლონდ უთქმელად როდი ჩაივლის, გაუგებრად როდი ჩაივლის. — მუხლი შეეკერის თითქოსა თამარსა, ფეხს ვეღარ წასდგამს, „ნეტავ რას მოერბოდით, რა გვაჩქარებდა! იდექი ახლა და უსმინე ამთა!...“ ამას თამარიც გულში გაივლებს, თვალს მოარიდებს გიორგისა, თვალსაც მოარიდებს. საყვედურად არ ჩამითვალოსო, მაგრამ მინც მიუხვდება გიორგი: „ნუ მაქციე ყურადღებასა“, ურჩევს გიორგი, თვითონ ცას შეაყურებს, მიაჩრდება თამარიცა ცასა, ისე, იმგვარად მიაჩრდება. ისე იმგვარად მიაჩრდებიან, მოტყუვდებიან ქვებზემსდომელნიცა, ზემდგომელნიც მოტყუვდებიან, აღრენენ ყველანი თავსა, ყველანი ცას მიაჩრდებიან: ცოტა დედაბერს გაუჭირდება და აბუზღუნდება, გამოადგება საბაბადა:

„რას შესცქერიან?! აბუზღუნდება დედაბერი, ისევე უთქმელადა, გაეპასუხებიან ქალი და რძალიცა, ისევე ცხა-ლია:  
— ცას შესცქერიან...“

ინ-მარა: საბ. საქ. სს. სახე: კო რესპუბლიკის ბიბლიოთეკა

„როდემდე უნდა უცქირონ ცასა?!“

„მალე ავტობუსი მოვა“.

„მანამდე უნდა უცქირონ, მერე?!“

„უცქირონ, რა...“

„უცქირონ. — დაეაბულდა თითქოსა დედაბერი. — უცქირონი!“

„უცქერენ... მა რა აკეთონ, ვიდრე ავტობუსი მოვა?“

„მიწას უცქირონ: ერთხელ ჰო დაქა-რგეს ერთმანეთი, ცას რო შესცქეროდ-ნენ?!“

„ჰო იპოვნეს?“

„შავი ქვა იპოვნეს“.

„ერთმანეთი ჰო იპოვნესმეთქი“.

„რალა დროსაო?“

მოურღვეოდა თითქოს სხეულითა-მარსა უცქრადა, ასავსავებდა, გაიწვდი-და ხელსა, მკლავს მოაფათურებდა გი-ორგისასა, დაეყრდნობოდა, ანთუ ვერც-თუ დაეყრდნობოდა, დაემგვანებოდა თითქოსა ლანდსაო, უძალოსა და ულო-ნო ლანდსაო, „ეს რალას ამიტყდა, — გაიხშიანებს გულის სიმები თამარისაი რალა თქმა უნდა, — თავისი იდარდოს, ფეხზე ვერა დვას და ვერც რო დამქდა-რა, იდარდოს, ეყოფა სადარდებლად“, გაიხშიანებს ანთუ არც რო გაიხშიანებს ყურს მოსადებდა. ფიქრს მოედება მა-ინცა გიორგისა, ისევ იგივეს ურჩევს გიორგი, „დაეხსენ, დაანებე თავი... ეი-თომც ვერა ჰხედავ, ვითომც არ გესმის“, იგივეს ურჩევს და მიწას დაჰხედავს. მერე ისევ ცას შიანერდება, ისევ მიწასა და ისევ ცასა: ასდევს თამარიცა, ეგება გული გადავყოლოთ, ეგება იმათ აღარ აქვეყო: ჰოდა ასე რო აიციკრებთან, ას-წივეს და დასწივეს თავსა, აიღერებენ და მოსწყვდებთ კისერი, კინწი მოსწყ-ვდებთ, ლაპარაკობენ და ტუჩებს როდი აცმაკუნებენ და ბავშვებსა ჰგონიათ, თოქინებიო, ჰგონიათ და აიღერებენ კისერსა თვითონაცა, აიღერებენ და წა-იწყვეტენ თითქოსაო, თავს ჩააკიდებენ, მიიღებენ ტუჩებზე ფაცებსა, ბიბილო-ებსაც მოიქეჯავენ. — ამას დიდი მიხ-ვედრაც არ უნდა, ილიმის თამარი, ილი-მის გიორგი, ხვენ გვაჯავრიანო, — მი-ახერდებიან ახლა ბავშვებსა მოწონების

თვალთა, „რა კარგებია...“ გიორგი, „რა კარგებია...“ დაუდასტუ-რებს თამარი; იქ დედა შეკრთება იმა ბავშვებისა, ეს მოწონება ააკოწიანებს, ააფორიაქებს, ბავშვებს მოეხვევა, არ მომინუსხონო; ბავშვებიც დედას მიეკ-რობიან, თითქოს და რაო, დაფრთხები-ანო, — გამოაპარებენ მაინცა თვალსა, ერთი აქედანა, მეორე იქიდანა, აჭაბუხ-დებიან ერთდროულადა, მერე თავს ჩა-რგავენ დედის კალთაში ერთდროულა-დვე, თვალებსა მალავენ და იქნევენ ბო-ლოსა, აკუნტრუშებენ პატალა ფეფებ-სა: „რა კარგებია...“ თამარი მაინც ვერ მოსწყვეტს თვალსა, ეს სიტყვა გულში დაუტრიალდება, ააჩქროლებს, ააფოფი-ნებს, ლამის ფეხს წარსდგამს ბავშვები-საკენა, ლამისაო თუ კიდევაც წარსდგამს, წარსდგამს გიორგიცა, კიდევაც წარს-დგამს და კიდევაც შეაყოვნებს, რატომ-ღაც შეაყოვნებს, თუმცა იქ უნდა, იქ უნდათ ორივესა, იმათთან უნდათ, იმათ-თან თამაში, ალერსი იმათი უნდათ, სწყურიათ, სწყურიათ და ენატრებათ; და ეს ნატვრაა, დედას რო აშინებს, აშინებს და წყრება: უწყრება ბავშვებ-სა და ამათაც უწყრება, „აღარ მომას-ვენებთ!...“ და შედრეება თამარი, „რა დაგიშავე?!“ ალელდება თამარი, „არა-ფერი!...“, „არაფერი!...“ დაეშურება, ამ-შვილებს გიორგი, იდაყვზე თითებსაც ისე მოუჭერს, უფრო მკაფიოდ რო გა-აგებინოს, უფრო მკვეთრად რო შეასმი-ნოს, თორემ ისე თრთის, ეგება ვერც გაუძლოს თვალთა დედისა, გაცხარ-ებულ თვალთა, „დედა ისაა, რო ეშინიან, რო ეშინიან, ყველაფრისა რო ეშინიან, დედა ისაა, რას იზამ, ისაა...“ ოდნავ ბა-გისაც არხვეს გიორგი, სიტყვები მაინც არ წამოსცდება: წამოსცდენაც არაა სა-ჭირო, უჩერის თამარი, აღარა თრთის თამარი, აღარც უნდა, რო შეჰ-ხედოს დედასა, შიში როა და შიში რო დედაა, ოღონდ და მაინც გაურბის თვა-ლი ბავშვებისკენა, გაურბის და იკა-ვებს თავსა, ძლივსღა იკავებს.

იქით ყმაწვილები აღიზლიზდებიან, ოთხნი რო არიან და ხან ხუთნი არიან.

თავს მოიტანენ ახლო-ახლოსა, მკლავებს გადაჰხევენ ერთმეორესა, ჩურჩულე-ბენ თუ ჩიფჩიფებენ, ასე ერთ წუთსა, ანთუ ნახევარსა, მერე გადაცვივიან სიცილ-კისკისთა, აქეთ-იქით გადაცვივიან, ისევე მოიტანენ თავსა ახლოსა. მკლავებს ისევე გასდებენ მზრებზე, ისევე ისევე ჩიფჩიფებენ და გადაცვივიან ისევე ისევე. — ესაა, არაფერი, მეტი არაფერი: თამარს არ მოსწონს, იმათ ამისკენ თითქოს არც რო გამოუხედავთ, თამარს არ მოსწონს მაინცა ისინი, კულს ეუბნება ჰახჰახი იმათი, ყველაფერი კულს ეუბნება, თითქოს რო ამისთვის მოეცალოს ყველასა და ყველაფერსაო.

„ამათ რაღა უნდათ?!“ წყრება თამარი, იფშხალება თამარი, ისე იფშხალე-ბა, ყმაწვილებს დააფრთხობს, ახლოს რო იყვნენ:

„ერთობიან...“ განუმარტავს გიორგი, მღუმარედ განუმარტავს რაღა თქმა უნდა, დამამშვიდებლად, მისაყუჩებლად:

„ლაზლანდარობენ“, არ ეთანხმება თამარი:

„ილაზლანდარონ“, ახლა ამგვარად ამშვიდებს გიორგი, ამშვიდებს და მაინც ვერ ამშვიდებს:

„ჩვენგან რა უნდათ?!“

„ჩვენგან?! არაფერი!...“

„აბა აქ რა ალაზლანდარობთ?!...“

„ეშმაკმა უწყის!, ჩვენ რა გვესაქმება?!“

„არც შავათ ესაქმებათ!...“

„არა...“

„არც სხვას ესაქმება!...“

„არავის ესაქმება ჩვენთან არაფერი!...“

„არ ესაქმება“.

„მაშ რას აგეტეხიან?!“

„ჩვენ აგეტეხიან?! აბა ერთი კრინტი დაუძრავთ!...“

დაიმუქრება გიორგი ისე, უნდა უთუოდ მიწყნარდეს თამარი თუ არ უნდა, რო თავზარი დატყდეთ იქა მყოფთა. ანთუ გიორგი არ გაეხვეს შარში, — თუ არ უნდა, უნდა მიწყნარდეს: ეს თამარი-

სთვისაო, ხოლო გიორგის ესმის, ესმის ყმაწვილები თუ რასა ჩიფჩიფებენ, ესმის და რო იცის თვით უთქმელიცა, დაჩიფჩიფებული საითღა წაუვა?! თუმცა იმათაც იქვე არ გაეგებათ სიტყვები ცალცალკე, მხოლოდ გაბმული ჩიფჩიფი ესმით და გაეგებათ, მეტი არც უნდათ იმათაც არ უნდათ მეტი არაფერი:

„აიყვანესო...“

„ვერ აიყვანესო...“

„ბელორუსი გამოსდგომიათო“.

„მერე რაო, რაო?!“

„მერე და ისაო, ენას რო ამოიდგამს, ჩვენ როგორ რა გაეგებინოთო, ბარემ ჩვენც ვისწავლით ბელორუსულსაო“.

„ამასობაში სხვას აუყვანია“.

„ამათ კიდევ სხვა შეჰხვედრიათ“.

„ტაჯიკი მგონი“.

„ახლა სწავლობენ ტაჯიკურსაო“.

„უირგობულსაო“.

„ესტონურსაო“.

„მოლდავეურსაო“.

„ესკიმოსურსაო“.

„არა ჩუქჩურსაო“, ეს მეხუთე მოვარდებოდა, იქ არ გახლდა და მაინც ესმოდა, მიუსწრებდა და ჩაერეოდა, ანთუ განათუ თავს ჩაჰკიდებდა, — ბურთს შეისროდა, პატარა ბურთსა, შეისროდა და ჩამოჰყაფავდა, მერე სხვა ხელიც წაეტანებოდა, კიდევ სხვა ხელიცა, თიძგილობა გაიმართებოდა, შეხლა-შემოხლა გაიმართებოდა, რა არ ითქმოდა, რაღა არაოა, გამკილავი თუ წამაქე-ზებელიო, და მაინც მკაფიოდ ეს მოვარდებოდა: თამართანა და გიორგისთანა რაღა თქმა უნდა „აუშმენურსაო...“

და თითქოს ტანი ერღვევა თამარსაო: გიორგიმ არ იცის თუ რა ილონოს, ესაა მხოლოდ, ჩამოეფარება, გადაეღობება თვალთა იმათსასა, ყმაწვილებისასა, მაგრამ ყველას თვალს ვერ გადაეღობება, რო ამ მიგროვილან ერთ ადგილასა, გამდგარან რო აქეთ-იქითა, აქეთ-იქითათ და ესეც მოინაცვლებს ნელნელობითა თამარის გარშემო, მოინაცვლებს და გარს შემოუვლის, გარს ეპოუვლის და ეჩხვლიტება ბეჭები-

ისრები გაეყრება, — მზისა არაო, ისე არა ცხელა, ჯერ არა ცხელა და არც ისე დაცხება, — ისრები გაეყრება ისევე გაეცილვისა, ისევე გაქრდვისა: ალბათ დედამიწას თუ ადარებენ, რო ბრუნავს ასე. მზის გარშემო, ანთუ შეადარებენ სხვა პლანეტასაცა, ასტრონომიის გაკვეთილებიდან თუ დახსომებიათ: დაიშლის ცხადია ასე ტრიალსაცა, თამარიც დაუშლის, უარესად მოიღუშება, მოიღუშება უარესადა, — გრძელდება წუთი, გრძელდება წამი, წამიცა გრძელდება, ისე გრძელდება, რის საუკუნეო, თითქოს კიდევაც მეტი არის საუკუნეზეო; დაშედავს საათსა, თამარიც დაშედავს, გიორგიც დაშედავს, მერე მაჭებსაც მიატყუებენ, ერთადაც დასცქერიან, გაჩერებულა თითქოსაო, ორივეს საათიო რალა თქმა უნდა, — ორივე ყურზე მიიღებს საათსა, თითქოსა წიკწიკებს, რამ გააჩერაო. ყმაწვილებიც ასწევენ მაჭებსა, ანჭრევენ და ყურს მიუპყრობენ, თან ისევე ბურთსაც შესტაცებენ ხელსა, ძიძგილაობენ, ხტიან იმგვარადა, თითქოს რო აღარც ესენი ახსოვთ, აღარც ავტობუსი, ანთუ არც თუ ისე ენალვლებათ, თუნდაც მოვიდეს, თუნდაც არაო: ქვებზე რო სხედან, არც იმათ ენალვლებათ, დღეს არ იქნება და ხვალ გააყვებიან, მაინც ცოტა მოგვიანებულა, გაპყვებიან პირველივესა, უფრო ადრიან გააყვებიან, ის ურჩევნიანთ, დილის მადლი სულ სხვა არისო, ადრიან დილისა რალა თქმა უნდა; ესეც თითქოს დილად რო ითქმის, ის მაინც სხვაა, ის დილა სხვაა, ისაა ფუთფუთს რო იწყებს სოფელი, პირველ არაყს რო გადაპკრავენ, პურს შეგვაკმევსო, ახლა ეგება ხელადას მოუსხდენ, ხვალაც ამ თვისაა, არ ეგვიანებო, — რასაო თუ იკითხავ, რა საკითხავია, არ ეგვიანება არაფერსაო, ასე ჩამსხდარან და ასეცა ფიქრობენ ის სამნი ქვებზედა: ამათ ენალვლებათ, ვამბოთ ქალუბზედა, დედაბერზედა, რძალზედა, ასულზედა, შინჩარჩენილ ასულზედა, ენალვლებათ და აწრიალდებოდნენ აქამდისაცა, რო არ გართულოყვენ თამარიოთა და გიორგი-

თა, — გართულოყვენ და კიდევაც გართობოდნენ: და რო დაიშობს გიორგი ტრიალსა, შეჩერდება ისე მაინცა, ამათგან მაინც რო დაიფაროს თანამეცხედრეი თავისი ცხადია: ვერ დაიფარავს რალა თქმა უნდა, რაც უნდა იღონოს, კილს გამოსდებენ უსათუოდა:

„ციე ნიავს რო არ მიაკარებს!..“ გაილიმებს შინჩარჩენილი, შეეტყობა თუ რასაც გაიფიქრებს, აშკარად შეეტყობა, მიხვდება თვითონვე, მიხვდება და იწყენს, ითაკილებს, ჩალუნავს თავსა, მიგრამ და რაო, ეს შურია უცნაურიო, მაინც გამოსტვივის, ფეთქავს მაინცა, თავშეკავებულთაც გაამელავნებსო;

„ტყუპ-ტყუპს დაუყრის, ჰი, ჰი... ნუ მიაკარებს!..“ ქირკილებს დედაბერი, რაც-რო შეუილიან, თუმცა მაინც დუნედა ქირკილებს, რძლის მხარეს აწეება, ანთუ ეშვება რძლის მხარეს უფრო, რო ჩირკილებს და წელს ველარ იმაგრებს:

„აიყვანენ...“ რძალი ჩაურთავს, ანთუ გულში გაივლებს ცხადია, მეორე ხელსაც მიიშველებს, დედამთილს იკავებს, ჭაფა ემჩნევა, ემჩნევა სახეზედა:

„ვისგან აიყვანენ?! თითო-თითო რო ძლივს დაუდით... ორიც რა შეილია!.. სამაგათო ვის გადალრაქვია?!“ წყრება დედამთილი, იბღვირება დედამთილი, როგორ მიხვდავ, სიტყვას მისწორებო;

„ზოგჯერ ნაჩუმარი გამოჩნდებო...“ შვილი თავისკენ მიიწევეს დედასა, თითქოს ეშინიან, რძალი არ წაიქცეს, დედამთილი არ დაიყოლოს, მეც არ გადამიტანოს თანაო;

„ვაგლახად ერთი თუ გამოჩნდებო, ასი თავს ადგას, წეწვა-გლეჯაო“;

„არაა!..“ რძალი გაატრიალებს; „წეწვა-გლეჯაო“, არ დასთმობს დედამთილი;

ისევე რძალი დასთმობს: „წეწვა-გლეჯაო“, გულში ცხადია, გულშივე დასთმობს, რაც უნდა თქვა-სო, ასეთი რძალია;

„ამათ რა ერგებათ?!“ „აა... არაფერი!..“ ისევე რძალია რო უდასტურებს, ასეთი რძალიამთქი.

— ჰოდა თუ უნდოდა... შეილი თუ უნდოდა... ჰკუა რო ჰქონოდა... ჰკუა ყველაფერი, ჰკუა რო ჰქონოდა... ეს უნდა შეერთო“:

„ჰკუა რო ჰქონოდა...“ თავს უქნევს რძალი:

„რა ჩემი ტოლია!..“ ასული იშმუშნება.

„მა ეგ ბეზრევი გაუჩინს შუღლსა?!“

და დაეცხრილება ბეჭები გიორგისა, ასე, ამგვარად დაეცხრილება და უსუსტებს მუხლიცა, თითქოს კიდევაც წაბორძიდებოთ, თითქოს შეაჩერებს ხელი თამარისა: არა თუ მთლად ხელი, — თითი, შუათითი, შეახებს და შეაჩერებს; მაინც იხედება აქეთ-იქითა, თამარი ცხადია, მაინც დაეფებს ჩამოსაჯდომსა; მაინც იქა სჯობს, საჩრდილობელსა თუ მოსაცდელშია, მზე რო ჩაწოლილა, მზე რო ნებიერობს და აინუნში არ აგდებს არავისა, მაინც იქა სჯობს, მზეც მზეა მაინცა და მერხიც იქაა, დაჯდომაც შეიძლება, წამოწოლაცა, თუ ასე გაჭირდა, მზესთან ერთად წამოწოლაცა: არც გაჭირდებოდა ისედაცა, ეს იქნებოდა მხოლოდ წამიერი, ბობოქრებაი უთქმელობისა, შეჭირვებაი უთქმელი სულისა, ჰო იქნებოდა მხოლოდ წამიერი და გადაივლიდა წამთან ერთადა, — გადაივლიდა და გადაივლის, მოერთვის აგრეთვე ლაპარაკი ისე ხმამაღალი, ჩხუბიან, გვეგონებოდა, ესეც უშველის რო გადაიაროს იმა წამიერმა შეჭირვებამა, ყურადღებანიც რო თვითონ დაიხვეტოს, ყურადღებანი მომლოდინეთა:

ეს შაქრიაა, — მოდის და მოჰყვირის, მოანაბიჭებს ბარაქიანადა, მერე ისე ბარაქიანადა, ვინც რო თან მოსდევს, სირბილით მოსდევს, ხან მართლაც მოსდევს, ხან ჩამორჩება, ეს მაინც მოჰყვირის, განაგრძობს თავისასა; და აღარც უნდა, ვინც თუ თან მოსდევს, აგერ არიან მომლოდინენი, — უცებ აირჩევს თუ სად ურჩევნიან: გიორგისთანა და თამართანა რალა თქმა უნდა, — აირჩევს და იქით მისწორებს, იმავე ნაბიჯითა, ბარაქიანითა, იმავე სიტყვითა, ბარაქიანითა:

— აგერ იმასაც ვეუბნებოდრი, —

კრეფს ნაბიჯსა და მიუშვებს სიტყვასა, — ყურთ დამაქლდა და ყურმა დამანგულა, ჰქა ჰქა იყო და ჰქა ვიყავი მეცა, ყურმა გამტეხა, ყურმა გამხანდა მტრის გულისადა, ამბობენ და ვერ გამოვიცა, პირში შევეყურებ და არაფერი მესმის. პირი დამილია და ეგრე შევეყურებ, ეგება პირში ჩამიცვიფდესმეთქი, მე ჰო არ ვიცი, რასა ვგავარ პირდაღებულს, სხვები შევეყურებენ და იციანიან, ვიციანი მეცა, ვიციანი ისე რო აღარ ვიცი სხვა რა ვიღონო, ხან სხვა რამ აცინებთ, მე რო ვერ გავიგებ, ხან რალაც ანაღვლებთ, ვერც იმას გავიგებ, ოღონდ ავუვები გაუგებრადა, ცხვირისადა ჩამოვუშვებ, ოღონდ არ ვიცი, ცხვირი რატომ ჩამომიშვია, ანთუ რო ვიციანი, რას ვიციანი, რა მეცინება, არ ვიცი, არ ვიცი, ძნელი ყოფილა, ძალიან ძნელი, თვალთ დამკლებოდა ნეტავი, მერჩიენა, მკლავი მომტეხოდა, ფეხი მომტეხოდა, ენა ჩამვარდნოდა, რაც უნდა მომსვლოდა, ყველაფერი მერჩიენა.

— ყველაფერი ძნელია, — ჩაურთავს გიორგი, ხმამაღლა ჩაურთავს, ხმააწევიითა, ვერ გააგონებს მაინცა შაქრისასა:

— რაიო!.. — ყვირის შაქრიაი, უფრო ყვირის და მოხრის ყურსაცა, სილასაც მოახვევს, ვეება სილასა, სიტყვა რო არ გასცდეს, რო ჩაიხვიოს ყურის ნივარამა.

— ნაკლი ნაკლია... — გიორგი ასე გამოსცვლის სიტყვასა, ეგებ „ჯანმა“ შეაღწიოსო.

— ჰა?.. ჰა?..

— ნაკლი ნაკლია...

— ჰოოო... ასე თუ მეტყვიან, ცოტა მესმის, — სახე გაეხსნება შაქრისასა.

— მაშ რა გენაღვლება, — თითქოს და რაო, გაუიოლებს გიორგიო,

— მოიცა, მოიცა!.. — შეაჩერებს მაშინვე შაქრიაი, — ჯერ ის გიჰასუხო, ამაზეც მოგიგებ, ნაკლი ნაკლია, დაგეთანხმები, მაგრამ ყური გონების სარკეა, უყუროდ კაცო არ ვარგებულა, გამოჰკლებია კაცურ კაცობასა, უფეხო კაცო მაინც კაცია, ეს ჰო გითხარი!.. ახლა

ისაო, რა გენალვლებაო, რო ბრძანებ მაგ შენი ტუბილო ენითა, ის მენალვლება, რო დუნდგო ხალხი რო ჭიჭინებს ერთადა, ხორბოცობს, ზუზუნებს, ცხარობს თუ უხარიან, ერთიმეორეს რო არ აცდიან. სტაცებენ სიტყვასა თუ პირში ბურთსა სჩრიან, ის მინდა გავიგო, იქ მინდა ჩავება, იქ დავეტრიალდე, იქ მესმოდეს და იქ გაეაგებინო მოჭრითა და მოსწრებულადა, თორემ ეს რაო, თუ მიმოთოთე, აგერ ეს ქვეაო, აგერ ეს ხეაო, ამას ან ენა რაში სჭირდება ან ყური რად უნდა?.. იქ მინდა იქა, იქ აღარ ვვარავივარ, აღარ მასხია საიმისო ყურები- ჰა?.. ნუ გეცინება!.. აი ეგ გავიგე, გულში რო გაივლე: „კაა კეება ყურები გასხიაო“, გავიგე, გავიგე...

— ახ, რასა ბრძანებ!..

— გავიგე, გავიგე... ვიცი, ყურები ევება მასხია, ოღონდ ესაა, რო ლარები ჩამიწყდა, ლარებიმეთქი, ლარები ჩამიწყდა და ყველაფერი ლარი ყოფილა, ლარი ყოფილა, ლარი, სხვა ტყუილია ყველაფერი, ერთი ესაა, რო გამაგებინა ამ ჩემმა უბედურებამა.

— გაუბედურდეს შენი მტერი.

— გაუბედურდეს... ჰა, ჰა, ჰა... ექ!..

უბედურება ჩემიცა კმარა.

— ნუ გეშინიან, ლარი გაიბმის.

— რაო!..

— ეგებ მოგივიდეს...

— ჰოოო... ხეჩინაშვილიც ეგრე მაიმედებს, ახლაც იქ მივდივარ, სხვა რალა გზა მაქვს, ნევესებს მიკეთებს და მაიმედებს, მაგრა... იცი... აქ ნევესი გამირქოს... ბოდიში, ჩემი და ხარ, უმცროსი და ხარ, ამხელა მახსოვხარ, აი აი, ამხელა მახსოვხარ, — ლამის მიწამდე დაიტანს სილასა, — მაგრამ რაო რო, რაც მართალია, მართალია, აქ ნევესი გამირქოს, აქ რაო მერე, რა უნდა მარგოს, საიდან სადაო?! — და ირტყამს ხელსა ჭერ საბოდროზე, ანთუ უფრო გაიტყალაშუნებს ჭერ საბოდროზე და მერე ყურზე, მერე ისევ საბოდროზე, ყურზეცა ისეცა, ისეცა განაგრძობს თავის სადარდელსა, ყვირის, ჭერს აჭხდის, გარეთ რო არ იყოს.

და იცინიან ქვებზე <sup>ეროვნული ბიბლიოთეკა</sup> ფეხზე რო დგანან, ისინიც იცინიან: დედაბერი ქოქოლასაც მიაყრის, პატარა ბავშვები თვითონვე ირტყამენ პატალა ფაცებსა პატალა თუნთულებზე და უწყრება დედაი, არ გაუგონებენ, კიდეც უფრო იტყაპუნებენ, ხითხითებენ და მირბიან, მირბიან კისრისტეხითა; ყმაწვილები გაედევნებიან, აიტაცებენ, შეისვრიან, შეათამაშებენ. თამარი წყნარდება, აღარ რო მოესმის აღარაფერი, ოდნაჯე წყნარდება, ანთუ მიუნელდება შფოთი, მიუნელდება, ვიღრე კიდეც აკოწიწდება, მანამდე შაქრიანა რო დაეუფლება იქაურობასა, თვალსა თუ ყურსა თუ ფიქრსა იმათსასა: სასმენ აპარატს ამოქექავეს ჭიბე-უბიდანა, აი ამისთვისაც გავკვრივარ გზასაო, იმისთვისაცა და ამისთვისაცაო, ამან მთლად ილაჯი მიმიწყვიტაო, არას მარგია და მაინც არ ვეშვები, ეგაა ხელოსნები გავამდიდრეო; მეუბნებიან, არც გამოგადგება აქაურიო, ვერც რო იქაური ჩავიგდე ხელში?! ისიც ეშმაკის მოგონილია, ერთი ეშმაკის მოგონილია, ღმერთს ყური მოუბოიებია და ისევ ყურის იმედი უნდა მქონდესო; კიდეცაა მაქვს ყურის იმედი, ღმერთივითა მჭერა ექიმი-საცა, მაგრამ აქ რაო, მერე აქ რაო, — გაილაწუნებს ისეცა სილასა და ლამის რო ყმაწვილიც აჰყვებიან ბავშვებსა. დედაბერი ისევ ქოქოლას მიაყრის შაქრიასა რალა თქმა უნდა, მიაყრის და მიაყრის; და მალე ავტობუსიც მოვა, მეორე ავტობუსი; თამარი უთუოდ ბოლოში ჩაქდება, ესენი წინა, ყველანი წინა, წინ იყურონ და ჰკილონ ერთმანეთი. თავშიც ქვა უხლიათ; აქამდე ირჩევდა წინა სავარძლებსა და ეწვოდა საჭოჩრეი, ეგვა ეწვოდა, უხურდა თავი, შუბლიც უხურდა, გახსნიდა ჩანთასა და ყლაპავდა აბებსა, ხანა ლეჭავდა, ახრამუნებდა და ლეჭავდა, არასა შველიდა არცა თუ ყლაპავიო, არცა თუ ლეჭავიო, არცა თუ ხრამუნო, არასა შველოდა და არც უშველოდა რალა თქმა უნდა, რო მიაბიჭებდნენ თვალებსა იმდენი, ერთი იქიდანა, ერთი იქიდანა, ერთი იქიდანა.

ანათუ წყვილი, ანათუ მეტი, ანათუ ხაკლები, შობაჩენდნენ და გაიხსენებდნენ ზოგი რასათ თუ ზოგი რასათ. ერთად თუ შეპყრებდი ერთი ამბავი რო გამოვიდოდა, ამბავი ამისა, ანუ ორივესი. ამბავი ამისა და გიორგისა: როგორ უეცრად გავარდა სოფლიდანა, თამარი ცხადია, კარგა ხნის წინათა, ახალგაზრდობაში, გიორგიმ რო დაადგა თვალი, აუძღვა და თავისად იგულა: აყვა თამარიცა, აყვა და გავარდა, გაექცა უეცრად, ანთუ ეწყინა, რალაც ეწყინა, ანთუ დაუჯერა კეთილმოსურნეთა. შენ მეტის ღირსი ხარ, მეტი გეკუთვნის, აქ მეტი არავინაა და შენც მაგაზე ჩამოგიწყდა სალამო, წადი, გაიხედე, დაინახე და დაენახვეო, — ანთუ დაუჯერა ამგვარ რჩევასამეთქი, რო წავიდა და რო გადაიკარგა, რო დაენახვა და ვერ დაინახეს, ანთუ დაინახეს და ამან ვერ იხილა, ვერავის ეწია, ვერაფერს ეწია, ამოულამდა წუთისოფელი, წლები შემოადნა, სიცოცხლე ჩაუქრა, მიუწყდა იმედი და მოუბრუნდა ისევ სოფელსა დალილი, გამშრალი, გამოფიტული; მოუბრუნდა და გიორგიც თითქოს ამას მოჰყვაო, ისევე დალილი, დაბნეული უბოვარი, ნაწოწიალუვი ისევე და ისევე მარტოხელა, — ისევე იპოვნეს ერთიმეორე, ისევე ის დღეები შემოუბრუნდათ, ერთმანეთით რო გაიხარებდნენ, გულსაც რო აყლდათ ერთმანეთითა, რალაც რო ენებათ, რალაც საოცარი და რო აქეზებდნენ საოცრებისთვისა ცალკე თამარსა, გიორგის ცალკე, და რო გაჰყრიდნენ და რო დაამორებდნენ... მორჩა, ველარ დაამორებდნენ!..

ვერც დაამორეს რალა თქმა უნდა, — აღარც უცდიათ, ჩვენში რო დარჩეს, აღარც არავის ეკითხებოდა, — ბედმა შეჰყარა ბოლოსდაბოლოსა: მაგრამ და რაო, რალა დროსაო: თამარს შვილი რო აღარ მიეცა, გასვლოდა ვამი: და გაჰყვროდნენ გზასა მუდღელნი შეგვიანებულნი, კაა გვარიანად შეგვიანებულნი, — შვილი რო აყვანათ, ამ გზას გაჰყვროდნენ, და ერთობოდა სოფელი ამითა, ამათი წასვლითა, ამათი მოსვლითა, ხელცა-

რიელნი რო ბრუნდებოდნენ, მამაკაცებსა თობოდა: თვითონ ადვილად რაც რო შეეძლოთ, ახლა სხვებისგან გამოვლიანო; და ეწვოდა კეფაი, უხურდა თავი, და გვიანლა მიხვდა, უკან რო ერჩივნა, გიორგიც აღმათ მიხვდა თავისითა, რო არც რა ჰკითხა, არც აუხიბრდა, მიჰყვა უკანა და მოისვენა, იმანაც მოისვენა. — აღარც კისერი ეგრიხებოდა, აღარც თვალები უპარპალებდა, ხოლო თუ ვინმე გამოხედდა, ასე ზურგთუკანა, შეაგებებდა ისეთ კოპებსა, ზედ შეილენწყავდა ი გამოხედვასა, ღიზილიზის სურვილს დაუქარავდა: ეს მერე ავტობუსში, აგერ მალე რო გამოჩნდებოდა, მანამდე ისევ შაქრია თუ შეიყოლებოდა, მომლოდინეთა, ანთუ სხვა ვინმე შეიყოლებოდა, ოღონდ თუ არაო, აგერ არ იყვნენ!.

ხოლო ჯერ მანცა — გამოჩნდებოდაო და გამოჩნდა კიდევაცა ავტობუსი, ანთუ ჯერ ბუქი შემოკარდა — ჰატარა მოედანზედა, შემოკარდა და დაიკოწაწადა, გაიწალა, გაიწეწა და მეოელა გამოჩნდა ავტობუსი, არცთუ მთლად ნათლად, — გამოილანდა გაწეწილ მტვეროში

ჩამოლაგდნენ ჩამოსვლულები:  
 წამსვლელნი ალაგდნენ:  
 წამსვლელთაც შეჰყვა ავტობუსში მტვერო:  
 გასდია, გაჰყვა ჩამობრძანებულთაცა:

მანამდე შაქრია შეიყოლებოდაო და შეიყოლია კიდევაცა შაქრიამა მანამდისა, მერე იბერტყადა მტვერსა და იფურთხებოდა, ბერტყავდა აგრეთვე სავარძელსაცა, ბერტყავდა და ისევ დაასწრებდა მტვერი, ისევე ბერტყავდა და იგინებოდა ისევე, თავისი ხმითა, მკვეთრი, გამყვიარი ხმითა რალა თქმა უნდა, გინების შუა დასძენდა ამასაცა, ჩემი დები ხართო, ბოდიშს იხდიდა ასე, ამგვარადა, ანთუ აღარც თუ იხიდიდა ბოდიშსა:

მერე სხვა ვინმე შეიყოლებოდაო, არა?..  
 ჰოდა ასე შეიყოლებოდა:



გამოზტება ერთი ყმაწვილი, ეს სხვა ყმაწვილი. იმ ოთხი-ხუთი ყმაწვილის გარდა, ხელს იქნევს მოიკათო, იქით. შუკაში სხვას უქნევს ხელსა, ალბათ თუ მალეო: ჩქარობს ისიცა, ანთუ უფრო ქოშინი ჩქარობს, ქოშინი, მოდის, ქოშინი მოალწევს, ქოშინივე შეიჭრება ავტობუსშია, და რო ადის, — ადის ქალი, დაღლილი ქალი, ოლონდ განა თუ მაშინვე ეძებს, სად ჩამოვადეო, არა, წარმოთქვამს მაშინვე, თითქოს ამისთვის წარმოგზავნესო. წარმოსთქვამს ისევე ქოშინითა, ოლონდ ამაყადა, თავემომწონედა: ჩვენი სიმღერის მასწავლებელმაო, ე ბიჭი დროზე წაიყვანეო, დროზე გააშინჩე პროფესორებსაო, ხმა მოსდევს ისეთი, ქვეყნიერებას გააკვირვებსო, — ამას ის ამბობს, ის აქოშინებული ქალი რალა თქმა უნდა და გაუტრიზავებენ მაშინვე ისინი, ქვებზე რო ისხდნენ აქამომოდისა, ახლა შუაში რო წამოსკუპებულან ავტობუსისა, მინც წასვლა რო გადაუწყვეტიათ, სადმე ლუდს დავლეუთო, გაუტრიზავებენ და შეუძახებენ ლამის ერთბაშადა, — იმასაც თუ რამე დაეჭერებო: აბა მაშ ვის დაეჭერებო, იმას მინც არაო, იმისი ჭონა არ გაგვიგონია, მრავალყამიერიც არ გაგვიგონიაო: სხვაც არაფერი გაგიგონიათ და ეგა გგონიათ ყველაფერიო, წყრება ი ქალი, წყრება ქოშინითა, ჯდება ქოშინითა, ზურგს აქცევს ქოშინითა, ხმასაც აღარ გაგვემოთ: მა კიდევ სხვა რა უნდა გვეგონოს, ანთუ რა უნდა გაგვეგონოსო, არ დაიშლიან ისინი მანცა, და ი ქალი რო ცხვირს აიფშუკავს, მართლა პასუხის ღირსნი არა ხართო, ყმაწვილები შემოსძახებენ, ის ყმაწვილები, ოთხნი რო იყვენ და ხან ზუთნი იყვენ: ფიიგაროოოოოო... ფიგარო... ფიგარო... ფიგარო... ფიგარო... ფიიგაროოოოოო...

შემოსძახებენ და დაუშლის ზოგი, ზოგიც წააქეზებს თუ კიდევაც აყევიბა,

ვისაც რა ნებაეს თუ როგორა ნებაეს, ოლონდ დედაბერი, ვითომც არც ესმისო, იფიგაროონ რამდენიც უნდათ, ისევე თავის ფიქრში ტრიალებს, ცდილობს კიდევაცა, რო შემობრუნდეს, თამარი რა იქნაო, გიორგი რა იქნაო, — ცდილობს, ოლონდ ვერ შემობრუნდება, ვერც კისერს მოღრიჯავს, ხოლო ფიქრს ისე დაატრიალებს, რო შედაგდაგდება თამარი უეცრად: აი თითქოს რო დაივიწყოსო, მინც უეცრად შედაგდაგდება:

„უნდა გააგდოს!... გასაგდები უნდა გააგდო, არა ეშველება სხვა არაფერი“, ფიქრს აი ასე დაატრიალებს ი დედაბერი, ასე მწვავედა, იქა, წინა, თითქოს ზურგზედა მძლოლისაი, თამარი უკან შედაგდაგდება:

„რა გემართება?!“ იკითხავს გიორგი;

„არაფერი!...“ უარობს თამარი;

„შენ რა გენალვლება!...“ უქარწყლებს ქალიშვილი ი დედაბერსა, არც რო წარმოსთქვამს და არც რო შეჰხედავს, გაყურებს გზასა, კიდევ თუ ვინმე გამოჩნდებაო;

„იჭექი აბა, იჭექი და ელოდე, ორთახელშიფის შვილი მოგივა...“

„კარგი რა, დედი!...“

„ვერაფერს შეასმენ...“

„თუ გინდა, დავრჩეთ“, ეს ისევე გიორგია, ავტობუსი რო შეტორტმანდება:

„არა, წავიდეთ...“ ესეც თამარია, კარი რო იხურება ავტობუსისა, რო უნდა მობრუნდეს ავტობუსი და რო უძნელდება: მოედანი როა სოფლისა და მოედანი რო აღარც არის, ლობეები რო გამოტანილა, ეზოები რო გამოტანილა, გზები ისე დაწვრილებულა, ორლობეები დაწვრილებულა, ისე, ისე დაწვრილებულა, ასუსულიც რო ფილვის ჩაივლი... თუმცა ეს უკვე სხვა ეტიუდია, ლამის გადაიშლება ერთიმეორეზედა, ეს აქა წუდება, — წავიდეთო.



## იმერეთი—დედაკავშირი

(მუდმივი გამოფენის ექსპონატი)

თითქოს ციდან დაყურებდე  
ამ სასწაულს, გესხმის რეტი.  
ზღვას და ხმელეთს გაწვდომია  
დედის კალთა — იმერეთი.

მაისის მზე, აწყვეტილი,  
რითი გინდა რომ შებოჭო,  
ან დაძრული ერთმანეთზე  
ჯაფშინიანი ორი ხოჭო.

ორი საყვარელია თუ  
ორი მტერი მორკინალი...  
ვინ მიაკრა ჭიშკარს, ლობეს —  
ცხენის ყბა და ცხენის ნალი.

ვიწრო, გაღებული კიბე  
მიდგმულია ნალიაზე,  
ვადახსნილა ეზო გრილი,  
შენ რომ გენატრება ასე.

მოღზე ვისმა ხელმა დასვა  
ორი სოკო, ტანად ჩია,  
ვერ დაფატრავს ჭიანჭველა  
და ვერც თეთრი შეჭამს ჭია.

დაკეცილა ფენა-ფენად  
თხელი, სიფრიფანა პლისე;  
გახსენდება — ფიჭვის ტყეში —  
კორძებს როგორ დააგლისე.

დედის სახეს, გობისფერს და  
კვიანს, დატყობია მარხვა,  
ნაწვიმარზე ძირს რვაფეხად  
გაბურღულა მრავალაარღვა.

ფეთქავს, ბაბუაწვერასი,  
მოწოლილი საფარს კვირტი;  
ლერო, კისერგაზნეჭილი,  
ნიშანს გაძლევს — შენც ათქვირდი.

დედის მუხლზე წინსაფარი,  
დაქარგული და ქათათა...  
დაგორებულ ძაფის გორგალს  
ეპარება ალბათ კატა.

დანაოჭდა შუბლი, ყელი,  
დედას თვალმაც უწყო კლება,  
ყვავილებზე დასაფრენად,  
თრთის პეპელა შავწინწყლება.

მწვანეშია დაძირული  
გვირილების თეთრი ბადე,  
შავ ჩარჩოში როგორ ჩარჩეს  
ეს პეპელა მოფარფატე.

ეწურება წითელ მიწას  
უველა წვეთი სისხლის შენის,  
გადაღმიდან მალე ქარი  
წითელ ღრუბლებს ამოდენის.

## ს ი ზ მ კ რ ი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გივი, წუხელ მესიზმრა,  
ვითომ გამოქვაბულში  
მოხედით ალი-ბაბასი...  
იმოდენა სარდაფი  
წიგნებს გამოეჭედა,  
იმდენს და იმნაირებს,  
არ ითქმოდა საფასი.  
გასასვლელთან, კუთხეში,  
ერთად ვეზიდებოდით,  
ძლივს უძლებდა ყაფაზი.

წიგნებით გაზნექილი,  
დაგვილ-დაწკრილებული,  
ჭრიალებდა დახლები,  
მწკრივი მწკრივზე მოებათ,  
ძველებს ყდაზე იცნობდი,  
ბლომად ჩანდა ისეთიც,  
არ იყო ხელნახლები,  
ათას ტვინში გაცრილინი,  
გაემიჯნათ, დაეყოთ —  
რიგებად, თაროებად.

თუმც დაქროლეს ქარებმა,  
თუმც საწუთრო მოკლეა,  
არ გემართებს აჩქარება.  
გადახედვა ზერეღე,  
დავიაროთ, დაეძებნოთ —  
მე ხომ ჯორჯო-ევაზარის  
ერთი ტომი მაკლია,  
შენ კი — „ჰეპტამერონი“ —  
საკითხავად საამო,  
მედის დის დაწერილი.

რკინის ჯობი გვეჭირა,  
რკინის გვეცვა წალები,  
ჩვენ განა დასანთქმელად  
ვიარეთ წიალ-წიალ,  
ამდენ ნარჩევს; ნაგროვებს  
ხომ ჭირდება წალება,  
სანამ გვიან არ არის,  
წასვლაჲ უნდა იფიჭროს,  
ვინც აქ შემოაღწია.

რომ გაგვევლო გვირაბი  
მაშხალებით, კვესითა,

შემდგომ დამშვიდობების  
ანუ ხელის დაქნევის,  
მთელი ავლა-დიდება  
აქედან გაგვეზიდა,  
სულხან-საბას არ იყოს,  
ალბათ დაგვეკირდებოდა,  
კარგად დასაპალნებული,  
თითოს შვიდი აქლემი-

სამი დღეა ჩაგველაპა  
გველუშაპის ხახამ და  
სული ვერც უძილობამ,  
ვერც შიმშილმა დათენთა,  
ამდენ ქექვა-სინჯვაში  
სამჭერ შემოგვალამდა,  
ამდენ გადაწყობაში  
(აღლო თუ არ მატყუებს)  
მესამედ დაგვათენდა...

ერთსაც მესვრი თევზივით,  
ასალები არისო,  
მიემატა სხვა წიგნებს,  
გახდა ჩვენი არჩივი:  
ან რა ფული გაწვდება,  
ან რა საანგარიშო...  
წელში ვერ ვიმართებით,  
ოფლში ვცურავთ ცოტალა  
დაგვრჩა გადასარჩევი.

ვისაც უნდა ჩაგვთვალოს  
განდევილად, მეოტად,  
შევეართოთ, სხვა დროსაც,  
ჩვენი ჰონორარები  
და მოვიქცეთ ისევე,  
როგორც მოვიქცეოდა —  
ორი ძმადშეფიცული,  
ორი ველად გაჭრილი,  
ის ინდო და არაბი.

ვიცი ჩვენი სიზმარი  
სხვისას არ ემგვანება,  
უფსკრულს გადაანათებს  
ერთხელ ჩვენი ნახტომი,  
ცხადიც ჭრება არამცთუ  
უსუსური ზმანება,

მაგრამ გვჯერა ორივეს,  
ერთხელ, როცა იქნება,  
ახდება ასახლოში.

ამ უცნაურ მღვიმეში  
შემოვალწევთ ერთხელაც,  
ბნელი, ვიწრო, გვირაბით,  
ჩვენ — ორი აბეზარი, —  
ქა დაგვხვდება ვეება;  
ამოვსებულ ფიჭაში  
ერთად ჩავიძირებით,  
სამულდამო ტყვეებად...  
ჩვენი ბოლო ეს არი.

ყვითლად გაბოლილია  
თევზის, ძაფზე აცმულის,  
დაეცილი ლაყუჩი,  
მდინარეს დაუტოვა  
იველი ზნე და თვისება,  
ჩაგვიხმება მასავით,  
ერთ დროს ყოვლის მხედველი,  
თვალეები დასახუჭი,  
ნესტოები უძრავი —  
რბილი, ნაგუნდავები  
ცვილით გაგვეგლისება.

### ჩემს ჟუჩაზე

რკინის მესერის გასწვრივ,  
აკაციის გაქვავებულ როკთან,  
ხალათიანი დიასახლისები  
გილიოტინად რომ იყენებენ,  
მტკაველდაშორებით ყრია  
ბურბუშელად ამობურცული  
ბუმბული,  
ქათმის ცხელ სისხლზე მოკმეული.  
მახსენდება მსუქანი დედაბერი;

გამოენასკვა ლურჯი თავსაფარი,  
ყბები ბულდოგით შეეკროდა.  
სწორედ აქ, ამ ალაგას,  
მე და ჩემ ბიჭს გვთხოვა,  
ქათამი დამიკალითო;  
ზურგს უკან ეჭირა ჭრელი,  
ფეხებგაკოჭილი ვარია.  
ალარ ჩანს, სად გაქრა...  
ალბათ, ცხვარი თუ დაუკლეს.



შიროს ხარბიანი

### ო, რა შორსა ვართ...

მე დამავიწყდა  
შენი სახელი,  
მე დამავიწყდა  
შენი ტუჩების ფერი,  
შენი უბანი და შენი სახლი —  
ამდენ ხნის მერე...

არა და ტრფობა  
გულს რომ სწვავდა,  
ტრფობა პირველი,  
იყო მზესავით ნათლიერი  
და საკვირველი...  
ორთა ბილიკი განიწყერა  
მრუშე ქანჩახთან.  
ქანჩახთა მიღმით სანუგეშო  
ჩანდა — რა ჩანდა?!  
იქნებ განგებამ განგვარიდა  
და განგვაშორა,  
საწუთროს გზებზე მიმოგვეფანტა  
ერთსული — ორად!  
განგების ნებით —  
უზენაეს წერა-მწერალის  
განილტვენ ჩვენი ბილიკები,  
ბედისწერანი...

ო, რა შორსა ვართ,  
და რა შორსაა  
ფიქრები იგი,  
მანტიასავით ჩვენს არსობას  
რომ ებურვოდა —  
სოფელი,  
სკოლა,

სვედიანი  
მერხების რიგი...  
მაშინ ჩვენ უფრო შორს ვიყავით  
სინამდვილისგან!  
შენ თვალს გტაცებდა მაღალი და  
ლამაზი მთები,  
ლამაზი, მაგრამ უჩანჩქერო  
და უწყარონი.  
შენ გიზიდავდა ლამაზი მთები  
და ველარაფერს ვერ ამჩნევდი  
იმ მთების გარდა;  
განეკრძალოდი ჩქერალთა ჩქრიალს —  
ლტოლვას, ფიქრებს და  
ოცნებებს მათაა;  
მხოლოდ და მხოლოდ გიტაცებდა  
შენ სილამაზე  
და არ აქცევდი ყურადღებას  
გულისთქმას, წუხილს,  
ო, რა შორსა ვართ  
და რა შორსაა  
მწველი სიციხადე,  
ასეთი გრძნობით გამახსენდი  
ბირველად წუხელ...

ახლა არ ვიცი, რომელი ვართ  
უკეთ და კარგად,  
განჭარვებულო, შენ რა ფიქრი  
გიტაცებს უფრო —  
ლამაზი მთები ჩანჩქერებით  
თუ უჩანჩქეროდ,  
იქნებ გულისსწორს უმზადებ სუფრას...  
იქნებ დარდი რამ აგეკვალთა



გარდასულიდან  
და სინანულიც, შესაილოა,  
გეწვევა წუთით,  
ახლა ყოველი გვიანი  
და სისულელეა,  
სულის სარკმელთან  
სხვა მარტი და  
აპრილი სუნთქავს.  
ოი, მას შემდეგ ჩაიარა  
რამდენმა წუთმა,  
შენ არ აქცევდი ყურადღებას  
გულისთქმას, წუხილს;

ასეთი გრძნობით გამახსენდო  
პირველად წუხელ...

მე დამავიწყდა  
შენი სახელი,  
მე დამავიწყდა  
შენი ტუჩების ფერი,  
შენი უბანი და შენი სახლი  
და ყოველივე  
და ყველაფერი!

მაშინ ჩვენ უფრო შორს ვიყავით  
სინამდვილისგან...

### შეხვედებით ისევ?

შენი თვალები მინახავს  
სადღაც,  
მგონი, სიზმარში!  
ო, ის წუთები  
ლანდივით გაქრნენ;  
დღეს კი აქა ხარ,  
პირმომკინარი...

ულმერთოდ გშვენის  
დალალ-კავები,

გამომირაზე  
უბრად კარები,  
სიდანაც მოხველ  
იმავ მხარეს მიეშურები...

შევხვდებით ისევ?  
„მოიწყინაო ირგვლივ ყოველმა“ —  
ჩამჩურჩულებდა შორით  
აღვის ხე...

### გესმის, მარინე?

შენ დამემალე დიდ ქალაქში  
გრძელ ქუჩებს შორის,  
შენ მიმატოვე ო, რანაირად.  
მე კი ვფიქრობდი,  
გზა-წავარნებს  
გავლევდით ორნი!  
გესმის, მარინე!..

იმედგამქრალი სურვილები,  
კერხოში დუმილის ფარდა,

მოენატრება მწყურვალევიტ  
ცისფერი უსურვაზი ხარდანს!..

შენ დამემალე ჭრელ ქალაქში  
მწველ ქუჩებს შორის,  
შენ მიმატოვე  
ო, რანაირად:  
მე კი ვფიქრობდი —  
წუთისოფელს  
გავლევდით ორნი!  
გესმის, მარინე!..

## ღულღუბური კატროგლიფები

საბადურიდან ღულღუბებზე ჩამოვიარე,  
 დრო-ეპისაგან უმოწყალოდ  
 დაყანთრებულნი  
 და გონიერებით აღსავსენი  
 დუმდნენ სახლები,  
 ხოლო შუაში წაწალივით  
 მოემწყვდიათ  
 ნისლივით შუკა...

„სალამი თქვენდა,  
 ღულღულნო თუ  
 ღულღუბებურნო!“ —  
 ვეფერებოდი უცხო ალაგებს,  
 თავსაც ვიქცევდი კირკიმალობით,  
 და თან რატომღაც გაბრიელის  
 მახსენდებოდა —  
 ნათელ-სისყარი,  
 მზექალი და  
 ლილღური კატა!  
 რო გვიყვარს ხოლმე  
 სიტყვის წვალება,  
 ენის წვერზე მოვიგდებთ და  
 ვეთამაშებით.

კითარცა ციცა —  
 ქნუტებს თვისას,  
 ვებლღაძუნებით,  
 თავგასართველად ვათაკვედავებთ...  
 ერთმა ამგვარი ოინბაზობით.  
 ამ სოფლის თავში,  
 კირციხლაზე გაკრულ წარწერას,  
 უწვრთნელომ,  
 სახელგათავებულმა,  
 წინ „ლანის“ ნაცვლად  
 „სანი“ ჩაურთო  
 და მთა-საბადურს  
 მარგალიტად მიბნეული  
 ძველი სოფელი  
 ეგრე ხუმრობა-მასხარაობით  
 სულღუბებად მონათლა უცებ...  
 პო და, ამ სოფლის ორღობებებში  
 ჩამოვლილმა რო  
 სურათი ენახე.

ალარასოდეს წარიშლება  
 მახსოვრობიდან!..  
 და თქვენაც გირჩევია,  
 გაიაროთ საბადურებზე,  
 იქნება კვლავაც განმეორდეს  
 ძველი ამბავი —  
 მჭერა, უსათუოდ განმეორდება —  
 ბუნება ხომ ბრძენკაცოვით  
 მოწყალე გახლავთ:

სამი დიაცი ჩურჩულებდა  
 საფიხვნო მორზე,  
 მიტყუულიყვნენ ერთმანეთზე  
 ისე საოცრად —  
 იანვრის ღამეში,  
 მესმის კიდევ,  
 ყინვაგამჭდარი  
 და გათოშილი მოყვასს მხარზე  
 მიეყრდნო ასე,  
 ან შვილს ჩაუწვე  
 ფერხითი ლოგინში,  
 ჩაყრებული ძვლები გაითბო...  
 აქ არაფერი ამის მსგავსი  
 არა ზდებოდა,  
 პაპანაქება თავის ღუმელს  
 აღუზღუბებდა,  
 სოფლის ნახირი წარაფებზე  
 ბზიკილაობდა,  
 ძეწნათ გრილოში  
 სულს ღაფავდა  
 ჩუმაღ აძეძი,  
 ერწოს მიწდვრები  
 დასიკუბლნი ირუეღებოდნენ  
 და ესენი კი —  
 საუყუნეს მიტანებულნი, —  
 ხმარებისაგან დაღუღული  
 წინდის ჩხირები,  
 კირით შეფეთილი  
 კედლის ფონზე  
 მყისიერად გახევებულნი,  
 თითქოს და მკანთ  
 უხსოვარ დროს  
 ამოკაწრესო.

შესაბრალოსად გაჩხნაკულები,  
ერთარსება გეგონებოდით!..  
პირზე ჭრელჭრულა ლეჩაქწყარულნი,  
მრავალი დარდის და ვაების  
გადამტანელნი,  
შინმოუსვლელთა ობელისკებს  
უიმედოდ შემეაქვრალნი,  
ღია სამყაროს  
უჭუმარი ჭარისკაცები,  
ერთმანეთს ისე ეტმასნებოდნენ,  
თითქოსდა გამვლელთ აუწყებდნენ —  
სიკვდილის მეტი  
ვერაფერი დაგვაშორებსო,  
თქვენც ეცადებით,  
წუთისოფლის ლედელუდეზე  
ეგრე მხარდამხარ გადმოაბოტოთ,  
ქვენა გრძნობები უფსკრულებში  
მოისროლეთო!..

მანქანამ რო ქალებისკენ  
წახვეტა მტვერი,  
შევამჩნიე, კიდევ უფრო  
ახლოს მიჯარდნენ,  
ჩემს ვერაგობას — ქარბორბალა  
რომ დაეუყენე.  
ღამის ღრუბლებში გახვეულებმა  
უფროვე ფიცხლად,  
ერთიანის ფრონტით უტიეს...

აქ ღულელებურ ბებერ მიწაზე,  
ეამთასვლისაგან დაყანთრებული,  
გონიერებით დახუნძლული  
სახლების წიაღ,  
მთა-საბადურის უღამაზეს  
ყელის გრილოში  
ოქროს ზოდვიით გამოფენილა  
ფორმულა კაცთა ურთიერთობის,  
ღრო-ეამისაგან შეუცდომლად  
გამოყვანილი  
და არა ისე, იმ ონავარმა  
„ღანი“ „სანად“ რომ გადააყეთა  
და წინაპართა საფიქარ სახელს  
თავისფერთა გასართველად  
უცვალა ნირი!

ღვეს ოქროს ზოდი სამზეოზე,

ვითარც ანდერძი.  
მხართა შეწყობას გვიკიყინებს  
თავის ენაზე,  
შემქიდროვებას გვემუდარება,  
და შეუშიშრად შერკინებას  
ქართველებთან!

ჩვენ კი დავრბივართ დაოთხილები,  
მქმენაენი, კბილებდაკრეჭილები,  
ერთურთს სადგისით დადევნებულნი —  
რა თავში ეიხლით ორლობეში  
მოფიხვენე ქალებს,  
საუკუნის ნახნავეები  
შუბლს რო უღარავთ?  
ღულელებური პეტროგლიფის  
ამოსაკითხად  
ამ ღუნიაზე, სამწუხაროდ,  
არვის სცალია...  
თითქოსდა უფრო მნიშვნელოვან  
საქმეებში ვიყოთ ჩაფლულნი!..

მე რომ იმ დილას,  
გზად ჩამოვლილმა  
ღულელებში სურათი ვნახე,  
თქვენც გირჩევთ, დღესვე  
გაიაროთ საბადურებზე,  
სად ბუერების ტაშისცემა  
აფხიზლებს ეხებს,  
ღუცი და დიცი ძველებურის  
ეშხით ჰყვავიან,  
ლორთქო ბალახზე ცხენოსანთა  
ნაფებურები  
კვლავ შერჩენილა  
მრავლისმეტყველ  
იეროგლიფებად;  
ბერი წიფლები ძველებურად  
ჩხვერავენ ზეცას  
და ნათლისაკენ ხელგაწვდილები,  
სარბენ ბილიკზე ერთიანად  
ჩამწყრივებულნი  
მომავლისაკენ მიისწრაფვიან..

ამ სიმაღლიდან უფრო ახლოს  
გრძნობ დედამიწას!..



## ვათა ხორნაული

### ღაბრუნება

ეს სინათლეში ჩანან ბაგშეები,  
ვით უკვდავების ბაღის მტევნები...

ამ წუთებში რომ მოხეიდეთ ჩემთან  
და დაითვალოთ ყვავილები  
ჩემი გულისა,  
თქვენ დარწმუნდებით, რომ  
ვარსკვლავები  
არც ისე ბევრი ყოფილა ცაზე;

თქვენ დარწმუნდებით, რომ კაცის  
გულში

ზოგჯერ ისეთი მშვენიერი  
ქარები ჰქრიან,  
რომ მზეც ლამის  
იმ გულისკენ გადმოიხაროს  
და იმ ქარების უცხო ნათელი  
ოთხივე მხარეს მოუვლინოს  
ღღესასწაულად!

### მიტოვებულ სოფელში

წაიქცა სახლი,  
მის ადგილზე დადგა ჰაერი  
და ამ ჰაერში მე დავინახე  
წინაპრის სახე  
ელდისაგან გაოგნებულნი...

და წაქცეული სახლის ჩრდილის  
ცივი ნაპირი  
ხანჯლის პირივით ეხებოდა  
ყელზე ყვავილებს!..

• • •

უცხო, ლამაზი  
ხმა ჩამესმა შუალამისას —  
იქნებ ვარსკვლავი ჩამოვარდა  
საღლაც მწვერვალზე  
და მდუმარება დაარღვია  
მისმა წერიალმა,  
ან იქნებ ცაში მოლივლივე  
ძველი სიზმრიდან

ჯაღოსნურ სხივად წამოვიდა  
შენი სიცილი...  
მე ახლა აღარ ჩამეძინება  
და ვხედავ ჩემს თავს:  
გრძელი და ნელი ნაბიჯებით  
უხმოდ გავრბივარ  
შავად დატალღულ დასალიერზე  
და ილიმება მიწა ჩემი ნაფეხურებით.

\* \* \*

თავდავიწყების ტკბილ წუთებში მომჩვენებია:  
 ხან — მზე კრავივით აყვანილი შენი ხელებით,  
 ხან — სამოთხის ცა და იმ ცაზე შვილის თვალები  
 ვარსკვლავთა შორის გაბრწყინებული...

თავდავიწყების ტკბილ წუთებში მომჩვენებია:  
 იწყება წვიმა უცნაური, ნაირფერადი —  
 წვეთები ლურჯი, იისფერი, თუ ოქროსფერი  
 და დედამიწა ამ წვიმისგან განათებული  
 შემოდის გულში და იქ ტრიალებს  
 და ვტირი, ვტირი და თვალებიდან  
 ცრემლი კი არა, დედამიწის სიცილი მომდის...  
 თავდავიწყების ასეთ წუთებში  
 ხომ შეიძლება, გაოგნდეს და გაჩერდეს გული —  
 მე კი ასეთი სიკვდილიც არ მსურს!

თავდავიწყების ტკბილ წუთებში ჩემთან იყავი!

\* \* \*

არ გემდურები, სიხარულო,  
 შენც გიყვარს, ვიცი,  
 აყვავებული მხარეების თავდავიწყება;  
 შენ, ალბათ, სადღაც ბაღში გეძინა  
 ცით გაბრუებულ ბავშვებთან ერთად.  
 ან აღმართებზე საგვირგვინე ყვავილებს კრეფდი  
 და დაგაგვიანდა...  
 არ გემდურები, სიხარულო,  
 მე თვითონ უნდა  
 მოვსულიყავი როგორმე შენთან,  
 მაგრამ, როგორც შენ, ვერ შეველიე  
 ფერად ნაპირებს, ზღაპრის წყაროებს.  
 მზისა და მიწის დღესასწაულებს  
 და დამაგვიანდა...

ჩვენ, მთავარია, ვარსებობდგეთ ერთმანეთისთვის  
 და თუნდაც ასი ოკეანე იყოს ჩვენს შორის!



8030 ბერაია

### სიყვარულის კალაქტარი

ჩემში აინთო შენი სახელი,  
როგორც სანთელი...  
და იწყებს ციმციმს,  
სულს იღუმალი თრთოლვით აღელვებს  
გაუმხელელი ლოცვა და ფიცი.  
გაურკვევლობის ბრუნავს მორევი,  
გულს ფრთა მოუსხამს  
და ცისკენ მიჰქრის  
და მთვარის შუქით ნაამბორევი,  
ტყვილის ჭვარზე გაკრული ფიქრი —

შენა ხარ.  
შენ ხარ — შენით ინთება  
და იფერფლება... ვარსებობ შენით.  
მოვა დრო — ნისლი დაიწმინდება,  
დაიქანცება სურვილი ფრენით.  
მავრამ შენს მზერას, —  
ასე რომ მათრობს, —  
არ მოაკლდება შექი და ეშხი,  
და ფრესკასავით მშვიდი და სათნო  
სამარადეამოდ დარჩები ჩემში.

### ნულარ ყოყმანობთ...

გზიბლავს ზღაპრული ელვარებით  
მინდორი ჭრელი,  
მავრამ კარებთან აბრა ჰკილია:  
„დანაღმულია ველი შურით,  
ფრთხილად იარე!“  
...დგანან მავანნი,  
დგანან და ბკობენ,  
შევიდეთ თუ არ შევიდეთო...

— ნულარ ორჭოფობთ, —  
ვეუბნები მე მათ ღიმილით, —  
შურის ნაღმი მხოლოდ მაშინ  
ფეთქდება ხოლმე,  
როცა შესაშურს შექმნი რამეს,  
ხოლო შესაშურს  
შური  
სულაც... ფეხზე ჰკილია...



# დედაშვილობა

რომანი

ბადრის უყვარდა თქმა, ზედსიძე და ქეცი-ანი ძალი ერთია, ორივე სხვას შეპყრუებს ხელში — ეგებ ლუკმა გადმომიგდოსო. ახლა კი სხვა პანგზე ამღერდა: ღონდას მამა შეძლებული კაცია, თანაც ცოლ-ქმარს თავიანთი კალო გაღწეული აქვთ; ცხადია, მათი ქონება ერთადერთ ქალიშვილსა და სიძეს დარჩებათ. ამასთანავე, ღონდა წარმოსადეგი, ზრდილი, განსწავლული გოგოა, პოდა, ასეთი უოველმზრივ შემკული საცოლე ხელიდან რატომ უნდა გავეშვაო?!

ყოველ კვირა საღამოს ბადრი ფამიერაძეების სტუმარი იყო. ზაქარია შეთერებოდა თუ არა, ენად გაიკრიფებოდა ხოლმე — ღონდას ვილა არ თხოულობს, მაგრამ ვეღვას უარს ვუბნებთ, ერთადერთი შვილი გვყავს, სახლიდან ვერ გავუშვებთ, ვერ შევეღვეითო. თუ რამე გაგვაჩნია, შვილისა და შვილიშვილებისათვის არ გვინდა, საფლავში ხომ არ ჩაეცოლებთ! სიძე იქნება ჩემი მემკვიდრე, პატრონი და გამაპტიოსნებელიო.

სწორედ იმ ხანებში სოლომონი ტოლის ქარხნის დირექტორად გადაიყვანეს. ბადრი სიხარულით ცას ენია, ახლა ნამდვილად მეც მესველება, სამმართველოს უფროსს რა ნა-

მუსმა უნდა გაუჭრას, მრავალდარგოვანი კომბინატის დირექტორის მოადგილედ მინც არ დამინიშნოსო.

ზაქარიამ სოლომონი ვახშაშზე დააპტირა. სტუმარს, ნასეტყვარივით დალაქავებული ცხვირის წვეტი რომ გაუნითლდა, მასპინძელმა თქვა:

— სოლომონ, შენი ჭირიმე, ბადრის მიმიხედე, მთელი თავისი სიცოცხლე უჩინარ თანამდებობაზე ხომ არ იჯდება, თუ ახალგაზრდობაში არ დაწინაურდა, მერე ვიღას გაახსენდება.

სოლომონმა თავი დაიზღვევა:

— გულწრფელად გეტყვი, სამმართველოს უფროსს შენი სასიძო არ მოსწონს, მუხლის თავებზეც რომ დაკუდგეთ, ახლოს არ გაიკარებს!

— მაშინ იცი რა ვქნათ? მოდი სამმართველოს უფროსს გაუმხილე, ბადრიძე ფამიერაძის სასიძოთაქო, იქნება ჩვენ მინც გაგფინოს ანგარიშიო.

— ვეტყვი, ხათრს არ გაგიტებს, მაგრამ წინასწარ ვიცი, არაფერი გამოვა.

კვირის თავზე სოლომონმა ზაქარიას უსაყვედურა:

— ეპ, როგორ გამაბრევე! სამმართველოს უფროსს ბადრიძეზე სიტყვა გადაუუქარი... ფამიერაძეები ძვირფასი, გამოსადეგი ხალხია,

\* დასასრული. იხ. „მნათობი“, 1.

იმით მაინც გაუწიოთ ანგარიში-შეთქი. უფროსმა სიცოლი დამაყარა, ბადრიძე სადაც არის, იქ დაეტოვოს.

— დიდი უმაღური ყოფილა, არც შენ გაგინია ანგარიში, ჩვენც არაფრად ჩაგვაგდო. მაგ კაი კაცმა, გვითხრას მაინც რამდენს თხოვლობს? შენც ვერ მოქცეულხარ კარგად, უნდა გენიშნებინა, გულისხმაში ჩაგვგდო!

— როგორ არა, მივახვედრე, მაგრამ ისე იყიკრა, თითქოს ეშმაკი დაეტაკაო. ეს მეორედ არ გამავგონო, თუ კაცი ხასიათით არ მომეწონა, ბროლის სასახლეები რომ ამიშენო, ვერ დაეანინაურებო! თქვენც რა დაგემატათ, ცეცხლი ხომ არ გიკიდიათ, მოთმინება იქონიეთ. მართალია, ბადრის ახალგაზრდული სიჯიუტე მოსდევს, მაგრამ კეთილშობალი, უბოროტო ჯგეფია. დააცადეთ უფროსმა ახლო გაიცნოს, იქნებ გული მოუბრუნდეს.

— ყველაფერი სწავლით არ არის, ურჩივ ბადრის, როგორ მოიქცეს, რა იღონოს!

— კაცი თავად უნდა მიხედეს, დროის მოთხოვნას, ცხოვრებას ადლო აუღოს, თორემ იმას, რაც ადამიანებმა გამოცდილებით შეიძინეს, დაკვირვებით მოიპოვეს, შხამზარეული ხონჩით არავეინ მიართმევს!

ბადრის ფიქრით ტვინი არ დაუღლია, ღამეები არ უტეზია, ერთბაშად მიხვდა რას უკიყინებდა, რის ცოდნას მოითხოვდა სოლომონი.

ან რა იყო მისახვედრი! როდი დავიწყებია მზიას შეგონება — დაშინებით, დამუქრებით ნარმატებას ერთხელ მიადნია, მეორედ ფონს ველარ გავა, ან როგორ იყვირებს, დამანინაურეთო. კარიერისტად მონათლავენ, დასცინებენ. სამმართველოს უფროსი სიტყვას მიახლის, სად გაქვს ადამიანობა, შენი გულისთვის შტატი დაეაშვებინეთ, მეტი რაღა გინდა, ზენ ხომ არ გადაგყვებითო.

\* \* \*

ბადრი იმას ერიდებოდა, ლილის ან მზიას არ გადაჰყოფდა. შეყვარებულნი კიროვის პარკში ერთს გაისეირნებდნენ, მაშინვე ბნელ კუხეს ამოირჩევენ, და გვიანობამდე მუსაიფობდნენ. სხვა რაზე ილაპარაკებდნენ, თუ არა თავიანთ მომავალზე, ზღაპრულ ბედნიერებად რომ ესახებოდათ... მაგრამ ერთბაშად ქალი ვაჟისადმი უნდობი გახდა, რატომღაც თვალბში აცქერდებოდა, თითქოს რაღაცის ამოკითხვას ღამობდა.

ბადრიმ ეს იმის მერე შეამჩნია, რაც ზაქარიამ იგი სამმართველოს უფროსთან მიიყვა-

ნა. თამაზმა ბადრი შინაურულად მიიკითხა და პირდაპირ უთხრა:

— ახალგაზრდა კაცის კარიერისადმი ლტოლვა დასაძრახი არ არის, მაგრამ ამისათვის მარტო ნადილი არ კმარა. დიდ საქმეს დიდი ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება. შენ კი არც ერთი გაქვს, არც მეორე!

— ჯერ არ მახსოვს კაცი ხელმძღვანელად დაენიშნოთ და არ ევარგოს. რაღა მე ვარ ასეთი უკეთური! — მიუგო ბადრიმ და იმ ბრწყინვით ახითხიდა, თავად რომ გაოცებულია, ასეთი ჭკვიანური აზრი როგორ დამებდაო. ბადრის უდაგლო ხითხითზე სამმართველოს უფროსსაც სიცოლი წსკდა. ზაქარიამ ვერ გაიგო, უფროსი რაზე იცინოდა, მაგრამ ისიც აჰყვა.

სამივემ სიცოლით რომ გული იყვრეს, უფროსმა ბადრის პუთხა:

— რა გაციენებს?

— რა და, უცებ მამაჩემის ნათქვამი გამახსენდა!

— სანტიტრესოა! განა, ისეთი რა გითხრა მამაშენმა?

— რა მითხრა?.. — და ისევ გულიანად ჩაიხითხითა.

— ჯერ გვითხარო, და მერე გაციენე! — შენიშნა ბადრის ნირნამხადარმა ზაქარიამ.

— რა მითხრა და, ლაზღანდარა ხარ, უქნარა! მეფრინველეობის ფაბრიკაში ბრიგადირად არ ივარგებო! — და ხამაღლა გადაიხარხარა.

— შე კაი კაცი, თავიდანვე ასე გეთქვა! — მოწონა უფროსმა.

ბადრი ხან თამაზს უცქეროდა, ხან მზერა ჩაფიქრებულ ზაქარიანზე გადაჰქონდა, თან ჭუმრუმად იცინოდა.

თამაზმა არც ახლა მოიკლო ეს სიამოვნება და, რა თქმა უნდა, უხალისოდ ზაქარიამაც მხარი აუბა.

— ღმერთმა აგაშენოს, რახანია ამდენი არ მიცინია! — უთხრა ბოლოს ბადრის სამმართველოს უფროსმა და, შეპირდა, ცოტა დამაცალე, უყურადღებოდ არ დაგტოვებ, რაღაცას გამოგინახავო. ბადრი კარებისკენ რომ შეტრიალდა, ერთხელ კიდევ ჩაიხითხითა, თან თავი ისე დახარა, ღამის თითის ნეურებით იატაკს მისწვდა. ზაქარიაც აუდგენა, მაგრამ თამაზმა ანიშნა დარჩიო და ბადრის გასვლისთანავე უთხრა:

— შე სხვანაირი აზრისა ვიყავი! მიაშიტი, უდარდელი ყოფილა, პა, რას იტყვი?

— მართლაც ბრძანებთ, თანამედროვე ახალგაზრდა კაცია, მცოდნე, მხიარული, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული.

— ეპა, რა კარგად შეგინიშნავს! ეს ისეთი კაცია, მეონი სადაც არ უნდა გადაისროლო, არ დაიკარგება, ივარგებს!

\*\*\*

ნათია — ერთხელ ხომ გაგაფრთხილე, ბადრის გულს ნულარ უჩვენებ, ზურგი შეაქციე, ჩამოსცილდი-მეთქი!

ლონდა — დედა, შენი ვერაფერი გამოგია, აქამდე სულ იმას ჩამჩიჩინებდი ბადრის გაუღმე, მიუაღერს, თავი მოაწონეო. ახლა კი...

ნათია — ახლანდელ ახალგაზრდებისას რას გაიგებ? მარტის დღესავით ცვალებადი ხასიათი აქვთ. დაღაგებთ საუბრობენ, ზრდილობანად იქცევიან, მაგრამ ერთბაშად რაღაც მოუვლით, მთლად იცლებიან!

ლონდა — გარკვევით მითხარი, რის თქმა გინდა?

ნათია — რის თქმა მინდა და, ბადრი ცოტა აფრიადა ყოფილა!

ლონდა — რას ამბობ, ამას როგორ დავიჯერებ, ის ხომ სერიოზული ახალგაზრდაა!

ნათია — კარგი დაგეშართოს, კარგად შენ ის გცნობია! ბრიყვი ყოფილა თავად განსაჯე ის დღეს ბაზარში წამიყვანა. რიგის ქუჩის კუთხეში სამმართველოს უფროსის ცოლს მანქანა გაუჩურჭოთ. ჩაჯდა თუ არა ქალი მანქანაში, ბადრიმ გულუბრყვილოდ ჩაიხიხინა. სიმართლე რომ გითხრა, ამას არ ველოდი და გაკვირვებით შევხედე. იმან კი, ვითომ არაფერი მომხდარიყო, თავი გაიმართლა, უცებ ერთი ამბავი მომიგონდა. თან როგორც ყველა ვეფერი, დიდი ვირშეშაკცაა!

უფროსის ცოლს, განეული თავაზიანობისათვის, ჩემი გულის მოგება უნდოდა, შემაქო: „ნათია, ნიჭიერი ქალი ხარ, სოლომონთან ვახმაშზე რა კარგი ლექსები წაიკითხე! მაშინაც უთქვი და ახლაც ვიმეორებ, შენს ლექსებში ყოველ ახალ სტრიქონთან ერთად განცდამათ მოხლევაება იგრძნობა“. ბადრი ახითხითდა, ქალბატონ ნათიას რომ გრძნობა პქონდეს, ლექსების წერას თავს დაანებებოდა, თან უცხო ქალს ურცხვად თვალი ჩაუყრა, მაგრამ ამით რის თქმა უნდოდა, ვერ გაუგო! კინაღამ ავყვირდი; „აი, შენ ასეთი და ისეთი, შენი თავი აიგდე მასხრად!“ საუბარი რომ სხვა საგანზე გადაიმტანა, უფროსის ცოლს შევეკითხე, სად მიბრძანდებოდა მეთქი. მეოთხე სამმართველოს პოლიკლინიკაში, მომიგო მან. რა დაგეშართა, ხომ არაფრის იტკივებ-მეთქი. გული მიციმციმებსო. ამის გაგონება იყო და, ბადრი ენად გაიკრიფა, გულის ციმციმი ნერვიულობამ იცისო. საერთოდ გულისა ნუ გეშინია, ამაზე კეთილშობილი ორგანო ადამიანს არ აქვს. უცებ ატყვივდება, შეგზარავს, მაგრამ უცებვე დაგვიანდება, შეებას, სიხარულს განგაყვავინებსო. ნეტავი საიდან იცი, ვანა გული გტკივება ოდესმე-მეთქი. გული არც უთქვი სადა მაქვს, ხანდახან ხელისგულები კი შექავება ხოლმეო.

მაშ ქალის სინსილა არ უნდა განცდეს?!  
მევიდნენ თუ არა თეატრის საღაროსთან,

უფროსის ცოლმა ისეთი გადაიხიზნა... ბადრის ლამ მანქანის სახურავი აიხადა... ბადრის შესვლიდან, უღიმოდა, ლამის კისერზე ჩამოკონწიალებოდა. კიდევ კარგი, პოლიკლინიკასთან მივედით, თორემ მეც არ მომეგრადებოდნენ, ერთმანეთს წაუტანებოდნენ და იქნებ კიდევ ჩაგოცნათ. უფროსის ცოლი მანქანიდან რომ გადავიდა, მადლობა ვითომ მე გადამიხადა, მაგრამ ბადრის ამტკივებოდა, უღიმოდა. მოდი და, ამის შემდეგ ხალხის ნათქვამს ნუ ირწმუნებ: „უზნეო ქალები ყველაზე იოლად ტუტუც მამაკაცებთან ნახულობენ საერთო ენას!“

შეფიქრიანებული ლონდა გუნებაში თავის თავს ემუსაიფებოდა.

ვერა, ამას ვერ დაიჯერებს! ბადრი რაღაც სხვებთან იქცევა უგუნურად? ეტყობა მტრობენ, ხმებს უფრცვლებენ. უღირსნი ხომ იმას ცდილობენ ღირსეულნი დაამხაბლონ, რათა ხალხის თვალში თავად ამაღლდნენ?

დედა კი ლონდას სულს არ ათქმევინებდა, კვლავ და კვლავ ჩასჩიჩინებდა: „ბადრი რომ მოისულელებს, ჩემს გარდა, სხვებაც ამბობენ და ყველა როგორ ვცდებით? ხომ გითხარი, სამმართველოს უფროსის ცოლთან რა სისულელე წამოროშა? აბა მითხარი თუ ეს სისულელე არაა, მაშ რა დაერქმის? როგორ გეტყობა, რომ შედიციწია არაფერი გაგვება. ადამიანის ტყნში მილიარდობით უჭრე-დია, საკმარისია ერთი მათგანი გადაბრუნდეს, რომ კაცს გონება დომხალივით აერიოს!“

დედის გაუთავებელმა შეგონებამ თავისი გაიტანა, ლონდას ნელ-ნელა ეტყე შეუპარა! შეიძლება სიცვარულმა დააბრუნა, ვერ ამჩნევს იმას, რასაც სხვები ხედავენ!

ამიტომ იყო, რომ ბადრის აკვირდებოდა, ყოველ მის სიტყვას სწომიდა, მაგრამ ხელის-მოსაკიდს ვერაფერს პოულობდა.

რაკი დედა არწმუნებდა, ასეთი ადამიანები ხალხში უფრო აელენენ თავიანთ თუნებასო, ლონდა ცდილობდა ბადრისთან ერთად თეატრებსა და ვეულებებზე ეელო, მაგრამ ვაჟი ამას გაურბოდა, გაუხედავად მოხვედრივით განზე იწევდა.

„რატომ გაურბის ადამიანებს, ჩემს გარდა რატომ არაუისთან არ უნდა ყოფნა?!“ — ეკითხებოდა ლონდა თავის თავს და მასხვი ვერ ეპოვა.

ერთ შაბათ დღეს ლონდა ბადრის ჩააცოვდა, „რიგოლეტოში“ გამოჩენილი იუგოსლავიელი მომღერალი გამოდის, ნავედეთ ოპერაშიო. ბადრიმ ესლა მოიგონა, გუშინ საღამოს სტუდენტობის მეგობარმა ადამაძების დღეზე დამპატივა, დადლილი ვარო, მაგრამ ქალს არაფრის გაგონება არ უნდოდა და ვაჟი აიძულა დასთანხმებოდა.

მევიდნენ თუ არა თეატრის საღაროსთან,

ცხვირაბზევილი და კისერგაშემებული სამშართველოს უფროსი გამოცხადათ.

— თქვენც აქა ხართ? — თამაზმა ორივეს ხელი ჩამოართვა და, თან ბადრის როგორც პატარა ბიჭს მხარზე წაუბიძგა, ბილეთი მეც ამოღეო, და ყასიდად ჯიბეში ხელი ჩაიყო.

ბადრი უფროსს ხელზე სწავა:

— როგორ გკადრებთ, გაუთლელი ტეტია ხომ არ ვარ, მეც ვიცი უფროსების, ასე ეთქვათ, გულის მოფხანა კი არა, ასე ეთქვათ, პატივისცემის გადახდა, ან, უფრო გასაგებად რომ ეთქვა, განუული ამბავისათვის სამაგიეროს მიზღვევა.

— სანაქებო კაცი ხარ, ნუნი არ გაქვს! — მიუჯო თამაზმა ირონიით შეხავებული კილოთი.

ლონდა ბადრის ისე შესცქეროდა, თითქოს მისში მოულოდნელად რაღაც ახალი და უცნაური რამ აღმოაჩინა. თან აზრს ვერ იკრებდა, რა მოხდა, ბადრი ასე უცებ რატომ გასანყლდა? ისეა გულმოსული, ღამის აუყვირდეს, რა ბრტყელ-ბრტყელი ფრაზეებით ღაპარაკობ, ხომ არ გგონია, ამით უფროსს თავს აწონებ, პირიქით, დაგვირის, ენამოუქნელ და გონებაჩლუნგ ადამიანად მიაჩნიახარო.

ლონდას აღელვება რომ დაეფარა, წარამარა ახველებდა, განაპირა სკამზე აპირებდა დაჯდომას, მაგრამ თამაზი ისე აღუდგა, როგორ გკადრება, თავიგულივით შუაში უნდა ჩაგისვიათ და შენი სილამაზით მამაკაცებს თვალები დაუბრწყვეთო. ლონდას გვერდით მოკალათა თუ არა, გულისწყრომით დაიჩივლა:

— ყელამდე საქმეში ვარ, თათბირებს ვერ აუფიქრებ. დღეს სამ რესპუბლიკურ შეკრებას დაუქნარა; მუშაობით ისე არ ვილღები, როგორც პრეზიდენტიში ჯდომით. ორჯან ორმოც-ორმოცწუთიანი სიტყვა წარმოვთქვი, უსაქმურება და ბუროკრატებს ბურტყელი გადავძინე. მესამე თათბირი კი შევაჯამე. ბევრი რამ ეთქვი ახალი და საყურადღებო. თათბირის მონაწილეებმა ოცაცა გამოიმართეს, ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მადლობა გადაიხადეს. როგორ გადავიღალე! მხოლოდ კლასიკური მუსიკა მამწვიდებს, მამხნევებს, ძალს მიმატებს! ჩემი ქვინა საესტრადო მუსიკის ტრფიალია, ამიტომ ფილარმონიაში გავისტუმრე, მე კი გულმა აქეთ გამომიწია. სამშართველოს უფროსი ისე გატაცებით ღაპარაკობდა, იტყოდით, უტყუარ ქვეშარიტებას ღადადებო, მაგრამ ლონდას ურცხვად თვალს უშტყერებდა, რაც მის გულწრფელობას საეჭვოს ხდიდა.

თამაზის საქციელი ბადრის გონებას უფორიავებდა. უფროსის შეხედვა არ უნდოდა; რა პქნას, აუვირდეს, ჩხუბი ატუნოს? მერე ამით რას მოიგებს?! სამშართველოს უფროსი ხომ უკვე აქებს, მყოფენ, პერსპექტიული ყმა-

წელიკაცია, საქმის სიყვარულზე უტყუარა მხევილობით ადამიანებს ხიბლავს, ალაფრთოვანებსო! ჩემი მუდულე ალტაცებულია ბადრით, ასეთი გონიერი და ენაკვიმატი ადამიანი მეორე არ მინახავს, სულ რაღაც ათი წუთი ვიმგზავრეთ ერთად და იმდენი მაყინა, კინაღამ გული შემწინუნდაო. ყველა-ყველა, მაგრამ თამაზი დაბარებულივით სიადან გამოტყვრა, ან ლონდამ ოპერაში წასვლა რას დაიგინა! მსუნთავი მამაკაცები ხომ ყალბი ფიცით, ქათინაურების კორიანტელით ადვილად იკლევენ გზას ქალის გულისაკენ. იქნებ ესაა მიზეზი, ბოლო დროს ლონდა რომ გაუარბის, უგულოდ ეპყრობა, განრისხებულია. ალბათ კიდევაც სჭულს, ეზიზღება იმ ღალბადარობას და მორჩილებისათვის, რითაც ცდილობს სამშართველოს უფროსს თავი მოაწონოს!

ლონდას კი გულში ბოღმა უტრიალებდა. პირველი მოქმედების ბოლოს იუგოსლაველ მომღერალს არია ჯერ არ დაუმთავრებია, რომ ბადრიმ ტამის დაქერა დააპირა, მაგრამ ლონდამ შეაჩერა.

თამაზი სიცილს ვერ იკავებდა:

— რა სულსწრაფი ყოფილხარ, სოლომონ მეჯღანაშვილივით კინაღამ ყველას არ დაასწრო ტამის დაქერა!

ბადრი კი გაკვირვებით თავს აქნევდა:

— კიდევ კარგი დროზე შემაჩერეთ, თორემ ნამდვილად სხვებსაც ავიყოლიებდი! თეატრიდან რომ გამოვიდინე, უფროსმა გაწყაბადა:

— მოფერი მელოდება, ნამობრძანდით, მანქანით წავიყვანით!

ბადრი აყვლელებდა, ალბათ თამაზს უკან აუდევენებოდა, მაგრამ ლონდამ მკლავში ხელი სტაცა:

— ფეხით გაიყვლით! მიყვარს ღამით რუსთაველზე გასეირნება!

დაძაბული ლონდა კრინტს არა სძრავდა, ბადრის თვალს არიდებდა, კიტრინებში იყურებოდა.

დუმილი ვაჟმა დაარღვია.

— რატომ მოიწყინე?

— მე საერთოდ ასეთი ვარ! — მიუჯო ნაღვლიანად ქალმა. — უმჯობესია მითხრა, რა დავგმერთა, უფროსთან რატომ შეიცვალე, რატომ გადასხვავდრდი?

ბადრიმ ვითომ ვერ გაიგო ლონდა რას ეკითხებოდა, არაფერი უპასუხა. ან რა ეთქვა. იმის ხომ ვერ ეტყოდა, ასე განგებ ვიქცევიო. ამიტომ უთხრა, ის, რითაც ლონდას ყველაზე უფრო გაახარებდა:

— შენ ორი რამ გაქვს ღმერთისაგან ბოძებული, ზეციური ღიმილი და ტყილი, სულში ჩაბწვდომი ხმა.

— მართლა მეუბნები? — გაელშია ლონდას.

— ჯანა შეიძლება კაცმა იცხიეროს ქალ-

თან, რომელიც გაგიყვებით უყვარს! მითხარი, შენ კი არ გიყვარება?

ლონდა ხმას არ იღებდა.

— ბადრი არ ეშვებოდა:

— მითხარი, გამაგებინე, შენი გულის ნაფები? იქნებ სხვა გიყვარს?

მამ ღირსი არაა, დაუტაცანოს, ვაფაცო მე-გონე, შენ კი თავქარიანი უფილიხარ, მაგრამ ღონდამ თავი შეიკავა, ამის თქმას მერცე მოვასწრებ, უნახოთ, იქნებ თვითონვე მითხრას ასე რატომ იქცეოდაო, და მშვიდად მიუგოს:

— არაფრად არ მიყვარს, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— ხომ გითხარი, ღირსეული ახალგაზრდა ხარ, გაფასებ, იქნებ... — და ამჯერად მოსწრებულად გადააქეთა, — უარი არ მეთქვა, მაგრამ გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ!

რაკი ღონდა თავის გულტრილობას სხვა ვერაფრით ხსნიდა, ბადრის ეჭვი შეეპარა, ჩემი წარსული ხომ არ გაცივდა, თუმცა იმსაც ფიქრობდა, იქნებ ასე იმტომ იქცევა, იცის მიუკარებლობა და თავდაჭერილობა ქალს რომ ფასს მატებსო. ხანდახან ეს აზრიც დეობაღებოდა ხოლმე: „იქნებ კარგად ვერ ვნერვიუბი მისი გულისთქმას, სხვა უყვარს, მაგრამ ვერც მე მელევა. ქალს ხომ ასე თავყვანისმცემელი რომ ჰყავდეს, არცერთს ხელს არ ჰკრავს, ასივეს შენარჩუნებას ცდილობს?!

ზაქარიამ ბადრის ახარა, მთავარი სამმარ-თველოს უფროსი როგორც იყო დავითანსმე, ტოლის ქარხანაში გიპირებს დანიშნას, დირექტორი ინახულე, გაეასუბრე, თუ რაიმე მოთხოვნილება წამოგაყენოს, უკან არ დაიხიო, ოღონდ ნუ გაუმხელ, რომ თამაზმა მოინადინა შენი დაწინაურება, უთხარი, ზემო-დან დაურქვეს, იმან კი თქვენთან გამომაგზავნა-თქო.

ბადრი ავტობუსით ჩავიდა მანგლისში, შარა-გზაზე გამკვლეულ-გამომკვლელებს ეკითხებოდა, ტოლის ქარხანას ხომ ვერ მიმასანუ-ლითო — ზოგმა ამ ქარხნის არსებობა არც იცოდა. ერთმა მოფერმა კი ტყით შემოსილი მთა დაანახა, სადაღაც იმის იქით უნდა იყო-სო.

გინახავთ უფსკრულის პირას აგებული საფარა, სამხმრივ მალალი მთები რომ შემორ-ტყვია? შეუყვები აღმართს და ანახდად პა-რში შემართულ ჯეარს შეასწრებ თვალს. მე-რე ნელ-ნელა გუმბათი ამოცურდება და თქვენ წინ დიდებული ტაძარი აღმართება.

აღმართზე მიმავალმა ბადრამ ჯერ ცისკენ კლაკუნით მიმავალი კვამლი დაღანდა, მერე ერთბაშად საკვამლე მილი ამოიხარდა, ბო-ლოს მთებში შემოჯარულ დაბლობზე ბლო-კით ნაფინა ქარხანა გადაიჭიმა.

ურდულკაცრილ ტიშკართან კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ბადრამ საყარაულო ოთახის ვინ-

რო აივანი გაიარა და ეზოში აღმწმდიკურეუქს გელივ ფისით ამოსვრილი კასრები, ცარიელი ყუთები და მუყაოს ნაგლეჯები ეყარა.

პირველივე შემხედურმა მუშამ ბადრის დირექტორი მისანვალა, საამქროში შეხვალ თუ არა, მარჯვნივ პატარა ოთახში შებრძანდი, იქ იმყოფებაო.

კვამლით საესე საამქროში ტრუსისა და დამწვარი ფისის სუნი იდგა. ვეებერთელა ქებაში შავი სითხე თუხთუხებდა. მანქანა-დანადგარებთან სულ რაღაც ათიოდე კაცი ტრიალებდა.

პატარა ოთახის კედლები კვამლს გაეჭვარ-ტლა.

სოლომონმა, კუთხეში მიდგმულ მაგიდას რომ მისჯდომოდა, დაინახა თუ არა ბადრი, პირიდან ჩიბუხი გამოიღო, ტარი ულ-ვაშებზე გადაისვა და აღტაცებით თქვა:

— ყმანვილო, ეს შენა ხარ?

— დიახ, ბატონო, გახლავარ!

— მამ, დასცხე ხელი!

ერთმანეთს რომ თითები ნაუტყაცუნეს, დირექტორმა სტუმარს სკამი უჩვენა, დაბრძან-დიო. და თავადაც სკამზე დაეშვა.

— მამ ჩემს ადგილზე გიპირებენ, არა? რას იზამ, მოხუცდები ეტყობა ჩემს დამსახურე-ბას გაუნეის ანგარიში, მთლად რომ არ გამ-ნირეს!

— რა ვიცი, მე კი მითხრეს, თავისი სურ-ვილით თავისუფლდებო.

— ეჰ, რას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ხარ! კაცი დაუბურდი და ჯერ არ მსმენია, თანამდებობიდან ვინმე თავისით გადამდგა-რიყოს. აქედან ფეხს რას მოვიცვლიდი, მაგრამ უფროსებს თვალში ვერჩირებო, ჩემი არაფერი მოსწონთ, ამიტომ გადაეწყვიტე, სანამ გამან-თავისუფლებდნენ, განზე გაედე, შენ ეს მით-ხარი, ხომ არ განავლადი, ხომ ადვილად მოგ-ვაგენინ?

— ძლივს გიპოვეთ, ეს რა გადააკრულში ყოფილხართ!

სოლომონმა ცალი თვალი მოჭუტა და ჩა-იციანა:

— თუ გინდა რომ უფროსებმა ბრძანებე-ბით მოსვენება არ ნაგართვან, აქეთ-იქით არ გარბენინონ, იმათგან თავი შორს დაიჭირე, თვალში ნუ გაეჩირები! ერთი ესეც მითხარი, მოგწონს აქაურობა!

— როგორ გითხრა, ქარხანა უფრო კეთილ-მომწობილი მეგონა! — მიუგო უხალისოდ ბადრამ.

— იცი რა, გარეგნულად ნურასოდეს ნუ-რაფერს შეაფასებ. თბილი ადგილია. ძვირფასი კოლექტივი გვყავს. ყველა მადლიერია. არ მახსოვს ვინმეს ხმამალალი სიტყვა ეკადრე-ბინოს, ზემდგომ ორგანოში ეჩივლოს. სხვა სანარმოებში კი კომისიებს ვერ ასდიან. ხელ-



მძღვანელებს ათავისუფლებენ, ზოგს პასუხისმგებლობაში აძლევენ.

— კარგია, კარგი! — ღიმილით მიუგო ბადრიმ.

უყურე ამას, ავადებითაც რომ ელაპარაკება. ალბათ დირექტორობა განადგებული ჰქონია. ამთავითვე უნდა აგრძნობინოს, რომ იმის თანხმობის გარეშე ამ ადგილს ვერ ეღიროს და ბადრის შეგვითხა:

— ერთი ესეც მითხარი, ზევით ვისთან იყავი?

ბადრიმ არ იცოდა ვინ დაესაბუღებინა. მოდი და ვეტყვი: ბიძაჩემმა ინახულა ვიღაც დიდი კაცი, თუ შემეკითხება, ბიძაშენი ვინაა, რომელიმე თანამდებობის პირს დავეუხაზებუბ, ნავიდეგს და არკვიოს, მართლა ასეა თუ არაო.

— რა გავცებული შემომცქერის, ვერ უნდა მითხრა ვისთან იყავი? — განრისხდა სოლომონი.

— მე არავისთანაც არ ვყოფილვარ, ბიძაჩემი იყო რომელიღაც უფროსთან, სტუდენტობის მეგობრები არიან.

— მადლობა ღმერთს! თამაზი რომ გეხმარებოდეს, ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლიდი. დიდი ნაგავია, როცა დაანინაურეს, საღმრთო გადავიხადე, გამომეთქვამება, ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებს-მეთქი. ის კი ინდაურით გაიფხორა, ახლო არ გამიკარა, მტრად გამიხადა!

თითქოს ყურს არ უჯერებდა, ბადრიმ თვალები დააჭყიტა:

— რას ამბობ, მე კი მითხრეს, სამმართველოს უფროსი საქმის მოყვარული, პატიოსანი მუშაიაო.

— მერე შენ ეს გჯერა?..

ეს ვინ ყოფილა?! ამდენს როგორ ბედავს?! თუცა რაში ეკითხება, რაც გინდა ის ილაპარაკოს. თავად უფროსებზე არც კარგს იტყვის, არც აეს. და ბადრიმ უდარდელად მიუგო:

— ბატონო სოლომონ, რაში მკითხება ვინ როგორია! რაც არ უნდა იყოს, უფროსი უფროსია, მაშასადამე, მაშზე კარგი უნდა ვილაპარაკო, პატივიც ეცე, დავაფასო.

— კარგია, კარგი! მაგრამ მთლად გაჩუქებაც არ ვარგა, კეთილი ბოროტად გადაიქცევა, თუ ორივეს თავის სახელს არ დავარქმევთ! მოკრწით ამაზე ლაპარაკს, საქმეზე გადავიდეთ.

ბადრიმ ჩაახველა, ვითომ ხმა ჩაინმინდა, მაგრამ ახრზე არ იყო, რა ეთქვა.

„ალბათ იმისი ეშინია იმ გლეხივით ფეხი არ დავაჭირო, კარებზე მომდგარი მუშტარს შაურნიან საქონელს მანეთად რომ უფასებს“

— და დირექტორმა მოუნოდა:

— დაინყე, დაინყე, ნუ გერიდება!

ბადრი დუმდა. იმას ხომ არ ეტყოდა, სათქმელი არაფერი მაქვს, ქარხნის დასათვალი-

ერებლად მოვედო. კიდევ კარგი, მაგალითად სოლომონი, მართალია ცოტა ადლებით ელაპარაკება, მაგრამ ვერ გაამტყუნებ. ნყალი აქვს შემდგარი; სხვა მის ადგილზე მოცდეს კარგა გემოზე გამოლანძღადა, ქარხანაში ფეხს არ შეადგმევიინებდა.

სტუმრის დაკინებულმა დუმილმა სოლომონს მოთმინების ფილა აუქსო:

— მითხარი, გამაგებინე, გინდა თუ არა?

— რა?

— ქარხნის დირექტორობა?

ბადრი შეყოვნდა, სიშართლე რომ ეთქვა, ალბათ უფროსი განაწინებდებოდა, ამიტომ იკითხა:

— განა მეს ჩემს სურვილზეა დამოკიდებული?!

— შე მამაცხონებულო, აბა, ჩემს დიპლოპიტოზე ხომ არ იცეკვები!

— კი, მაგრამ... სიყრმეს გუფიცები, ჩემს სიცოცხლეში არავის შევეცილებივარ! მშიერ-მწყურვალაც რომ ვიყო, ასეთ რამეს არ ვიკადრებ!

— არ იკადრებ და, წინ ვერ ნახვალ... იცი, რას გირჩე, ნადი, ყველაფერი ანონ-დანონე, საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტე და მერე მოდი. გაიგე?!

\*\*\*

ყველაფერს სამმართველოს უფროსს უნდა უმადლოდეს. გამკითხავი, გულისხმიერი, სიტყვის კაცია. შეპირდა და შეუსრულა კიდევ. ზაქარია არწმუნებს, დირექტორად დაგინიშავენ, მაგრამ სოლომონი ზურგში ამოგინდგება, გამოცდილი მუშაია, თითოეულ იარსებებს, შენც სულს ჩაგიდგამს. მერე როგორც გინდა ისე მოიქეცი, თუ მეგობრულად იქნებით, ამას რა სჯობია, თუ ვერ შეხმატბილდებით, მერევე გაისტუმრე და შენ დაგრჩება ბურთი და მოვდანიო.

სოლომონმა ამჯერად ბადრი გულთბილად მიიღო, პურმარილზე დაპატივა, თავის გულში ჩაახვედა: „ახლა ახალგაზრდების დროა, თქვენთან ჭიდილი ამოა. უმჯობესია ძველი მუშაეები მხარში ამოვიდგეთ, დაგეხმაროთ, გამოცდილება გაგიზიაროთ. მთავარი სამმართველოს უფროსი მოხიბლულია შენი ჭკუა-გონებით, სიტყვა-პასუხით. აფერუმ, ძმომ! ახალგაზრდა კაცი რომ ასე ერთბაშად ხელმძღვანელის გულს მოიგებს, თავს მოაწონებს, უთუოდ დაფასებისა და აღზევების ღირსია“.

ბადრის ისე ეჩვენებოდა, სოლომონს თვალში დამცინავი სიხვი უქმნივებოდა, თითქოს რასაც ამბობდა, იმის საწინააღმდეგოს ფიქრობდა. სოლომონიც გრძნობდა ბადრის დაეჭვებულ მზერას, ამიტომ უთხრა:

— ძმობილო, დირექტორის საყარძელს გითმობ, მინდა გამოგაჩინო, ხალხში გამოგიყვანო, შენ კი ნეტავი რა თავს იფასებ, ერთს

არ იტყვი, კმაყოფილი ვარ, მადლობას მოგახსენებო. ხომ იცი, საკითხი საპოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის სახლათორთო, მოსაგვარებელი. უფროსებთან მოგინევეს მისვლა, უნ იცის, იქნებ უარიც გეტყვიან.

თამაზთან მარტო სოლომონი შევიდა, რაც არ უნდა იყოს, კარგი ხნის ნაცნობები ვართ, პირდაპირ ვუტყვი სათქმელს, არც ის მომერიდებაო.

— ბატონო თამაზ, თქვენმა გამოგზავნილმა კაცმა მომაკითხა — უთხრა სოლომონმა.

თამაზმა იმ კაცით, მკაცრი რომ უნდა გამოჩნდეს, ამრეზით იკითხა: — ივარგებს?

— ზედ გამოჭრილია!

— რახან შენც მოგწონს, სალაპარაკო ალაპარაკებო, დაუძახე!

— ახლავ ბატონო! — და ნახალისებული ბავშვით გასასვლელისაკენ გაექანა. კარი გაღო და ბადრის თითი დაუქნია, შემოდიო.

თამაზმა ბადრის ცალი თვალი შეაგლო, ოდნავ ჩაიღიმა, თან ისე დაღუნა თავი, თითქოს მიესალმა:

— სოლომონი მხარს გიტყვს, ჩვენც თანახმა ვართ. მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე განცხადება დანერგე!

— საქმრო საბუთებსაც წარმოგიდგენთ! — ხელებს იფშენებდა ნახალისებული სოლომონი.

— საბუთები ხელთა მქვს! — გულუბრყვილოდ წაილაპარაკა ბადრიმ. სოლომონმა მუხლი წასცხო ამხანაგს, თვალთ ანიშნა, გაჩუმდო. თამაზმა აგდებით გადახედა ბადრის და მზერა სოლომონზე გადაიტანა:

— ოღონდ ყოველგვარი ანგარიშების გარეშე. ჩვენ სანთლით ვეძებთ ახალგაზრდა ნიჭიერ მუშაკებს. გთხოვთ ასეთი რამ გულში არ გაიკლო. გასაგებია?

— ბატონო თამაზ, ყველაფერი გასაგებია! — იმის შიშით მთავარი სამმართველოს უფროსი სიტყვას არ გადავიდესო, აჩქარებით თქვა ტოლის ქარხნის დირექტორმა და წამოაგა.

ბადრიც ადგა. სოლომონმა კარებისაკენ უბიძგა მას ხელი; — წავედით!

სუთითვე დღის შემდეგ ბადრი მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილებაში დაიბარეს, ანკეტა შეავსებინეს, ავტობიოგრაფია დაანერჩინეს. ამასთანავე გააფრთხილეს, ქალაქიდან არ გახვიდე, დღეს-ზევალ კოლეგიაზე გამოგვიანებო.

— აბა, შენ იცი, არ დაგკვირვოს! — უთხრა ბოლოს კადრების განყოფილების გამგემ.

მთავარი სამმართველოს კოლეგიაზე პირველი სიტყვა უფროსის პირველმა მოადგილემ აიღო. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამხანაგი ბადრიც გაამართლებს დაკისრებულ მოკალეობას, ღირსეული დირექტორი იქნე-

ბაო, თან ბადრის მალი-მალ ხელზე, თითქოს აფრთხილებდა, გესმის, რა ძვირფას სიტყვებს განვიყო!

— კეთილი, კეთილი! — წაილაპარაკა მთავარი სამმართველოს უფროსმა და კმაყოფილებით თავი ჩაიქნია.

თითქოს ბრძანება გასცესო, კოლეგიის წევრებმა უფროსის ნათქვამის დასადასტურებლად თავი ჩაიქნიეს და წაილაპარაკეს:

— კეთილი, კეთილი!

თამაზი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ტელეფონმა დაიწყარუნა და ყურმილს წამოაწვლო ხელი.

— დიახ... დიახ... აუცილებლად მოვალ, შეიძლება ცოტა შემთავიანდეს, დამელოდე! — ხმას რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევდა.

კოლეგიის წევრები ერთმანეთს ხმდაბლა ესაუბრებოდნენ, უფროსს თვალს არიდებდნენ, სინამდვილეში კი მთელი გულსისყური მისვენ უქონდათ მიპყრობილი.

— რას გაჩუმებულხარ, ამოიღეთ ხმა! ახალგაზრდა სპეციალისტია, მცოდნე... — იმით გულმოსულმა, რომ კოლეგიის წევრებს სახეზე ღიმილი დასთმამებდათ, ეს ღიმილი კი ამბობდა: „ჩვენ ყველაფერი ვიცით!“ ყურმილის დადებისთანავე აყვირა მთავარი სამმართველოს უფროსი.

კოლეგიის წევრები ერთბაშად ალაპარაკდნენ.

— შესანიშნავი კანდიდატურაა, ბატონო თამაზ!

— უკეთეს ვერ გამოვნახეთ!

— ივარგებს!

— აბა მამ დაწინაურება მივულოცოთ! — თქვა მთავარი სამმართველოს უფროსმა და ბადრის პირველმა ჩამოართვა ხელი.

იმავუ კოლეგიაზე სოლომონი თავისივე განცხადებით ქარხნის დირექტორობიდან გაათავისუფლეს.

სოლომონი ავტომანქანიდან ზოზონით გადმოვიდა. იმ აზრმა, რომ ამიერიდან შოფერს ქვლარ უბრძანებდა, გული დასწყვიტა და ტიქსის განაწყენებულ მგზავრით კარები მიაჯახუნა.

„გულმოსულია“ — გაფიქრა შოფერმა და სადარბაზოსაკენ ტორტმანით მიმავალ სოლომონს სიტყვა დაადგინა:

— როდის მოვიდე?

— ამას იქით სევასტოპოლის ქუჩაზე მიდი, ბადრი ბადრიძეს მოემსახურე. — შოფრისაკენ არ მიუხედავს, ისე მოუგო გაბრაზებულმა წაუფროსალმა.

შოფერმა მცირე ხანს დააყოვნა, იქნებ კიდევ რამე მოთხრასო, მაგრამ რაკი ეს არ მოხდა, მანქანა დასძრა.

სოლომონი ძლივს აღასლასდა შესამე სართულზე. ზარის ღილაკს თითი დააჭირა თუ

არა, კარები ერთბაშად გაიღო. ჯერ სუნამოს მკვეთრი სუნის შეფერქვა. მერე ცოლის ხმა გაიგონა:

- მანქანა გაუშვი?
- ტასიკო, მაფროკე, სული მომათქმევიწ!
- განკიცხავად თქვა სოლომონმა და ქუდი საკიდზე ისროლა.
- გამაგებინე, მანქანა გაუშვი?
- კო, ნაეიდა!
- რატომ? - რადგან ქმარმა პასუხი შეაგვიანა, ცოლმა ნაყარა, - დაგავინდა? დილით ხომ გაგაფრთხილე ბავშვი მუსიკაზე მყავს ნასაფრინო-მუთქი, გელოდებ, გელოდებ, და, რომ არ გამოჩნდი, ნონა დედაჩემს გაატანე. შევირდი, მანქანით მოვალ და ნამოგვიყვან-მუთქი! აბა რა ვქნა ახლა?!

სოლომონმა რატომღაც ოთახის ფართო ფანჯარას ფარდა სანახევროდ ჩამოაფარა. დეივანზე კი არა, სამსახურიდან დაბრუნებული ნებივრად რომ გადაწვებოდა ხოლმე, არამედ სანოლზე დაჯდა. თან თითქოს იმისი ეშინია, ცოლი არ ამიყვარდესო, მორიდებით თქვა:

- მანქანას დედა მოუკვდა!
- ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, რა მოხდა? - ისე ხმაშალა დაიყვირა ცოლმა, აღბათ მეორედ რომ მოენდომებინა, ამას ვეღარ შესძლებდა.
- ეჰ, რაღა რა მოხდა: არ გაგიგონია, გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისათ!

- არ გაგანირეს?! აი ეგ გზის ყარალები, რატომ აკ გამოგესარტლენ?

- რას იზამ, მარტო ჩემს თავს ხომ არ არის ეს ამბავი?

- ბრალი შენი, თორემ ყველას პატრონი გამოუჩნდება, აი, ნახავ, ზოგს უკეთეს ადგილზეც ნამოსჭიმავენ!

- მთლად არც მე გამიძებნეს: დირექტორად ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცი დანიშნეს... მე იმის ზურგში ვიდგები, მერე როგორ იქნება, ენახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს!

- ისე ლაპარაკობ, გეგონება ხვალ კიდევ შემოგათავაზებენ დირექტორის სავარძელს!

- ჯერ ერთი, ყველაფერი შესაძლებელია! მერე და, კიდევაც რომ არ შემომთავაზონ, თავს არ მოვიკლავ, იმდენი კი მოვე, შევილი-შვილებს ეყოფათ.

- მერე სად წაიღე?

- მტკვარში გადაყვარე! - მიუგო ბრახით და მცირე ხნის შემდეგ დაუშატა, - დიდი უმადური ხარ. აღარ იცი, ტანზე რა ნაშროცვა, იმას კი არ იკითხავ, საიდან მოდის კროლა ასმანეთიანები?!

მე კი არა, მენ ხარ დაუნახავი, უმადური. ჩემს ძმას ყელის ანეითი რომ არ შევხვეწნოდი, სამსახურიდან მოხსნილს ქარხნის დირექტორობას ეილა გადირსებდა. ეჰ, ის ბოჭი მაიბც არ ჩამოექვეითებიათ, თუ გვიპე-

ლიდა, ის გვიშველიდა. იმის მენს ჩვენზე გუ-ლი არავის შესტკივ!

- რა მჭირს საშველი, წყალში ვიძირები, თუ ცეცხლი მიკიდი!

- ეს რომ არ გაგვეგება, რა უნდა გელაპარაკო! დირექტორის ზურგში დგომა რას გარგებს: ცხოვრება ნინა კაცისაა, ის იქნება დაფასებული, განდიდებული, ზურგში მდგომს რას დააცდის, თუმცა, ლაპარაკით რა თავს ვიტივნი, ამას თვითონვე მიწვდები! - და დერეფანში გავიდა.

სოლომონმა წყრომით თვალი გააყოლა, ღამის სიტყვა ესროლა, ასეთ დღეში ვარ და რაღა შენი საყვედურები მინდაო, მაგრამ ვერ გაბუდა, ჩხუბის ხასიათზეა, გაკაპასდება, გულ-ღვიძლს მომიწამლავსო.

წივილ-კვილსა და დავიფარაბას ცოლმა ამჯობინა ქმარს გარიდებოდა, მაგრამ უშალ უკან შებრუნდა:

- დღეს, როგორც იყო, სამსახურიდან თავი დავალწიე, ნონა ჯერ მუსიკაზე მყავდა, მერე - ინტელისურზე. სადილის გაკეთება ვერ მოვასწარი. კვერცხები მაცოვარშია, გინდა უში გადაყლაპე, გინდა ურბო-კვერცხი შეინიღე. მე ბავშვთან წავედი! - და კარები მშვიდად გაიხურა.

ნეტავ თუ ქვეყნად მოიძებნება ქალი, რასაც ფიქრობს, იმასვე რომ ამბობდეს?! ტასიკოს, ალბათ, გულში უზარია კიდევ მისი დირექტორობიდან განთავისუფლება. გავხარდება, აბა, მაშ, რა იქნება. მთელი დღე დაკარგული იყო, სახლში მუალამისას შედიოდა, თავს იმით იზარტლებდა, უფროსებს გავუმასპინძლო. ხან იმას იმიზეზებდა უცხოეთიდან ჩამოსულ დედეგაციისათვის გამართულ ბანკეტზე მიმინივებს, კაცად ჩამაგდეს, პატივი დამძღესო. ახლა კი, ასეთ რამეს ვეღარ მოისაბაბებს. თუმცა ეს მგონი აღარც დასჭირდება! ეჰ, დრონი, დრონი! ახალი დირექტორის შესახებ ვუფროდ გამართულ ვაზმამზე ისიც მიიწვიეს. სანამ დირექტორი იყო, თანამშრომლები ბაკოს სოლომონს ევახდნენ, ფინია ძალღვივით ფეხებში უგარდებოდნენ.

თამაშად როდის-როდის შესვა მისი სადღეგრძელო. პაერი ყველას გვეყოფნის, არც სასმელ-საჭმელი გვაკლია, დაე, სოლომონმაც იცოცხლოს, იხაროსო!"

„ამი, ამინ!“ ერთბაშად შესძახეს სუფრის ნეურებმა და თუ უნინ მის დღეგრძელობისას ცარიელ ყანებებს მაგიდაზე პირვეე ამბობდნენ, ახლა პირდაუკარებელი ჭიქები ბოთლებს ამოაფარეს.

იმ კაცის სიხარბით სვამდა, ვისაც უნდა: რამე დათერეს, დროით ნაღველი გაიქარვოს. სასმელმა ლაპარაკის საღერღელი აუშალა. ერთ-ორჯერ სიტყვა ნამოინყო, მაგრამ უფრო არაკენ ათხოვა. ბოლოს გადაწყვიტა, რაიმე

სასაცილო ამბავს მოვუყვები, ესენი ხომ არა-  
ერთხელ გამომიხარულებია და, ალბათ, ახლაც  
გულიანად ვაყინებო. და სუფრის ნეკრებს  
მიმართა: „მეგობრებო, გაიგეთ, რა მოხდა  
ზოოპარკში?“ სოლომონ, ნეტავი შენ, საქმე  
გამოგლეჯი, ზოოპარკისათვის ვისა სცხვლავო,  
მიუგო ავადებით ბულალტერმა, პირზე რომ  
სულ ის ეკერა, უშენოდ რა გვეშველება, ერ-  
თი დღე ვერ ვიპოვინებთ, დავიღუპებითო.

მთავარ ბულალტერს წყენით გადახედა და  
მშვიდად განაგრძო: „ალბათ გაიგებდით, რომ  
ამასწინათ მდინარე ვერა ადიდდა, ნაპირი  
გადათქვრა და ზოოპარკის ტერიტორია წყალ-  
მა დაფარა“.

„ეს ყველაფერი ვიცით“ — კვლავ შენიშნა  
ბულალტერმა.

თავი ველარ შეიკავა და მკვახედ მიახალა:  
„ვიცით, ვიცით რომ გაიძახი, აბა მითხარი  
ზოოპარკში რა მოხდა?“. „პირუტყვებმა იჭ-  
ვრებალავეს, სხვა რა უნდა მომხდარიყო“ —  
უპასუხა ბულალტერმა. „ეგვე იყო... მაგრამ  
დამაცადე, სხვა რამის თქმა მინდა. ზოოპარ-  
კში რომ წყალი შეეარდა, დათვმა გალიის კა-  
რები გამოამტვრია და თავს უშველა. მეორე  
დღეს მდინარემ დაიკლო. ზოოპარკის ტერი-  
ტორია გახსოვთავეს, გალიები შეაკეთეს, მხე-  
ცებს ისევ თავიანთი ადგილები მოუჩინეს, მა-  
გრამ დათვის კვალს ვერ მიაგნეს.“

თურმე მეორე დღეს, დილაადრიან ზოოპარ-  
კის ტერიტორიაზე დათვი გამოჩნდა. თავის  
ფეხით მიჭრძოლდა გალიასთან, გახსნა კა-  
რი, შეიკავა შიგ და მოკვალადა.

— რას ლაპარაკობ? — თქვა ღიმილით  
ბულალტერმა.

იმით გახარებულმა, მიზანს მივალწივო,  
სოლომონმა გულიანად გაიცინა. ეგონა,  
სხვებიც აპყვებოდნენ, მაგრამ ისინი დამცი-  
რად უმზერდნენ, მის სიცილზე ეღიმიებო-  
დათ.

შეფიქრიანებულმა ოსტატმა, წარამარა კი-  
სერი რომ წსყდებოდა, შენიშნა: „სოლომონ,  
შე ღმერთადლო, ნეტავი შენს ნათქვამზე შე-  
ნე არა გაყინებს?“

„ი ახლა უნდა გენახათ ხარპარი!  
ბულალტერმა კი ნაილაპარაკა: „ვერა, ვერ  
დავიჯერებ!“

„ვითომ, რა არის აქ დაუჯერებელი? შენ  
ისა თქვი, დათვმა ან ორი დღე როგორ გას-  
ძლო უზოოპარკოდ. ის, რაც სხვაგან მტაცებ-  
ლობით, სიცოცხლის განირვის ფსაზე უნდა  
მოიპოვოს, აქ მზამზარეულს მიართმევდ, აჭ-  
მევეს, თავს ევლებიან. ქვეყანა რომ გადააბ-  
რუნოს, ამაზე მყუდრო ადგილს ვერ გამოწა-  
ხავს!“ — მიუგო მან.

„ნეტავ, რა პირუტყვებისა გიყვიროთ! ადამი-  
ანებიც ასე არა ვართ. ზოგი დიდიდან სალა-  
მომდე სავარძელშია გამოჭიმული, თითს თი-  
თზე არ აკარებს, ანეკტოდებით თავს იქცევს,

ყველაფერი კი შინ მზამზარეული მისდინ-  
აბა, ერთი სცადეთ: მდინარე დათვს უფრო  
ადვილად გამოართვთ პუნაგიდან, ვიდრე  
იმას კაბინტიდან! — შენიშნა ბადრიმ.

— ასეც უნდა. უფროსობას ქვეყნად არა-  
ფერი შეედრება. ამიტომ სანამ სული გვიდ-  
გას, უნდა ვიბრძოლოთ, რაია შევიწარმუნოთ  
მოპოვებული პოსტი, და თუ ამის უნარი არ  
შეგნევს, აღარც უნდა იცოცხლო! — თქვა  
ბულალტერმა.

ეპ, სწრაფწარმავალი ყოფილა ნუთისოფე-  
ლი, ჩიტორთი გაუფრინდა ახალგაზრდობა,  
მუხლი მოუდუნდა, სახე დაუნაოჭდა შიშისა  
და ვებების მეტი რა ნახა? თავის დღენი იმას  
ცდილობდა, იმაზე იყო გადამდგარი, რაც შე-  
იძლება მეტი ემოვა, სიმდიდრე დაეგროვებო-  
ნა. განა არ სჯობდა, ცოტა პქონოდა, ოღონდ  
არ განეცადა სამსახურიდან განათავისუფლ-  
ებით გამოძევული ტანჯვა-წუხილი? ან ცო-  
ლის ქვუაზე რატომ გაიარა? როგორ შეიძ-  
ლება კაცი ერთი ბუტია გოგოს ამარა იყოს?  
ცხოვრება მკაცრია, შუბრალებელი ხომ შე-  
იძლება. ერთადერთი შვილი უბედურმა შემ-  
თხვევამ ზელიდად გამოაცალათ. ენაც რომ  
არა, მთელ სიცოცხლემ ნაწივე-ნადაგი ქო-  
ნება სიძეს როგორ დაეტოვოს? ბედის მად-  
ლიერი მაშინ იქნებოდა, ერთი შემკვიდრეც  
რომ პყოლოდა, გვარის გამგრძობი. ტასიკოს  
კი ეს სასაცილოდ არ პყოფნის. მე შენ გეტყ-  
ვი, შენს გვარს რუსთაველისა და ბაგრატიო-  
ნების გვერდით მოიხსენიებენო! ან რა დიდი  
მანულებიანა და სახანალების პატრონი შენა  
მყევბარ, რომ შემკვიდრეს ნატრობ. სიძე შეი-  
ლზე ნაკლებ არ შეგიყვარდება, შვილიშვილე-  
ბი ქვუაზე შეგშლიან, იმთითვის ქონებას კი  
არა, სიცოცხლებსაც არ დაეიშურებთო.

\*\*\*

ბადრის ნაქვიფარზე ადრე ეღვიძებოდა, არც  
ამჯერად გადაუხვია ჩვევას და უთენისა გაა-  
ხილა თვალი. დასაწერი არ პქონდა და წასა-  
კითხი, იწვა საბანაფარებული და ოცნებით  
თავს ირთობდა. მოპოვებულმა წარმატებამ  
ვაბედულება და რწმენა შემატა. რაკი სწავ-  
ლაში მოიკოჭლებოდა, ეტყობოდა, ვითუ ხელ-  
მძღვანელად ვერ ვივარგო! თურმე სცდე-  
ბოდა. ყველაფერს ჩასწავდა, ყველაფერს  
აღლო აულო, საქმე საათივით ააწყო.  
ორჯერ შაბათობა მოაწყო. ქარხნის ვზო  
დაასუფთავეს, გუბეები დააშრეს, ასობით  
მცენარე დარგეს ქარხნის მიმდინარე რემონ-  
ტისათვის მთავარ სამმართველოს ფული გა-  
მოაკოფინა. კორპუსების გაჭვარტლული კედ-  
ლები შეღებეს, ჩამტვრეული მინები ჩასხეს,  
სახურავი შეაკეთეს, საამქროში ვახაიანი წყლის  
ჯისური დაგდა. თურმე მუშები რამდენჯე-  
რაც წყალს დალევდნ, იმდენჯერ წნამალდა  
ამბობენ: „ამენდეს შენი გამეტებელი!“ ამას

გარდა, მომზარებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ინახულა, დამატებით მალაღობრივი ხარისხის ნედლეული გამოაყოფინა და ქარხანამ გვემა გადაქარბებით შეასრულა.

სალამოს გაზეთმა მისი ხელმოწერით წერილი გამოაქვეყნა, რადიომ ქარხნის წარმატებაზე ურცელი მასალა გადასცა, ცისფერ ეკრანზე გამოჩნდა ქარხნის მხაროლავე საკვამლე მილი და ერთი ხელის დაკვირვით, მთებში მიმალული ტოლის ქარხნის თვალსაჩინო გახდა.

ურია, წარმატებების წამოთვლამ გაიტაცა, მთავარი კი ავიწყდება!

ქარხანაში კაცი არ არის მისი მომდურავი, ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს!

მადლობა ღმერთს, ქვეყნის მუშტარი ახვევით. მარტო საქართველოს რაიონებიდან კი არა, შუბოხელ რესპუბლიკებიდანაც მოდიან, იყდიან ორ-სამ რულონს, შეგვდებენ მსუბუქი მანქანის საბარგულში და დამშვიდებით მიიქვთ. შამ იმის მამა არ უნდა ცხოვდეს, ვინც მანქანის საბარგული ვაუკეთა! სატვირთო მანქანა ავტონისპექტორებს თვალში ეჩხირება. აჩერებენ, ძარაზე ცხვირს ყოფენ. აქ კი, ვინ რას გაიგებს!

სოლომონი არც კაცად ვარგა, არც ხელმძღვანელად, მაგრამ სიყვარულს მაინც არ დაუკარგავს: ადამიანების შერჩევა სცოდნია. მთავარი ინჟინერი, საამქროს გამგე, ბუღალტერი, სანკობის გამგე, ოსტატი და ყარაული — სულ იმის ხალხი არიან. მთელი ქარხანა რომ გაიყოდნ, არც ერთი თანამშრომელი კრიტიკა არ დაძრავს. ან რა აქვთ საყვირელი, თვითონაც ხომ ნაღმი დვანან. ნედლეულის მიმწოდებელი ორგანიზაციები ზედმეტ მასალებს ნახევარ ფასში აწვდიან. ოსტატებიც არ იზრუნებ, კორალობენ, მუყაოს სისქესა და სივანეს აკლებენ, ფისის ეკონომიას ეწვევიან და ამგვარად დიდი რაოდენობით აღურიცხველ ტოლს ამზადებენ.

მაღე ბინის საკითხსაც მოაჭახჩაკებს. თამაშმა ხომ გააფრთხილა: დროზე იქორწინე, ცოლ-შვილი რომ გვეყოლება, გინდა ოთხობიანი ბინაში ჩავსახლებო.

ნეტავი მთავარი სამმართველოს უფროსი ასე თვავიანდებით რატომ აძალებს ცოლი შეირთო. მართალია, ღონდაც არ უსახლებს, მაგრამ ეს ხომ თავისთავად იგულისხმება. ვერც იმას მიმხვდარა, სოლომონის გულისათვის ზაქარიამ არმანში ასეთი მეთურო პურმარილი რატომ გაშალა? ალბათ იმის ჩვეულება უნდოდათ, აი, რა საჩინო მეგობრები გვეყვანან, ამათი მეშვეობით ცხოვრებაში ბევრ რამეს მივაღწევთ. ან შეიძლება განგებ მოიქცენ ასე! ზაქარია და ნათია ცხოვრებაგამოვლელი ხალხია, იციან, რომ მალალი თანამდებობის პირთან ახლო ყოფნა ქალს პენსა და ემსხა შატებს, ისევე, როგორც ლა-

მაზი ქალის სიახლოვე კაცს შემეცნაობის და გამორჩეულა ხდის.

ნეტავი ღონდა რა თვე იდებს? კარგი და, თითონ რაღას ეხვევება, ქალი ხომ არ განყდა ქვეყანაზე. უნდა ხმა გაავრცელოს, ვითომ სხვაზე იწერს ჯვარს! აი, ნახავ თუ გამოერაძეები თითონ არ შემოეხვევნენ!

ლილიმ და მზიამ თუ გაიგეს მისი დირექტორად დანიშნვა? იყონსაუფნო, იმათ გუგებარი არაფერი! ახლა ხომ ირწმუნებენ, იმათზე მალა რომ დგას, დიდი საქმეებისათვის არის გაჩენილი! ერთი ეს არის, მამამ ხასიათი ნაუხდრა. იმის მაგივრად, რომ შვილის დანინაურება გახარებოდა, მიელოცა, ჭკუის სწავლებას მოჰყვა, ფრთხილად მოიქცო, წარმებებამ არ გაგანებოვოს. იყოფე, რაც უფრო უცებ გადაეკადვებო, მით უფრო მალე დაპატარავდებიო.

ესტატეს ნათქვამის გახსენებამ ბადრის ოცნება ჩაუშინარა. გვერდი იცვალა და შეეცადა საკუთარ ფიქრს გააქცეოდა, მაგრამ იმ აზრს ემანდ მამჩემს ვინამ არ უყვილოსო, თავიდან ვერ იცილებდა.

საბნიდან თავი ამოყო და გუშინ სალამოს ნაყოფი „თბილისი“ გაშალა, იქნებ კითხვაში ძილი მომეროოს, თვალის მოკაცყურო.

ეს რა ემართება — წერილებს, ინფორმაციებს დაკვირვებით კითხულობს, მაგრამ ევრაფერს ვებულობს, თავში არაფერი რჩება. ნეტავი რად არის ასე უნებისყოფო, რატომ არ შეუძლია ყურადღების გამახვილება? ეს ჯერ კიდევ ბავშვობაში დასჩემდა. მასწავლებელი რომ გაკეთილს უხსნიდა, მისი ჭკუა-გონება ნისქილში ტრიალებდა და იმას ფიქრობდა, იმას სწუხდა, მშობლებს მარანში გადამაღულ უფლისათვის არ მივგნო.

ბადრის სამგლოვიარო განცხადებების კითხვა არ უყვარდა, იმათ ჩაინყალონ თვლები, ვისაც მწუხრის ფაში დასდგომიან, ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, სიკვდილის მსახერარი ხელი ვერც იმას და ვერც იმისიანებს ვერასდეს შეებოდა.

ამჯერად კი, რაკი გაზეთში ნასაკითხი აღარაფერი ჰქონდა, სამგლოვიარო განცხადებებს გადაავლო თვალი, ბარემ იმასაც გაუგებ, ვინ მოკვდა, ვინ დარჩაო. და უცებ მისი მზერა, პირველ სექტში დაბეჭდილ განცხადებაში მიეჯახდა. ლილი გოორგის ასული ფრიაძე — ეწერა განცხადებაში. რა ვენა, ხომ არ მეჩვენებო, წაილაპარაკა ხმადაბლა. თვლები დახუჭა და უშალ ფართოდ გაახილა, მაგრამ განცხადებაში იგივე ამოკითხა.

ლოგინიდან წამოხტა, ფანჯარასთან მიიჩინა, სამგლოვიარო განცხადების მალწეებელთა სახელები წაიკითხა და თავისუფლად ამოსუნთქა, შვილები — ირაკლი და დათო აცხადებდნენ დედის გარდაცვალებას. ლილის ხომ შვილი ალბათ ჯერ არა ჰყავს, ეს ვიღაც

სხვა ფერადაო, დაასკვნა, მაგრამ მისამართი რომ დემთხვა, ნაილაპარაკა, დახე, ორი შეიღის დედა ყოფილა და როგორ მიმალავდაო. და უცებ გულში გაურბინა: „იქნებ ლილის ტყუპი ბიჭი შექმნა, დათო და ირაკლი ჩემი შევლები არიან და დედის გარდაცვალებას იუსუებინა!“

ფაციფუციტ ჩაიკვა ტანსაცმელი, ახლავ ავტომობილად დაერეკავ, ვინც არ უნდა მიპასუხოს, ვეტყვი, ლილის შორეული ნათესავი ვარ, განცხადება ნაეციოთხე, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავეს ქალს ეს რა დამართიაო.

— რომელი ხარ, რომელი? — გაისმა ყურმილში ნაცნობი ხმა, მაგრამ ბადრი ისე იყო შეცბუნებული, უცებ ვერ მიხვდა ვინ ელაპარაკებოდა.

— შორეული ნათესავი ვარ — მორიდებით გაიმეორა მან.

— აი, შენ მუხთალო, როგორ არა გრცხვენია, ახლავ რომ ცბიერობა!

„ღმერთო ჩემო, ეს ხომ მზიაა!“ — გულში შესძახა ბადრმა და გაიტყინა.

— ნეუელიმც იფავ, არამზადავ! დედამ შევლებს სიცოცხლე შესწირა! შენ კი უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს თავს არიდებ!

ბადრის თვალთ დაუნებლდა, ძლივსლა ამოსუნთქა, და ყურმილი ცივად დაკიდა.

\* \* \*

გაზაფხული იყო... გაღვიძებული მთაველი მწვანედ ლაღანება. დიდი თუ პატარა ბაღვენახებს შესვლიდა: ბარადღენ, თონიღენ, სხაღენ...

ესტატეს სახლში რა გააჩერება. ცისმარე დღე დილიდანვე სოფლის მაღაზიასთან იყო სარევით დარჭობილი. მოცლილი და საქმეზე გულაყრილი მამაკაცები იქ ახალ ამბებს სვებობდნენ, ნაშუადღევს ერთი რომელიმეს მარანში ქვევრს შემოუხსდებოდნენ, ღვინოს ჯამებით ზერტყდნენ, მამაპაპურ ტკბილ სუფრულს შემოსძახებდნენ.

ნოიელ პარასკევს მზე შუბის ტარზე იდგა, ღამენათევი და ნამთვრალევი ესტატე შინ რომ მილასლასდა.

— როდის უნდა მოხვიდე, კაცო ჭკუაზე? ვენახს არ უნდა მიხედო? ბაღში გამხმარი ხეხილის სანაცვლო ნამყენი არ უნდა ჩაყარო? — შუუტია სოფიომ.

— რა სატილოდ მინდა ხეხილი? კვებურა ათ წელიწადს არ მოისხამს, ჩვენ რაღას მოვესწრებით?!

— ჩვენ თუ ვერა, შეილიშვილები ხომ გაიხარებენ!

— მერე სად არიან შეილიშვილები? გული მაქვს მკედარი. ბადრიზე უმცროსები დაქორწინდნენ, დაოჯახდნენ, დანერგულშვილდნენ... ამ ჩემს ამშენებელს კი საშველი არ დაადგა. ეს მსუქანიაო, ეს გამხმარიაო, ეს კიდევ შე-

უხედავიო. მოკლედ, მაგის მოსაწონი ქალი დუნიაზე არ დაიარება! ნეტავი თვითონ ვილაა, რა თავს იდებს?!

— დედა ენაცვალოს, ტანი აკლია თუ კილამაზე! ნასწავლია, ჭკუა უჭრის. იმ დღეს ჩვენებური ქალები მუშაბნებოდნენ, სოფიო, ეს რა შეილი გაზარდე, თურმე კაბინეტშია გამოჭიშული, მოსაცდელში მთხონებულებს რიგა უყენია, სახელმწიფო მანქანით დაბრძანდება რაც ჩვენი თავი გვახსოვს, ბადრის ბადალკაცი ჩვენს სოფელში არ გაზრდილაო.

— ახლა ჩემს გულში ჩამოიხედონ, რა ცუცხლი მიტრიალებს. იმათ რა იცნა, ბადრის გზაზე დაყენება რა დამიჯდა! მამაჩემო, ათმაგად გადაგიადიო, მუშაბნებოდა. ანა მითხარი, გადამიხადა? შენ გეკითხები, გადამიხადა?

— კაცო, ხომ არ გაგიფიქვი, როდის იყო შეილი მშობელს ვალს უხედავ? თუ რამე გაქვანია, შეილისათვის არ გინდა?

— როგორ? ჭირსა თუ ღვინისათვის ორი გროში აღარ მებადოს. იქნებ რა მინერია. ხომ შეიძლება უცებ გადავბრუნდე და ფეხები გაფუშოკო. უჩემოდ სოფელში მკედარი არ დამარხებულა, ათას კაციან ქელებებში მითამადა. მამ, თავის მოჭრა არ იქნება, უხაილა მოდ და უშეშაფლაოდ საფლავში რომ ჩამაყრიანო?

— დღეში ორჯერ იტყვიან და შენი მუცლის პატრონს რა ფული შემოგენახება!

— გეყო, მოკეტე! — და ესტატემ ცოლის ჯვარი ვეგრძობე იყარა, ფეხი ჰკრა და ეღარუნით გააგორა.

— კაცო, დამშვიდდი, ნუ ეღვავ! ბადრიმ გამიშხილა, ცოტაც დამაცალეთ, საცოლვ ამორჩეული მყავს, დღეს-ხვად ვიქორწინებო.

— იტყუება, იმისი არაფერი მჯერა. სულ ასე არ გაიძახის, ცოტაც დამაცალეთ, ცოტაც დამაცალეთ?!

სოფიომ ქმართან უსიამოვნო ლაპარაკს გაცლა ამჯობინა:

— უი, ქა, კრუხის გამომშვება დამავინყდა... ნირიღები დაიმშვიდნენ...

— ნადი და, ბარზე წინიღვ ნამოიღე...

სოფიო აივანზე რომ გავიდა, თბილისიდან მომავალმა მსუბუქმა მანქანამ წათი ეხოხაკენ გადმოუხვია. რაღაც ხუთიოდე წუთმა, სახლის წინ ბადრიმ მანქანა დაამუხრუჭა. დედამ შეხვდა თუ არა შეიღს, იგრძნო, რომ რაღაც გასაჭირი ადგა.

— მამა სად არის? — შეუკითხა ბადრი, როცა დედას გადაეხვია და გადააკოცნა.

— შინ არის! — მიუგო სოფიომ.

„ვაითუ, ფული დასჭირდა! ესტატე ჭკუაზე შეიშლება, გროშს არ გაიმეტებს. იმის აყყანებას სჯობია მუშაბნებში ვისესხოთ“, — გულში გადამწყვიტა სოფიომ.

მამამ კი შეიღის დანახვაზე გაიფიქრა: „რა-

ხანა სოფელში არ ჩამოსულა, ეტყობა ფულის დაცინცვლა განუზრახავს!" და შეეკითხა:

— ბიჭო, როგორ არის საქმე?

— ისე რა, ცოცხალი ვარ! — მიუგო დანაღვლიანებულმა ბადრიმ.

— რა გულგატეხილი ლაპარაკობ, რა დაგემართა?

ერთხელ ბადრიმ სიმთვრალეში მშობლებთან დაიკვება: „ერთი ასეთი და ასეთი ქალი ჯადამეყიდა, ისე მანებირებს, ჩემი გულისათვის სიცოცხლეს არ დაიშურებს!“

ბადრის ნათქვამმა, აი, იმ ქალს ტყუპი ბიჭი შეეძინა, თვითონ კი გარდაიცვალა, ესტატეს ელეთ-მედეთი დამართა, ჩემი შვილი ისეთი უგუნურია, აღბათ მიცვალებულს ეს დასაფლავებსო.

ბადრიმ მშობლებს ისიც გაუზიხლა, ლილის ოჯახში რომ დარეკა და მზიამ გამოლანძღა.

— ე მზია ვიღაა, ასე როგორ ნამოიგრძელა ენა? — ესტატეს გულში საეტყო არაფერი გაუვლია, მაგრამ ბადრის მოუჩვენა, ვითომ მამა დაექვებით დააქცერდა.

— ლილის დეიდაშვილია! — იცრუა ბადრიმ.

— მერე იმ დალოცვილმა, საიდან იცის, იქნებ ბავშვები სხვისია?

— იტყვი ხოლმე რაღა, მამაჩემო!

— რამდენი შემთხვევა ვიცო, რომ ქალებს სხვისი შვილები კაცებისათვის თავზე მოუხვევიათ. აი, დედასა, აგდებიათ რომ მელაპარაკები. იარე, იარე, და ხომ ხედავ ცხვირი სად წაჰყავი!

— დავანებოთ ამს თავი, შენ ის მიჩნე, როგორ მოვიქცე, დასაფლავებაზე გამოვჩნდე თუ არა?!

ესტატეს გულში ფიცხელ ტყვიასავით მოხვდა ეს სიტყვები, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ვერ გაიგო შვილი სად ურტყამდა და მშვიდად უთხრა:

— თუ მიგესვლება, მიდი, რატომ არ უნდა მიხიდე?!

— არა, არ მიმესვლება!

— რახან ასეა, მაშნუ მიხვალ. — მცირე ხნის შემდეგ კი დასძინა, — თუმცა, რომ არ მივიდეთ, ცოფავა. მივიდეთ, მერე სანანებელი არ გაგებოხდეს. ვერ იცის, მისიანებს გულში რა უღვეთ, რას აპირებენ?!

ბერეი იმსჯელებს, იდავეს, ყველაფერი გონების თვალთ განჭყრიტეს და, ბოლოს შეთანხმდნენ მხოლოდ ესტატე წასულიყო დასაფლავებაზე. ბადრიმ სამასი მანეთი ჩაუთვალა მამას, თუ შესაძლებლობა მოგვეცეს, ეს ფული ლილის ძმას მიეცი, დიდი შეძლების ქალი არ იყო და ჩვენც გავიღოთ წვლილი მის დასაფლავებაშიო.

ესტატემ ცოლს რომ გაუზიხლა, ამა და ამ

ქალის დასაფლავებაზე მიედევარო, სიფიომ დაიჭინა:

— მეც უნდა ნამოვიდე, შვილიშვილებს მანაც დავედგები, მოუფელი, ვუყარაულუბი!

— რას ამბობ, შვილიშვილები, შენცა ახლა ზედგამოჭრილი პაპასა და ბებუას ეგვანებთან, ვინ იცის, ვისი შეთიხნალები არიან! — ხელი ჩაიქნია ესტატემ.

— კაცო, ეს რა ჩვევა გაქვს, ყველაფერს კუდი უნდა გამოაბა. ნეტავი რატომ იღებ ქალის ცოფვას!

— დამანებეთ თავი, არ მინდა ასეთი შვილიშვილები!

— ასე იმიტომ ლაპარაკობ, კარგი ოხერტიალი ხარ და ყველაფერს შენით ზომავ!

\*\*\*

ფერადის ცოლმა და სიდედრმა გადაწყვიტეს, შვიდნივეს ორი შავი საკაბე, თავიანთ ბინაზე მიიწვიეს ფრანგი მკერავი ქალი, პარიზიდან ახალი ჩამოსახლებული რომ იყო თბილისში და კაბების შეკერვა შეუკვეთეს. მკერავმა ქალმა, თან მონაფე გოგოც მოიყვანა და ორივემ ორი დღე თავაუღებელი იმუშავეს.

დედა-შვილმა არაერთხელ მოიზომეს კაბა. გულქანი მერკას ესინჯებოდა, აბა, ერთი შემომხედე როგორ მაფგასო. დედა შვილს გარშემო უღლიდა, აღფრთოვანებით ეუბნებოდა, ეს რა კარგად გაქვს ნელში გამოყვანილი, გახტავს, ნეტავი თუ მეც ასე მშენიარო. გულქანი არწმუნებდა: „დედა, შენც ძალიან გინდება, თალხმა კაბამ ათი წლით გაგახალგაზრდავა“.

დომენტიმ ორი დღე დის დაკრძალვის საქმეს მოანდომა, მუხბის კუბო გააკეთებინა, რესტორანში ას კაცზე სადღი შეუკვეთა. დამკრძალვა ბიუროში თვითონ წავიდა. ახლობლებმა უჩრჩიეს, თუ დირექტორი ნინასნარ არ ნახე, საფლავს სადღაც გადაკარგულში მოგვემერო. ბედზე დირექტორი ნაცნობი გამოგდა, გასულ წელს ავადმყოფი გაასინჯა. დირექტორმა სასაფლაოს თავში გამოუნახა ადგილი, ჩვენც ვიცეთ ხალხის პატივისცემა, ამ სექტორში აგერ უკვე ოთხი წელია არაერთ დაგვისაფლავებიაო. ასევე უთხრეს მესაფლავეებმა: „რახანია აქ ჯვარია დარტობილი, გვეგონა, დირექტორი ამ ადგილს თავისთვის ინახავდა!“

დღის ბოლოს სახლში შეიარა, წავიხმსებ და ცოლსა და სიდედრს პანაშვიდზე წავიყვანო.

დედა-შვილს შავად შეღებილი თმა დაებულულებიათ, სახეზე ნელსაცხებელი უხვად წაესვათ.

— გადაღლილხარ, ნამონქი, ცოტა დაისვენე — უთხრა ცოლმა ქმარს.

— სად არის ამის დრო, მალე პანაშვიდი

დაინჯება, ჩვენ ცოტა ადრე უნდა მივიღეთ — მიუგო დომენტი.

— მივალთ! — თქვა გულქანმა და უშალ დასძინა, — ღოდონით გული გადაგვეღია და ერთადერთი იქნებ შენგებამა ღუკმა.

— მშოდა, მავრამ გადამიარა!

„მე და დედაჩემის ტანზე ახალი კაბა რომ დაინახე, ამან დაგობრმავა თვალები!“ — გაიფიქრა ცოლმა და ირონიულად გაიღიმა, აქაო და, ვიცი რამაც დაგაკარგა მადლო.

დომენტიმ კი თითქოს უცებ გაახსენდაო, იკითხა:

— ხო მართლა, ლილის ბიჭები ხომ არ მოიყვანეს?

— აქ რატომ მოიყვანდნენ? — მიუგო გავიკრებიტო გულქანმა.

— ვითომ რატომ არ უნდა მოიყვანათ? ასეთ დროს უცხო უცხოს შეიხიზნავს, ხელს გაუნდვლის!

— დახე ამას, რა მომიგონია კი, ბატონო, მოიყვანე, სახლში დაისხი, თუ გინდ იშვილე. შენგან არაფერია გასაკვირი! — და უშალ ზურგი შეაქცია, ვითომ რახან ჩემი არ გჯერა, როგორც გინდა ისე მოიქეციო.

დომენტი მეორე ოთახში გავიდა, ვაითუ ნერვებმა მიმტყუნოს, ცოლი შემომელანძლოსო.

დედა შეიღს ურჩევდა, მკერდზე ზურმუხტის ქინძისთავი დაიბნე, ბრილიანტის საყურები გაიყუთე, ქალებს თვალები დაეთხრებოთ.

რძალი ვარ, ჩემთვის უხერხულია. შენ რომ დაგინახავენ ბრილიანტებში ჩამჯდარს, უფრო მეტად გაუსჯდებათ გული — მიუგო გულქანმა.

— გუყოფათ სარკის წინ ტრიალი, ნავიდეო! — გამოსახა დედა-შვილს დომენტიმ.

— გვადროვე, სული ხომ არ უნდა ამოგვხადო! — მიუგო მკვახედ ცოლმა.

— მოვასწრებთ! — ეალში არ დარჩა სიდედრო.

ესტატემ კითხვა-კითხვით მიავნო იმ სახლს, ლილი რომ ცხოვრობდა. დაკრძალვამდე ორი საათი დრო ჰქონდა, ამიტომ იქვე საპარკმხეროში შევიდა პირის გასაკეთებლად. ახალგაზრდა პარკმხერმა იგი თავისთან მიიხმო „ცოცხალი, სხარტი ჯელია, უმტკვნელოდ გამპარასე!“ — გაიფიქრა ესტატემ და საკუთარ სიფათს თვალი შეავლო. დიდ, შეუჩვეველ სარკეში თავი უფრო გატეხილად, დაბერებულად ეჩვენა, გული დასწყდა, ეპ, ქოფაკი ძაღლივით ჩუმად ნამოშპარა სიბერეო.

ესტატმა დაუსვა თუ არა წვერზე სამართებელი, ესტატემ ტკივილისაგან კინაღამ იკიფლა.

დალაქმა გაჭრილ კანზე თითი ნააფარა: — ძია კაცო, ხომ არ ნუხდები?

— არა! — მიუგო უცმაყოფილად ესტატემ. აკრუხულ შუბლზე კი ეწერა: „მე ღმერთადლო, კი არ მპარასე, მატყუებ და, შევწუხებში, ამა მამ რა ოხრობა იქნება!“

დალაქი ფროხილად უსვამდა სამართებელს, თან გაღიზიანებულ კანს თითებით უხელდა.

— ეპ, რა უჭულმართია წუთისოფელი მამ აფსუსი არ არის, რომ პროფესორის ცოლისთანა დადებული ქალი მინაში იწვევს! — ნაილაპარაკა პირველმა პარკმხერმა.

— ვაჭზე ამბობენ, ქალების მუსუსიაო, ერთი გოგოც შეუცდენია. ისიც თურმე დღესხვალ ილოგინებს! — თქვა მოღარემ.

— ეს გოგო მომაკვდავ პროფესორის ცოლს თავზე დასდგომია, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებსაც ის უწევს დედობას! — შეიშინა დამლაგებელმა ქალმა.

ესტატეს ცრემლმა თვალი დაუნისლა, ბუნდოვნად ხედავდა სარკეში ყველაფერს. მგრძობობიარე კაცი იყო, ხალხს კი გულჭილი ეგონა, ალბათ ასე ჩასთვალა ხელოსანმაც:

— ძია კაცო, თქვენც შეგანუხათ ამ უბედურებამ?

— ეპ, ჩემო ძმაო, ამ ქვეყნად ურცა და ბედშავობა არავის აკლია!

ასე როგორ აიშვა თავი? ამ ღმერთგამწყარალს ქალებში სიარულის მეტი არაფერი უკეთებია!.. თან ჯერ ერთი უბედურება არ მოუვლელია და, მეორე აუტუხია! ეპ, როგორ უმძიმს დასაფლავებაზე მისვლა. შესაძლოა ქირისუფლებმა გალანძღონ, გათათხონ, ცხვირწინ კარები მოუჯახუნონ?! რა ჰქნას, განზე მიიხე ვერ დადგება, დაკრძალვას უნდა დაესწროს, ბავშვებსაც ნახავს, იქნებ, მართლა ბადარის ნაყოფილარები არიან!

ლილი უკბოში იწვა, გაცრეცილი, სანთელივით ყვითელი ხელები ჩავარდნილ მკერდზე დაეკრიფა. კისერი ოდნავ მოუღერებია, სწორედ ისე, როგორც სიცოცხლეში იყოფა, როცა განაწყენდებოდა ხოლმე.

ცხედრის ირგვლივ ცოცხალი ყვავილებით ახუნძლული კალათები ეღაბა, თავით სანთელი დაენთოთ. დედა-შვილი დამწუხრებულნი ისხდნენ, თვალს არავის უსწორებდნენ. დროდადრო მავრა მწარედ ნამოიქითიხებდა ხოლმე, ამას გულის ტკივილით კი არა, უფრო ცხედრის გარშემო მსხდომ ახლობელ ქალების დასახანად აკეთებდა.

დომენტი კარებთან იდგა, ოდნავ მოჭტულთი თვალი ღოჯიაში გამავალ ფანჯრისათვის გაემტკრებია. დერეფანში დაკიდებული რუპროდუქტორიდან დაღერილ სამგლოვიარო პანგებს უსმენდა.

ესტატემ ცხედრის შემოუარა და დერეფანში შეჩერდა, უნდოდა ვინმეს გამოლაპარაკებოდა, იქნებ შეეცყო ბავშვები სად ჰყავთ, ბარემ იმთავაც დაეხედავ, ვალს მოვიხდოო. იმას კი არავინ იცნობდა, ყველა თვალს არ-



საქართველო  
1925 წლის  
11 ნოემბერი

დებდა, თანაც მესამომხრენი წუთით ჩერდებოდნენ დერეფანში, მერე თავბრუსხვევით ფეხაკრეფით გადაიხადნენ გარეთ.

უცებ რეპროდუქტორი ახრიალდა, მუსიკა შეწყდა, ბინაში სიჩუმე ჩამოვარდა.

ესტატემ ბავშვების ტირილი გაიგონა.

დიდება შენს საკვირველებას, ღმერთო! რა ნაცნობი ხმა აქეთ?! ეჩვენება, თუ რა არის: ასე ხომ ბადრი ტირიდა, როცა უშინო იყო. და უშიშარ გუნებაში თქვა: „ეს რამ მაფიქრებინა, ბადრის ბოხი ხმა ჰქონდა, ესენი კი შოშიას უგინგლო ბარტყლებით ჭყვიან!“

ცხედარი რომ გამოასვენეს, ესტატემ გვერდით ოთახის ღია კარებში ოქროსფერთმიანი ახალგაზრდა ქალი დაინახა, ზნაღში გახვეული ბიჭუნები რომ ეჭირა. ქალი გულამომჯდარი ტირიდა, გაღურებულ დანებებულ ცრემლი ჩამოსდრიდა. ბაღლებს კისერი ეღუნებოდათ, თათებს აფათურებდნენ.

ესტატე გაოცებული შესცქეროდა ბავშვებს. ორივეს ბადრიძეების ფერი და იერი ედო, თანაც მითხაროთ მალაღი, ფართო შუბლი ჰქონდათ, მარჯნი ყველაზე ნიშნადობლივი ის იყო, რომ ერთ ბიჭუნას ტუჩის ზემოთ, საულვაშეზე პატარა ბუსუსი აჩნდა, სწორედ ისეთი, ახალდაბადებულ ბადრის რომ ჰქონდა, რაც მერე ხალად გადაეცა.

რა დაკვირვებს იმ ბედნიერ დღეს, ბადრი რომ შევიძინა. ხუთი დღე გადაბმული ქეიფობდა, მღეროდა, ცეკვავდა, ყველას ეხვეოდა, ყველას ჰკოცნიდა. განსაკუთრებით იმით იყო აღფრთოვანებული, ის ეამაყებოდა, ვინც კი მისი პირში ნახა, ყველა ერთდროულად ეუბნებოდა, ზედამოჭრილი შენა ხარ, ასე როგორ დაიბნევეს. ახლობლებმა, ნათესავებმა პატარა ბიჭუნები რომ ნახონ, აღბათ იტყვიან, ორივე ზედამოჭრილი ბადრია, ამასთანავე პაპასაც გვარინად ჰგვანანო.

ესტატეს უცებ მოუნდა ბავშვებს მიფერებოდა, გულზე მიეკრა, ფუნჯულა ლოყები დაეკოცნა. და ორივეს ერთდროულად თითი ნიკაპზე მოუფაცუნა:

— ალუ! ალუ!  
მოეჩვენა, რომ ერთ ბიჭუნას, წყლიან თვალებში ცრემლი უკრთოდა. მეორის თვალებში უფრო მეტი საცოდაობა ამოიკითხა, რამაც გულ-ღვიძლი დაუნვა და დაუდაგა. მზიას ეს შეუძინებელი არ დაარჩენია.

— მზია ხარ, არა? — შეეკითხა ესტატე.  
— დიახ, ისა ვარ! — მიუგო მზიამ.  
— შე ბადრის მამა ვარ! სანყალი ქალი, ეს რა ბედი სწერებია?!  
— მკვდარს აღარაფერი ეშველება, ბავშვებზე უნდა ვიზრუნო. ლილის ძმისცოლს აურემებია, ბიჭები საბავშვო სახლში მივიყვანოთ, იქ უფრო უპატრონებენ, კარგად გაზრდიანო! — თქვა ნუხილით მზიამ.

— რას ამბობთ, ჩემს შვილიშვილებს უპატრონო ბავშვთა სახლში რა უნდათ! — მიუგო ესტატემ.

— თქვენი ასე ამბობთ, მაგრამ ზოგი ბადრის უკითხეთ!

— იმას რას ეკითხებთ, ჩემს ოჯახში ჯერჯერობით შე ვარ უფროსი! — ესტატე ერთხელ კიდევ მიუფერა ბავშვებს, მზიას აღერსიანად გაუღიმა და თვალაცრემლებული გარეთ გავიდა.

\* \* \*

შვილი მამას ეკე-საბურთალოს ქრილთან ელოდა.

ესტატე ჩაჯდა თუ არა მანქანაში, ნაღვლიანი ხმით თქვა:

— შვილიშვილები ვნახე, კარგი ბიჭები არიან, იმათი ცოდვით დავინვი!

ბადრიმ აღმაცერად გადახედა ესტატეს და მანქანა ერთბაშად გააქანა:

— შენ ეს მითხარი, მიცვალებული გამოასვენეს?!

ესტატემ თანხმობის ნიშნად თავი ჩაიქნია, და მცირე ხნის შემდეგ თქვა:

— ეჰ, ნეტავი ლილის ეცოცხლა! დედა მანც დედაა, იმაზე უფრო არაეის შესტკივა შეილებზე გული!

შვილმა კვლავ აღმაცერად გადახედა მამას, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ფართო ქუჩაზე რომ გავიდნენ, მარცხნივ უნდა გაეხვით, მაგრამ ბადრი გმირთა მოედნისაკენ მიაქროლებდა მანქანას.

— რა გემართება, ვერ დაინახე, ცხედარი მარცხნივ ნასვენეს! — შენიშნა ესტატემ.

— დამაცადე, შენზე უკეთ ვიცი გზები! — მიუგო ბრახით შვილმა.

— გამაგებინე სად ეშმაკებში მიგყვარ?

— ავტოსადგურში.

— იქ რა დამარჩენია, სასაფლაოზე ნამიყვანე.

— რა საჭიროა, ხომ იყავი, ხომ მოუსამძივრე?!

— რას ამბობ, საფლავის კარამდე უნდა მივაცილო.

— რახან არ იშლი, ტაქსში გადაჯექი. ჩემთვის უხერხულია, ვერ გამოვიჩნდები.

— უხერხული ისაა, რომ შვილების დედის დასაფლავებას არ ესწრები. ბიჭები დაიზრდებიან, დავუკაცვლებიან, რითი გაიმართლებ მათთან თავს? დედის არადაიფხასებელი მამა შვილებს არ უყვართ.

ბადრიმ მანქანას უცბად სიჩქარე გამოუცვალა, და აყვირდა:

— დამანებე თავი!

— ტრიპა, ჩემზე ჭკვიანი ხომ არ გგონია თავი?! მერე და, ვის უყვირი, რომ უყვირი! ვაგაკიო კაცი მამასთან ხმას არ აიმაღლებს!

— მამაჩემო, რა ლექციებს მიკითხავ, რი-

თი ვერ გაიგე, რომ ეს ქალი ჩემი კანონიერი ცალი არ იყო.

— ბიჭების მამა ხომ ხარ?

— გამაგიჟებ... რაც ვინდა, იპას იღებ, რაც არ ვინდა, ვითომ ბაიბურში არა ხარ. როცა ქალის კანონიერი ქმარი არ უფავო, მისი შვილების მამა როგორღა ვიქნები?

— მამა ხარ, აბა მამ ვინა ხარ. მიდი და ნახე, ბიჭებს ჩვენი იერი და ფერი ადევთ. ერთს საუღლაშეზე შენნაირი ბუსუსი აქვს. შენი ხმით ტირიან... ჩვენი სისხლი და ხორცი არიან...

ბადრის უნდოდა ევგენია, გაჭუმდი, ჩემს საქმეში ნუ ერევო, მაგრამ ყელში რაღაც გაეჭიხრა, ენა ვერ მოაბრუნა.

ესტატე კი განაგრძობდა:

— ემ, კული მაქვს მკვდარი! თურმე უპატრონოთა სახლში უპირებენ მიბარებას... როგორ? ჩემი შვილიშვილები სხვაგან იზრდებოდნენ, მე კი რვათვლიან ბინაში ცნებიერობდე, ცარიელ კედლებს შევცქეროდე? არა, ეს არ მოხდება, სახლიც იმითია და კარიც, იმით უნდაცვალდე, უიმითოდ ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ.

— კარგი და მე აღარ შევითებები?! — როგორც იყო ამოღერდა ბადრი.

— რა უნდა შეგაკეთოში?! თქმულა, გაგონილა, რომ ვაგაკემა მამამ უმწეო შვილებს ზურგი შეაქციოს. შედისმაგარად მიატოვოს?!

ბადრი მიხვდა, რომ ეს დასაწყისი იყო. თუ ამთავითვე მამას საკადრის პასუხს არ გასცემდა, პირში ბურთს არ ჩასარჩიდა, უფრო გაუთამამებოდა, უფრო მეტს მოსთხოვდა.

— გადაკვრა ხომ არ მოასწარი, ასე არუფლი რომ ლამაზაკობ?! — და სიტყვას უადგილო სიცილი დააყოლა, რაც ბადრის დაუფიქრებელ ნათქვამზე უფრო დამამცირებელი და შეურაცხველი იყო.

— რა უნდა გელამაზაკო, შე ნადირო! პირუტყვსაც უყვარს თავის ნაშიერი და, შენ რა გემართება, რა ღმერთი გიწერება, ამხელა ცოდვა-ბრალში რატომ დგები?!

— გეყოფა! — შესთავაზა ბადრიმ და თითქოს უნდა ამ უსიამოვნო საუბარს რაც შეიძლება მალე შორქესო, ერთბაშად სიჩქარეს მოუმატა, თან გაფაციცებით სარკეს უმზურდა. ტელევიზიის სახლთან მანქანა დამუხრუჭა და უკან მობრუნდა ტაქსის ხელით ანიშნა, გაჩერდით.

ესტატე ტაქსი გადაჯდა.

ბადრიმ ტაქსის შოფერს ფული გადაუხადა, თან სთხოვა, მუხათგვერდის სასაფლაოზე წაიყვანო.

პროცენია ფერდობზე მიემართებოდა, ცხვიარი შავ ტილოგადაფარებულ მანქანაზე და-  
4. „მნათობი“, № 2.

ესვენებინათ. კუბოს თავსა და ბუნებრივად და-  
ქაბუკი იფდა.

ბალდაბინის უკან მიმავალ „ვოლგაში“ შოფერის გვერდით დომენტი იჯდა. უკანა სავარ-  
იელზე გულქანსა და მავრას მოუკალათათ.

დედაშვილს მანქანის ფანჯრები სანახევროდ ჩაენიათ და აქეთ-იქით დაყრილ მთავროვნულ გასცქეროდნენ.

— ეს რა გადაკარგულში გაუხსნიათ სასაფლაო! მკვდარი რომ გაცოცხლდეს, სახლში გზას ველარ გამოიგნებს? — ჩაიკინა მავრამ. დომენტიმ ალუღების გასაქარებლად ჩაახველა, ოფლით დაყვარული შუბლი მოინმინდა, გუნებაში სიფედრი გაკიცხა: „ეკ, რა ჭკუაშოკლე და ცხვირ-პირ ნაჭმული ხარ! მოიცა, ეს დედე შენც მოგელის, მაშინ გამოჩნდება, მკვდრებით როგორ აღსდგები!“

მანქანა მთის წვერზე აჩქარა... კილომეტრის დაშორებით ვრცელ ტაშირზე უკიდვანო სასაფლაო გამოჩნდა...

ტაქსის შოფერი სწრაფად მიატროლებდა მანქანას, მაგრამ მარცხნივ გადაუხვიეს თუ არა, სიჩქარეს მოუკლო, რადგან პროცენიას ნამოუწევინ.

— ბიძაშემო, თქვენი ხალხია? — შევითხა ესტატეს შოფერი.

— როგორ გითხრა, ხეირიანად არავის ვიცნობ!

აეტობუსი, მსუბუქი მანქანები უკან მოიტოვებს და ბალდაბინს კვალდაკვალ მიჰყვინ.

მიცვალბებული კაცი იყო. დაკიდულ აღმართზე მიმავალ გზაზე კიდევ რამდენიმე ცხვიარს მოსვენებდნენ. უწყვეტ ნაკადად მიმავალ მანქანებს თავი და ბოლო არ უჩანდა.

— ერიპა, ჩვენ თუ ასე ვიარეთ, დასაფლავებას ვერ მივუნსრებ! — დაიჩვიდა ესტატემ.

— უღალური ვარ, ბიძაშემო, ცხვიარს ვერ გაუხსნრები! — აი ამიტომ შეჯერები სასაფლაოზე ნამოსვლა, ბევრი დრო იყარგება!

— გინდა, არ გინდა, ბოლოს ყველი აქ ამოვბრძანდები! — თქვა ესტატემ და შოფერი დაიბნდა, ნუ ნუხარ, ზედმეტს მოგცემო, მართლაც სამი მანეთი დაუმატა, თან სთხოვა: „მამაშვილობას, დამელოდე, არ გაგამანყენები!“

შოფერმა საათს დახედა, რა ვქნა, ვერ დაგიკვირ, ნახვარ საათში გარაჟში უნდა შევიდეთ.

ესტატე სასაფლაო შემოიარა, მაგრამ ვერ მოაგნო ლოცვა სად კრძალავდნენ. ბოლოს, განზილბუკა, მანქანების გასაქარებულ მოედნისაკენ გაემართა.

— ძია კაცო, დაჯეტი, თორემ ნაყედი! — გადმოსდბა შოფერმა. ესტატე აეტობუსში ავიდა. ნინა რიგში



მჯობია გოგონამ მეორეცხლად ადგოლი და-  
სწრაფი.

— გეტყვით, დიდიმ მთავრებო სრულსართუ-  
ლად საბუღალტრო შენგრა:

— გეტყვით, მთავრებო, დააფრთხილეთ, ღუ-  
რეთ მეტყველება, ლიტერატურაში, სწუფ-  
რად ახვეწებუა გამწილილი.

— კი ბატონო, რახან აქამდე მოვედი, სა-  
დალა წავალ! — მოუგო ესტატემ, ლიტერატურაში  
წავიდა მადრამ ნელ-ნელა გვერდით შეტრი-  
ადა, სახლს ამოეფარა, და ჩქარა ნაბიჯით  
გამარჯვების პარასკეპტზე გავიდა.

ყოყმანობდა, აღაშშინო მისვლა უნდოდა კი-  
დეც არც უნდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც  
მისვლა აშკარადა, ბადრის მოყვებულ ფულს  
ას მანეთს დაეფრთხილებ და შესანიარავს გაეი-  
დებო.

ხუთსართულიან სახლის ახლო-მახლო მან-  
ქანები არა ჩანდა. დერეფნიკენ მიმავალს  
ფეხი უკან რჩებოდა, აღბათ, სტუმრები უკვე  
მაგიდას უსხედან, და ჩემი მისვლით ხალხი  
შეაღწებო. კრძალით ალასლასდა მესამე  
სართულზე. სახლის კარები დაკეტული დახუ-  
და ბინაში ჩამოჩუმი არ ისმოდა. კარებთან  
შეჩერდა, დააფურცადა. და უცებ სიჩუმეში ბი-  
ჭუნების ტირილი შემოესმა, რამაც გამბედა-  
ობა შემატა და ელექტროზარის ლილაქს თა-  
მამათ თითი დააჭირა.

კარი შევებნი ჩავმულმა ხანდაზმულმა ქა-  
ლმა გაუღო:

— ვინ გნებავთ?

ესტატე დაიბნა, არ იცოდა რა ეპასუხა, ქა-  
ლი კი ეჭვს თვლით უმზერდა, მეორედ გა-  
წეწორა, მითხარი ვინა ხარ, რა გინდაო.

უცხოების დემილით გულმოსულმა ქალმა  
სახელურს ზელი წაატანა, უნდოდა კარები  
დაეტურა.

— ბიჭუნების პაპა ვარ! — ძლივს ამოი-  
ღვდივლდა ესტატემ.

— ბადრის მამა ხარ! — დაიკვილა ქალმა

— აი, თქვე ნვეულებო, ფარისეულებო, ქალს  
საკოცხლებ მოუნარაფეთ და ახლა სვირის სა-  
ნახავად მოდიხარათ?!

ესტატეს თავეზა აებნა, მინა რომ გასკდო-  
ნიდა და თან ჩაეტანა ვრჯია.

— დედა სებბო, ვინ არის? — გაისმა  
მზის ხმა.

ეს მე ვარ, შვილი! — მოუგო ახალგაზ-  
რდა ქალის გამოჩენით გახარებულმა ესტა-  
ტემ.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! —  
რთხაში მოიაპატოვა მზიამ სტუმარი.

სებბომ აღმაცურად შეხედა მზიას, არ ესი-  
მბოლო სტუმრისადმი მისი თავაზიანობა უკ-  
მაყოფილების ნიშნად ორივეს ზურგი შეაქ-  
ცო, სამზარეულოში გავიდა.

— რთხაში ორი ხის სანოლი იდგა. ერთზე  
ხაჭაპური იწინებ. ესტატე შელიძვილებს თა-

ვით დაუჯდა, თითი ნიკაზე ნაპირსადა

— პაპა გვრაცავლოთ, ზოკერებო, თვალა  
გაბნეული!

მუსუნიანმა ბავშვმა ოდნავ გამოიხედა, მა-  
გრამ სინათლს მიუჩვეული იყო და მაშინვე  
თვალა დახუჭა.

მეორეს კი მშვიდად ეძინა.

— ბატონო, რესტორან „ივერიისი“ რატომ  
არ მიბრძანდით? — შეეკითხა მზია.

— რას ბრძანებ, განა სარესტორნოდ მაქვს  
საქმე? — გაიკოცა ესტატემ.

— ბინა პატარაა, აქ ხალხს ვერ დასტედე-  
ნენ, ამიტომ სადღილი რესტორანში გამართეს!

— კიდევ არა, მიკვირდა, რატომ ოჯახში  
არავენ მოვიდა მეთქი! ეს რა მოუგონიათ?!  
აქ ნათქვამ სიტყვას სხვა ფასი აქვს, ჭერს  
დალოცავ, ჭირისუფლებს გაამხნეუებს!

ესტატემ ჯიბიდან ოთხასი მანეთი ამოიღო  
და მზიას გაუნოდა:

— აი ეს ფული ბავშვებს მოახმარე! —  
იმის თქმაც უნდოდა, შენც გამოიყენეო, მაგ-  
რამ ვერ შეხედა, შეიძლება ითაკილოს, არ  
გამომართვასო.

მზიამ განზე გაიწია:

— ბავშვებს არაფერი უჭირთ... სანამ შე-  
მიწლება, გვერდიდან არ მოვიცილებ, უკუაბ-  
რუნებ!

— შეიღო, თავს უნდა გაუფრთხილდე, შენს  
მეგომარეობაში მყოფ ქალისათვის იოლი  
როდია ორ-ორი ბავშვის მოვლა, — და ეს-  
ტატემ მზიას ხელი წაატანა, უნდოდა მუჭში  
ფული ჩაედო, მაგრამ ქალმა ხელი ისეთი მო-  
ძრაობით წაართვა, ამჯერა იყო, არამცდო-  
არამც არ დათანხმებოდა.

— მამ კარგი, ახლა წავალ, ბავშვებს ჯერ  
ვერ ნავიყვან... დანგრეული ოჯახის ქარს ასე  
უცებ ხომ ვერ გამოკეტავთ? ორ-სამ დღეში  
კი აქ გავჩნდები!

ესტატე ქუჩა-ქუჩა დადიოდა, გამეღვლე-  
გამომღვლელებს ეკოხებოდა: „ხომ ვერ მიმას-  
ნაღილი აკუნებს სად ჰყიდოან?“ გველა იმას  
ეუბნებოდა, აკვანი ძველი საშობილეია, მზო-  
ლოდ კვირა დღეს გამოაქეთ ბაზარშიო.

ერთმა ქალიშვილმა, ტოტბბგადაცვილი  
ჯინსები რომ ეყვა და უკან ჩამოშლილი თმე-  
ბი მხრებზე თავშადივით ეფინა, ესტატეს ნა-  
თქვამზე გაიღიმა:

— ბიძია, ახლა აკვანში ბავშვებს აღარ ან-  
ვენენ!

— ეითომ რატომ?

— რატომ და, უაკნოდ ბავშვები უფრო  
ტანადები, მოხდენილები და თამამები ორ-  
დებიან! — მოუგო ქალიშვილმა.

— აგანგალა-განგალა! — ჩაიკინა ესტატემ,

— კარგი და, თამარ მეფე აკვანში არ იწეა?!

— ბიძია, ეს ვინ დაადგინა?

— შვილი, თამარ მეფე რომ უაკნოდ გაე-



ზარდათ, მაშინ არცერთი ქართველი დედა შეიღს აკვანში აღარ ჩაანჯღნდა!

აი, დედასა, ეს რა უთქვამთ, ეს რა მოურ- მახაუთ?! როგორ შეიძლება ყრმა აკვანში არ დაიარნეს, ტკბილი იაფანა არ ჩაესმას!

ესტატემ რაკი თბილისში აკვნების შოვნის იმედი დაკარგა, გადაწყვიტა ისევ თავიანთ მებზობელ სოფელში მიხუტ შეაკვნესთან წასუ- ლიყო.

\*\*\*

მამის მოლოდინში ბადრის გული გააფე- ლია, ქუჩაში მზურით თვალები დააწყდა.

სად არის, სად დაიკარგა? ეჰ, იმაზე ცუდი არაფერია, კაცი რომ დაბერდება, ტყუა კი ბავშვის შერჩება. ერთი ჭიქა ღვინისათვის ცრამათს იქით გაჰყვებან მომატივს. ეტყობა თითი დაუქნიეს თუ არა, ქვლებში ნაშოდიო, ქორისუფლებს აედვენა, აღზათ ღვინით აჭი- ქიკებულნი ათას სისულელეს რომავს. ღღლის ახლობლებს იმასაც არ შეპირდეს, ბავშვებს მე ვუპატრონებო.

ესტატე რომ არა და არ გამოჩნდა, ავტო- სადგურში წავიდა, შეიძლება გამინანჯნდა და ჩემთან შემოუფელდად სოფელში აპირებს წას- ვლასო.

ავტობუსის მომლოდინე ნაცნობებმა უთხ- რეს, საათნახევარია აქა ვართ, მამაშენისათ- თის თვლი არ მოგვიკრავსო. მერე რკინიგზის სადგურისაკენ გაეშურა, იქნებ მატარებლით მოინდომა გამგზავრებაო, მაგრამ მამა ვერც იქ იპოვა. შინ რომ მივიდა, კარების ღრუბო- ში გარჭობილი მისი ბარათი დახვდა: „მიე- დივარ აკვნების საყიდადად, ვეღარ მოვალ, ნუ დაშელოდები!“

„გადამრევს ეს კაცი! ნეტავი ვინ დაავალა აკვნების ყიდვა“, — წაილაპარაკა ბადრმა ბა- რათი ნაკუნ-ნაკუნად აქცია და ნაგვის ყუთ- ში ისროლა.

როგორც უგუნებოდ ყოფნისას ემარადებო- და ხოლმე, ამჯერადაც თავისი ცოდვები გა- ახსენდა, და თავის გამართლებას მოჰყვა.

ღღლის წინაშე მართალი ვარ, მე ხომ არ დაჯატანე ძალა ბავშვი უუქველად იულოიე- მეთქი. მზიას რაღა დემართა?! ჯერ იძახდა თავს მოვიკლავ და ბავშვს არ გაეაჩნო, ახლა კი ამბობს, შეიღს ვერ ვუღალატებ, რაც არ უნდა დამემართოს, როგორი სირცხვილიც არ უნდა განვიცადო, ბავშვს შევიანარწუნებო. რა ენაღვლება, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ, ოღონდ მოეშვენ. კანონი ბადრის მხარეზეა, ვერც მელიგინე ქალის მზრუნველობას დაა- ვალდებულებენ, ვერც — ბავშვის პატრონო- ბას!

\*\*\*

მარაგზაზე, სოფლის გადასასვლელთან, ავ- ტობუსი გაჩერდა, უკანა კარი გაიღო და ეს-

ტატე ჩამოხტა, მზხაერებმა ორი ტყუილად და- ანოდეს, შვილიშვილების გაჩრდა უსურვეს და ხელის ჩამორთმეობით გამოეშვედობნენ.

ესტატემ აკვნები თოკით ერთმანეთზე გადა- აბა, ხურუნჩივით მხარა მოიღალა და ორ- ლობეს გაუყვა. გრილი წივი სახეზე ეღამუნე- ბოდა. აფუთქებულ კერტისა და ნორჩი ზღა- ხის სურნელით გაფორილ შავრს ღრმად ისურ- ნქავედა. ირგვლივ ჩამოყარდნულ სარწმუნო მოძალბებულ ფიქრს გულსხუერს აფილავდა:

კარგ ფეხზე იარა. შეაკვნენ შიბაქებიც გა- მოატანა, მთელი ქვეყანა რომ გადააბრუნო ვერ იშოვიო. თუ ხელი არ შეეშალა, ორ-სამ დღეში შვილიშვილებს სოფელში ჩამოიყვანს, ერთ ბავშვს ბებოას მიუჩნეს, მეორე აკვანს თვითონ მოიადგამს სანოლთან. ეჰ, დედა მაინც არ გამოსცდოდათ! დედის ძუძუზე უკეთ ბავ- შვებს არაფერი შერგებათ, არაფერი გააკა- ვებთ! ნეტავი ძიძა ამოფინდა ერთი, ახლანდელ ქალები საყუთარ შეიღებს არ აწოვებენ ძუძუნ და უცხოს გამიდედად რას დაუდგე- ბიან.

კოლმეურნეობის მოანგარიშებ, დათამ, სო- ფლის თავში რომ ნაშოვნია, სოცილი დააყა- რა:

— ესტატე, ეტყობა კარგად ვაქვს საქმე, რძალი ვერ არ მოგიყვანიათ და აკვნებს იმა- რავებთ!

— ყურები გამოიჩიქნენ, პაპა ვარ, პაპა! — მიუგო ესტატემ.

— მამ, პური გვიჭამია და ეგ არის!

— ერთხელ კი არა, ორჯერ ვიქვიფებო... ტყუაებს ცალცალკე უნდა გადაუწადო ძე- რობა!

— ესტატე, ერთხელ იყოს და წვენი არ გა- უვიდეს!

— გული კარგად შეინახე, ხომ იცი, სიტყ- ვის კაცი ვარ!

ესტატემ წყაროსთან შეკრებილ ქალებს ქა- რაფმუტული კითხვებით თავი რომ არ მოე- ბურებიათ, მიესალმა თუ არა, ჩაიტრახახა: „მებზობლებო, პაპა ვარ, ტყუაი ბიჭი შეგვეძი- ნა!“

საწყობის გამგის ცოლმა თვალის ჩაკვრით ქალებს რაღაც ანიშნა და ესტატეს მიუბრუნ- და:

— ჰო, მაგრამ უცულო კაცს შვილები ვის- თან ეყოლა?

როგორ უნდოდა ესტატეს უდიერი ქალისა- თვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ უცებ ვერაფერი მოიფიქრა და თავისთავზე გულმო- სულმა გაწუმება ამჯობინა.

ქალმა თავი გამარჯვებულად ჩათვალა და ენა ნაიგრძელა:

— ესტატე, რაღაც გული შეთანადრება, შე- ნი შვილიშვილები ნაბუშყრები ხომ არ არიან? ნარბშყერულმა ესტატემ კბილით ღრჭენით შესძახა:



— ყველა ყველა და შენ რა ხმა ამოგვლება?

— და პირველ ქალს კინიკამ თითი დაატყურა თვალში, — ენა დააყენე, არ ამოლაპარაკო!

ქალი პირში წაღვამოვლელბული იდგა, ვედარ ბედაცხა სიღრმის შემორუნუნებს, ესტატეს რა ენაზე ქალის მოცულება, რაც იცის და არ იცის, ყველაფერს დადევას, თავს მომჭრისო. ნახევარი სოფელი აკვანგადაკიდებულმა გააპრა. კაცები აბრუნდნენ, მხარზე ხელს ურტამდნენ, ელაზღანდარავებოდნენ, რახან უკვე აკვანზე წარწავ, ქორწილისა და ძეგობის გადახდა ერთად მოგინეუსო.

აივანზე გამომოძვარი ქალიშვილები ერთმანეთს ესმინებოდნენ: — ბადრიმ იმდენი ინადირა ქალებზე, ბოლოს თვითონ გაება მახეშით!

ცუროდნა ბიჭები ესტატეს რომ ასდევნებოდნენ, გაპკოლდნენ: „რა ღონიერი ძიაა, ორ აკანს ერჯავა!“

სოფლი გზაზე შემოხვდა ქმარს, კაცო, სადა ხარ, სად დაიკარგე, ნუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუტავს, ფანჯარას არ მოვცილუბჯავრ. ან ეს აკვნები რად გინდა, ვინ გამოგატანაო.

— სოფლო, ღმერთმა ჩვენკენაც გამდობიხვდა, ბებია ხარ, ბებია. ისეთი მარგალიტებით ბიჭები არიან, სულში ჩაისხავ! — ახარა ქმარმა.

— კაცო, ბავშვი ყველა კარგია.. შენ ეს მითხარი, საიდან იცო, იქნებ...

ესტატემ სიტყვა შეანჯვრტინა:

— შენი ეჭვებილა მაკლია, ორივე ბიჭი ჩვენი სისხელი და ხორცია, ჩვენი იერი აქვთ. ერთს ბადრისავით საულვაშზე ბუსუსი ამჩნევია. ისეთი საბრალონი არიან, ისეთი უმნეონი, მათი ცოფით დაღიწვი!

სოფლის გული აუჩრუდა:

— ბადრიმაც ნახა ბავშვები, ის რაღას ამბობს?!

— ნახა არა, გადანახა ჭკუაზე არაა, სისულელეებს ბოდილობს. სოფლო, იცი რა გითხრა, ბადრის ჭკუისანები ნუ გავხდებით, შვილიშვილების წინაშე ჩვენი ვალი მოვიხადოთ! თუ ღმერთი გნამს, შენებურად დატრიადლი, აკვნები გაანვე, ორ-სამ დღეში ბიჭებს ჩამოვოყვარ, რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით უფრო ბედნიერება დატრიადლება ოჯახში!

სოფლომ ისე დახარა თავი, თითქოს უნდოდა ესტეკა, ბებია ენაცვალოთ, იმათ მსახური ვიქნები, სიცოცხლეს შევალეო, მაგრამ მაინც იკოზა:

— შერე ბადრიმ იცის, თანახმაა?

— სოფლო, თუ გიყვარვარ, ეს აღარ გამაგონი! ჯერჯერობით ოჯახის უფროსი მე ვარ და ჩემი საქმისა მე ვიცი!

ესტატემ სახლის წინ ბადრის „იგულო“ რომ დაინახა, ეგოში ჩაირბინა, ტიშკრის გახსნა დააპირა, მიგრამ შვილმა გააფრთხილა, არ არის საჭირო, მინქანა გარეთ იდგეს, მალე უნდა გავბრუნდეთო.

მამა კაცის ქვეშ ჯირკვზე ჩამოყვდა წალდით თოხის ტარის გათლას შეუდგა. შვილი აივანზე ავიდა.

სოფლოს ტახტზე მოეკალათა, ჩალახემს საშინაქეს უქემსაედა.

„ჩამოხვედი შვილო? — ფეხზე ადგომით უთხრა შვილს, გადაეხვია და გადაკოცნა, — ტყუმ ვატიანობას გილოცავ, ღმერთსა ვთხოვ...“

— რა იყოთ, რა დაგემართათ, ქვეყანა შეგიყურიათ, ყველასათვის გაგიგებინებიათ, წყაროსთან ორი ნუთით შეერქრდი და ვიღამ არ მომილოცა, ვიღამ არ ამინია ყური. ან ეს აკვნები რად გინდოდათ, საიდან მოიტანეთ?! ... ენარობდა ბადრი.

— აკვნები მამაშენმა იყიდა!

— დედა, რა თავს ნაგივიდათ! — და უცებ ხმა აიშალდა, რათა ესტატესათვისაც მიენუდინა სიტყვა — რა გინდათ, რა თავსა მჭირით?!

ესტატე თოხის ტარს თლიდა, ყურს არ იბერტყავდა, წარბს არ იხრიდა.

ამან კი ბადრი უფრო გააღიზიანა:

— მამაჩემო, ამოდი, სათქმელი მაქვს!

ესტატე შშობლის უტყუარი აღლოთი ხედებოდა, რომ შვილს მტკიცედ უნდა დასდგომოდა, რათა მორჩილებამში ჰყოლოდა.

— ვაო, შენს პატრონსა როდის იყო, რომ მამები შვილებს ეახლებოდნენ? თავად ჩამობრძანდი, გვარიშვილობიდან არ ჩამოვარდები!

მამა-შვილი რომ ლაპარაკობდნენ, სოფლო არ დაგვიდებდაო, ვინ იყო მართალი, ვინ მტყუნა, და აუცილებლიე ბადრის წაესარჩლებოდა. არც ახლა გადაუხვია ჩვევას და შვილს სიტყვა ნააშველა:

— კაცო, ბარემ სოფლის მოედანზე გადი და ქადაგად დაეარდი!

— სოლომონ ბრძენივით ყველას ჭკუას არიგებს, — ნათამამდა ბადრი, — ის კი არ იცის, რომ ზაგის ოჯახში ქვეყანა არ უნდა ჩაახედოს!

ესტატემ იმ ადამიანივით ამოიოხრა, ვინც ყელში მოხვენილ ბოლმას გულში იკლავს. წალდი სათონესთან მიადგო, თოხის ტარიც უხე მიაყოლა. ზღაზვნით ავიდა აივნის კიბეზე და ცოლს მრისხანედ გადახვდა, რითაც გააფრთხილა, ენა დააყენე, უშენოთაც მოვილაპარაკებთო.

— მამა, თავი დამანებე, ცხოვრებას ნუ მიჩრევი! — ისეთი სისანულითა და მუდარითა თქვა, ვინც არ იცოდა ბადრის ხასიათი, უთუოდ მისდამი სიბრალულით განიმსქვალეობოდა.

— ერთი შეილი მყავხარ, მზე და მთვარე შენზე ამომდის, მაგრამ შეილიშვილებსაც ვერ დავთმობ! — მოუგო ესტატემ.

— შეილი მაინც შეილია, ჯერ ის უნდა იყო. თხო...

— შეილის ვალი უკვე მოვიხავე, გავხარდე, ვასწავლე, გზაზე დაეყენე! შეილიშვილები კი ჯერ უმწეონი არიან, ორ წლამდე ფეხს ვერ აიფეხმენ, თერამეტ წლამდე საზრდოს ვერ იშოვნიან!

— გამზარდე, გზაზე დამაყენე! ვითომ მეც ახლა მთელი თბილისის თავი ვარ!

— კაცის ყველაზე დიდი თანამდებობა ოჯახის უფროსობაა. ვინც ცოლშვილს უმუხთობს, ის არც ქვეყანას გამაადგება! გირჩევ, ძეგული მოიქეცე, შეილებთან ისედაც პირნათლად არა ხარ!

— ვითომ ისეთი რა ჩავიფინე, რა შეეცოდე?

— როგორ თუ რა შესეცოდე? — მწარედ გაიციწა ესტატემ. — მათმა დედამ ტყუპი ბიჭი გაჩუქა, შენ კი განსაცდელის ფაშს ზურგი შექეცე, ბუდის ამარად მიატოვე. ან საა გაქვს ადამიანობა, თითო ბავშვებს რამ არ იზრალე, არ პატრონობ?

— მამაჩემო დაბრედი, ცხოვრებისა აღარაფერი გაგვგება, რითი ვერ გაიგე, რომ ბავშვების კანონიერი მამა არა ვარ!

ესტატეს დანაოჭებულ შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა, გულსწერილმა მოიკცა:

— როგორ გეკადრება?! თუ სიამართლე გინდა, ცხოვრებისა შენ არა გაგვგება, თავი სისულელეებითა გაქვს გამოტყინილი. კაცის ღირსების საზომი ოდით ის იყო, ცოლ-შვილს როგორ მზრუნველობდა, დღესაც ასეა და მამად ასე იქნება.

— ერთმა, მამაჩემო, დღეს კაცს საყარძლით აფასებენ, და არა იმით, ოჯახში რამდენი აკვანი უდგას...

— ამით თავს ვერ გავიმართლებთ, ჩვენ უნდა მამა-პაპათა გზით ვიაროთ, როგორც იმით გავგზარდეს, ამაგი დაგვფეს, ჩვენც ასევე უნდა ვიზრუნოთ შეილებზე, ასევე უნდა გვიმადგაროთ! ამიტომ სიტყვას არ გადავალ, შეილიშვილები ჩემთან იქნებიან.

— რახან ისინი ჩემს თავს გირჩეუნია, მე აქ აღარაფერი მესაქმება! — შესძახა ბადრიმ, მესხვე ოთახიდან გავიდა და კარები ისე გაიხსუნა, მარტო ფანჯრები კი არა, კედლებიც შეზანხარდა.

სოფიო მაშინვე ოთახში შეიჭრა:

— რა გინდა, რას ჩაკიცოდი, ხომ არ უნდა ამოიჭამო! მერე და, რას ავიჩენებია, შეილიშვილები ქვეყანას მიჩვენიანო. შე კიი კაცო, ცუროდენა ბავშვებს ვაჰკაც შეილზე ნინ როგორ აყენებ?

— ქალო, თუ ღმერთი გნამს, ენა დააყენე, შენთან ლაპარაკის თავი არა მქვს! — ერთ-

გვარი მუდარით, მაგრამ მტკბერტ... ესტატემ.

— ბიჭი დაგესლდე და ახლა ლაპარაკი აღარ გინდა? რითი ვერ გაიგე, რომ ბადრი საცოლედ საზინო ოჯახის ქალს ეძებს. ორი შეილის მამის ცოლობაზე კი ჩვენებური ტუჩებ-შეთუხუნული გოგონებიც თავს გამოიფებენ.

— იცი, რა გითხრა, ისეთი ქალი, ვისაც ბავშვები არ უყვარს, ოჯახში არ შეიშვება. რაც შეეხება მენ შეილს, ნუ გერწინია, საცოლეს შოვნა არ გაუნდელდება. დასაფლავებაზე ახალგაზრდა ქალი გავიცანი. თურმე ისიც ბადრისაგანაა ფეხმძიმედ. დიდება შენს საკვირველებას, ღმერთო! ეს რჯულძალი ასეთი რა გამოვიდა, ესეი ჯიშისა და ჯილაგისაა? — ნუტავი ენა როგორ გიბრუნდება, როცა შავის ცოდეების ნახვარე შენს კისერზეა.

— უფურე ამას, ბოლოს მე არ გამომიყვანა ქვეყნის ამომგდებად გინდა სიმართლე, შენ აურე ბადრის გზა-კვადი ბავშვობაში რომ არ გავეთამამებია, ყოველ ნახვებ არ ნახარტლებოდი, მორიდებდი. თავდატყრილ კაცად გაიზრდებოდა.

— დაგავინდა, შენი შიშით ქალებს საფეხავი რომ ვერ მოჰქონდათ ნისქვილიში?! გირჩეუნია პირი წყლით გამოიყეცხო, თორემა...

— თორემა, რა?! კოლმეურნეობის საერთო კრებაზე არ გამოიგანონ ჩემი საკითხი, ვუნტავი რა შემჩრა. აი დედასა, დედასა. სად ხარ ჩემო ვაღრენილო სიჭაბუკე!

— სად არის და შენს შეილშია. რა ხარბი, მუსუსიც იყავი, შეილიც ისეთი გამოგივიდა!

ლილის დასაფლავების მეორე დღეს დომენტი დისშვილების სასახავად მიუთა.

მშებს ეძინათ. მამიდამ დომენტის აცნობა გუშინ ბადრის მამამ შეილიშვილები ინახულა და მზიას განუცხადა, ბიჭებს სოფელში ნაიყვანთ და ჩვენ გავზრდითო.

დომენტი მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე დასტურის ნიშნად მაკიდახე ბელი დასცხო:

— ასე ემჯობინება, ყველაზე მეტად იმით შესტკივთ პატარებზე გული. მზია რას ამბობს, თანახმაა?

— ჰო, ისიც ამ აზრისაა!

მეორე ოთახში გასასვლელი კარები მოეხურათ, მაგრამ ფარდა ოდნავ განუღლი იყო და დომენტი ხედავდა მზიას, ბავშვების თეთრულს რომ აუთოყვებდა. „ყოლაი, ენერგიული, გოგოა“, — ამბობდა გუნებაში და თვალს არ აცილებდა.

მამიდამ ამოიყნო ძმისნულის უიქრი:

— მზია ქალი კი არა, ანგელოზია. ღილის ღიძედ დასაუთ ამოუფეა მხარში. ობლებს პატრონობს, დედობას უნევს. იმ სახიხარმა ბადრიმ კი მიატოვა, ახლო აღარ ეკარება!

— როგორ, მზიასაც ბადრიმ აუნია გზაკვადი?



— პო, ამის ცოდვც იმან დაიდო, ნუხელ გამიწილა, თუ როგორ შესცდა, არაგონიერულად მოიქცა — და სიტყვა-სიტყვით მოუხარო მზიას ამბავი.

ბატონი ერთდროულად ატორდნენ, მზია პატარებს სანოლზე მიუწვა. იაენანა უმღერა, მის ნადვლიან ხმაში სევდა გაისმა.

დომენტის მარტო ბავშვები კი არა, მზიაც შეებრაღა, ამასთანავე გულისწყრომა იგრძნო იმ კაცისადმი, ვინც ქალ ახალგაზრდობაშივე სიცოცხლე მოუნამლა.

მამიდა კი განავრძობდა: — მამ ქვეყნად სამართალია. ვინც ღირსია ტრფობისა, სწორედ ის არის სიყვარულში დაჩაგრული. ზოგი რა მზიარულად, უზრუნველად ატარებს ცხოვრებას. ეს ღვთისნიერი გოგო კი გულმოკლულია, გატანჯული!

დომენტი ბავშვების ოთახში შევიდა, მზიას თანაგრძნობით დააცქერდა. ქალი განითლდა. მისი გაფრთხილებული სახე უფრო ნაზი და მომხიბვლელი გახდა.

მზია კაცის ფიჯაკს დააცქერდა, რალაცის თქმას ამოიხებდა, მადრამ ორჭოფობდა, ვერ ბედავდა.

დომენტომ მზერა ჩაძინებულ ბავშვებზე გადაიტანა:

— ღამე როგორ სძინავთ, ხომ არ ტირიან? — ჭკვიანი ბავშვები არიან, ოღონდ ძღომა არ იყიან!

— ჯანმრთელები ყოფილან!

— შემოყვარდნენ, სანამ შემძლება, გვერდში შევოლებიან, არაფერს მოვაკლებ, — და ასე ფიჯაკისაკენ გაქცეა თვალის მცირე ფიქროს შემდეგ, შინაგანი ყოყმანი დასძლია და მორცხვად თქვა. — ბატონო დომენტი, ფიჯაკზე ღლი გვრებთ, ნება მომეცით დავაშაჯრო! — და მაშინვე ყუთიდან ნემსი და ძაფი ამოიღო.

— ნუ ნუხდებათ, სახლამდე მგონი გასძლებს! — და თავის ნათქვამის ნათელსაყოფად ღლი მოსინჯა, მაგრამ იგი ხელში შერჩა.

დომენტი ფიჯაკს არ იხდიდა, რადგან პერანგი ილიაში გარდევული ჰქონდა.

— ბატონო დომენტი, ფიჯაკის გახდა აუცილებელი არაა, მოშვეთ ღლი!

მამ ყველა ქალი ქალია! ასეთი დაკვირვებული, ყურადღებიანი მეორე არ უნახავს... ნეტავი იმას როგორღა მიხვდა, ფიჯაკის გახდა რომ უძძიმდა. მზიას ყოველი მოძრაობა, თავაზიანი სიტყვა-პასუხი და, განსაკუთრებით, გაბრწყინებული თვალები იმას მტყუპელებს, დიდად უხარია რომ მზრუნველობს, ემსახურება!

გულქანმა, ვთქვით, ვერ შენიშნა, ღლი რომ სძვრებოდა, მაგრამ იმას როგორ ვერ ამჩნევს, ცისმარე დღე გაუნმენდავ ფეხსაცმელებით რომ მიდის სამსახურში. თვითონ ხომ ღმერთს არ უქნია, შინამოსამსახურესაც

უკრძალავს, ჩემს ქმარს შერთობრუნველდება არ სძირდებაო.

დედა-შვილი შუაზე გახლეჩილი ვაშლივით ჰგვიან ერთმანეთს. მთელი დღე მზარტეობაზე მამონოლდანი სიგარეტის ექაბებიან. გამწვანებულ სუფრანზედ არ უნდათ ხელის განძრევა. ცოლისაგან გული აქვს განწყალებული, ეს ხორცი მომანოდე, ეს ღვინო დამისხი, ეს ტორტი გადმომიღეო. ცოლს ვინ ჩივის, სიდედრიც ენაზება. ჯანი გავარდეს, ამის როგორმე აიტანდა, მაგრამ რაც დრო გადის გულქანი მარტო გარეგნობით კი არა, საქციელითაც თავის გამომტყრებულ დედას ემსგავსება. მოსალამოვდება თუ არა, შინ გული არ უჩრდდება, დედას ნაიმძღვარებს და სასიერნოდ მიდის. დედაშვილი ქროსპეტზე აიულ-ჩაივლიან, კარგად მოიღლებიან და მერე რომელიმე თეატრში ამოყოფენ თავს. ცოლისათვის საყვედური ვერ უთქვამს, რადგან მაშინვე ანივლდება, გული შეუღონდება.

ერიპა, ქვეყნად რამდენი ცოდვა-ბრალი ტრიალებს. მამიდის თქმისა არ იყოს, რამდენი უღირსი ცხოვრებით ტყებდა, ღირსეული კი გატანჯული, განადგურებულია. ობლობაში გაზრდილ მზიას რალა დაჩაგვრა, დაბრყუვება უნდოდა!

და დომენტის საოცრად მოუნდა ცხოვრებით გატანჯულ ქალს მიფრებობა, სიკეთით აეუსო. ეს იყო მისთვის ახალი გრძნობა, ასეთი რამ ადრე არასოდეს განუცდია!

— მზია, მინდა დაგეხმარო, — თქვა კაცმა და მცირე ფიქრის შემდეგ დასძინა, — გთხოვთ გულმემატიკურად, მეგობრად მიგულოთ!

— ბატონო დომენტი, თქვენისთანა კეთილ, გულისხმიერ ადამიანისაგან მხოლოდ ამას ველოდი! — ისეთი სინაზით მიუგო ქალმა, თითქოს მისდამი მოკრძალებდა, თავის დახრასთან ერთად, ხშირად გამოსხატა.

\*\*\*

სოფიო შეუძლოდ იყო, მუხლებს იტყვივდა, მაგრამ ამ დილით უთენია ადგა, ეზო უაგავა, ლოგინები გაამწევა, აკვნები გაამზადა, მეზობლისაგან რძე იყიდა, აადულა, საწოვარიან ბოთლებში ჩაასხა, ნამგზავურ ბავშვებს ეწიებათ და საქმელს გამზადებულს დაუახვედრებო.

ჭორიკიან ქალებმა მთელ სოფელს მოსდეს, ბადრიძეებს დიდი საშხადისი აქვთ, ნაბუშვრები ჩამოკუყვითო.

სალამო ხანს, ესტატეს სახლის წინ გაჩრდა თუ არა მანქანა, მთელი სოფლის ბავშვები ტრიაშულით გარს შემოეხვივნენ. განზე გამდგარი ქალები ერთმანეთს ეშუსიფებოდნენ, მაგრამ მთელი გულისყური მანქანისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. სახლებიდან მოთვალ-

თვალე გოგონები კი ფანჯრის მინებზე ცხვირებს იჭყლეტდნენ.

მანქანის უკანა კარიდან ესტატიე გადმოვიდა და ორივე ხელში შეფუთული ბავშვები ეჭირა.

სოფიო ენარსა და შვილიშვილებს გზაზე დახვდა:

— ბებია გენაცვალეთ, ჩემო ვაჟკაცებო, ჩამომიხვედით!

ენარმა მხოლოდ ერთი ბავშვი გაუნოდა ცოლს, მეორე კი მაღლა შემართა, თითქოს უნდა მიელ სოფელს დაანახოს:

— ჩემო მეზობლებო, კეთილის მედომენო, შვილიშვილები ჩამოვიყვანე, აბა, ერთი ნახეთ, რა ბიჭები არიან!

მეზობლები ცოლ-ქმარს შემოეხვივნენ, ბავშვებს ეფერებოდნენ.

— ქალი დავბერდი და, ასეთი მსგავსება არ მინახავს — ორივე ზედ გამოჭრილი ბადურია! — თითქოს იცოდა, რომ ვველაზე უფრო ამით ასიამოვნებდა ესტატიეს, ამბობდა ერთი ქალი. — ღმერთმა უთხოვ, მამასავით კარგი ვაჟკაცები გაზრდილიყვნენ!

— ქა, ეგ არ მივიჯრის ის კი არა, პაპასაც გვარიანად გვანან, თან დახე, რა ჭკვიანი თვალები აქვთ, დიდი ადამიანებივით იმზირებიან. ღმერთმა გაუზარდეთ, სახელგანთ ვაჟკაცები გამოსულიყვნენ! — ამბობდა მეორე ქალი.

ოცამდე სტუმარმა მოიყარა თავი. სუფრა აივანზე გაშალეს. ტყუპებს რომ ადღებდნენ, მონაგარიმე დათამ იკითხა:

— შვილიშვილებს რა დაარქვით, ალბათ ერთ-ერთი ესტატიე იქნება?

— არა, ამ სახელს ბავშვებს აღარ არქმევენ! — მიუგო მკაცრად ესტატიემ, — დედამ შეურჩია მათ სახელები! ბუსუსიანს დათო პეტია, მეორეს — ირაკლი.

თამადამ ბებია და პაპა ადღებდნენ:

— მოხუცებულობა თქვენ დაიტრიაბათ, შვილიშვილები გვერდით გეყოლებიან, მათ სიყვარულსა და მზრუნველობაში ვერავინ შეგეცოდებათ, გაზრდები, დაევაჟკაცებთ, აუნახაღურებელ ანაგს დაადებთ!

სტუმრები რომ გაისტუმრეს, ცოლ-ქმარმა ნიკელის სანოლები კედლიდან გამოსწიეს ირაკლი პაპამ დაისაკუთრა. ამას მე მოუგლოო. დათოს კი ბებია მიუჩინა, მომცროსა, დაჩაგრული, უფრო მეტი მოვლა და მზრუნველობა ესაჭიროებაო.

ჩაანვიწეს თუ არა ბავშვები აკვანძი, ორივემ ჩაიძინა და მთელი ღამე ერთხელაც არ წამოუტორიათ. გათენებისას კი ორივე ერთად ატრიადა.

ცოლ-ქმარმა ბავშვებს სანოვარმორგებული ბოთლებით რძე მოუმარჯვა. პატარები ხარ-

ბად შეეცქიოდნენ საჭმელს და ჩაიძინა.

— ნამზავურები არიან, დაღლინი და ამიტომ სძინავთ ასე მშვიდად! — თქვა ესტატიემ.

პაპა და ბებია შვილიშვილებს დღეგამომეგებით აბანავებდნენ.

ბებია პატარებს იავნანას უმღეროდა, პაპა ლილინით ცოლს ბანს აძლევდა, ხმას უხმატკიბილედბა.

ესტატიე, რანაირ დიდ ქვიფში არ უნდა მოხვედრილიყო, მხოლოდ შვილიშვილების სადღეგრძელოს სვამდა ძირამდე. დილიდან საღამომდე ვენახში ტრიალებდა, ბარავდა, თესდა, რწყავდა, ბაღის ბოლოში შვილიშვილების სახელობაზე ორი კაკლის ნაშენი დარგო. ხილის ბაღში ხეხილი ჩაყარა. ოთახებში კარ-ფანჯარა შეღებდა, სახურავი შეაკეთა. კვირაობით ტყეში, ალუჩა და ნაადრევი ბაღი მიჰქონდა თბილისში გასაყიდად. ფულს აქუჩებდა, ჩემს ვაჟკაცებს საკუთარი ძროხა უნდა ეყუდიოო. თბილისიდან ლილის გადმდებული სურათი ჩამოიტანა და სანოლ ოთახში დაჰკიდა, საწყალი ქალი, სიცოცხლეში ვერ დატბა შენატების ცქრით და სურათიდან მანაც უმზიროს თავის პირმშობსაო. ერთ შაბათ დღეს ლაგოდებში წავიდა. კვირა საღამოს სატვირთო მანქანით ძროხა ჩამოიყვანა. პირუტყვი ეზოში რომ შეიყვანეს, ეტყობა ებანუსა იქაურობა და, ისე ხმამაღლა აბლაღდა, ბიჭუნებმაც კი დააჭყიტეს თვალბო.

ესტატიემ კედლებდაბზარული ბოსელი გალესა, კარ-ფანჯარა შეაბა, დიდიღილობით ძროხა სოფლის ორღობებში დაჰყავდა და ღობის ძირებში აძოვებდა. შემოდგომის პირზე მთაში წავიდა სათიბად, ორი მანქანა თივა ჩამოიტანა და ეზოში ვეებერთელა ზინი დადგა.

ძროხა დღეში ხუთ-ექვს ლიტრს იწველიდა და ბავშვებს რძე გამოუღვევლი ჰქონდათ.

\*\*\*

ფეხმძიმობის ბოლო დღეები მზისათვის მტანჯველი, მომქანცველი იყო.

ტკივილები რომ დაეწყო, დედამ მეზობლის მანქანით წაიყვანა იმ სამშობიაროში, სადაც ფერადე მუშაობდა. დომენტომ გასინჯა თუ არა, განაცხადა, ჩქარა მშობიარობა დაეწევაო.

სულ მალე ბავშვის ტირილიმა ტკივილები გადააჟინყა.

ბებია ქალმა ახალშობილი აიყვანა და აღტაცებით თქვა:

— გოგო კი არა, მერცხალია! მზისათვის, შვილის გარდა, სხვა არაფერი არსებობდა, ერთი სული ჰქონდა, ბავშვი



ხელით შეხებოდა, მკერდზე მიეკრა, მიფერებოდა.

როცა მზია პალატაში გამოიყვანეს, დაძლია გულზე ქალს ქალადღი და ფანქარი სთხოვა, ჩემი შეილის მამას ნურილი უნდა გაუუგზავნო.

ნეტავ თუ შესძლებს იმის ქალადღზე გადატანას, რასაც გრძნობს, რასაც განიცდის. შეილის სიყვარულმა სიცოცხლე შეაყვარა, მაღლე მინც მოვიდეს ბადრი, სიხარული გაუზიაროს. იმის გამოჩენა იმიტომაც უნდა, ექიმებსა და მელოგინებს დაანახოს, რომ ის და მისი პატარა გოგონა უპატრონონი არ არიან.

მზიამ ვეღვაფერი ღამაზად ჩაანაცვინა და ორჯერ წაიკითხა დაეკრეებით. ნურილს თითქოს რაღაც აკლდა. შეიძლება ბადრიმ იფიქროს ჩემი მიტყუება განუზრახავს, მერე მზრუნველობას და, იქნებ ცოლად შერთვაც მომთხოვოს! ლილის ხომ ახლო არ გაეკარა. უნდა დაამხედოს, რომ ამისათვის არ უხმობს!

და ნურილი ასე დაასრულა: „ბადრი, ვიცი, რომ თავს მარიდებ, გამიზნობარ! რას მერჩი, რა დაგომეცე? ნუთუ იმისი ღირსი არა ვარ, ერთხელ დახმებო, სიტყვით მანუგებო, გამამხნეო! შენი პირმშოს ნახვა მინც არ გინდა?! ვარდივით გოგოა, მოუსვენარი, ბალერინასავით ხელებს კვანავს, ოღონდ ახლა მოგვხედ, მოგვეპატრონე, ბავშვს შენი გყარი მიეცე. (შე მას უკვე სოფიკო დაეკარქე, დედაშენის სახელი) და, მერე თუ გინდა სამუდამოდ მიგვატოვე, ახლო ნულარ გაგვეკარებო!“

დაძლიაგებელი ქალი ოთხი საათის შემდეგ დაბრუნდა. შედეგა თუ არა ფეხი ოთახში, მზია შეეკითხა:

ხაინტერესია რუსული წყაროები და ცნობები ბრძოლის ცალკეულ მონაწილეთა შესახებ. აქ დასახელებული არიან მთიორები — სოლენიუნდი და სებასტიანი, კაპიტნები — ვილენკოვი და ალექსანდროვი, პორუჩიკები — ნოვიცკი და ოგანოვი და სხვ. გერეალი ღაზარევი თავის მოხსენებაში ქებით ახსენებს კაპიტნებს — ტაგანოვა და ზუბკოვს, შტაბ-კაპიტნებს — იაკო მოვისა და პოკატევის, მაიორებს — თავად სა-

7. პ. ციციკაშვილი, ხალხური სიტყვილოება, ტ. 1, თბ. 1964, გვ. 126.  
 8. იქვე, გვ. 126-127.  
 9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 17, თბ. 1973, გვ. 805.  
 11. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1961 წ. გვ. 74.

11. იქვე, გვ. 71.  
 12. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვილოება, 11, 1964, გვ. 196.  
 13. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაიჭრელიძის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ. 1936, გვ. 275-276.

კანც და ლიაზოს, პორტიკებს — გოლოვანოს, დიაკონსა და ტინაშვს, პოდპორტიკებს — კარცებსა და კარაჩევს, იუნკერს თავად ანდრონიკაშვილს და სხვ.<sup>14</sup>

სამწებნაროდ, შატალეებში არაფერია ნათქვამი ნიაზურას ბრძოლაში მონაწილე თუშ-ფშავებსურთა ჩაზნებების და სოფელ ნიაზურას ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობის შესახებ: საზავიროდ, ამ ხარვეზს ავსებს ხალხური ლექსები და თქმულებები, სადაც დასახლებული არიან ბრძოლის მონაწილენი. უცნო არიან: მალხაზ გიგოშვილი, იოსებ მთავრიშვილი, ტახანა ქავახიშვილი, ივანე გაიმარჯვაშვილი, კუმელაშვილი, გია ადუაშვილი, დავით სამბელაშვილი, პაატა ბაღაშვილი, ვინც არუთინა და სხვ. თუშ-ფშავ-ხევსურებთან დასახლებული არიან: თოთია სულხანაურა, შიშია ტანკაყრა, ლომონ მინდიაშვილი, თოთია კურდღელაიძე, თოთია გაიდაურა და სხვ.

ბრძოლის მონაწილეთა ცალკეული დახასიათებაც შემოგვიჩანავს ხალხურმა ლექსებმა, ან ზოგი მთავანიც:

თოთიას ამწებარებენ,  
სულხანაურის შვილსაო,  
თავზედ ეხურა ჩაქანა,  
კამს ნატყუარი ჭკობისაო.<sup>15</sup>

ქავახიანთ ქახანასა,  
ტამბოლი ეჭირა გოდელი,  
სათაყ კი ვარსოლა,  
ვეულგან შიპბრუნა მტელიო.<sup>16</sup>

გიგოშვილმა მალხაზმა,  
ილამ მოყვნივობა წელი,  
ეს სამბელიანთ დავითა  
ბურჯია მოედოველიო.<sup>17</sup>

ემაწვილსა ჩანიგაურსა  
კუბო ატგეო ხისაო,  
შიგ უაწყინეთ შიშია,  
ანგელოზა ლეთისაო,  
გულზედ მიეცით მილები,  
შუქი ზედღვე მზისაო,  
ხუთი დაადგეს ხედესი,  
კოდეა მოხადონ მტრისაო.<sup>18</sup>

ნომრად მოვიტანთ აქვე სამ თქმულებას: „ჩვენ მთავარიშვილები ვართ, მაგრამ ეშმაკურ-

ჩაანთ ვეფხიან, ეს სახელი ჩემს მთავარიშვილებსაც  
ფემ დაატკა, ეშმაკურა მიხედვრილა პაატაშვილ-  
ჩომ უარის პარტიზე ცხოვრებას ტუენი ვოტნი  
სტობიოა, თურმე ისეთი ციება იყო ნიაზურასა  
და ბლანტეც, რომ ავანში მწიფლიაჩე პალდე-  
ხსაც აცანცახებდა, ერთხელ მთავარიშვილი, მე-  
ფესთან ერთად ბრძოლის ველიდან რომ ბრუნ-  
დებოდა, სოფელ ნიაზურასაყენ გამოტარებია,  
სოფლის თავის ერთი დიდი ხე იდგა და იქ გა-  
უნულიათ პურ-მარაღი, იქ მუფეს პირგაღებულა,  
მოქაქასე ქათმები შეუნიშნავს და უთქვას: —  
მთავარიშვილო, ეს ჩა აშხავია, ქათმებსაც ციება  
ხომ არ აქვთო? მფისსთვის ასე უჩახუნია მთავ-  
არიშვილს — შეფეც, ეს არის, თურმეტი შეო-  
ლიდან აი ორიდა დაღანცალებს, ამათაც დღეს-  
ხვადიობით ვუყურებ, თუ არ დაგვეშვარებოთ,  
სულ ამოკნუდებოთო.

მუფეს უბრძანებია, — სადუხამდე ქაჩიის  
ჭკობდეს, ზეიანა — კაკაბეთს, აი იმ ტყეში,  
სოფელ ტუტაშის დასწვრივ, უანდი შუნა რომ  
დგას, შუქანოვის საცხოვრებლად იქ მომწიფა  
აღვლი წადიო და აღდნიერეთო, თანაც უთ-  
ქვას, — იმ სოფელს უანდურაინი დაუძებო  
და შენ კი მთავარიშვილო, ეშმაკურს დაგინა-  
ხებოთ, უანდურაინის მაქნა ლეწინის საყდრა,  
შეც იოო.

ეშმაკურას შეილიშვილმა, იოსებმა, ერთხელს  
გადაბაღდ ოცდათექვსმეტ იმში მიიღო მონა-  
წალიღობა, მიიღოს ითმობი წლის ბერაკაცს  
რომ ვაივებინეს — ნიაზურაზე მტერი შენოსუ-  
ლა და აღექსანდრე ბატონიშვილი შეფეს ებარ-  
კოსო, გაქაურებულა, თავისი შეილებინათვის  
ასე უთქვას — ძმობა იმი დეთის ჩისხვა და  
უნდა წავიდეთ, უეჩახსენლად დღეს ებრძო-  
ლებოო.

იოზი ანებარებულა ვეფეკო აქეთ-იქით ამოს-  
დგომია მანას და გენი ნიაზურასყენ აუღიოთ,  
ღეებეი უყვე იორაზე გადმოდიოდნენ მეფე გი-  
ორგის შეილებს ვახარებიათ მთავრიაანთ იოსებ-  
ის მოხვდა და უთქვამთ: — შენ წადი, ხაყა-  
რადლო გორაზე დადექა, ჩვენ კი ვაბრძობებ-  
თო.

იოსები იდგა ხაყარადლო გორაზე და იქიდან  
უცქირდა ბრძოლას ველს.

ბრძოლაში მონაც გახუდა იოსებო, თურმე  
მის გვერდით მალხაზ გიგოშვილი იბრძოდა,  
როდესაც ბრძოლა მოუვიათ, შეფე გიორგის  
მოუციხთავს ისინი და დაუქალდოვებია კი-  
დეუო.<sup>19</sup>

„ნიაზურაზე, ლეებთან ბრძოლაში ჩვენი სო-  
ფლიდან მონაწილეობდნენ — ე.წ. მთავარიშვილი,  
გიგოშვილი, ადუაშვილი, ლევაშვილი, კუმელა-  
შვილი, ქავახიშვილი, ტაველიშვილი და სხვები,  
ხუდ ოპოციდაპუთი კაცო.

19 მიქმელი გ. მთავარიშვილი, 87 წ. ჩაწეო-  
ლია სოფ. უანდურაში, 1961 წ.

14 „იფერია“, 1900, № 243.  
15 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 370.  
16 ვახ. ასტალინელი სიტყვაო (საგარეო), 1961, № 146, ჩვენი ჩანაწერის უბღლიკაცო.  
17 ე. ემაწვილი, ხალხური სიტყუებებო, I, 1964, გვ. 127.  
18 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული ტფ., 1931, გვ. 374.

ბრძოლაში ზებერა კუმელაშვილა დაიჭრა. მაშინ ჩაიღობის ბოლოზე უოფლიყუნენ. დაჭრილა კუმელაშვილი ჩაიღობაში ღვინია ღვინაშვილის ოჯახში აუვანეს. იქ დახვედრია ერთი ქობითელი შიშინაშვილი და ორი რუსი ჭარბიკაცი. მათ ვანთქმული ფრანგი ექიმი უჯლიდათ. სადამო ხანს გაუგიათ ბრძოლაში ჩენი გამაჩრვენის ამბავი. ერთ რუს ჭარბიკაცს სიხარულითხაგან გული გასკადომა და მომკვდარა.

კუმელაანთ ზებერა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა ჩენს სოფელში. თურმე ხალხს მოუყუვა ბრძოლის ამბავი და საუბარში ოროოდე რუსული სიტყვაც დააეღლა. იმის შემდეგ კუმელაშვილების ამ ოჯახს ნარუსხალს ეძახდნენ.<sup>20</sup>

„გია ადუაშვილს ერთ ცხენში ცხრა ფურკამბა მიეცა. როცა მან ერეკლეს უჯანსკნელ ომში მიიღო მონაწილეობა, მაშინ მისცა მეფემ საცხოვრებლად სოფელ უანდაურის და ქობითის თავში ახო. რომელსაც დღესაც ვაიანთ წუაროს ეძახიან.

როცა ომარ-ბანი და ალექსანდრე ბატონიშვილი მოდიოდნენ სავარჯის ასადებად, მეფე ერეკლეს არნოტმა შეიღმა ადუაანთ ვიას შეუთვალა: — შენ მამაჩემის ერთგული კაცი ხარ და ახლა ჩემს მხარეზე იბრძოდეო. ვიას შეუთვალა — მე იმის მხარეზე ვიბრძოლებ, ვინც საკითხველოზე ფიქრობსო. ვიამ მართლა შეასრულა ეს სიტყვები. ბლანტეზე რომ ჩავიდა, ნიჩქოლი ამტვარდა. ხალხს ეთქვა, ნეტავ ერეკლეს რომელ შეჯღს მიეზზრობათ. მადლობა დმერთს, მოუდგა ერეკლეს შეილიშვილებს და ომარ-ხანს მოუგრიბეს კიხერა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ვადამეტრა ვიას პატარა ბაღჩეში ჩამადული ლეკების ერთი ნოტო მოხწყუვტა ჭარს და გაგზავნა სერზე, სადაც ცხოვრობდა ადუაანთ ვია. ლეკებმა სახლკარი გადაღწვეს ვიას და ოჯახი ტყვედ წაიყუანეს. ხალხმა მაშინ თქვა სწორედ შაირში — „ადუაშვილი ვიყო, ბატონმა დაარბიაო“.

გია შემდეგ აღანჯის თავში ჩამოსახლდა და ჩენს, ვერხუაჩელებს მამულებს გვიდავებოდა.<sup>21</sup>

ჩენს მიერ ჩაწერილ სამივე ამ თქმულებას ისტორიული რეალები მოეპოვება. ასე, მაგალითად, პირველი თქმულებაში („მეფე და ეშმაკურა“) ნახუნენბი ეშმაკურა დამოწმებულა 1708 წლის ნიემზბრის სამართლის წიგნში, სადაც საუბარია სოფლების კაკაბეთის და შიბლიანის მიწა-წყლის დავაზე. აღნიშნული სამართ-

ლის სიგელის გაყვანს, მრავალთაშორის, დასწრებია ეშმაკურა მთავრიშვილი.<sup>22</sup> თქმულებაში „ზებერა კუმელაშვილი“ მოხსენებულ ფრანგ ექიმში იგულისხმება ოსეთა ეპარაშვილი ან მისი ძე იოანე. რომლებიც სარწმუნოებათ კათოლიკეები აუვნენ და ამიტომაც მათ ფრანგებად თვლიან. რაც შეეხება გია ადუაშვილზე თქმულებას, მასში ერთი მეტად საურთაღებო დეტალია შემონახული. ეგრძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილის მიმართვა გია ადუაშვილისადმი — ჩემს მხარეზე იბრძოდეო. ეს ფაქტი დაკულია მთიელებისადმი მიმართულ ხალხურ ლექსებშიც:

ვაჟარდა ალექსანდრე  
— ჭარ შინდა დლისტინსო,  
ზეესურეთ კაცი ვაგადა,  
თავი დამქირდა უმისო.<sup>23</sup>

როგორც ჩანს, ზეესურებისათვის ანთივე თხოვნის მიუშართავს მეფე გიორგიხაც:

ქალაქით დებარებავ  
ჩენის ბატონის შვილსაო;  
ზეესურებ ჩამომიღინენ,  
თორ ქალაქ წამერთმისო.<sup>24</sup>

„მე იმის მხარეზე ვიბრძოლებ, ვინც საქართველოზე ფიქრობსო“, ფოქვამს ადუაშვილს. ასე მოქცეულა თუშ-შუშავ-ზეესურთა ჩაზმიც.

ნიახურას ბრძოლაში ზემით დასახლებული ვლებთა წრიდან გამოსული მებრძოლების ვარდა ხალხურმა პოეზიამ შემოგვიანხა ცნობები მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა შესახებაც.

ჩენი გრიგოლ ჭანდიერი  
მონატეხი არს ეღდისა,  
ისე შედის ცხარე ოში,  
როგორც რძალი მეზობლისა.

როგორც ჩანს, ფოლკლორულმა მასალებმა შეავსეს ნიახურას ბრძოლის მონაწილეთა სია და ერთხელ კიდევ დამტკიცეს, რომ „ინდივიდუალურა მემატანიისხაგან დიდად ვანსხავდებთა კოლექტიური მემატანიე — ხალხი, როცა, იგი ემითა აღმწერლის როლში გამოდის“.<sup>25</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიახურას ბრძოლის ასახველ ლექსებში შეიმჩნევა ანაქრონიზმის და კონტრასტის მოკლებება. ასე, მაგალითად, ლექსებში ზშირად მოხსენიებული არი-

20 მიქსელი ილარი-ლეგაშვილი, 72 წ. სოფელი უანდაურა, 1960 წ.

21 ვანო ალელაშვილი, 98 წლის, სოფელი ვერხუაანთ, 1959 წელი.

22 ფოქვებნტები საქართველოს სოციალური სტორიადან, I, 1940, გვ. 374-375.

23 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ზეესურთული, 1931, გვ. 370.

24. იქვე, გვ. 369.

25. ძიხ. ზიქოვანი, მშობა-მეგობრობის იდეა ხალხურ პოეზიაში, „მაგნე. ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, გვ. 42. 1972 წ.



ან ადრინდელი ეპოქის გმირები — ბირჩლა ბაბურაული და ზეზა გაუჩინდაული: ზოგჯერ ასპინძისა და ნიხურას ომების ამბები ერთად არის შერწყმული, რაც ნიშანდობლივია ფოლკლორული ტექსტებისათვის.

საინტერესოა ლექსი ალექსანდრე ბატონიშვილზე, რომელიც 1890 წლის 10 მაისს ჩაუწერია თედო რაზიკაშვილს სოფ. არტანუში, ახალელი კაცისაგან. ლექსის მინაწერი გვაცხობინებს, რომ იგი „ფერხისად იმღერესო“.<sup>26</sup> ლექსის ტრადიციული შესრულების წესზე მოწვედილი ეს ცნობა საეფლისსმოა.

ნიხურას ბრძოლის ამსახველი ფოლკლორული მასალები ფიქსირებული და გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს. ლექსების მთელი ციკლი ჩაუწერია პეტრე უშიაკაშვილს. მას კოლექციამა დაცული აგრეთვე სხვა პირთა ჩანაწერებიც. ა. შანიძემ 1918 წელს ჩაიწერა ახილავში ბ. ოხაიურისაგან ლექსი „ქალაქის არევა“; ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივ. ზორნაულმა, გ. ნათაძემ, ვ. კოტეტიშვილმა, თ. ოქროშიძემ, ი. თ. ვირსალაძემ და უკანასკნელ წლებში მოწეობაშია სამეცნიერო-ფოლკლორულმა ექსპედიციამ. ნიაბურას ბრძოლის ფოლკლორულ ტექსტებს თავი მოუყარა პროფ. კნ. სიხარულიძემ და შეიტანა „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვაერთების“ მეორე ტომში.

ახლა გადავხედოთ აღნიშნული ბრძოლის ამ სახვეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ძველი ქართული ლიტერატურის „გარდამავალი ხანის“ შერჩეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს პეტრე ლარაძეს ეკუთვნის გიორგი მეფისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული ნიაბურასთან მომხდარი ბრძოლის შესახებ.<sup>27</sup>

ცნობილია, რომ იოანე ბატონიშვილმა დიდი სიზაჟე გამოიჩინა ომარ-ხანთან ბრძოლაში. პირადად მან. გენერალ-მაიორ ლაზარეთთან და გულთაკოვთან ერთად, წინასწარ შეიმუშავა ომარ-ხანთან შებრძოლების გეგმა. „აქტებისა“ და ისტორიკოს ნ. დუმბროვიანის ცნობების მიხედვით, რუს-ქართველთა ჯარი შემდგენიარად იყო განლაგებული: მარჯვენა ფრთას ეგვრთა ვაკალიონები შეადგენდა, რომელთაც ლაზარევი უფროსობდა, მარცხენა ფლანგზე — გულიაკოვის მუხრატებები იღვრებ, ცენტრში კი ქართველთა ჯარი, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილების მეთაურობით.

ბრძოლა პირველმა ომარ-ხანმა დაიწყო. შეტევაზე გადმოვიდა მისი ცხენოსანი ჯარი, რო-

შელსაც ლაზარევის ეგვრებმა შევარდნიერებთან ერთად და უყუარციეს; შეტევა ახლა ქართველთა ცხენოსანმა ჯარმა განახლდა; შტერი აქაც იძლია და გაქცევით უშველა თავს. ამის შესახებ ლაზარევი ენოჩიანს 1890 წლის 14 ნოემბრის პატაჟში სწერდა: „მაშინ ქართველთა ცხენოსანმა ჯარმა, მისი უგანათლებულებისთანა იოანე ბატონიშვილის წინამძღოლობით, სწრაფი დარტყმით დააბოლავა გამარჯვებაო“, ბაგრატ ბატონიშვილი თავის „ახალ მოთხრობაში“ წერს: „...იძღვანენ ლეონი ომარ ხანითურთ და ეგოდენი მოსწევითეს, რომე რიცხვი არ შეივებოდა“. ამიტომაც პოეტმა პეტრე ლარაძემ თავის ლექს-ქანავაში ასეთი ზოტბა შეასხა ნიაბურას ბრძოლის გმირებს — იოანე, ბაგრატ და დავით ბატონიშვილებს:

მოიხმო ძენი ლომგულნი:  
დავით და იოანე და,  
პატკვა: აძლრო ჩემრო, მტკიცევრო,  
თქვენი ვინჟა შეგვივანე და,  
დავით, რვალია ზღუდეო!  
ტფილისს სცეე ჩვენი ავანე და,  
იოანეო, ლომჯაკო! სპასალად  
აღგვიყვანე და.

იოანე თვისთა ყმათა  
გარს უვლიდა, ვითა ლომო,  
მტერთ ვქადა, ხმა ხაფობდა,  
სისხლის ღვრითა გაუძღობო,  
ზარბაზნთა შუა ჩადგა,  
მბრძოლხო, გირჩევთ, ნუ ესტრთ იძი!

ნიაბურას ბრძოლის ამსახველი ერთ-ერთი ხალხური ლექსიც ასე ახასიათებს იოანე ბატონიშვილს:

ივანე ბატონიშვილი  
შეარდენი არის ცისა,  
იმის ნაკაფი ლეკები  
პანტასაკით გადმოღისა.<sup>28</sup>

სხვათაშორის, ეს არის პირველი შემთხვევა იოანე ბატონიშვილზე ხალხური ლექსის დამოწმება-ჩაწერისა.

ქებით იხსენებს იოანეს ერთი მინაწერი ძველ ხელნაწერზე: „რუსის ჯარა ახლდა მეფის გიორგის ძეს, უგანათლებულდეს იოანეს და დავითს მადლით გაემარჯვა იორის მახლობელს ალაგს. რომელსა მქვიან ნიაბურა, ოდეს მოიუყანა ალექსანდრემ ხუნძახის ხანი ომარ-ხან ოცდა ოთხთთა ათასთა ლეკთა და დიდად სახელოვანად აღმოჩნდა თვით ესე მეფის ძე იოანე, და მოხრტეს აგაიოანნი ოთხი ათასი...“<sup>29</sup>

26. ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანიას რედაქციით, 1963, გვ. 15.

27. აყად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 155.

28. პ. უშიაკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 1, 1964, გვ. 129.

29. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 11, თბ. 1958, გვ. 109.



პეტრე ლარაძე ასევე ქებით ახსენიებს ზაგარატ ზატონიშვილსაც: პოეტს თავის ზემო აღნიშნულ ლექს-ქებაში, როგორც ეს თვითმხილველსა და მონაწილეს შეეძლო აღეწერა, საინტერესოდ აქვს დაზატული ნიახურას ბრძოლის თითქმის ყველა ეპიზოდი.

აი, როგორ არის გადმოცემული ომარ-ხანის შემოსევისა და მთელი ლაშქარობის სურათი:

შეკრბა სიმრავლე დაღისტნით,  
დასკენეს ესე პირები,  
მოემართოთ შეფეს გიორგის,  
ქართველთ თავს დაესცეთ პირები,  
თბილისელთ დედა-წულეები  
კპუთ მღელურად ანატარებო,  
ვაქყოთ ციხე-ქალაქი,  
ვაოხროთ ნაქვოტყირებო.

ქარელნი და იგი მხარნი  
მათ მოერთენეს ლაშქრით დიდით,  
დაიკარვეს ალაზნის პარს,  
გლახ გულითა დაუმშვიდით,  
იქალიან, იზაბდიან:  
ყმინო, შტერითა უხვად ჰველიდით,  
განსისკრიდით, განმზარვიდით,  
განმუსვრიდით, განჰკაფვიდით.

რახში საზაროდ საკმაო  
იორს გარდაბდა მტერისა,  
მაშინ შესთვალეს პასუხი,  
რაცა ჰხმდა მათ მოერისა,  
თბილისის გეწადსო წართმევა,  
გიორგი შარიერისა,  
თქვენთანა ჩვენი სადაო,  
რა არსო საქმე მტერისა.

პეტრე ლარაძის ლექსიდან რამდენიმე სტროფს მოვიტანთ რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარის საბრძოლო მოქმედების სურათის წარმოსადგენად:

ესე იგრძნეს რუს-ქართველთა,  
მარდად შექმნეს ჩაქვთა ჩხერა,  
შეიჭურნეს საომარად,  
მოიყარა მწუხრსა მზე რა,  
მოეკიდეს ევალთა მკრთალთა,  
თვალთ სწუურისთ მათი მზერა  
და აწ ისპინეთ სასასტიკო  
მეომართა სისხლთა ჩქერა.

რა ცისკარი აღმობრწყინდა,  
მზემან აკრთო ნათლის შარნი,  
ლომის ლეკეთა სამად ვაყვეს  
სამანი თვისნი საწეტარნი,  
ორად რუსთა უძღვეელი  
მზედრობა პუვეს მეომარნი,  
და ერთად თვისნი ქართველ-კახნი  
მტერთ მკმუხ მკახნი უებარნი.

დიდი სიმართლით ახსენებს პოეტმა ომარ-ხანის — „ორად რუსთა უძღვეელი მზედრობა პუვეს მეომარნი“ და იქვე ამბობს: „რუსთა ბრძოლა საციფრალი, თავადი მზერა სატურფალი“.

პეტრე ლარაძემ ასე შთამავრებლად დაზატა ბრძოლის დასასრული:

გააქციეს, დაფანტულთა სდევენ,  
ხოცენ, სჭრიან თავსა,  
ნიახურას ბოლოს მკედარნი  
შოგან ცურვენ სისხლის ნავსა,  
ზოგნი ხმობენ: „თქვენსა რქულსა,  
ნუ დაგვბოცოთ, მოგვემთ ზავსა.  
არ უსმენდეს მტერსა მტრულად  
ასუდრებდეს მიწა შავსა.

ეს ლექსი მით უფრო საინტერესოა, რომ ხალხურ პოეზიაშიც ვსოვლობთ ანალოგიურ სტრაქონებს:

გალმა ჩალებში გაიღდენ,  
ჩვევება იყო განაო,  
წმინდა გიორგიმ დასწვევლოთ,  
ვერ მოიხმარეს დანაო,  
შეა ლამე რო შეიქმნა,  
აღვა და გაიპარაო,  
სუ ყველაყა იქ დაპრჩებათ  
ყალიონი და დანაო.<sup>30</sup>

დაღამებამდინ მიზღიეს,  
მანამ ლიშანი ჩინსაო,  
დაღამოღანვე დაპრუნდნენ,  
ცნობა არ იყო მკედრისაო.<sup>31</sup>

როგორც ვხედავთ, პეტრე ლარაძემ ერთმა პირველთაგანმა ასახა თავის შემოქმედებაში ბრძოლა ნიახურასთან და ამით მან, ერთის მხრივ, გააგრძელა ქართულ ლიტერატურაში პატრიოტული პოეზიის ტრადიციები და, მეორე მხრივ, წინ წამოსწია რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის თემა.

პეტრე ლარაძის შემდეგ ნიახურაზე მომხდარა ბრძოლის საკითხს ეხება ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი ამბროსი ნეტაყელი. მის კალამს ეუფოვნის ქადაგება, რომელიც 1800 წლის ნოემბერში წარმოთქვა მთელია ვის კარის ეკლესიაში. ქადაგების ტექსტს თავში წარწერილი აქვს: „...შიღლიდამ რამდენიმე თელავს დავიხიზნეთ, ომარ-ხან ივრას პირზე, ნიახურაზე იბრძვის, და კიდევ გაამარჩვა გულიაკოვმა ვახილ სიმონიეიჩმა, დიდი ძრწოლა და

30. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1964, გვ. 128.

31 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსტრულო, 1931, გვ. 372.

ლიტი იყო.<sup>32</sup> მრევლის წინაშე წარმოთქმულ მომალეში ამბროსი ნერესელი ამბობს: „უკეთეს ზვეუ კუმარიატი სასოებით შევტვირებით ღმერთსა, კუმარიატიდ მოგვებდავს მოწულებსა ღვთისა, მჭერსა და ამოხრებელსა ზვენსა დასცემს და შეჭურავს მადლი და ძალი ღვთისათ“.

ამბროსი ნერესელი დიდად წუხს აღმოსავლეთ საქართველოს საშფოს დაუძღვრების გამო. ლიტანიის დროს ამბროსი თავს ღმერთს შესთხოვს: „...ბატონიშვილების ურთიერთ არს მშვიდობას, შერიგებას, სიყვარულს და შტრების დაყვას“...

მე-18 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო მოაზროვნე იოანე ბატონიშვილი თავს განთქმულ „კალმასობაში“, ცხადია, გვერდს ვერ აუზვევდა ნაიბურას ბრძოლის ამბებს.

იოანე ზელაშვილი, მოგზაურობის მეოცე დღეს, ბოდბეში, წმინდა ნინოს ტაძარში, წირვაზე, შთამავრებელი სიტყვით მიმართავს ხალხს:

„ქართველნი! უკეთეს გვეჩვენისთ სასოება ღმერთსა ზედა, ესე ავარიის ხანი შეიშურება ზელაგან თქვენთა: ესე ეგვიოდენ არა არს საშიშ მტერ თქვენდა, უკეთეს იქნებით თანაშემად, გარნა ურჩება თქვენი კვალადაცა არა ვიტყვიხსთ განსვენებად“.

მოკლემსე ბერის ეს შეგონება არ უოფილა უამბო, რადგან სასახლესა და ხალხშიც იყო არსებობა. შეუთანხმებლობა; ამიტომ მიმართავს იოანე მათ ასეთი სიტყვებით:

„უთანხმებობამ თქვენმან სამგზის ადგილსცა ავარიის მოვარისა ომარ-ხანს და შემობდა მამულად ზეენდა, დააქციუნა ციხენი, დასწვნა სოფლები, იავარჰყო, დაატყვევა და უფუიქცა: ამა, აწყა პირისპირ ზვენდა დგას, ვითარცა სახლსა შინა თვისსა, უშიშრად“.<sup>33</sup>

იოანეს ქადაგებაში, ისტორიულ ამბების გახსენებასთან ერთად, დახასიათებულია ქართლ-კახეთის საეროს მამინდელი მდგომარეობა, და აქ მითაყარია იმის აღნიშვნა, რომ ვარდაუფალია ბრძოლა და ამიტომ ხალხი ერთპირად უნდა აღდგეს და აღიარაშროს.

იოანეს მიმოსვლის ოცდამესამე დღეს გზად შეხვედრისა თბილისისაკენ მიმავალი სამი ცხენოსანნი კარლუელი; ისინი ნაიბურას ბრძოლიდან გამარჯვებული მოდიოდნენ და ნიშნად ამისა მოჭრილი მტრის თითო თავი დაეკიდათ ცხენებზე. ზელაშვილი მათ გამოუღალაპარაკა და სწორედ აქ გააგო მან, რომ „...ბატონიშვილმა იოანემ დაამარცხა ომარ-ხანს და ათავი მოუყალით. ცოცხალს გარდა,

ახლა ეს არის ნაიბურადან მოვდადებული ორე დღეს მოკლამსე იოანემ სიონის ტაძარში, საშადლობელ პარაკლისზე, წარმოთქვა მჭევრმეტყველური სიტყვა, აღფრთოვანებულმა მამულიშვილმა, მრავალთა შორის, თქვა: „...ამჟამან ავარიის ხანმა მოიდრია წინაშე შენსა ძველული თავი თვისი და სირცხვილდელი ილტვის პირასკან შენისა“, აღნიშნული სიტყვა იოანე ბატონიშვილს ჩართული აქვს ზელაშვილის მოგზაურობის ოცდამეოთხე დღის აღწერაში.<sup>34</sup>

სამწუხაროა, რომ იოანე ბატონიშვილმა დაწვრილებით არ აღწერა ნაიბურას ბრძოლის ეპიზოდები, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი განგებ მოერიდა თავის თავის ქება-დიდებას. სამაგიეროდ, რუსი და ქართველი ისტორიკოსები არ იშურებენ საინფორმაციო შრომას. საქმარისა აქ გავიხსენოთ პ. ბუტკოვი, კლატონ იოსელიანი და სხვები, რომელთა გამოკვლევანი ზემოთ არაერთგან გვექონდა დამოწმებული.

1888 წლის 28 ივლისს დაასრულა მსკოვანმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა მოთხრობა სათაურით „ოსკანდარი“. რომელშიც დახატულია მე-18 საუკუნის ბოლო წლების აღმოსავლეთ საქართველოს გაერთილებული ვითარება. მოთხრობის პერსონაჟები ძირითადად ისტორიული პირები არიან — ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, გიორგი XII, მარიამ დედოფალი, სოლომონ ლეონიძე, ჭაბუა ორბელიანი, ალექსანდრე ბატონიშვილი, ომარ-ხანი და სხვები.

„ოსკანდარის“ სიუჟეტში მხატვრულად არის დახატული მეფის სასახლეში ბჭობა საქართველოს გაერთიანების საკითხზე. ალექსანდრე ბატონიშვილის სპარსეთში გამგზავრება, ომარ-ხანთან ურთიერთობის ამბავი, ბრძოლა რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის და ომარ-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ქარს შორის.

ვასილ ბარნოვის აღწერით, „ქარი თანდათან ემატებოდათ, რვაათამამდე შესდგა. ომარი ანკარადა, დიძრა, აღარ მოუცადა, გადმოიარეს ტფილისის გასწვრივ. შედგენ ნაიბურასთან, ომარს უფრო წინ უნდოდა წაეწია ქარი, სხვები არ დათანხმდნენ და დააწვეს ქარის საომრად გამოწეობა.

რუს-ქართველთა ლაშქარაც აღმოჩნდა და პირდაპირ მიესია საბრძოლველად. პირველი შეჩახება ძნელი იყო“.<sup>35</sup>

ნაიბურასთან მომხდარი ბრძოლის აღწერას მოსდევს გამარჯვებული რუს-ქართველთა გაერთიანებული ქარის შესვლა თბილისში, მეფე გიორგი მეოთხეშემეტესთან შეხვედრა და აღქ-

32 ამბროსი ნერესელი ეპისკოპოსი, ქადაგებაში და მოძღვრებაში, თბ., 1881, გვ. 269.

33 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, კ. დეკლარაცია და აღ. ბაიაშიძის რედაქციით, ტბ. 1936, გვ. 157-158.

34 იქვე, გვ. 177-179.  
35 ვასილ ბარნოვი, თხზულებანი, ტ. IX, 1903, გვ. 281.

ხანდრე ბატონიშვილის კვლავ თეიარანს გამგზავრება.

მოთბრობა „ისკანდარი“ თქვესმეტ სურათად არის დაყოფილი.

მიხეილ ქავახიშვილმა ცნობილი ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ ფურცლებზე ორჯერ ახსენა ივრის ბრძოლა. სახალხო გმირის არსენა ომელაშვილის მამამ, ღვთისაყარმა, ივრის ბრძოლაში, ნიახურასთან დაქარბა ცალი თვალი. მწერლის ცნობით, მასზე „მთელი თრიალეთი, კახეთი და არაგვიც კი მღეროდა“:

ცალი თვალი აქვს ღვთისაყარს,  
ორით ნეტა რას ექმოდა?  
ეშმაკსა ხარკი მიჰქონდა,  
დევი დამფრთხალი მიიბოდა.<sup>36</sup>

რომანის მეორე თავში კი ბარათაშვილები და ორბელიანები სიმაჟით ღამარაკობენ ნიახურასთან მომხდარ ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ. ხოლო მწერლის მიერ შედგენილ რომანის შენიშვნებში ვკითხულობთ: „ნიახურას ბრძოლა — 1800 წ. ივრის ნაპირზე მოხდა. ომარ-ხანს და ალექსანდრე ბატონიშვილს 25.000 მონაწილე შეეკრათ, რუს-ქართველებს კი 5.000 (3.000 ქართველი და 2.000 რუსი). ქართველი ლაშქრის სარდალი იყო ივანე ბატონიშვილი, რუსისა კი გულიაყოვი და ლაშარცი. ლეკები და ქართველები სასტიკად დამარცხდნენ“.<sup>37</sup>

ცნობილია ქართველმა პოეტმა და დრამატურგმა ოსებ მჭედლიშვილმა 1922 წელს დაწერა ხუთმოქმედებიანი ისტორიული პიესა სათაურით „ალექსანდრე ბატონიშვილი. აღნიშნული ნაწარმოები დაიბეჭდა 1928 წელს. პროფ. გ. თავუშვილის წინასიტყვაობით: პიესაში წარმოდგენილი იყო შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე საზე ალექსანდრე ბატონიშვილისა, ისტორიული სიწესტი იყო დახატული ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანი რღვევისა და ფეოდალთა კიშპობის ამბავი, ამავ დროს მოცემული იყო საქართველოს, რუსეთის და დაღესტნის ხელშეხარით დამოკიდებულების ეპიზოდები.

ი. მჭედლიშვილს „ალექსანდრე ბატონიშვილი“ მებუთე მოქმედება სწორედ ნიახურას ბრძოლას ფონზე იშლება.

მიხეილ მრეელიშვილმა მოთბრობა „ოქროს ზარნიშაინი ხანქალი“ ძირითადად სამაშულო ომის თემაზე ააგო, მაგრამ მასში მწერალი შეეხებო სწორედ წარსულსაც, განსაკუთრებით მკა-

ფიოდ გამოკვეთა ნიახურას ბრძოლისა და მომდინარე ნიახურას ბრძოლის ერთ-ერთ მონაწილეს გულადობისათვის დაუმსახურებია ზარნიშაინი ხანქალი, რომელიც შემდეგ საოქაბო და მთლიანად ლალიაშვილების საგვარეულოს რელიქვიად ქცეულა. ლალიაშვილებს ერთ-ერთ შთამომავალს დიდ სამაშულო ომში მიუღია მონაწილეობა. 1942 წელს, ალაგირის მისადგომებთან დაქრთა იგი, ავგაროზივით თან ჰქონა საგვარეულო ქილდო — ოქროს ზარნიშაინი ხანქალი. ვაჟაკი მყერდგანგმორული დაეცა. დარჩა ოქროს ზარნიშაინი ხანქალი და ჩანათში ჩადებული რვეული. სწორედ აქ არის მოთბრობილი ნიახურას ბრძოლის ამბავი, „მონაშულო სიტყვაძეობი მონაწილისაგან“ — ვკითხულობთ მოთბრობაში.

ლალიაშვილის თანამებრძოლმა ლევანმა ქარსაკეებს აჩვენა ოქროს ზარნიშაინი ხანქალი და რვეულში ჩაწერა ამბავი წაუკითხა. საინტერესოა რვეულზე მინაწერი: „მინდა შემთხვევით ვისარგებლო, — წერს ლალიაშვილი, — ძველი ამბავიც მოგიუყუე და ეს ხანქალიც დაგილოცო, აქნება დაგვირდეს. ვინ რა იყის, მართლია ნაღმისა და ტანკის ხანაში ის თითქმის ქარგავს თავის ელფერს, მაგრამ უყვადვი იარაღია თავის ალაგას“.<sup>38</sup>

მართლაც ეს უყვადვი იარაღი ლევანმა, საბრძოლო ოქერაციის დროს, ბრწუნივალდ გამოიყენა. ნიახურას ბრძოლაში ნაწრობმა ხანქალმა დიდი სამაშულო ომის დროს კვლავ შეასრულა თავისი მოვალეობა — მომხდურის გული განგმორა.

აი, სწორედ ამ ორი ბრძოლის ფონზე გამოვლინდა მიხ. მრეელიშვილის მოთბრობა „ოქროს ზარნიშაინი ხანქალი“, რომელიც 1944 წელს დაიწერა.

ამრიგად, შემოთ განაღებებულმა ფოლკლორულმა და ლიტერატურულმა მასალებმა დაგვანახვეს, რომ 1800 წლის 7 ნოემბერს რუს-ქართველთა გაერთიანებულ ქარის ნიახურასთან გამარჯვების ამბავი აქტუალური თემა იყო და არის. ამიტომაც მან ასეთი ფართო ასახვა მხოვ.

ჩვენმა ხალხმა 1900 წელს ზეიმი აღნიშნა რუს-ქართველთა მებდრობის გამარჯვების 100 წლისთავი. გაზეთ „იერიამ“ გამოაკვეენა ბ. ესაძის ვრცელი წერილი სათაურით: „იორის ბრძოლა 7 ნოემბერს 1800 წელს რუს-ქართველთა ქარისა ომარ-ხანის ლაშქართან“.<sup>39</sup> სწორედ მაშინ გადწედა, რომ უყანასწელი მებდრობის ადგილზე, სოფელ გოზგიწმინდისა და საგარეოს ბოლოზე, ე. წ. „კოშკის გორასთან“ დადგმულიყო ძეგლი.

36 მიხ. ქავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. V, თბ. 1961, გვ. 79.  
37 იქვე, გვ. 569.

38 მიხ. მრეელიშვილი, მოთბრობები, 1953 წ., გვ. 44.  
39 „იერიამ“, 1900 წელი, № 243.



1901 წლის 1 სექტემბერს აღმართულ იქნა ობელისკი; მისი საზეიმო გახსნის ეპიზოდები ფოტოზე გადაიღეს. ორმა სურათმა ჩვენს დრომდე მოაღწია. ფოტოები აღმოჩნდა 1964 წელს, საგარეჯოში, გარსიაშვილების ოჯახში;<sup>41</sup> სხვათაშორის, ერთ სურათზე კარგად მოჩანს ცნობილი ზალხოსანი მწერალი საქარია გულისაშვილი, რომელიც იმ ზეიშს დასწრებია.

დიდად საინტერესოა ისიც, რომ ნიახურას ბრძოლის ამსახველი ფერწერული სურათიც მოგვეპოვება. იგი შესრულებულია 1887-1888 წლებში ცნობილი უკრაინელი მხატვრის ნაკ-

ლივ სიმონის ძე სამოიკოს ცხუბაძის მიერ. მხატვარმა სამხედრო-ისტორიული მუშეუშის სპეციალური დაკვეთით შექმნა დიდებულ ტილო — „ბრძოლა მღ. იორთან 1800 წელს“.<sup>41</sup>

სურათზე ასახულია ნიახურას ბრძოლის კულმინაციური მომენტი — გამაფრებელი იერიშა — და შთამაგონებლად არის გააჩვენებული საბრძოლო მოქმედების დეტალები. ჩანს მხატვარს კარგად გაუცნია აღნიშნული ბრძოლის ამსახველი ლიტერატურა, დაუფალიერებია კედელს ის ადგილი იორზე, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა და ისე გადაუტანია ტილოზე.

40 ერთი ფოტო ჩვენ გამოვამკვეყნებთ 1965 წლის 20 ივლისს, გაზეთში „ალანის განთიადი“ (თელავი).

41 ნ. ს. სამოიკოს სურათი „ბრძოლა მღინარე იორთან, 1800 წელს“ დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.



პრემია ჰაკალიშვილი

პოქის მართალი სახეები

ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენი საუკუნის მხატვრული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. სამწერლო სარბიელზე იგი იმ ხანებში გამოვიდა, როცა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია გაბატონდა და საზოგადოებრივი ცხოვრება მძიმე ატმოსფეროში მოიცვა, კულტურის სფეროში კი გულგრილობის, სულიერი დაცემულობის განწყობილებებმა იზინეს თავი. ევროპიდან სამშობლოში ახლად დაბრუნებული ახალგაზრდა მწერალი ვერ ასცდა ევროპაში იმ ხანად გავრცელებულ მოდერნისტულ მიმდინარეობათა ერთგვარ გავლენას. მართალი იყო ლეო ქიაშელი, როცა აღნიშნავდა, რომ „ნიკო ლორთქიფანიძე არ შეიძლებოდა დარწმუნებული გარეშე იმ დიდი ლიტერატურულ-ესთეტიკური მოძრაობისა, მით უმეტეს, რომ იგი შეესწრო მას ევროპაში ყოფნის დროს და მისი პირველი ნაბიჯები სალიტერატურო ასპარეზზე დაემთხვა ამ ახალი ლიტერატურული გემოვნების განმტკიცებას“. მაგრამ არსებითი და გადამწყვეტი მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაში ის იყო, რომ იგი ბავშვობიდანვე ქლასიკური ლიტერატურისა და ეროვნული ფოლკლორის ტრადიციებზე იზრდებოდა და სალოცავ ხატად სამშობლო გავხადა. ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად მიგვაჩნია კონსტანტინე გამსახურდიას განსაზღვრა, რომელიც მან ნიკოს შემოქმედებას მისი დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში მისცა: „მართალია, — თქვა მან, — ნიკო ლორთქიფანიძემ ხარკი მიუზღო იმპრესიონიზმს, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ დააზიანა მისი ჯანსაღი რეალიზმი“.

ქართველი ხალხის ცხოვრება ისტორიულად ისე წარმოშრთა, რომ მის საუკეთესო შეი-

ლებს სამშობლოსა და ადამიანის თავისუფლების იდეა ღვთაებრივ იდეად ესახებოდათ. ამ იდეისაგან დაცლილი ლიტერატურა ვერასოდეს ვერ დაიკაებდა საპატიო ადგილს ქართულ მწერლობაში და იგი უკვალოდ ჩაივლიდა. სწორედ ამ იდეის ერთგულებამ მოუპოვა ნიკო ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება და დიდი მწერლის სახელი.

სამშობლო ნიკო ლორთქიფანიძისათვის ღვთაება იყო, ადამიანი კი მისი სალოცავი ხატი. ადამიანის სახელი მწერლის შემოქმედებაში ამაყად გაისმოდა. ადამიანი იყო ის რთული ფენომენი, რომლის შინაგანი სამყაროს ახსნიდაც თავისი ფილოსოფიური, ისტორიული, პატრიოტული, სოციალური და ზნეობრივი მრწამსის გამგლავნებას ახდენდა. სიახლე, რომელიც მან ქართულ მწერლობაში მხატვრული თავისებურებით — ფრაზის დაკონურებით, რიტმული ფორმით და სიუჟეტის არატრადიციული აგებულებით შემოიტანა, სრულიადაც არ უპირისპირდებოდა ქართული ლიტერატურის საერთო იდეურ-ესთეტიკურ მიმართულებას.

სულიერად მოთვნილი ევროპიდან ნიკო ლორთქიფანიძე სამშობლოში რეაქციის მძევნაგუბის პერიოდში ჩამოვიდა, მაგრამ ატმოსფერო რევოლუციური დენთისაგან მთლიანად განმუხტული მაინც არ იყო. თუ მხედველობაში მწერლის ადრინდელ პროგრესულ განწყობილებასაც მივიღებთ, მას არ შეიძლებოდა არ ეგრძნო იატაკქვეშ გადასული შემართების პოტენციური ძალა, ყური არ მიეცმო ხალხის კენჭისხათვის. ამ განცედა ადამიანის დამცირებისა და სამშობლოს უბედობის ტკივილები, გასთიშოდა „გარეგან ქვეყანას“ და თავის სულში ჩაკეტილიყო. მწერლის ნაწარმოებთა ზნეობრივი პათოსი ნა-

თლად გამოხატავდა დიდი ქართველის ამალ-  
ბულ პატრიოტულ სულისკვეთებას, და სწორ-  
ედ ეს განასაზღვრავდა მისი შემოქმედების  
იდუარ-ესთეტიკურ მიმართულებას; უფრო მე-  
ტიყ შეიძლება ითქვას, — მისი ადრინდელი მი-  
ნიატურები მოკლებული არ არის დიდ სოცი-  
ალურ აზრს და ღირებულებას და მხოლოდ  
ფორმის კულტურით არ იქცევენ ყურადღე-  
ბას. მათში, საკუთარი მხატვრული სტილის  
ძიებასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრ-  
ებაში მიმდინარე რთული პროცესების ღრმა  
გაგებაც ნათლად გამოჩნდა. გაიხსენეთ 1908  
წლით დათარიღებული პოეტური მოთხრობა  
„მოლოდინში“. ამ ლირიკულ მოთხრობაში  
მკაფიოდ შეიგრძნობა, ერთი მხრივ, სიძულე-  
თი გამეფებული „სიმეფროვისა“ და, მეორე  
მხრივ, სიყვარული სიცოცხლის დამამყარებ-  
ელი ქვექაქუხილისა და ქვეყნის მომავალი  
განახლებისა.

მწერალს სჯერა, რომ გრიგალი ამოვარდე-  
ბა, წალკავს, რაც მინას ვერ შეუსისხლბორ-  
ცება, და მღელვარე სულს გზას გაუხსნის.  
ზემობსენებელი მოთხრობა პირდაპირ ეხმა-  
ურება, უპირისპირდება და ჰგმობს პირველი  
რევილუციის შემდეგ გაბატონებულ საზოგა-  
დოებრივ ატმოსფეროს. მასში თავისუფლებას  
მონყურებული სულის მშფოთვარე ხმა ისმის.  
მოთხრობის ლირიკულ გმირს გული უღონდე-  
ბა გაქიანურებული მოლოდინით, მოლოდი-  
ნის დღეებს ფერმერთად სიცოცხლეს უწო-  
დებს და სწყველის ასეთ სიცოცხლეს.

უშუალოდ ამ მოტივს აგრძელებს მინიატურ-  
ა „რიერატი“ (1908 წ.). აქ ბუნების უბრა-  
ლო სურათი რთობა გადმოცემული, რიერატი  
სიმბოლოა გათენებისა, კონკრეტული დროის  
საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული  
წყევდიანის გაფანტვის, მოლოდინისა. ლირი-  
კულ გმირს სული ეხუთება ამ მოლოდინის  
გაქიანურებით და, მკითხველის გასაგონად,  
გულისტკივილით ხმამაღლა გაითხის —  
„რადისლა ენახავთ დილას. მზის სიხვეში  
მცურავ დილასო“. ამ სტრიქონებს რომ ვკი-  
თხულობთ უმაღლე დიდი ილიას „გახაფხუ-  
ლი“ გვახსენდება — „აყვავებულა მდელი,  
აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო, შენ  
როსლა აყვავებენ?“ განა აქედანაც არ ჩანს  
კონ იყო ახალგაზრდა მწერლის ქვეშარჩიტი  
მასწავლებელი და გზის გამკვლეობა?

მწერალს სურდა შემატებლობა, სირცხვი-  
ლი სწავეს, როცა ხედავს, რომ შემართების  
მაგივრად ირგვლივ მყუდროება სუფევს. თი-  
თქოს აღარავის აგონდება თავისი მოქალაქე-  
ობრივი მოვალეობა, დამშვიდებულად შეჰყუ-  
რებენ სამშობლოს მძიმე ხედვებს. [„სირცხვი-  
ნია“, 1909 წ.]. ასეთ ვითარებას იგი „საძრა-  
ხად და სახელის გამტეხად“ თვლის. ამ ესკიზ-  
ში ნიკო ლორთქიფანიძე დანერგებით როდი

გიხსნით თავის ჩანაფიქრს, არ  
იძლევა, იგი რამდენიმე სურათს, რამდენიმე  
სტრიხს მოგანდით და დანარჩენს იქვე  
ფანტახიას ანდობს.

გაიხსენით შირს, უცხოეთში გადახიზსუ-  
ლის სუედა სამშობლოზე. ამ თემაზე სხვა რა-  
მანს, ან ვრცელ მოთხრობას დანერგა. შეე-  
მინდა ათასგვარ კონფლიქტებს სათავად-  
სავლო წინაღობებს. მაგარამ ნიკო ლორთქი-  
ფანიძემ სულ რამდენიმე სტრიქონიანი მინი-  
ატურით — „გული“ (1908 წ.) მძლავრად შე-  
არხია მკითხველის გული.

„ქართველი კაცი უცხოეთში მოკვდა და  
ცხედარი რომ გაჭრეს, გულის მაგივრად ფე-  
რფლია დაჩრჩილიყო.“

„დეპუთი გაგებელი უბედურებისაგან თავ-  
ზარდაცმული დედა შევიდა საყვარელი შვი-  
ლის ობლად დატოვებულ ოთახში. ქუთინებ-  
და: ასე გამოიმჩნე ქვრივი და ოხერი? სა-  
დაა შენი კარგი გული, ამდენი ვაით და უთ  
რომ ჩაგიდგი საგულეში?“

კვლადან პატარა რუკამ გასცა პასუხი:  
— მე დავაჭყენ!  
— მე დავენი! — გახმაურდა სურათი მაგი-  
დაზე.

სიტყვები არაეის გაუგონია.  
და განა აქ ასხნა დასჭირდება იმას, რომ  
ეს პატარა რუკა, რომდგმარ უცხოეთში მყო-  
ფი ქაბუეის გული დააჭტო და დასწვა, მისი  
სამშობლოს რუკა იყო!

აქვე გაიხსენით დიდი შირაგანი მღელვარე-  
ბით აღბეჭდილი მინიატურა — „ქრისტე აღ-  
სდგა მაშინ ჩემს გულში“ (1910 წ.); მინიატურ-  
ის გმირს „ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში“  
სრულიად დაპყარვება სულის სიმშფოთე, აღ-  
ტაცების, სიყვარულისა და სიძულეილის  
გრძნობა. უიშედო, ინდიფერენტული ლანდი-  
ვით დეიარებოდა. ადრე რომ ბუნების მშვე-  
ნიერება ზიბლავდა და ფრინველთა ქექქი-  
კი, ბუღბუღის სტვენა მამოდა ყვილიად ეწი-  
ვნებოდა, ახლა აღარაფერი ესმოდა, თავი  
ეულად. უცხოედ და ქვეყნისათვის უზარგებ-  
ლოდ მიაჩნდა, ცხოვრების მოვლენები მის შე-  
უმჩნევლად მიმდინარეობდა. მაგარამ ერთმა  
უბრალო გარემოებამ უცხად გაუღვიძა ჩაბ-  
შული გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა,  
კვლავ ამ ქვეყანას დაუბრუნა და მოქალაქე-  
ობრივი მოვალეობა გაახსენა:

აღდგომის წინა ღამეს, შინიდან გარეთ  
რომ გამოვიდა და ქუჩაში უაზროდ ხეტიალი  
დაიწყო, ბაგრატის მთაზე მოხვდა. იქ „ქვე-  
ლბურადეე მოღუშული ბაგრატის წინარევე-  
ბი“ გადგომლა და თვანინ სახარული სუ-  
რათი გადაეშალა: „ვარსკვლავებით მოჭფილი  
ცის ღიტანისა „ჯვარცმული ერის მხიარული  
ღალადისი“ შვერთებოდა „ჯვარცმული ქრის-  
ტეს აღდგომის გამო“. ხილული ვერაფერი  
აეხსნა. „ყველაფერს თვალი მოარიდა და ისევ

გულგრილად გაყვა ტაძრის კედელს. შვიარდნილ ადგილზე ნაწერებს ვიღაცა დაყრდნობოდა და ჩუმად და გულმხურვალედ ლოცულობდა.

„სახეს ვერ უხედავდი მლოცველისას, — გვეუბნება მთხრობელი, — მაგრამ მთელი სხეულის მოდუნება, ღრმად დახრილი თავი, გრძელ ღონდეთ დაშვებული თმა, ხელები, რომლითაც კედელს მიბჯვენოდა, მიმტკიცებდა მლოცველის ტანჯვას, სასიოებას და იმედს. ორობდე მის სიტყვას მოვყარი ყურით:

„ღმერთო აღადგინე... ღმერთო, მკვდრებით აღადგინე, ღმერთო. ჯვარცმული აღადგინე ური და მიეცი ძალა და სიმბნე!“

მეც ნელ-ნელა დაეშვი მუხლებზე, იმედის შუქმა გააპო მკერდი და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“.

ნაკო ლორთქიფანიძე ხედავდა საზოგადოების ზედაფენებში როგორ თანდათან იკიდებდა ფეხს გულგრილობა, პატრიოტული მინარაფებებისადმი ინდიფერენტული დაშოკიდებულება, როგორ ახურდავებდნენ მამულიშვილებურ მოვალეობას უნარო ეკლიოსტურ ინტერესებზე, და ყოველნაირად ცდილობდა მათ მიერ დავიწყებული ნამდვილი მამულიშვილობის გრძნობა მშრომელთა ფართო მასებში გაელვითებინა. ერთ-ერთი მისი პროგრესულად განწყობილი რაზმონენელი გემირი გიორგი (მოთხრობა „ტლუ ბიჭი“) ხალხში ჩამდგარიყო და „იუერიაში“ გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის წერილს ხმაშალდა გატაცებით კითხულობდა. მსმენელნი აღტაცებაში მოდიოდნენ, „მაგის დამწერის მამა კი ვაცხოვნო“, — გაიძახოდნენ და სთხოვენ ერთხელ კიდევ გაემორჩებინა წაკითხული. მსმენელთა გატაცებით ემპაყოფილი გიორგი მათ სურველს სიამოვნებით ასრულებს:

„მამული! ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითულის ჩვენგანის უძრავ ქონებას ნიშნავს და არა მთელი ხალხის სამშობლო ბინას. მამულის ქონებაზედ ეხლანდელ ქონდრის კაცს თავისი ნუხედაყრილი სახნავი მინა წარმოუდევება ბოლშე! მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში ღერბიან ქალაღზედ სადგომი საჩივარი! მამულიშვილის ძღვევამოსილება მოგებული საქმის განაწენის პირია; ჯეროვნად შეკონსტრუქციო მამულის სიმამრე ღობეა, ეენახს გარშემო შემორტყმული; მამულის პატრი — ნებუია, სახნავი მინახზედ სასუქად დაყრილი, მამულიშვილობა — მხენელობა და მთესველობის სახელიდაა..“

განვითეთუდით და თვითულის ზურგმა ევლარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყოველთვის ადვილად სახიდა. თვითულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ევლარ იტვიროთა... დაუქციეთ მამათა ჩვენთა სამარე,

შვილთა ჩვენთა აკვანო, დიდი მამული...“

შენარალს სამშობლოს ზედა ფიქრი მოხვენებას არ აძლევდა, ფხიზელი გონებით აფასებდა ცხოვრების აესა და კარგს. მძაფრად გრძნობდა და პირად ტკივილად მიიჩნევდა ერის ტკივილებს. 1910 წელს დაწერილი მინიატურა „საქართველო იყიდება“ რეალური სიამდვილის უტყუარი სურათი იყო და ხალხის გამოხატვითი გარკვეული ზარკით რეკდა. ამავე დროს, ამ „ხმაშალად ყოფინაში“ შერეული იყო საზოგადოების უძღურებით შემფოთებული პატრიოტის ნალველი, რომელიც მწუხარე მოთქმასაც უკავდა.

სამშობლოზე ფიქრი მთელი სიცოცხლის მანძილზე ნიკო ლორთქიფანიძის სულის განუყოფელი ნაწილი იყო.

აქვე მინდა მისი უფრო გვიანდელი, 1917 წლის დასაწყისში დაწერილი მინიატურა — „ლიტერატურული საღამო“ გავიხსენო. იგი მინიატურა „საქართველო იყიდებას“ მოტივს ავითარებს, მის რკალს უკრავს. მწერა. ღმინ იგრძნო ატმოსფეროს შეცვლის დასაწყისი, მის ოცნებასაც თითქოს ფრთები უნდა შესხმოდა, მაგრამ რეალურს ჯერ ვერაფერს ხედავდა და ხალხს თავის უწმინდეს მოვალეობას ახსენებდა.

ლიტერატურულ საღამოზე მწერალს (მინიატურის გმირს) თავისი ახალი ნაწარმოები უნდა წაეკითხა, მაგრამ სამშობლოზე დარდით დასწულეული უცნობი პიროვნებისაგან წერილი მიიღო, იგი ეუბნებოდა, — მე სრული დარწმუნებული ვარ, ვერავითარ ახალს რასმეს ვერ დასწერო... „გიგზავნით ჩემს აღსარებას, ნაუკითხეთ იგი საზოგადოებას, იქნებ მსმენელთაც სიამოვნებით მიიღონ და მეც ნამალი მომიხახონო“. მწერალი ასრულებს უცნობის თხოვნას და მისი საშუალებით ასე ხატოვნად გვიზიარებს თავის მშფოთვარე ფიქრებს:

„ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თერთი თოვლით დაფარული, მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნახი ქალწულისა:

მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში ბატრატის ტაძრის სანგრეები. თალხით მოხილი ჭირისუფალსავით რომ დასცქერის ქუთაისს, უბნით მტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს:

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადაძელობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას: ინყებს მკვირცხლი როონი, შემოსძახებს გიგმაფი თურგი და ბანს ეუბნება: დიხჯი მტკვარი:

მოუარეთ საქართველოს!

ნოფუ, ბატონო ჩემო, გუმინნი რომ კო-  
კისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ  
გაუთაყებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვე-  
თისა:

მოუარეთ საქართველოს!"

ამ მწუნხარე სტრიქონების ავტორს სჯერო-  
და, რომ თუ ადამიანი სურვილის მისაღწე-  
ვად მთელ თავის ძაღასა და ნიჭს მოიხმარს,  
ყველა დაბრკოლების დაძლევის შესძლებს და  
სამშობლოს სიყუეს მოუტანს.

მაგრამ სამშობლო მწერლისათვის მხოლოდ  
გეოგრაფიული ცნება როდი იყო, ხალხის,  
ადამიანის გარეშე. მის შემოქმედებაში პატ-  
როტული, სოციალური, პუშანისტური და  
სატრფიალო მოტივები ორგანულად ერწყმიან  
ერთმანეთს და ერთ მთლიან სიმფონიას  
ქმნიან.

ბრწყინვალე ლეგენდაა „დადიანის ასული  
და მათხოვარი“ (1912). თავადის ასულის ერ-  
თმა, შეიძლება გაუცნობიერებელმა, მაგრამ  
ადამიანიურმა საქციელმა სრულიად შეცვალა  
მათხოვარი, რომელიც განაშებული ცხოვრე-  
ბით არარაობად იყო ქცეული. არაკმაგან  
განკითხვასა და თანაგრძნობას არ მოელოდა,  
მით უმეტეს. მისი სიცოცხლის გადასარჩუნად  
ვისმეს მიერ თავის განწირვას! ეს ამბავი,  
გვეუბნება მთხრობელი, თარეშის წელს მოხ-  
და. თარეში დავრია გაღმა მხარეს. მათხოვა-  
რი ადიდებული მდინარის პირას იდგა, და  
სწორედ მაშინ, როცა მის სიცოცხლეს საფრ-  
თხე ეშუქრებოდა, დადიანის ასული მოულო-  
დნელად მხსნელად მოველინა, შეისვა ცხენზე  
და სამშვიდობოს გაიყვანა. ხუთი წლის შემ-  
დედ მათხოვარი მივიდა მასთან მადლობის  
გადასახდელად და ძღვენის მისართმევად,  
ვეულოფერი დანერგებით გაახსენა, უთხრა,  
თუ მისმა საქციელმა როგორ გააღვიძა მას-  
ში ადამიანი. „მაშინ შენთვის სიტყვაც არ  
მიტევაშ“, — ეუბნება მათხოვარი ბატონი-  
შვილი. — „რა უნდა მეთქვა? მაშინ ვფიქრო-  
ბდი, რომ შენ სხვა იყავი და მე სხვა, რომ  
წემი გაჭირვებისათვის თავს არ შეიწუხებდი.  
იმ დროს ვფიქრობდი, რომ ჩემთვის. როგორც  
უპატრონო ძაღლისათვის, ადამიანს არ ენა-  
ნება მჭაფის ნატეხი, იჯაროს გადანარჩენი  
ხორცი, ორი ფარა; მაგრამ ჩემი სიცოცხლის  
სიცოცხლედ დაფასება — ეს არ. წარმოშედ-  
გინა. მაშინ არ ვიციდარი რა იყო ადამიანი.  
მდინარე ადიდებული იყო. საომარ ლაფშასაც  
კი უჭირდა გახელა, მაგრამ ფონს აღარაინ  
ექებდა. ვაჟიდა ვილაც დიდებული, მხლებლე-  
ბი რომ არ მიშველებოდნენ, ზვირთი გაიტან-  
და. გავიდნენ ნიელი. კვილით სასახლის მოა-  
ხლეები. არავის მიუტყვევია ჩემთვის ყურად-  
ღება — და უეცრად მოფრინდი შენი!“

სამშვიდობოს გავიდნენ თუ არა, დადიანის  
ასული და მათხოვარი ერთმანეთს უსიტყუოდ

დასცილდნენ. ბატონიშვილმა მწერელს: „მეცხვე-  
ნყა ეს შემთხვევა, მათხოვარი კი საგონებელ-  
ში ჩაეარდა, — რა ვიყავი მე, კუხიანი, კოქ-  
ლო, ძონძებში გახვეული მათხოვარი — და-  
დიანის ქალისათვის, რად გამოიფო თავი „ბე-  
ბერი არსებისათვის, რომელსაც სათხებობი  
სძინავს და ღორის საზრდოს ნატრულობს?“

ამ კითხვაზე ფიქრმა უცებ გონება გაუნათა.  
მისი გულის სიღრმიდან ადამიანი გამოემზა-  
ურა, სიამაყე იგრძნო, სიყვარულისა და სი-  
ძულელილის გრძნობა გაუჩნდა. „მიხედე, —  
გაიძახის იგი, — რომ დადიანი, ოდიშის მთა-  
ვარი, ქართლ-კახეთის მეფე, თვით ყვინი  
სპარსეთისა და ხვანთქარი ოსმალეთისა ისე-  
თივე ადამიანები არიან, როგორც მე, მანან-  
ნალა, მათხოვარი!“

მათხოვარი, რომელსაც ადრე არარაობად  
მიჩნდა თავი, ახლა მიხვდა, რომ ადამიანია.  
ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი  
კაცობრიობა!..

მწერლისათვის „ადამიანი მუდამ ადამი-  
ანია“. ამისა არსი მისი კუმანიზმისა. მაგრამ  
ადამიანი სრულფასოვანია მხოლოდ თავისუ-  
ფალი. მწერლის პუშანიზმი აქტიურია, ქმე-  
დითი, ადამიანის თავისუფლებისათვის შეპარ-  
თული. მისთვის უცხოა შემგუებლობა. ტანჯ-  
ვისა და განააცდელის გულგრილად ატანა.  
იგი შეიძლება ადამიანის ფეხმოკიდებულ სიმ-  
შეიფეს, საყვედურობს გულგრილ მკითხველს,  
რომელსაც სურვილი დაქარგვია ნაკითხოს  
სასარგებლო წერილები; თვალები გააბილოს,  
წმინდა პავერით ისუნთქოს; შენ რომ ამის  
სურვილი გტოვდეს, ეუბნება მწერალი ასეთ  
მკითხველს, „ძალა შენი იმდენია, რომ ერთს  
წერილს კი არა, ბახალეის ტბას ჩვენს საწუ-  
გეშო აკვანს ამოგლეჯდი“. ნიკო ღორთქიფა-  
ნიძე ერთმანეთს უპირისპირებს ორ ბულ-  
ბულს — თავისუფალსა და გალიაში გამოშ-  
წყვდულს. თავისუფალი ბულბული უსტვენს  
და უუფეს გალიაში წყდარ ბულბულს, შე-  
ნუხებულა მისი ტყეობით, ცდილობს რით-  
მე უშველოს. გალიაში გამომწყვდეული ბუ-  
ლბული კი შეგუებულა თავის ბედს... თავი-  
სუფალი ბულბული ბრძოლით შეაკვება გა-  
ლისს. გალიაში მყოფს კი ოცურა-ხუნებამი  
უსიამოდ ამოსძვრება სული. უახროს ოცურა-  
კენესამი სიკვდილს, — გვეუბნება მწერალი,  
— „არ ვრჩივანა გალიის ტყონისათვის შეეხე-  
თა მკერდი და უკეთესი მომადელის ძებნაში  
მომკედარიყო“.

ნიკო ღორთქიფანიძეს სძულს ბედს შეგუ-  
ებული, განთავისუფლებისათვის ბრძოლის  
სურვილს მოკლებული ადამიანი, თავისი სი-  
ძულელილის ეს გრძნობა კიდევ უფრო მძაფ-  
რად განგვაუფიქრინა ესკიზში „მონა“:

„ჯვარედინ გზაზე ისმის:

— გასწორდი წელში; ასნიე მადლა ამაყო  
თავი; მოიღერე კისერი, თავისუფლება მიეც



კულ-მკერდს — მსუნთქე მსუბუქი პაერო; ნუ ჩამოვიშვია ცხვირი; დაიჭირე შვის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკივი ვარდთა ყნოსვით!

— შე მონა ვარ!...

— რა ვუყოთ იბრძოლე! განთავისუფლდები...

— შე სუსტი ვარ...

— თავისუფლების სიყვარული მოგვეცემს მოსეს კერატოს და დავითის შურდულს...

— არა მაქვს იმედი...

— არაფერია. ბრძოლაში იმედიც დაიბადება.

— ბეშინია უარესის...

— მონობაზე უარესი რაღა იქნება?

— სიკვდილი... შიმშილი...

— მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზღარი.

მშვენიერებას, სიღამაზეს ნიკო ლორთქიფანიძე მიზნისაკენ სწრაფებაში, მუდმივ ქმედებასა და მოძრაობაში ხედავს. მას იზიდავს და ხიბლავს „მხოლოდ ტალღათა შორის მებრძოლო ზომალდი“, ნავსაყუდარში მდგარი კი „ულამაზო სახლად“ მიაჩნია. ასეა ადამიანიც. „სანამ ისწარფვის, მანამდის აქვს მას შწო, ლახათი“, მიადნევს სანადელს და ძველ აღმავრენას კარგავს. მწერალი ანტაგონისტურად არ უპირისპირებს ერთმანეთს ოცნებასა და სინამდვილეს, რეალურსა და საძიებელს, სასარგებლოსა და სასიამოვნოს. მაგრამ მათ შორის განსხვავების ზღვარს მაინც დებს. — „ბედნიერია, ვინც სასარგებლოსა და სასიამოვნოს შორის „ზღვარის“ დადებს მობაზრებზე“, — გვეუბნება თავისი გმირის პირობით. „სასარგებლოს — პატივისცემა, დახმარება, სასიამოვნოს — სიყვარული, თავყვანისცემა“. სასიამოვნო — სიღამაზის, მშვენიერების, სიყვარულის, ჭეშმარიტი ხელოვნების სიმბოლოა, სასარგებლო კი — ცხოვრების პროზაა, არსებობისათვის აუცილებელი, მაგრამ სულის საკვებად ურიტა. მწერალი უპირატესობას ადამიანის სულის საზრდოს აძლევს, რადგან დაკარგავს თუ არა კაცი ამ საუფრეს, მონსა და სიღამაზესაც კარგავს, — „რათ მინდა პატივისცემა, თვით ცაც რათ მინდა, თუ სიყვარული თან არ დამყვებაო“; სიყვარული და სასიამოვნო მწერლისათვის სინონიმებია, მას უფვარს ის, რაც ხიბლავს და ხიბლავს ის, რაც მშვენიერების განსახიერებაა. მუშ, მისი სხივები ყველა არსის მაცოცხლებელი, ყველა არსის შემქმნელია, მაგრამ მთვარე მაინც უფრო მოსწონს.

„მდინარე რწყავს ყანებს, აბრუნებს ნისქვლებს, გვირეცხს და გვიწმენდს, ვსვამთ ხშირად, ხშირად ხომადღებო, ნაევი დადიან მდინარეზე.“

აქაა რა მაინც უფრო მოგვწონს.

ჭალა, დაბლობი ადგილი გვანათლებს, გვეკვებავს, ადვილად მოვიხმართ, როგორც კი გვეჭირვება.

მთა, თვალუნდენელი საღი კლდე მაინც უფრო მოგვწონს.

ქათამი, ბატი, იხვი — საუნჯეა ოჯახისა. კუჭი მათზეა დამყარებული.

ორბი, ცაში რომ ფრთავაშლილი გაქვავდება, მერე გასრიალდება მსხვერპლის მოსატაცებლად, მაინც უფრო მოგვწონს.

ის, ვინც სასარგებლოში პოულობს თავის „იდეალს“, არ მიიღლებს სასიამოვნოს მოსაპოვებლად, მან არ იცის მშვენიერებისა და თავისუფლების ფასი, ადამიანის ფასი, იგი სულურად დაცლილია. მწერალმა კარგად იცის, რომ მხოლოდ სასარგებლოს ძიება ვეოიზის, მოქალაქეობრივი ინდიფერენტის სათავეა. მწერლის მუშაინიში, ადამიანისა და ადამიანურის სიყვარული განსაკუთრებული ძალით მუდავდება მინიატურებასა და ნოველებში, რომლებიც დედაშვილობის პრობლემას ეძღვნება. აქ იგი მღელვარედ, გულში ჩამწვლილად ლაპარაკობს უკედეგ ზნეობრივ ნორმებზე და დედაშვილური ურთიერთობის საფუძვლიან გრძნობას გადმოსაქვამად უაღრესად ფაქიზ ფერებს პოულობს. გაიხსენეთ მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო მინიატურა — „თავსაფრიანი დედაკაცი“, რომელიც განუდგათა შთამბეჭდაობითა და აზრის სიღრმით სანიმუშოა. ამ მინიატურამ გამოქვეყნებისთანავე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ქართული საბჭოთა პროზის შედეგად იქნა აღიარებული.

თავსაფრიანი დედაკაცი იმ იდეალური დედის განსახიერებაა, რომლისათვისაც ქართულ ლიტერატურაში არა ერთ მწერალს შეუხებას ხობტა, დედებს საერთო უფრო მეტი ექვთ, ვიდრე განსახიერებელი — შვილისა. დღი მათმა უანგარო სიყვარულმა საზღვარი არ იცის. შვილები კი უოველთვის როდი ჰგვანან ერთმეორეს. ბევრი თუ დედისათვის სიცოცხლეს არ დაიშურებს, ისეთიც მოიპოვებია, რომელთაც დედაშვილობის მაფი არ ესმით. მათ გული ამ უღამაზესი, ადამიანის გამაყვითლობელი გრძნობისათვის დახმულია. „თავსაფრიან დედაკაცზე“ უფრო ადრე ამ თემას მწერალი „ავადმყოფ დედაში“ შევხვბო. ამ პატარა ეტიუდში დახატულია ორი მშის მკვეთრად საპირისპირო ხასიათი. ერთი თუ დედის ავადმყოფობით მწუხებულთა და მისი გადარჩენისათვის ზრუნავს, სიცოცხლეს არ იშურებს, მეორე — ინდიფერენტულად არის განწყობილი, დედის სიკვდილს არაფრად მიიჩნევს, მის მკურნალობას უაზრობად თვლის — მან თავისი დრო მოჰყამა, არ შემოიძლია მის დაწაფებულ სახეს და კბილებჩაფრილ ტუჩებს ვუკუროო. დედის მდგომარეობით მწუხებელი შვილი გაახსენებს უმა-



ფერ მშას, თუ ვინ გაუჩინა ეს ნაოჭები სახეზე დედას. მაგრამ მასზე არაფერი იმოქმედებს, ავადმყოფ დედას შიშობებს და იქაურობას გაცდენდა.

ერთგული შვილი საკუთარ სისხლს გადაუსხამს ავადმყოფ დედას და სიკვდილისაგან იხსნის ისე, რომ წუთითაც არ დაფიქრდება, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

ნოკო ლორთქიფანიძისათვის დედა — მთელი სამყაროს გულია, მის სიყვარულში გამოხატულებას პოულობს ქუჩისაგან უმღელესი სიყვით და ქვეშაირი მოქალაქეობრივი რწმენა.

სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა, როგორც დავიანახეთ, ადრინდელი იქცევა ნოკო ლორთქიფანიძის ყურადღებას. მის ეტიუდებსა და მცირე ფორმის მოთხრობებში სიბრძნით არის გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. — ფეოდალური წოდების დეგრადაციისა და გლეხობის დუხჭირი ცხოვრების სურათები. მწერლის მახვილ მხატვრულ თვალს შეუძრწველი არ დარჩენია საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. იგი, როგორც მხატვარი, მიუკერძოებელი იყო, მკაფიო ზღვარს დებდა კარგსა და ავს შორის, საზოგადოებრივად სასარგებლოსა და საზიანოს შორის, რითაც სწორპოვრად აგრძელებდა ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს.

ისტორიულ მოთხრობებში მწერალი უმთავრესად ფეოდალთა ქიშპობით დაუძლურებულ საქართველოს ვითარებას ეხებოდა და ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლთა თანაგრძნობის გამოხატავდა. ამაში ხედავდა იგი დროის პროგრესულ იდეალებს. რეალისტურად მოაზროვნე მწერალს წარსულის ასახვისას საკვებით სწორი პოზიცია უჭირავს და მოვლენების კლასობრივ ხასიათს თვალს არ არიდებს, მისთვის სულაც არ გახლავთ ერთი ბატონი და ყმა, ფეოდალი და გლეხი. წვენი საუკუნის პუშკინისტი, რა მხატვრული სტილის ერთგულიც უნდა ყოფილიყო, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

„მრისხანე ბატონის“ (1912 წ.) სიუჟეტი ფეოდალური საქართველოს ფონზე იშლება და წარმოასახავს ფეოდალური არისტოკრატიის ყოფას, ზნეობრივ თავაშუებულობასა და ურთიერთ ქიშპობას, რაც ზიანს აყენებს ერის საერთო ინტერესებს. მართალია, მწერალი მოთხრობის თვითად აღებულ ამბავს არისტოკრიულს უწოდებს, მაგრამ ეს ისე როდი უნდა გაეგვოთ, თითქმის იგი მის ისტორიულ ხასიათს უარყოფდეს. პირიქით, მიუხედავად იმისა, რამ პერსონაჟთა და დეტალების ფაქტობრივი სიზუსტე არ აინტერესებდა და, როგორც მხატვარი, ფანტაზიას ფართო გასაქანს აძლევდა, ოდნავადაც მოკლებული არ

არიან ისინი ისტორიულ სინამდვილეში იმედებს, მხატვრულ სიმართლეშიც იმედებს.

ნოკო ლორთქიფანიძის დოკუმენტური პროზა არ იზიდავდა, მას აინტერესებდა ხასიათი, განზოგადებული, ტიპური ხასიათი, სული ადამიანისა, თუ შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური ხასიათი, — რაც წარმოდგენას მოგვცემდა არა ერთ პიროვნებაზე, არამედ ამა თუ იმ სოციალურ ფენაზე, ადამიანთა ჯგუფზე... ასეთი ხასიათი ყალიბდება მოქმედებაში, ადამიანებთან და მოვლენებთან აქტიური მიმართებაში. ამავე აზრისაა მწერალი კონკრეტულად ცნობილ მოვლენებზეც. კონკრეტულად ცნობილი მოვლენა, ისევე როგორც კონკრეტულად ცნობილი პიროვნება, შეიძლება არ შეიცავდეს აღებულ დროისათვის ყველა ტიპურ წინაშეს და მათთან განზოგადებამ, თუ კვლავდაკვალ გავყვებით დეტალებში, არც მოგვცავს ზოგადი ტიპური სურათი. ასეთი მეთოდი უფრო დოკუმენტური მოთხრობისა თუ რომანისათვის მიაჩნდა მისი აზრით.

მრისხანე ბატონი ღვეანი თავისი დროის ლეიკლი შვილია, იგი შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობს და კაცთმოძულეობითა და დაუნდობლობით ირგვლივ ყველას თავზარს სცემს, მხეცურად უსწორდება შინაურსა და გარეულს, ყმასა და ნათესაეს; მან ჯოჯოხეთურად აწამა თავისი მუღული ციცილო და ძმისწული ვახტანგი, ხარებზე გააკრა და რქებით დააგლეჯინა მათი სხეული. უფრო შემზარავია ზედატყვისიელი ქაბუკის დასჯა უბრალო შეცდომისათვის. მისი საქციელით შემწნუნებული ლეკებიც კი, — გვეუბნება მწერალი, — ერთმანეთს განციფრებული შესცქეროდნენ, — ეს რა ხალხში ჩაჯარდითო.

ლექსში „გაბზარული ზარი“ წარსულისა და აწ-  
მულის განუყოფლობა მებსიერების სიმბოლური  
წარმოსახვით — უადრესად ეფექტურია:

გენს ქვით ზარ ზაჭრილი ისევ  
და უძველესი ჭრალობიდან  
სისხლივით გდის მებსიერება.

და იქვე:

კაცობობობა,  
გაისხრო იქნებ როგორმე, —  
როგორ დაიწყო  
რაც დაიწყო  
როცა დაიწყო.

პოეტის ერთ-ერთი კრებულის წინასიტყვაო-  
ბაში კრატეოსი წერს, რომ იქ „ერთი ლექსი  
მეორეს ავსებს, თხზავს ზიარ ვაწყოობილე-  
ბას...“ ასეთივე ურთიერთდამოკიდებულებას  
ვამჩნევთ ჩვენ სხვადასხვა კრებულში შეტანილ  
ზოგიერთ ლექსს შორის. ლექსებს „გაბზარული  
ზარი“ და „რაღაც მასხვს“ აერთიანებს ზო-  
გადსაკაცობრიო მიდგომა წარსულისა და აწმუ-  
ლის განუყოფლობის პრობლემისადმი, თუმცა  
ეს მხატვრული საშუალებები, ამ იდეის გადმო-  
წყვეტილი, საგრძნობლად განსხვავდებიან. კიდევ  
უფრო ნათლად და პირდაპირ გადმოცემულია  
ეს იდეა ლექსში „მამაშვილური თეორემა და

ისტორიული გზა მისი დამტკიცებელია  
აქ საგრძნობ სახეცეცილებას ვინცდის უკვე  
სიღრმისეულ დონეზე, აქ ლაპარაკია არა ზო-  
გად აწმულისა და წარსულის ერთიანობაზე, არა-  
მედ საქართველოს წარსულსა და აწმულის. ამ-  
გვარად ზოგადსაკაცობრიო პრობლემა აქ უკვე  
ეროვნული რაკურსით არის დანახული, სატი-  
ოტელ მოტავს ამ ლექსში მთავარი ადგილი  
უჭირავს, ლექსში „რაღაც მასხვს“ ეს იგი ასე  
გაშლილად, ასე ფართოდ არ იყო გამოხატული.  
და სრულებით არ იყო წარმოდგენილი მასში  
მომავლის ცნება. შეადარეთ ამას მომავალზე  
გადატანილი აქცენტი „მამაშვილური თეორემა-  
ზე...“:

საქართველოს მომავალი  
მისივე წარსულისა და აწმულის  
წამრავლის ტოლია!

დიდებული აზრია, მომავლის ცნებაც უფროდ  
ორიგინალურად არის გამოხატული, ოღონდ ამ-  
გვარად წარმოდგენილი მომავალი არ არის სიმ-  
ბოლო, ექსპრესიული ტრიაში ამ ტერმინის უკე-  
ლაზე უფრო საუკვეთოა გავებით. მომავალ-  
ში აქ შეტაფორული შედარებულია ნამრავ-  
ლითა, უზოგადეს ცნებასთან, რომელიც  
ძნელად არის წარმოსადგენი. ნაკლებად ახსტ-  
რაქტულია წარსულსა და აწმულის  
ცნებებზე, მაგრამ ესენიც არ წარმოადგენენ იმ-  
დენად კონკრეტულ ცნებას, რომ შეიძლება  
დაიწინაო, იგრძნოს მათი ნამრავლი  
როგორც მხატვრული ფენომენი, ხატი, სიმბო-  
ლო. მ. ფოცნიშვილის ლექსში „გაბზარული ზა-  
რი“ მოხსენებული, „კრილობიდან გადმოდენი-  
ლი მებსიერება“ შესატყვის კონტექსტში უფრო  
მდიდარია ასოციაციებით. ვიდრე მომავალი  
„წარსულისა და აწმულის ნამრავლის“ სახით გან-  
ხილულ ლექსში. და ის, რასაც იხსენებს პოეტი  
ლექსში „რაღაც მასხვს“, გაცილებით უფრო  
მდიდარია ამ ლექსის მხატვრულ შინაარსზე,  
რომელშიაც მოცემულია სიმბოლო „სისხლი —  
მებსიერება“.

უკვე აღნიშნა, რომ ლექსს „რაღაც მას-  
ხვს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.  
როდესაც მას ეზოდავთ პოეტური სიტემის  
ერთ-ერთ კომპონენტად (ეს სულაც არ ნიშნავს  
იმას, თითქოსდა მას არ ჰქონდეს დამოუკიდე-  
ბელი ლირებულება). ჩვენ სხვათადად აღვი-  
ვათ, მაგალითად, ამ ლექსის იდეის და მხატვ-  
რულ შინაარსსაც იმ შემთხვევაში, თუკი შეე-  
ხვედით მას ისეთი ლექსის წაკითხვის შემდეგ,  
როგორცაა „ჩვენება“. ამ ორ ლექსს უდავოდ  
აერთიანებს აწმულისა და წარსულის გაერთიანე-  
ბული მხატვრული წარმოდგენა, თუმცა სხვაო-  
ბა მათ შორის გაცილებით მეტია. ჭერ კიდევ  
სიღრმისეული იდეის დონეზე შეიმჩნევა განს-  
ხვავება: „ჩვენებაში“ ლაპარაკია ეროვნულ  
წარსულზე, ვ შიარ წინაპართა

ტკივილის გახსენებაზე აწმუო-  
ში და აწმუოს გადატანაზე წარ-  
სუღლი. პატრიოტული მოტივი აქ ბატონობს  
უოველგვარ სხვა მოტივზე, თუმცა კი დაფუძ-  
ნებულია წარსულისა და აწმუოს ერთიან ბილ-  
ვაზე: ეს იდეა ასეთი მხატვრული ნებითაა გად-  
მოკრებული:

წინაპრის კვიღს  
თვანგველი და დღდასმული  
სათოფურიდან,  
როგორც ისარს,  
მესვრის წარსული,  
დაქროლი ვგლივარ  
საქართველოს  
უოველ ნაზნართან, —  
მე ვინ ვარ, მეგრამ  
მეტყვენება,  
დარღმა გამზარდა.

ორიგინალურია წინაპრის კვიღის შედარ-  
ება წარსულიდან გამოსროლილ ისართან,  
ფიციური ტკივილის ზღვიერ ტკივილთან გა-  
თანასწოლება. ამ შემთხვევაში საქმე ვაჟებს სმე-  
ნითა ფენომენის გადაუვანასთან შეხებით ფერო-  
მენში, ლექსისაგან „არაღე მახსოვს“ განსხვავე-  
ბით, ჩვენების აღმძვრელი, ფანტაზიის გამღვი-  
ვებელი — რეალურია საგანია: ძველი ციხე-სი-  
მაგის სათოფური, უცნაურია, უყიდურესად  
მოულოდნელი წარსულის გაპროცენებაც:  
ახსტრატული წარმოდგენა მშვიდდონსად, მიუ-  
ხედავად ამისა, მხატვრული შედარებისა და პერ-  
სონიფიკირებული წარსულის დედააზრი აქ უაღ-  
რესად გამჭვირვალეა: არ არის ძნელი იმის გა-  
გება, რომ მთლიანობაში ტროპებითა და სა-  
თოფურით წარმოდგენილი სურათი ნიშნავს  
იმას, რომ წარსულის ძველის ხილ-  
ვამ გაახსენა პოეტს წინაპარ-  
თა სამკვდროსასიცილებლო ბრძო-  
ლა შეშინებულ მტერთან და უღ-  
რმესი თანაგრძნობის აღუძრა გუ-  
ღში. ასევე გამჭვირვალეა სემანტიკურად  
ლექსის დანარჩენი ნაწილიც. თანაგრძნობა წი-  
ნაპარადში, „გენის“ შეგრძნება გამოხატულია  
ამგვარ ვიზუალურ-შეხებით შედარებაში:

სხვათა ტკივილს,  
არ უოფილხარ,  
სხვათა სხეულის,  
ხარ მახვილივით —  
ჩემს ნეტებში  
გადასხებრეულო.

ქვეს ვარეშეა, რომ სიღრმისეული იდეის გამ-  
ჭვირვალეობა არ გამოარჩევს აქ ასოციაციების  
ორიგინალობასა და სიმდიდრეს. როგორც ჩანს,  
თუთ თემის, სიღრმისეული იდეის არსმა განა-  
პირობა მხატვრული შინაარსის თავისებურება

— ერთად, ტროპული და ჩვეულებრივი  
როცენების მეტნაკლები გამჭვირვალეობა.  
წარსული და აწმუო. არაფერია იმაზე ნათე-  
ლი, რომ ინტელექტის ფუფუნში ვეველა უშუა-  
ლად მოხვედრილი საგანი (ცნება) დაკავშირ-  
ბულია კონკრეტულ აწმუოსთან. წარსული  
„დაარ არის“ აქ, მომავალი კი „ქერ არ მოსუ-  
ლა“: არც ერთი, არც მეორე არ უნდა ეყოფე-  
ნოდეს მის კონკრეტულ რეალობას, რაზეთ  
გახსნილია წმინდა ლოგიკურ ახსტრატუიებში.  
და მაინც ეს ცნება, რომელსაც ჩვენ ვეძახით  
„ებლა“-ს არაფერია, გარდა მარადიულად მიწ-  
დინარე საზღვრისა, წარსულს რომ გამოუფეს  
მომავლისაგან. შეუძლებელია ამ საზღვრის აღ-  
ქმა იმის გარეშე, რასაც იგი უფეს: ის მხო-  
ლოდ გაუფეს აქტში არსებობს. ასეთია, მიახ-  
ლოებით, კასირრას ანტირპრეტაცია ამ ურ-  
თიერთმიმართებისა, რომელიც ახასიათებს  
აწმუოს, წარსულსა და მომავალს. ეს მსჯელობა  
ესმიანება შორის ფოცხიშვილის ლექსების ერთ-  
რიგში გამოხატულ იდეას. მგოსანი, ისევე რო-  
გორც ფილოსოფოსი, ნათლად შედეას და მწვა-  
ვიდ შეიგრძნობს აწმუოს მარადიულ დინებას  
წარსულში და მომავლისა — აწმუოში, მხოლოდ  
მგოსანი ამ იდეას ენობრივი ხატებით გადმოგ-  
ვეებს. კასირრას მსჯელობის კითხვისას ჩვენ  
ვერავტრის „ვებედავთ“, მხოლოდ ვაზროცნებთ  
ახსტრატული ცნებებით. პოეტის აზრი კი უზ-  
ვად ვეთავაზობს ხატების რიგებს. მისი გონება  
არაერთხელ უბრუნდება ამ მარადიულ პრაბლე-  
მას, ჩვენ ვხედებით მას სხვადასხვა თემისადმი  
მიძღვნილ ლექსში უოველთვის ახალი, ორიგ-  
ინალური კუთხით მოცემულს. ასეთი კუთხითაა  
იგი წარმოდგენილი ლექსში „შენ ხარ ვენახი“,  
წარმის ამ საუცხოო აპოლოგიაში, ამ ხიტუვის  
წმინდა, ეტომოლოგიური გაგებით, წარსულისა  
და აწმუოს ერთიანობა წარმოდგენილია შედე-  
გი სახით:

მიწვევს, მეწვეა  
მიხმობს, მეძახის,  
ხან ტანაწურთან,  
ხან წინანდალთან, —  
ხმა შორს წასულთა,  
ხმა წინაპართა...  
შენ ხარ ვენახი!  
შენ ხარ ვენახი!

სათორში ჩაქსოვილი ბიბლიური ასოციაცია,  
არაერთხელ გამოვინებული ლექსში, შრომის  
არსს რაღაც დიად, ამაღლებულ მნიშვნელობას  
ანუქებს, ატყვევებს მკითხველს თავისი უჩვეუ-  
ლობით, არღვევს ჩვენს ჩვეულებრივ წარმოდ-  
გენებს ამ იდეის პოეტური გამოხატვის შესა-  
ღებლობებზე. ბიბლიური მოტივი აწმუოებს  
პოეტური გამოხატულების ექსპრესიულობას.  
ეშოცა თითქოსდა რელიგიური ექსტაზის პრი-  
ზმაში ახსებდა, თუმცა მისი რეალური გამოშფ-

ვეტი მიწზე, ჩასაკვრაველია, ქართველი გლეხის ზეროიული შრომა:

მუხლზე ვეცემი, —  
ლოცვა მაკალო,  
თქვენ გუნაკალოთ,  
ზუგებო, ღმერთებო.

შეოცე საუყუნის ინგლისელი მწერალი და მცნიერი ოლდოს ჰაქსლი, ერთი მხრივ, მეცნიერული და, მეორე მხრივ, მხატვრული აზრის ძირითად განმსახვავებელ ნიშნად თვლიდა პირველისათვის გამონათქვამის თვისებას უკონსტრუქციულ ნათელი და ერთმნიშვნელობიანი, მუდმივობის — ზედმეცნიერ მრავალმნიშვნელოვანი, მდიდარი ქაჩაგმული მარშონით, ასოციაციების ობერტონებითა და კეთილშობიანი ნაზვარტონებით. ამიტომ არის, რომ მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ცდილობს გამოხატოს სიტყვებში ის, რისა გამოთქმისათვისაც სიტყვები არასოდეს არიან მზად. მხოლოდ მათი არაწვეულებრივი შემაგებების შედეგად ხდება შესაძლებელი სუბიექტური გამოცდილების გამოხატვა მთელი თავისი სინტაქსით, მრავალსაბეჭტოანი სიმდიდრითა და განუყოფელი უნიკალითით. ასეთია ოლდოს ჰაქსლის მოსაზრება, მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ უნიკალური განცდებისა და გამოცდილების ამგვარი გამოხატვის გზა სახიფათოა გზაა. ეს გზა ჩვენ ისეთ დაქვილულ თოკზე მოარული აკრობატის გზას ეკავნება, რომელიც მოძრაობს თოკს ქვეშ ჩვეულებისამებრ დაქვილული დაძვრული ბადის გარეშე. ზედმეტი მოძრაობა უდაბრესად სახიფათოა, შეიძლება ითქვას, უდაბურია. ასეთია მკონისთვის მეტაფორებისა და სიმბოლოების სპირაზე, რამეთუ იგი სწორად ნიღბავს უფერულობასა და სიღრმისეულ ამგვარი სირთულე შეიძლება დაკავშირებული უკონსტრუქციული აქონანთან, უთავბოლო აზროვნებასთან. შემოქმედებითი ენერჯის გამოყენებასთან. მორის ფოცნიშვილი არ ერიდება ამ თოკზე გაუღას, რამეთუ რთული, ტროპული აზროვნება გულისხმობს, მეთოდების გამოყენებას მხატვრული ნაწარმოების თანაბრობად. ე. ი. პოეტს მკითხველი თავის სამუაროში შემაჯავს, აძლევს მას დანახვის საგნები და მოვლენები შემოქმედის თვალთ.

არაფ, აივორ ჩინარდის თავის წიგნში „პრაქტიკული კრიტიკა“ წერს, რომ ზოგიერთი სიტუაციის შემთხვევაში, თუ მეტაფორით გამოწვეული სემანტიკური განმარტება იხდის ძალით მოქმედებს ჩვენს ანტილექტურ, რომელსაც კოეფიციენტს ვერაფერი წარმოქმნის. ადვილია ამ ძალის იდუმალ არსზე მსჯელობა, ლაპარაკი სიტუაციის ამოცნობა მაგიაზე, მაგრამ, ვერუბნება ა. ჩინარდის, დროს ვაივოთ, რომ

ამ ძალის შესწავლა შესაძლებელია და რომ მის ამოსახსენლად კრიტიკას სჭირდება მეტი დეტალური ანალიზი და ნაულები პოეტური ნაწარმა. ეს დებულება პრაქტიკულად არის განხორციელებული ა. ჩინარდის შრომებში, სადაც მეცნიერი ცდილობს და საკმაოდ შედეგანადაც უკველავარი პოეტური გამონათქვამის ევლასათვის განსაჯები ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით გამოთქმას, ავტორის აზრის გამოხატვას მეტაფორებით მდიდარ გამონათქვამებში, წყლისულის გადაყვანას ზუსტის, ცხადის, ნათელის დონეზე, ეს, ძირითადად, გამართლებული შეთხვევაა. პოეტური გამონათქვამის ანალიტიკური გამოცდების პროცესში, იგი გამოყენებულ იქნა ჩვენ ეტიუდშიც. მაგრამ ეს შეთხვევა არ შეიძლება ჩათვალოს კრიტიკის უნივერსალურ ნაკადად. გვიხსენოს, ამასთან დაკავშირებით, მორის ფოცნიშვილის ლექსი „დასაზნება“:

გზნებად ვადამწარა  
წუდომის ოდენა,  
სიტყვა პატარაა,  
სედა დღია,  
ბედი მდინარეა,  
რწმუნა ხილია,  
ხილზე ირმებივით  
წლები მიღიან,  
სიცილილს სანადირო,  
თოფი კვიტია, —  
ტყუა პატარა,  
გულს დიდია.

თუკი უფულებებელეყოფთ ამ ლექსის პოეტური ხატებით გამოწვეულ ასოციაციებს და მიხვევებით სტრაქონების ლოგიკურ ინფორმაციას მოცნობას, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ პ ა ტ ა რ ა ს ი ტ ვ ე ა — ა ქ ე ნ ის ექსპრესიულობის პოეტუციალია, დ ი დ ა ს ე ვ ე დ ა — ე მოციებისა და აზრის უნაპირობაა, რომელიც სიტყვაში არ ეტყვა, ბ ე დ ი მ დ ი ნ ა რ ე — ცხოვრებაა, რ წ მ ე ნ ა — ხ ი ლ ი კ ი ს „მორალური კანონი ჩვენს შგნით“, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გაერკვეთ რაღაცობის უსასრულობაში; თითოეული პოეტური ხატი, ნებისმიერი სიტუაციის შემთხვევაში, ამ ლექსში შეიძლება „ითარგმნოს“ ევლასათვის განსაჯებ, ერთმნიშვნელობიან, ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ისეთი გრძნობა გვექმნება, რომ ლექსში ნათქვამია რაღაც გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი, რაღაც ისეთი, რაც ვერც ჩვენ გამოვთქვით და რაც ფორმალურად, სიტყვებით თითქოს არც ლექსშია გამოხატული, რასაც პოეტი გვეუბნება უსიტყვოდ, მთელი თავისი ჩანაფიქრით, მთელი მხატვრული კონცეპციით.

ლალი ავალიანი

# ცხოვრების გრძელ ბილიკვა

ზოგი მწერალი დებიუტითვე მიიპყრობს უკრადლებას, მიიპყრობს დამახებრებულად: სიახლით, მოლოდინელობის ეფექტით, მხატვრული ძალმოსილებით. ასეც ხდება — „წარმატებული“ დებიუტი თვით ავტორის ბეჭითი შეცადინეობით მიიღწევა. შემთხვევითობასაც თავისი ვაიკვს. ზოგჯერ კრიტიკის რეაქციას (დადებითს ან უარყოფითს) მწერლის პირველი თხზულებების მიმართ დროის გამოცდისათვის ვერ გაუფლია: ერთ დროს განდადებული ცალმოსანი დამცხარა და შინავლებულა უცხად ახრიალებული ხმელ შეშასავით. ზოგი მწერლას დებიუტს კი გაუშართლებულა, გულგრილი დუმლით შეხვედრან.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ამქერად ისეთ მწერალზე ვაპირებ საუბარს, რომლის პირველ მოთხრობებს წილად არ ხედომა სთანადო დაუხებმა. ის კი არა და, უკვე „დაწმენდილი“, მშვენიერი მოთხრობების ავტორიც კი კრიტიკოსთა უზრავლესობას შეუშინეველი (ანდა გაუგებარი) დარჩა. მაგრამ ეს წინათ იყო, იმ ახლო წარსულში, თამაზ ბიბილურს თითქმის „ლოკალურ“ მწერლად რომ მიიჩნევიდნენ. ახლა, როცა იგი აღიარებული პროზაიკოსი, სიინტერესო ფსიქოლოგიური რომანისა და პრემიით აღნიშნული ვრცელი მოთხრობის ავტორია, მისი „პარველდამოჩენის“ როლს, რა თქმა უნდა, ვერავინ დაიჩემებს.

უფარულად ჩავდრამა დებიუტმა მწერალი გულისგულში აღბათ შეაცხუნა, მაგრამ არ შეუშუოთება. კრიტიკის დროებით გულგრილობას და უნდობლობას მისი შემოქმედებისათვის, საბედნიეროდ, არაფერი დაუშავებია. თამაზ ბიბილურა აუჩქარებლად, შეუპოვრად, დინჯად მიხვევობდა თავისი შემოქმედებითი გზის სიარალს, სანამ, მისი ვიორებისა არ იყო, „ქედს არ მოქცა თავზე“ — სანამ შემოქმედებითი სიშეწილის თხემს არ მიატანა ამის საუყურებსო

დახტურია მწერლის ახლა კრებული „მოთარის შეილი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981), რომელშიც, რჩეულ მოთხრობათა გარდა, შეტანილია რომანი „თამი კათხელისა“.

ამქერად ერთი თანრით შემოვიფარგლები და შევეცდები წარმოვარინო თამაზ ბიბილურას — თანამედროვე ქართული მოთხრობის ოსტატის — საშუარო, პირველი პროზაული ჩანახატები. დან ეიდრე „ჩავილამდე“.

თამაზ ბიბილურა ფურნალისტი და კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების ავტორი ვახლდით, მაგრამ სიტუეეაქმულ მწერლობაში მისი განაცხადი მოლოდინელი არ ეოფილა. მისი პირველი მოთხრობები, რომელნიც აღარ დაბეჭდილა განშეორებით, 1978 წელს გამოქვეყნდა. პირველ წიგნში „ჩქარა“ (1978 წელი), რომელშიც ძირითადად ნარკვევები და წერალები იყო წარმოდგენილი, ავტორმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მკითხველს შესთავაზა „საქაშნიკო პატარა მინიატურებიც, საქართველოს გზებსა და ბილიკებზე, სოფლებსა და ქალაქებში ხეტიალის დროს წამოკრეფილი“. კონკრეტულ, ნამდვილ ამბებზე აგებულ ამ მინიატურებს ფურნალისტი გულური მქონდა. ფურნალისტი აქ ქერ კიდევ სჯაბინდა ბელეტრისტს („შედი“, „სიტყვები“, „უაუაო“, „ცის გახსნა“, „ვეფხისტყაოსანი“); მხოლოდ რამდენიმე ჩანახატი („ეზო“, „ბაქანი“, „ფოთოლი“, „ვენახიდან სახლამდე“, „მკათათვე“), თუნდაც თითო-ორილა მოხდენილი ფრაზით, მაინც მიგვანაშნებდა თვითმყოფ შემოქმედს.

პირადად შე შეხამუშება მინიატურათა გამამთლიანებელი სათურაი — „სანადირევი“, რაც ანალოგიათა დამებნის საშუალებასაც იძლევა.

თამაზ ბიბილურმა შემდეგში ჩინებულ მხატვრული ადლო გამოავლინა, როცა მოთხრობების პირველ წიგნში („ნიღაბი“, 1978 წელი) შემოსხნებულ თხზულებათაგან ერთადერთი

და საუკეთესო — „დამწვიდობება“ — შეიტა-  
ნა.

მწერალს (თუმცა, შესაძლოა, ეს მისი შემოქ-  
მედების განვლილი ეტაპი იყოს) საოცრად  
ენარჩევა უყოფითი ჩანახატები, ერთ-ერთი ამა-  
თავანია „დამწვიდობება“.

„დამწვიდობება“ სოფლის ავტობუსში შემთ-  
ხვევით დამგზავრებულ დედაბრძისა და ბერია-  
კეის დიალოგზეა აგებული. ავტორს თითქმის  
უწყველად გადმოუღია სინამდვილის პატარა  
„ნაგლეჩი“; ამ ილუზიას კმნის დიალოგის ბუ-  
ნებრიობა და სისადავე. ასევე „ბოლოკეთილ-  
შეი“. მოკვდილების ფონი ორივეგან სოფლის  
მორატარებ ავტობუსისა, ადგილი, სადაც მწერლის  
ფხიზელი თავი აღიქვამს და წარმოაჩენს მრავ-  
ალ მსიათხა თუ სახეს უაღრესად „ეკონომი-  
ური“ ბერებში. ორივე მინიატიურას მშვე-  
ლავს კეთილი, უწყინარი იუმორი.

მინიატურის ფორმა მწერალს მხოლოდ „უწყ-  
ინარი“ სიუჟეტებისათვის როდი მიუხადავებ-  
ია. „ცხენი“ ბოროტ კაცზეა დაწერილი. სო-  
ფელს ეშინია ქურდისა და ბოროტის. ბიჭ-  
გაკოვლია, ორ მილიციელს შორის ზის, მაინც  
ეშინათ მისი. მხოლოდ ერთმა, ცალი ფეხით  
სამარტში მდგარმა ბერაკაცმა გაბედა პირში  
მიგხალა ქურდისათვის მისი სიავე, მაგრამ პა-  
სუსდა შექარა მიადო. შეცხებულმა ბერაკა-  
ცმა ლაჩარი თანსოფელელის მხარდაჭერა კი  
ვერ პოვა. მარტოსული მოხუცი დამფრთხალი  
(თუ გულგრილი) ბრბოს ფონზე სულისშემძე-  
რელად გამოიფურება.

თამაზ ბიბილურის პიროვნის ეანობრია დი-  
ფერენციაცია, საქმელისა და ალბათ, ზეტმე-  
ტიკი. ავტორს ჩანაფიქრი სთავაზობს ფორმას,  
იგი არ იზღუდება ეანობრია ატარებით.  
მინიატიურას ესკიზი ცვლის, პატარა მოთხრო-  
ბას თუ ეტრუფს — ურცელი მოთხრობა. არც-  
ხელი კი ის არის, რომ მწერალი მცირე ზომის  
პროზული ეანობრის ოსტატია. ეს ჩანს პატარა  
მოთხრობა „ვენახი“სა, სადაც ეტრინათს ერ-  
წყმის ლაღი იუმორი და მარტივი პედონიზმი.  
ვაზის უშურველი მოამავე „ვენახის“ გმირი,  
ვეშაის ძაღლის მფლობელი გოგია. იგი ისეა შე-  
ნივთებული მიწასთან, ისე უფუხანად იღებს  
ბუნების ვანაწილს, რომ მკითხველს არ ეჩო-  
თარება მისი ბუმბობანარევი, აკვატბული  
ფრანა, მოთხრობაში რეფერენიით რამდენჯერ-  
მე რომ შეორდება: „რავი, ზვალამდე აქნება  
კვებობა...“

პატარა შედევრია თამაზ ბიბილურის „მუდ-  
როზე“. მუდროზე — ერთ ცაქქნა შინან ად-  
გალზე დაუწყებულა მთელი სოფლის სიბარუ-  
ლი თუ სატკავარი, სიბრძნე თუ სიავე, კირი  
თუ შარი...

გრძელი წამთრით გაბერებულ, მარტის მზეს  
მიფიცებულ თანახოფელელთა უფუხ-ცხოვრე-  
ბა გადმოცემულია პოლიფონიურ დიალოგში,  
სადაც უფელას თავისი „თემა“ აქვს. თითოეუ-

ლი თანამოსაუბრე აქ ე წ „სიტუაციის  
ბიტი“ არის დახსიათებული.

მოსაუბრეთა თითქმისა გულგრილი დიალო-  
გის ერთ-ერთი მთავარი საგანი „ცას ამოწე-  
ბეზული“ მართის სიკვდილ-სიცოცხლეა ეს  
შტრიხი მწერალს სტირდება საერთოდ სიკვდილ-  
სიცოცხლეზე ჩანაფიქრებლად იგი უფროდ  
შორს სცილდება თითქმის ფორტკარფული  
სიზუსტის ფიქსირებულ უფით სურათებს და  
შკოთხველისაგან უკვე ვანსკას, გაზრტებს, საღ-  
რმეში წვდომას ითხოვს.

დახვეწილი, დიდი ემოციური ზეგაღენის  
შქონე „მუდროზე“ ნიკო ღორთქიფანძის შე-  
დევრებს მაგონებს ბუნებრივია, აქ მიბაძვა არ  
მიგულხნისა. წინამორბედთა (ან თანამედრო-  
ვეთა) ზეგაღენისაგან სრულიად თავისუფალი  
სხვა ვინ უფელა, თამაზ ბიბილური რომ იყოს,  
მაგრამ მის საუკეთესო მოთხრობებში რომელი-  
მე მწერლის აუგად სახსენებელი მიბაძვის კვა-  
ლი არ ჩანს.

გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მწერლის უფი-  
თი ჩანახატების ფონი კახეთია. აქ თამაზ ბიბი-  
ლურს ხომ მშვენიერი წინამორბედი ჰყავს  
რევეზ იანნიშვილის სახით იქმნებოდა მიხაფი-  
ხა ამ გავლენის „საშინრობა“. საბედნიეროდ,  
თამაზ ბიბილურს ხედვის განსხვავებული კუთ-  
ვე, წერის ასევე განსხვავებული, თვითმყოფი  
მანერა აღმოაჩნდა.

მიბაძვისა რა მოგახსენოთ და, თამაზ ბიბი-  
ლურს, ჩემი აზრით, უფოოდ ჰყავს დიდი მას-  
წავლებელი — „ნატურის ბის“ ავტორი ვიორ-  
გი ლეონიძე. აქ ხილულ, უფელასთვის აწკარა,  
ზედაპირულ გაუღენსა როდია ლაპარაკი. პირო-  
ვნის პოეტურობა, მკვადრად შეტრული ფრანა,  
განსაკუთრებული ანტერესი თვანჯარა ქართუ-  
ლისადაში, „მუხლადი, ბედაური“ სიტუებისადა-  
ში — აი, რა აუთვისებია მწერალს დიდოსტა-  
ტისაგან, აქვე გავიხსენოთ, რომ მან თავის  
დროზე მშვენიერა წერილი უღღმა გიორგი  
ლერიონის სტვენას — „დიდი ნატურის ბი“.

თამაზ ბიბილურას უფელა ღირსსაყნობი მო-  
თხრობის დახსიათება ერთი საფურხანლო წერი-  
ლის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არ მოხერ-  
დება. იმუდებელი ვარ მხოლოდ რამდენიმე  
მთავანი წარმოგადგანოთ შეტ-ნაქელა სისრუ-  
ლით, ზეგაღენთა კი — ორობდე შტრიხით.

მიტოვებული სოფლას თემით ბევრი ჩემი  
თანამედროვე პოეტი თუ პროზაიკოსი დანტე-  
რტებულა. უკველი მთავანი თავისი სამრტელ-  
დან რტავს: ამ მწკავე სატკავარს თავისი მზა-  
ტურული გამოღლაქმის შესამაძისად აშუტებს.  
ამ მხრე გამოჩაღლის ირც თამაზ ბიბილურა.  
მოთხრობა „ნისლაური“ იმის ნიშნულად მესახე-  
ბა, თუ როგორი პარტელქმნილა მშვენიებით შე-  
იძლენა წარმოჩნდეს ნაყნობი თქმა (ამ თემით  
ბიბილური-მუბლიცსტიკე დანტერტება უფ-  
რო მოგვიანებით, გავიხსენოთ მისი „ელღემა  
ქერტ-ქალქზე“).



ჩანაფიქრის მოხარებით გამოცემა, თავშეკავებულ „ლიბერტურ“ თხრობაში ჩაბუდებული ტრაგედიაში, ორკომლიანი შთაინი სოფლის (და ზოგილი ხეობის) ერთადერთი ახალგაზრდა ბიანდრის, ურმა დიონისეს შესავალი „ულმერ-სოდ დამაზი“ ბავშვს ღრმად პოეტური ხაზი — ანთია „ნიხლაური“. მოთხრობის ფინალი ხაქმარტველოს ასობით მატკელებულა ფუძის, ამოგდებული ფესვების რტკეფიმიეთ ეღერს:

„ქინჰარტველული ეწოებო, მონგრეული უორე, უჯარფანჯარა ხაზლები, უჯარტოც კავი-ბი, ჩატეფილი საუვაე, ბალახიანი მაკი.

სოფელში არ ეფედენენ ქალღებო, არ უიოდა მამალი.

...მტკელებული სოფელი სახაფლავს ჰგავს და იქ ხმაბალად ღაპარაკი არ შეიძლება“.

ამ სტრიქონების შემდეგ ისევ მომხილება თამაზ ზიბილურის კიდევ ერთი დიდი მანჭველებლის — ნიკო დორთქილანისის მოხსენება.

თამაზ ზიბილურის მრწამსსა და მხატვრული მანერის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხრობა „ნიღაბს“ (შეწერლის მოთხრობათა პირველი კრებულსაც ზომ „ნიღაბი“ ეწოდა). სათანადო ანალიზის დატკარათა აქვს მის ეპიგრამს. პლატონის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „დიდი ტრაგედია პოეტი დიდი კომიკოსაც უნდა იყოს უფოოდ“, მოთხრობის მთავარი პერსონაჟის თედოს სულიერ ხაშუარის გვიხსნის.

ავტორს მოთხრობა თეატრალური სანახაობისათვის დაუფლოცებია:

„... წარმოდგენა იწუება! — დიამბა თედომ და ფარდის ღრიკოდან თავი გამოუღა ახშორდა დოლი. აუფეფდენენ ხალაშურები. ცოცერების გზოელ ბალიჭე დედაშობალა. გამოტანტალდა ცტროღენა თედო. ვიღაცამ ხელი სტაცა და სარტყინელი დაუფარა. ვიღაცამ ტრელი პერანგი გადასცა. ვიღაცამ ქული დამხურა... თედო ეაცად აქცა“ — ანე იწუება მოთხრობა.

თედო პერანგსა და ნაცარტკეიას ნაწავია (ცოლი ნაცარტკეიას შვილთაშვილის შვილს ეძახის). შემოხობს ეგერტიგად გულს ვერ უღებებს, სასაგებოდ ტოლი არა ჰუფს მოღებენში, ჩონჭურის დაცკარში, ხაღის გართობასა და მანუელსიტუვაობაში. თედოს, როგორც ნამდვილ მხაზიობს, მათურებელი სტარდება: „თედოს თავისი თეატრი მქონდა, მის აცხაბა გონებაში საყუარარი საფეტტება ითხებოდა, დანატული სოფლის ნაცვლად მის წარმოდგენაში ნამდვილი სოფელი მოწაწილეობდა, მუფიას ტეის ნაცვლად — ნამდვილი ტეე, ქაღალდის მთვარის ნაცვლად — ნამდვილი მთვარე, ნამდვილი მზის ცხრათვალა შუჭე თვალისმომქრელად ეღვარებდა პატარა კარ-მიდამო და თეშეეროდმა მათურებლებმა სიცილიც გულიანი იყოღენენ და ტირილიც“.

უველასათვის საუვარელ, გულკეთილ, მუდამ

გართობაზე თვალდაჭერილ კაცს ერთმანეთს რაქმნის ცოლის უფეარი სიყვადე

თედომ ისე ვაღია წუთისოფელი, არაფერზე უღარდა, არც საბერეზე დაფიქრებულა და არც სიყვადელზე. იგი სრულიად „მოუმზადებელი“ აღმოჩნდა ცოლის სიყვადლისათვის, რომელაც გულისგულში სათუთი, ღრმა გრძნობით უუვარდა.

შეწარალი დამაჭრებლად გვიჩვენებს ადამიანის რთულ, ზოგჯერ წინააღმდეგობრივ, გაორებულ ბუნებას, გვიჩვენებს თედოს — ხასათით ნამდვილი სანგვინაის — ფერისცვალებას — იმას, თუ როგორ აქცია მზარული, თითქოსდა უღარდელი კაცო უბედურებამ მელანქოლიკად. ის, რაც მისი ნაშეული საზე ეგონათ, ნიღაბი აღმოჩნდა, სიხარულშიც და წუხილშიც თედო ღრმა გრძნობას აშეღაცნებს. იგი თანაბრად „ნიჭიერია“ ორივე ამბულაში — კომედიასა და ტრაგიკულში, და მწერალიც შესაშური ოსტატობით ძერწავს მის თითქოს ორხაზიან, მაგრამ უაქტობრივად მკვიდრად შეკრულ, მთლიან სხებს.

მზარული ნიღაბს მიღმა არ ჩანს თედოს ნამდვილი გრძნობები. ვაუხსენით, როგორ ეცეოდა იგი ცოლს, რომელსაც „უველაფერს მოთმინება შეეძლო, უველაფერის უხმანროდ ატანა“, რომელმაც თედოს დაფეტილი ეწოკარი თვალში გამოახედა, ხუთი შვილი გააჩინა და დიდი შრომითა და გარკით „სათვალავში ჩასაღვლები“ ოჯახი შექმნა.

თედო მუდამდღე დაცინოდა ცოლს (ბოროტად ეი არა, ისე, ენის მოსაქავებლად და შეზობლების გახართობად), მის ჩივილსა და უვედრებას უურხავ არ ათხოვებდა (თუცა, „უურხს ეი უჯებდა — ცოლის უველა სიტყვას სიმინდას მარცვლემებით ენკავდა, მაგრამ პასულს არა სცემდა“); დუპატიუებელ სტუმრებს მიხგრიდა და თუკი ცოლი სათანადოდ არ დაუხვედებოდა მათ, ქავრს იმით იურდა, რომ სოფელს მჭუნეარე საზით ჩამოუღელიდა და ბაბაღი „სიკვადილის“ აზავს მოაფენდა.

როცა ბაბულე მართლაც გახდა უბედური შემოხვევის სხვერპლი, თედოს ოინაზობას შეჩვეულმა სოფელმა, „იმ ცრუ ბავის არაყისა არ იურს“, არ დაიჭრა ბაბულეს სიყვადილი. მხოლოდ შერედა მიხდენენ, რომ უჩვეულად დაფიქრებულნი და თავის საღარდებელში დაწოქმული თედო არა სტყუოდა.

შეზობლებს უველას ზელის გამანართავი და ღვთისნიერი ბაბულე ქალანაც დაენანათ, მაგრამ შიანც „საწყალი ბაბულეს დამარტვის დღეს ისე ელოდენენ, როგორც სულწასული მათურებელი ელის ზოღზე ფარდის ახდას კომედის თეატრში“.

მათი მოლოდინი ამაო იყო. ბაბულესა და თედოს ერთმანეთთან უმჭრბ შვილებს დედის საფლავთან თავი შიანცდამიანც არ შეურცხვენით, თედოს ზომ ეღარაჯინ სცნობდა: სხვისი



ქირი, ღობეს ჩხირიო — ესღა უთქვამს რამდენჯერმე და მეზობლების წუგეშისა თუ გამხრევებისათვის უფრო არ უთხოვებია.

თედოს „ორიოდე დღის მკაცრმა დუმილმა“ სოფელი შეეკრათო. მეზობლების მორიდება კიდევ უფრო გასუსტდებოდა, როცა თედომ ბაბაღლის დაჯრდვას შერბე დღევანდელ კუბო გამოითალა, საბოლოოდ გამოეხოცა შეყუბოვის ხედობას, სახლ-ქარი მიატოვა და მიველეომა დაიწყო.

„თედო ბედნიერი მარტო მამინ აყო, როცა ხალხში ტრიალებოდა, სიტყვას გადააგებოდა და პასუხს დაიბრუნებოდა“. უნდა ვიგუფიხსნოთ, რომ სოფლისაგან განდგომამ გადარჩავს თედოს სევდა-ვაება, რადგან მას დიდხანს აღარ უცოცხლია. ბაბაღლე შემოდგომის მიწურულს მიიყვალა, თედო კი გაზაფხულზე, როცა აღაზნის ველზე „თეთრად ვადამენტილიყუნენტევილები, ვარდისფრად ღუოდენენ ატმის ყვავილები...“

მაწაზე განართხულ, თვალბეღია დარჩენილ თედოს მის ვარშემო თავშეუბრელი ხალხი მაინც იმედოვნად შეტყუვებოდა: „უქრობდნენ, აი, ეხლა წამოხტებოდა კვამატი თედო და გულს გაგვინებოდა“.

ავტორი მეტად ეფექტურად ამთავრებს მოთხრობას, ფინალი თანასოფელითა შიშნარევი შექაზილებისაგან შედგება, რომელთაც ავტორგინებს თედოს დეიდაშვილის ქაჯახს — „ქორავთო წამოსულა, მიწისფერ თაღში გახვეული დედაკაცი“ — რბაღია:

- „ქერ ერთმა გახვდა, მერე ყველანი ახვედნენ — თედო, არ გესმის, თედო!
- ახა, წამოდექ, კაცო!
- მაშ, ეგერ ოინაზად უნდა დაბერდექ?
- მაშ, მახრობაში უნდა ამოგზდეს სული?
- არ გუფურება, კაცო!
- მიდო, ერთი შაქანჯარათო!
- როგორ არცა ეციწებო!
- შვალეხი გეტებენ, თედო!
- კარგო, ბო, ვიცინეთ და გუფოჯა!
- ქვეყანა შენ დასანახად გამოტენილა, თედო!
- კაცო, თედო!
- არ გუფურება დეიჭერათო?..
- დიდება შენდა, ღმერთო!
- თედო!
- თედო!

ქაჯახმ ყველანი გაჩუმა: — მაიშვით, თვალბი დავუბუჭო...“  
ქალბონის შეგონება იმის შესახებ, რომ კარგი ტრაგედიის კარგი კომიკოსიც უნდა იყოს, არა მარტო „ნიღბის“ გმირზე, არამედ მის ავტორზეც ურყველდება. ტრაგედიისა და კომიკურის ოსტატური მონაცვლებების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი, მწერლის სხვა თხზულებებთან ერთად, შემოხსენებული მოთხრობაც არის.

ტრადიციულ, შეურყვენელ ქართულ საზოგადოებრივ სიწმინდეს სქენს დამოუკიდებელი სადღეგრძელო — „ყველაწმინდა“.

თუ საზოგადოებრივ არ მოეჩვენება მკითხველს ასეთი პარალელი — მოთხრობა „ყველაწმინდა“ გვიჩვენავს დავას თამაშ ბიბლიურის მოთხრობების.

„ყველაწმინდა“ სამ, თითქოსდა დამოუკიდებელ ეპიზოდს აერთიანებს. მოთხრობის ეპიგრაფი („ნუ მამბრალბ, შეილო, მწუხარებხასა, რამეთუ ბუნებით თანადაც ყოველსა სულსა მწუხარება განშორებისათვის ზორცათსა და დატყუებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წასვლისათვის უცხოებად, სადა — იგი არა ვიცო, თუ ვითარსა იწროებხასა მივალთ“ — „ნიბრძნე ბღაძეარისა“) თანხრად ებება სამივე ეპიზოდს. „მენახირის საყვდილი“ თინაის ქმრის აღსრულებას ვადმოსცემს. „ტაბლანი“ — ღვინოს ქურდისა და ნათლიდედას ურთიერთობა საბოლოოდ სახელწოდებულ გაშლილ აღაღლ სუფრასთან მოწესრიგდება: „ნათლიდედას“ ფინალი თინაის ამა სოფლიდან წასვლას გვიხატებს.

შემოთქმულმა სევდიანი მოთხრობის მოლოდინი უნდა აღვიძრას, ეპიგრაფის ვალაღება სულისა და ზორცის განშორებისა გამო, თვით გმირების — თინაისა და თაყას სიყვდილის პერაპეტების ვადმოსცემა — ამ ცნცხალი იუმორით, მხნეობით აღსავსე მოთხრობას ერთგვარ თაღლ შეფერვილობას კი სქენს, მაგრამ „ყველაწმინდა“ მაინც სულის გაუტეხლობის, სიკოცხლის, სიყვინის წეობის გამოხატულებად აღიქმება.

მოთხრობაში მზიან-ჩრდილიანი საწუთროს უფრო მზიური მხარეა გამოკვეთილი, ვიდრე ჩრდილიანი. ადამიანი უნდა მოჩილებდეს ბუნების ბრძნულ კანონზომიერებას, საყვდილი გარდუვალობა და კაცის ისღა დარჩენია სტოიკურად დაუხვედეს მას.

მოთხრობის სული და გული ნათლიდედას სახეა, მოთხრობის ღერძი მისივე თავგადასავალია უმაწვილქალობიდან ვიდრე აღსასრულამდე.

ბანალურობის საფრთხესაც რომ ვერ ავცდენ, მაინც უნდა გავიხსენო ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიალი დედაკაცი, რევაზ ინანიშვილის ძველი ქართველი ქალები, მათი დიდი წინაპარი — ოთარაანთ ქვრავი.

თამაშ ბიბლიურს ქართველი ქალის მოღიანი საზე შეუქმნია: მოუხრებებია განსხვავებული რაყურსით დენახებებია უკვლად მიწერტი, ხალისიანი და მახვილგონიერი, შრომისა ვის, სიკეთისათვის, მოყვასის სიუკარულითადაც განხელი ქალი — „სავსე ქარული პატროსნებით“.

მენახირე თაყა, კეთილ და გამაქრე კაცო, უფოთველად, ძიღში მ... აღა. მიიყვალა და ცალღულად დატოვა... არამედთან ერთად ქმონდა წინატი, უ... თქმული იქანი.



ლიდერად პირველად ელდისაგან გამშრალს ვხვდებით. მხოლოდ შემდეგ გამოიყვებება თანდათანობით მისი პიროვნული ბუნება, უბრალო, მაგრამ აწყობა წყაროსავით გულსუფთა ქალის სახე.

ავტორი მისთვის ჩვეულ მანერას იშველიებს და ნათლიდერად თავგადასავალს ვადმოგვცემს ისე, „როგორც სოფელი შევება“. ეს ზერხი მწერალს საშუალებას აძლევს მიქმნალოს ავტორისეული ტენდენცია და, უველა მოვლენა დაგვიხატოს ისე, როგორც აღიქვამს მას ზალბა — „სოფელი“. სოფელი უჩინარია, მაგრამ დიდიწინაშენილოვანი პერსონაჟია თ. ბიბილურის ბევრი მოთხრობისა. ადამიანის საქციელს, ავსა თუ კარგს, კეთილსა თუ ბოროტს უდღომლად განსჯის ხალხი — „სოფელი“, რომელსაც უოველი მოვლენისათვის თავისი სახელი აქვს მიჩენილი. მის კოლექტიურ შეგნებაში დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა დაუჩრებულა. ხან კეთილი, ხანაც დაუჩრებელი, ენაწარე და ენაკვიპატი, მაგრამ ბრძენი და სამართლიანი — ახეთია სოფელი.

როცა შენახირე თუა მოცედა, უველა იმას ამბობდა, რაღა ახლა მოუნდა მაგ დალოცვილს, შუა შემოდგომაა, რა დროს ქეღები იყო, ხალხი ხალხნიოდ არის გაშაადებულიო. ვაზაფხულზე რომ მომკვდარიყო, ახლა იმას იტყოდნენ, რა დროს სიკვდილი იყო, აღარც ღვიო დარჩა ქვერში და ღობიოც ბაზარზეა საყოფლიოო თუ მოინდაჰინც ეტკარებოდა, შემოდგომამდე მოცედა და შერე სავა უნდოდა, იქ წასულიყო“. ავტორისეული კომენტარით, „სოფელი კეთილია და ეს ფიქრაც სიყეთით მოხდიოდა“, სხვაგან მწერალი შენაშნავს: „სოფელს უყვარს ვაზაფხულება, იქ ღვინოც სიდიადით იმისება და კირაც“.

სოფელი გონიერია. იგი უდრატყენელად მისდევს ბუნების განაწესს — წელიწადის დროთა შონაცვლილობას, დარსა თუ ავდარს. სიხარულიც იცის და სევდაც. მაგრამ გადამეტებული კი არა, ზომიერია. ადამიანის სიკვდილიც ბუნების ადამის ერთ-ერთ გამოვლენად მიიჩნევა: „სოფელი დიდი იყო და სიკვდილიანობაც ძველისძველი ამბავი, თუ მიცვალბული ხანდაზმული იყო, იყოცხდ, სოფელი მოიღებენდა... ბებრებს იმ სოფელში საყლით მარხავდნენ. ქეღებში დაფაურჩა არ დაიყვარა, თორემ სამღერას აღარაფერი აქლდა. თუ ახლაგარდა დასწევეტაკედით გულსა, ამაშიც ჰქონდა სოფელს თავისი კანონი: ქეღებში მისვლას ითაკილებდა (მეტადრე ახლაგარდობა) და რა ვავამტეუნოთ, მართალიც იყო.

თუა კარგახანია ხანდაზმულად ითვლებოდა. მაგის ზნისა მეც მოვიუაროო, ჩაილაპარაკა იმ სოფლის თავმჯდომარემ, როცა თავას სიკვდილი გაავებინეს“.

უქმელი, პატრონისი მენახირის სიკვდილმა მაინც აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოიწვია — სოფლის ნახირმა ვარდაცვლილის სახლთან

მოიყარა თავი და ზემოლი მორტოვანი კომიკური სიტუაცია იჩნეს თავს: ცებენ მენახირებს თავას სახაცვლოდ, მაგრამ ვერ პოულბენ. კოქლმა თაღამ არ იკადრა, უსაქმური ფიდო ძლივს ვაადვიძეს, მაგრამ კარიც კი არ ვაულუ თავმჯდომარეს („რა არ უთხრებს, როგორ არ დატუქსეს, მილიციელიც მოიყვანეს და თოფიც გაასრლინეს, მაგრამ აღარაფერმა ვასტკრა“); ურუ ჰადრისა ეკარა, დასაქვრად მოვიდნენო და ტუფში გაქცა; ვერც აბიტურიენტი შალიყო — ყოველ წელს რომ გამოცდებს ახარებდა უშედეგოდ — დიოთანებენ: „ჩემგან რა უნდა, თავის ბიჭი ვაგვანოს, სულ კოპერატოვთან რომ ვლიაო“ — შეუთვალა თავმჯდომარეს.

მენახირის ძებნის ეპიზოდების პარალელურად მწერალი ვადმოგვცემს თავის დატარების ცერამონიას, რომლის ნამდვილი რეგისორია ნათლიდერას სიყრმის შეგობარია კუქნაა — „დიდი მოლაპარაკე და მოტირალი ქალი“.

თამაზ ბიბილური ამ ტრაგეკულ სიტუაციაშიც არ მოერბდა კომიკურ ელემენტებზე მინიშნებას. დეკრძალვის „აქუბილი“ რიტუალში, სევდაზე უწინარეს, „ღაწათიანი სიტყვა“ ფასობს. კუქუნამ „ტირილიც იმგვარად ააწყო, მთელი მეზობლის ქაღები აატარა“.

მთლიანად ვაწვიაადებული მისი მოთქმა („...ეს რა უოფლიბარ, ახლა ვავივით შენი ფასი... შენ რომ ნახობით ჩამოგვივლიდი, გული გვინათებებოდა, თუაავ... შენ რომ საღამოთა ნახირს ჩამოატარებდი, კიქნებო დახეტქვაზე ჰქონდით, თუაავ... თუ ღმერთი მაღლია, ვააკოცხლოს ჩენი თუა და დაგვიბრუნოსოი!“). მაგრამ დამსწრეთა ღმილს არ იწვევს. სოფელი აფხებს კუქუნას მჭევრმეტყველებას. მის ქეშმარატ არტისტისებს.

დარდისაგან გამშრალ ნათლიდერას კი ერთი სადარბებელი ჰქონდა — ქმარია რიგანად ვაემგვავრებინა სულეთში. თავას რომ მიახვენებდნენ, მხოლოდ მაშინდა ამოიღო ხმა თინამ, „სად მიხვარა, სადა, კაცოო?“ — დაადენა ქმარს.

სოფელი თუმცადა კეთილია, ენაკვიპატ ხალხს რა ვაბოლევს და, თინაას ამ სიმწრით ამომსკდარ, მაგრამ ღოგაკური თვალსაზრისით უაზრო შეგახილზე, მეზობელმა ღმილით ჩაილაპარაკა: „არ იცის, სად მიდის, ამ ცუბელბოკედებულმა?“

სახაფლაოზეო, მოგვითხრობს ავტორი, „არც კირისსუფალს წამოსცდენია იმგვარი რამე, შერე სოფელი სალაპარაკოდ და საცილად რომ ვახდის ხოლმე“.

იქვე ავტორის ძალდაუტანებლად ცვლის თხრობას მანერას და შთამბეჭდავი ზატით სულ სხვა, სევდაან და ამაღელვებელ განწუბობილებას გვიქმნის: „მიწა ქვიანა არ იყო და სამარეში ისე უბზოდ ჩავიდა, როგორც თოვლის ფანტლები ცვივიან ხოლმე ვადახსულ მინდორზე ქრისტეშობის თვის ცივ ღამეში“.

ნათლიდედას შინაგანი ღირსება, მაღალი ზნეობა და კეთილი გული განსაკუთრებით მღვდენდება მოთხრობის მეორე ეპიზოდში — „ტაბა“.

ნათლიდედა ვერ ურიგდება მეზობლის ქურდობას, ვანა იმიტომ, რომ ჭულურამ სწორედ მას მოჰპარა ღვინო! იგი საერთოდ ვერ უთავსებს ადამიანის ბუნებას უსამართლობას, აკაც-ცოხასა და ზედმართობას.

ტაქტიკა და დამაჩერებლობით. ცინცხალი იუმორით გადმოგვცემს მწერალი ჭულურას „მოთვინიერებას“. უნდალი და ზარმაცო ჭულურა თავს იმით იარბენებს, რომ მიხი ქურდობა არ გაამდევანა ნათლიდედამ, მაგრამ თანდათანობით სინდისის ქვეჩა მოსვენებას დაუარაგავს მას. ჭერ თავის წამქვებულ ცოლზე იურის ჭაგის, ღანათიანად სცემს (ამ დროს მეზობლები, რომელთაც არ უყვართ ეს კახის ქალი, ფეხს ითრევენენ, „ზანტად მიდიოდნენ, რა გვეჩქარება, ჭერ კარგად დაზალოს და მერე მივეშველეთითო“), შემდეგ სულაც მიატოვებს სოფელს და გადაიარება.

შემოდგომა მძლეული იყო, ნათლიდედა სასაფლაოზე რომ ავიდა. მალე ჭულურა წამოადგა თავზე. ეს უშრობელი, ფლეშტატური კაცი თითქოს გამოიკვალა; იგი დაბინდებამდე შრომობდა, მოაწესრიგა თაყას საფლავი ისეთი მონდომებით, ასე უშურველად, რომ ნათლიდედას კეთილი გულიც მოინადირა. პატარა სუფრამ, იქვე საფლავთან რომ გაუშალა ნათლიდედამ ჭულურას, საბოლოოდ შეარჩავა ისინი, დაგანახვა ერთის სათნოება და შემწყარებლობა, მეორის — მონაწილე სული. ამდენად, ეს წმინდა სუფრა და ავტორიც შეინაზავს: „წერილი ვარსკვლავები უფრო მტად მობედნენ ზეცას და ტაბას დაადგა მყუთალი, თვალთ უხაილე ნათლი“.

„უველაწმინდას“ ერთგვარი „კრტროსპექტულ-სედეიანი“ იერა დაჰკრავს. თაყა და თინია ჩვენი თანამედროვენი კი არიან, მაგრამ მაინც სხვა, ჭველი უიღბს ხალხია. დღევანდლობა მოთხრობაში ცალკეული შტრიხებით არის მონიშნული, თანადროული რეალიები (ვამსურებულე ფრანგული ფელში სოფლის კლუბის ეკრანზე, „უიღბლო“ აბიტურიენტი შალაკო, ნათლიდედასა და ჭულურას მგზავრობა ავტობუსით...) უფრო კონტრასტული ფონისათვის უნდა იყოს მოხმობილი. მოთხრობაში ძირითადად ჭველი უოფის უქანსკელი მოპიკანები ჩანან. გაუხსენროთ თაყას მიხამართით თქმული — ნეტა მავის ზინა მეც მიპიუაროო, ან ნათლიდედას ჩივილი — ღმერთო, რა ქვეყნის სალაპარაკო გამაღდ, მორჩი და წამიყვანეო... ნათლიდედას კბილანი არიან თედო და კუყნაც. გავიხსენოთ თედოს „ქველებურია“ იერია: „თედოს ახლათახალი წავი ახალბეა ცეცა, ახალი ნადის ქუდი ეხტარა, უერსტლის ჭველებური ქამარი ეყეთა...“ ამ ოთხი მოხუცის კოლორიტულ სა-

ზეთა გარდა ავტორი თაყას ქველმზეს „სედეიანი“ რაღა ზერეკაცთა მშენიერ „ჭველურ“ პორტრეტსაც გვითავაზობს: „მარტო აქეთ, ბერეკაცების ტაბლაზე იდგა სიწმე. არც უწმინდასკობა ვახსენებიათ, არც ჭველობა. უველა და ფეკრებული იყო. ღვინოს სვამდნენ და დამკუნარი ლოუები ცოტა შეუწიოდლათ. მერე ვიანა შემოდგომის სიცივემაც დაუარათ გამხდარ სხეულში და ეხლა შინსიკენ ებირათ თვალთ. ტაბლაზე მიფობდა იღუმალემა; ტაბლასთან ბერეკაცობა ისხდნენ და უველას ეწინოდა სიკვდილისა“.

დაიხაც „სიბერე ეკლის გეარგვინი უოფილა“, მაგრამ მარტო სიბერე ვერას დააკლებდა ნათლიდედას.

იგი მხედ შეხედა სიბერესაც და მარტოობასაც. მის კეთილ გულს არც ჭულურას პატარება ვახსენებია და (თუ მაღალფარდოვნებაში არ ჩამოშერთმევა, რადგან „უველაწმინდა“ შორსაა უოველგვარი მაღალფარდოვნებასგან), არც მიხი სწორ გზაზე დაუენდა.

მაგრამ ახლო მეზობელთა უმადურობამ და გულწასულობამ ერთბაშად შეტება ნათლიდედა, მარტოველი ფეკრებისა და მარტოობის ამა-რა დაარჩინა იგი: „სოფლისკენ გული არ მიუწედა, ...თითქოს უველა უცხო იყო. შინაურობიდან უველა სადღაც წასულიყო და ხმის გამცეში აღარავინ დარჩენილიყო, თითქოს აღარც სახლი ქონდა, საღაც ქალობა ვაატარა, არც ეყო, საღაც დილიდან დაღაქებამდე მუხლანურეკელად ფუსფუსებდა“.

მწერალმა ახლად დაგვანახვა, რომ ნათლიდედა წელთა სიჭაველისგან წელში ვახრილიყო: „გამარცველ ვენახებში წავი გორგალივით მიიარეოდა წელში მოღუნული, მხარზე თხგადებულნი ნათლიდედა“.

მაგრამ მოკეთეთა თანაღმობამ თვალში გამოახედა შრომით დამაშვრალი („ფეკრისა ეწინოდა და მთელი ღღერ მუხლი არ ჩაუხრია“) ნათლიდედა, გულში ნეტარება ჩაუღვარა და იმდენი შეძლებინა, რომ ხანაქეო სუფრა გაუშალა დედულეთიდან მოსულ სიყრის მეგობრებს და კარგადაც მოიღონა მათთან ერთად.

„უველაწმინდა“ უარესად მთლიანი, დიდი ემოციური ძალის მოთხრობაა. თხრობის სადა მანერა, ფრაზის მუსიკალურობა და პოეტური და ცხოვრებისეული სიმართლე, ტრაგიკულია და კომიკური ძალდუტანებელი, შოაშებულავი მონაცვლეობა, თითოეული პერსონაჟის თანახარი ძალით გამოკვეთის უნარი (მარტო კუყნა რად ღირს!) — რაც საერთოდ დამახასიათებელია თ. ბობილურის პროზისათვის — უხვად აქვს მომადლებული „უველაწმინდასკაც“.

დასანანი, რომ ამ მშვენიერ მოთხრობაში ერთი ხარვეუი აღმოჩნდა.

15 წლის ასაკში გათხოვილ თინიას მხოლოდ 3 წლის შემდეგ შესძენია ზედისედე რვა შვილი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამომწურავად

გადმოგვცემს თუ რა ბედი ეწია ნათლიედან შეილებს („თინას რვა შვილი ყოლა. რვიდან ორი ქუნთარულში მოსუცდა, ერთი — უცანაბედელი, ერთი ალაზანი დაეხარო, ოთხი გაურადიათ, ოთხივე მართლა ბიჭი უოფილა, ერთ-მანეთზე ღონიერი, გამრჩე და ალალი, ოთხივე ომში წაუყვანიათ და არც ერთი აღარ დაბრუნებულა, ერთზე კი ამბობდნენ, ვიღაც გავაჯელ კაცს უნახავს, მოკითხვაც დაუბარებიაო, მაგრამ ტაუღლი გამომდგარა“), შემდეგში ისინი უყვადლოდ ქრებიან. ამის „გამოსწორებას“ ავტორი ერთგან ცდილა:

— მას მერე გეყოლათ შვილი? — იციხბა თეღობ.

— მეყოლა, მა არ მეყოლა?

— ხო, რაც ოცის გახდა, იმის მერმე არ გააჩნა ათი შვილი ზედზედ? — თქვა კუცნამ.

თავა დავანებოთ იმას, რომ თინას რვა შვილი აქ ათად ქცეულა, მთავარი და არსებითი აქ სხვაა, რაღა ვუყოთ ლეგენდარულ ქართულ დედამშობლებს, რომლის მხატვრული განსაზღვრება მოგვცა იგივე ავტორმა მჭაფრი ტრაგედიით გამსჭვალულ „ჩივილში“, როგორ შევთავსოთ შვილების დამკარგავი ორი ქართველი დედის ორი, ეგრერიგად განსხვავებული რეჟისია? ნუთუ ტრაგედულად დაღუპულმა რვა შვილმა რაიმე ნაიარევი არ დააჩინა თინას სულს?

ისიც ვთქვათ, რომ თამაზ ბიბილურის მოთხრობებში „შემთხვევით“ და გაუარსებლად არაფერი ხდება. შემოქმედელი იქნებ რაღაც, უცნობ და ჩემს მიერ გაუმიფრავ ჩანაფიქრს ექვემდებარებოდეს, მაინც მგონია, რომ ეს ამბავი დაფიქრებას საჭიროებს.

ავტორი არ აიდეალებს არც ნათლიედანს, არც სოფელს. მის გადმოცემასაც არ ერიდება, რომ ეს კეთილი და ღვთისნიერი ქალი სიცოცხლეში მაინცდამაინც არ გაუხარებიათ, მაგრამ სოფელმა კარგად იცის ნათლიედანს სიყვთისა და საოწოების ფასი, ამიტომაც იყო, რომ თინას გარდაცვალებაზე ლეგენდა შეითხზა: „სოფელი სხვა რამესაც უმატებს: როცა ნათლიედმა კაელის ქვეშ ჩაიყვია, შო, სწორედ ამ დროს, ცას ერთი დიდი ვარსკვლავი მოსწვდა, იმავე დროს კაელის ენწეროებიდან ამოვიდა მთვარი — უვითელი, ჭორღლიანი, გაბადრუ-

ლი, როგორც ძველებური სამეფო დროის და უცებ ჩაოწვა სიჩუმე, ვარსკვლავებიდან და ცთომილებიდან წამოსული სიჩუმეო“.

ეს ლეგენდა, სინამდვილე კი ის არის, რომ ნათლიედანს სამღურავი არ წამოსცდენია, იგი „უველაწმინდანს“ წარმოუთქმელად არ წახვლია იმ ქვეყნად: აღსასრულის წინ მან წრფელი გულით უსურვა მშვიდობა მეზობლებს, მათ, ვინც უსამართლოდ გულს ატყინა და ისედაც მართოდ დარჩენილ მოხუცს გაუცხოების მტანჯველი გრძნობა გაუოცეცა.

ნათლიედმა უბინჯოდ გამოეხოცა წუთისოფელს: „მოთხრობა საცაა დასრულდება და ისღა დამარჩენია, ვითხარათ, როგორ წავიდა ამ სოფლიდან ნათლიედმა, რა დაგვიტოვა — ღოცვა თუ სამღურავი, ის გაგებული ქალი იყო და არც სამღურავს გვეტოვოდა, არც ორი დღის სიცოცხლეს კიდევ შესთხოვდა ღმერთსა. აჟი თვითონვე ჩიოდა ხოლმე, — ღმერთო, რა ქვეყნის საღაპარაკო გამხადე, მორჩი და წამიუვაინეო...“

„წმინდა იოქმის მხოლოდ ღვთისა ზედა და რომდნი ღმერთმან წმინდა-უცნა მსახურნი და სათნოყოფელნი მისნი“ — გვაწავლის ხაზა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ წმინდა იოქმის — „ოდესმე კაცთათვისცა და გულთათვის კაცთასა“. ამ თვალსაზრისით წმინდა დედაკაცია ნათლიედმაც და მოთხრობის სათაური აღმათ ამაზეც მიგანიშნებს.

„უველაწმინდით“ — თანამედროვე ქართული პროზის უძველესი შენაძენით — მინდა დავასრულო საუბარი თამაზ ბიბილურის მოთხრობებზე.

ღელსდღეობით მწერლის შემოქმედებაში შეინიშნება იუმორისა და კომიზმის ელემენტების შენელება ან გაქრობა; უფოთობისაგან განშორების ტენდენცია, მიდრეკილება განსწამედიტაციებისაკენ, ღტოლვა დიდი ვანოგადებისადმი.

ზოგი მწერალი სჭერდება უფაც მიღწეულს, უცნე მინაგნებსა თუ მოძიებულს, ზოგი კი ცდილობს „აღმატოს თავის თავს“, რაღაც ახალი თვითონაც შეიძინოს და მკითხველსაც შესწინოს. ასეთ მულამ მაძიებელ, მიღწეულით და უწყაუოფლებელ შემოქმედად შესახება თამაზ ბიბილური, ეს არის მისი მომავალი გამარჯვებების საწინადაცი.



# ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა

ათონის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის  
1000 წლისთავისათვის

1982 წელს ქართველი საბჭოთა ხალხი ზეიმობს ათონის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსებიდან 1000 წლისთავს.

მ.წ.მ.წ.წ. წლებში საბერძნეთში, ათონის მთის ცნობილ სამონასტრო კომპლექსში აგებულ იქნა ქართველთა მონასტერი, რომელსაც შემდგომში „აიონის“ სახელი დაუმკვიდრდა. ამ მონასტერში ქართველ მწიგნობართა მიერ იმთავითვე ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელსაც გადამწვევატი როლი შეასრულა ძველი საქართველოს კულტურასა და საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის განვითარებაში.

ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების პროგრესზე მნიშვნელოვანი კვალი დაუმტყველა რამდენიმე ლიტერატურულ სკოლას. ზენაონდე მოღწეული წყაროების საფუძველზე ათონამდე ორი ქართული სკოლის გამოყოფა შეიძლება. ესენია საბაწმიდისა და ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლები. იერუსალიმის მახლობლად წმინდა საბას ცნობილ სამონასტრო კომპლექსში ქართველებს მძლავრი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრი შეუქმნათ. ქართველები აქ, როგორც ზანს, ვერ კიდევ მთელ საბას სიცოცხლეშივე მოღვაწეობდნენ, რასი კონსტანტინოს საშუალებასაც საბას ცნობილი „ანდერძი“ იძლევა, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შექმნილი და რომლის მიზნდევითაც სამონასტრო კოლონიის შექმნილი ქართველ ბერებს უფლებას აძლევს ლეოსმსახურებისას რამდენიმე

საღვთო წიგნი მშობლიურ ენაზე წიკითხონ (10, გვ. 38). საბაწმიდასთანა დაკავშირებულ ქართული ბიბლიის ერთი რედაქციის ჩამოყალიბება. უცვლელ შემთხვევაში გიორგი ათონელი XI საუკუნის I ნახევარში ახერხებს ქართული სახარების ორ რედაქციას — ხანმეტურსა და საბაწმიდურს. საბაწმიდაში კანთოთარებულა როგორც ქართული ორიგინალური ლიტერატურა მარტვირთი საბაწმიდელი, ბასილი საბაწმიდელი, ასევე მთარგმნელობითი მოღვაწეობა (სტრიტი). საბაწმიდის ქართულ ლიტერატურულ სკოლაში განსაკუთრებული ინტენსიობით მომდინარეობდა ბიზანტიური მიმსოგრაფიის თარგმნა. ამ სკოლიდანაა გამოსული იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“, „იერუსალიმის განწინება“, „კილეტრატის იადგარი“ და სხვა საბაწმიდური იაგარები (28, გვ. 67). რომლებიც შექმნილიაან საკუთრივ საბაწმიდაში ან სინაჲ მთაზე. საც X საუკუნეში აგებულ ქართულ მონასტერში გაგრძელდა საბაწმიდის ლიტერატურული კოლის ტრადიციები.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში დასრულდა მთელი ზანა ძველი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ეროვნული ზანი სახელწოდებითაა ცნობილი და VIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება. VIII-X საუკუნეებში ქართულ ლიტერატურას ერთი ტენდენცია აზრდოებს. ესაა შეტოლება დიდ ბიზანტიურ წყაროლბასთან. ამ ტენდენციამ თავიებურ სახე მისცა მთელ ქართულ ლიტერატურულ სკო

ცეს. სორედ ტაო-კლარქეთის ლიტერატურულ-ცხოვრების უშუალო გაგრძელება და განვი-თარება ყო ათონის ლიტერატურული სკოლა, რომელმაც არსებითი ცვლილება შეიტანა ქარ-თული ლიტერატურული აზრის განვითარებაში, შეცვალა ინტერესის სფერო და აიღო ახალი ორიენტაცია (18, გვ. 92-100).

ათონი ევალზე აღმოსავლეთით მდებარე კონცხია ქლედონის ნახევარკუნძულზე. სა-კუთრივ ათონის შთა, ანუ ათონის, როგორც მას ბერძნულ უწოდებენ, ამ კონცხის უკვლავზე სამხრეთ ნიღოში მდებარეობს. იგი ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა აღმაართული. სამელი ათონის რეაქციული გვიანტის სახელია. მრავალი მითიური გადმოცემა იმის თაობაზე, თუ რატომ ეწოდა ამ შობს თრაკიული გვიანტის სახელი. ერთერთი მოთვანით, ეს უწარმანარა კლდოვანი ასა გვიანტმა ზღვის ღმერთ პოსეიდონს ესრღა და საზღვარი დადო ღმერთებსა და გავატებს შორის, თუ როგორ იქცა ღმერთებსა და ადამიანებს ეს სასაზღვრო შთა და მისი უწარმანარე განდევნა მამათა თავშე-საფარად. მასაც ღამაში ღმველად განმარტავს: ერთხელ ქალწული მარამა იოანე მხარტავს თანხლებით კიპროსისაკენ მიდიოდა. ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და მისი გემი ზღვაში გაი-ტყა. ქარიშხალმა გემი ათონის შთის კონცხზე გაშორდა, ხლანდელი ავრონის მონასტრის მი-დამოებზე. ამ დარსვენა ღვთისმშობლებმა, შოი-ხბლა ამ დეკლის სიმშენიერით და საკუთარ ძეს, იესოს, შესთხოვა, ებოძებინა მისთვის ეს შთა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საცხოვრებ-ლები წარმართები იყვნენ. პასუხად ზეციდან მამა ვაისამა: „ღე, იესო ეს ადგილი შენი საც-ხოვრისი და შენი ბალი, სამოთხე და ზეციერა სალხინებელი მათთვის, რომელნი ეძებენ ხმას“. ამგვარად იქცა ათონი წმინდა მთად, სამყოფელად და ბილად ღვთისმშობლისა, ზუს-ტი თარიღი ათონზე სამონასტრო ცხოვრების დაწყების: ცნობილი არაა, ათონელი ბერების გადმოცემით ათონზე პირველი მონასტრის და-შარსებელი თვით კონსტანტინე დიდო (324-337). მისი მონასტერი შემდგომში აულიანე გნდგომილი (381-383) დაუნგრეთია; ბილიო აულიანეთ იგი თეოდოსი II (408-450) და პულერის დროს (V ს. I ნახევარი). ისტორი-ულ ეშმარებებად მხოლოდ ის შეიძლება მი-ვიჩნათ, რომ განდევნები ამ შთაზე მომარ-დდნე VI საუკუნიდან. ეს გარემოება განპი-რობებული იყო იმით, რომ არამა დაშურობ-ლებმა ვარბივ აღმოსავლეთის დიდი სამონას-ტრო ინტრატა, რამაც ბელი შეუწყო ბერთა სიმრავის განთავსას ამ მხარეებიდან და საშო-ღაწყოადგილების ძიებას საკუთრივ მიწა-ნტოს შნით. საისტორიო წყაროებში ათონის შთა სამონასტრო ცენტრად IX საუკუნეში ჩანს, ათნელი ბერები მონაწილეობას იღებენ ხატოშეწოლობის წინააღმდეგ მამართულ საე-

კლესიო კრებაში. 882 წლის ოქროსეველდობით კი იმპერატორი ბასილი I (887-888) ათონის შთის კონცხს მხოლოდ განდევნილია და ბერთა კუთვნილ ტერიტორიად აცხადებს (იხ. 8, გვ. 10-11). საუკუნეთა მანძილზე ათონი დარჩა არა მხოლოდ განდევნილ ბერთა საცხოვრისად, არა-მედ იგი იქცა მიწანტიური სამონასტრო კულ-ტურის მძლავრ ცენტრად. ეს გარემოება კი გან-პირობებული იყო ასევეტური ცხოვრების განვი-თარების ამ თავისებურებით, რასაც ადგილი ჰქონდა ათონზე.

ასეტიში თავისდათავად, როგორც კ. მარქ-სი და ფ. ენგელსი მიუთითებენ, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რეაქციულ როლს ასრულებდა, ქადაგებდა რა შორილებას, ქვეუ-ნისაგან განდგომას და ამქვენიური საქმებისა-დმი გულგრილობას (1, გვ. 114) ასევეტური ცხოვრების ფორმები სხვადასხვაგვარი იყო და უკვლა მთავარი ერთნაირი ინტენსიობით არ გა-შითიშავდა ადამიანს ამქვენიური მოღვაწეო-ბიდან. ქრისტიანობის ისტორიაში ამ მხრივ ერ-თმანეთს მკვეთრად ემიჯნება ასევეტური ცხოვ-რების ორი ფორმა: განდევნილობა და სამონას-ტრო ცხოვრება. განდევნილობა უფრო ვრცელდებ-ბა ქრისტიანული რელიგიის ძირითად მცენებას — ღმერთის სიყვარულს და ამ პრინციპის უკი-დურესი ერთგულებით უგულვებელყოფს მოღ-ვაწის შთელი ამქვენიური უფის თავისდათა-ვად ღირებულებას. სამონასტრო ცხოვრება კი ქრისტიანული მოძღვრების ამ უმთავრესს პრინ-ციპს გვერდით არსებით მნიშვნელობას ანი-კებს შემდგომ მოთხოვნასაც — მოყვანის სიყ-ვარულს და ამდენად განდევნილურ ცხოვრებაში ადგილს უთმობს ამქვენიურ საქმიანობა-მოღ-ვაწეობასაც. მოყვასზე ზრუნვით განპირობე-ბულია; თუმცა, მიუხედავად ამისა, მისც აშო-რებს ადამიანს ბუნებრივ საქმიანობას, ქადაგებს რა გულგრილობას ცხოვრებისადმი პირად და-მრყოდებულებაში.

განდევნილობის სისტემის უფრმდებლად ქრის-ტიანულ ასეტიშიში ითვლება ანტონ დიდო (III ს.), თუმცა განდევნილობის ეგვიპტეში მანამდეც იყვნენ. ანტონის მიერ ჩამოყალიბე-ბული მონაწენური ცხოვრება არ ითვალისწი-ნებდა ბერების საერთო საცხოვრებლების — საერთო მონასტრების შექმნას, სადაც შესაძ-ლებელი იქნებოდა სხვების აღზრდა. ანტონი თავის მიმდევრებს ქვეშაობით ასევეტური ცხოვ-რების პირად მთავალთს უჩვენებდა. მისა მოღ-ვაწეობა წარმოადგენდა მკაცრი განდევნილობის ნიშნებს. ანტონის პრინციპებისაგან განსხვავებით პახომი დიდმა (IV ს. I ნახევარი) შემო-ალო ბერების ერთად ცხოვრების წესი და ბერ-თა საერთო საცხოვრებლების წესდება შექმნა. ეგვიპტის მონაწენთა საერთო საცხოვრებლებს ახასიათებდა რამდენიმე მონასტრის ერთი მშა-თველობის ქვეშ გაერთიანება. თვითონ მონას-ტრები კი გამოირჩეოდნენ ბერთა სიმრავლით.



ბერბინსთვის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა „წმინდა წიგნების“ კითხვა და ფიზიკური შრომა. ბერბინს მისდევდნენ უყუღა სახის ხელობას. მონასტერში იყო საავადმყოფო, ავადმყოფ ბერებს განსაკუთრებული ზრუნველობით ეპრობოდნენ, აწვდიდნენ უყუღადებს, ჩასაც ისინი მოისურვებდნენ. ანტონი დიდისა და პაბინი დიდის მოწოდებებსა მონაზვნური ცხოვრების ეს სურს სახე — განდევნილობა და სამონასტრო ცხოვრება სირია-პალესტინაში გაავრცელეს (17, გვ. 11-19). ასეთური ცხოვრების ამ რძე პრინციპის დამაბრუნებელს აქვს ადგილი ათონის მთაზეც.

მაგრამ სამხრეთის ღამის მომხიზველლობა ამით არ ამოწურულა. ერთი საათის შემდეგ სხვა სურათი გადაიშალა. შორს, პორიზონტი ნელ-ნელა განათდა სუსტი სინათლით, მერე მთების თხემები გავერცხლდნენ და აფეთილი ხეობა რამდენადმე გამოაკეთა. ბოლოს ნელა ამოცურდა ღამის უზარმაზარი მანათობელი ვარსკვლავები დაიჩრდილდნენ და უხვი ტალღები მქრქალ ნაკადებად დაიღვარა მშვენიერ ღვთაურ სამყაროში. ჩრდილოეთის ღვეცმხრის დღე ვერ შევიდოდა სინათლით სამხრეთის მთკარიან ღამესთან. მთების კონტურები მჭრბრალად და აშკარად ისწავლებოდა, ბოლო სადაც მთიარის შუქი არ ზედებოდა იქ ზოლად სიბნელეში იძირებოდა. ზოგჯერ დრუბლები ეფარებოდა მთარეს და სქელ ჩრდილს ხან აქ და ხან აქ აფენდა. ღამის პოეზია თავისი დიდებული, ელფერი მისცა ბუნებას. უკველივე ამის აღქმით სული მელანქოლიურად გაიწყო. მზის სინათლისას მიწნარებულად წარმოადგენა გამოცოცხლდა. პირქუშ და სუსტად გამოკვეთილ საგნებში ის ზედავდა რაღაც საშინელი ბებებს და ეს იწვევდა მზის ადამიანის მთელს არსებაში.

სამობნედლა თუ არა, ხმაურმა და ღამარაკმა იწყო კვება. უველანი მიღოდნენ და სხდებოდნენ ვახშად. კოშკების ბუჩქებზე და გა-

ლესიის გადავანში დიდი წრები შეიჭრა კოცონების გარშემო, ხაშმელები ფეხმორახებით დაღაგდნენ უხეშ, სახიან თექვსზე ან კიდევ რბილ ხალიჩებზე: ქალები ერთ მხარეს, კაცები მეორეს, კოცონის წითელი აღით განათებული მოჩანდა არწივებური სახეები და ნაირ-ნაირი ტანსაცმელი. ქარისაგან გაფანტული ბოლი თვალებს წავადა და იქ მსხდომნი სახეს არიდებდნენ. პურ-მარტილი ელაგა გრძელსა და უხეში ზელობის სუფრებზე. ეს სუფრები შუქარუხი საღებავით იყო შედებული და მათზე უხეშად იყო გამოხატული ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, თევზები, ჩანგლები, დახეზი და უვაკლები. სუფრებზე ელაგა ხარის რქები, ვერცხლის აზარფეშები — ესაა პატარა თახჩი, გრძელი სახელურით, რომელზეც მთელს სიგრძეზე ამოჭრილია მფლობელის სახელი და გვარი. ეს აზარფეშები მფლობელის ხელში შეიძლება მამის და პაპისაგან გადავიდა. აქვე იწყო ღრმა თიხის ქამები, უბრალო ან მოქიქული.

დამსწრეებმა საწვიმოდ დაიბანეს ხელები და ამის შემდეგ სუფრებზე ზის გლუვი გობებით ან სპილენძის მზინავი სინებით პური შემოიტანეს. პური ორგვარი იყო: გრძელი და ვიწრო და თხელი და ოვადურა. იმერლები დადიოდნენ სუფრის შუაში და დაატარებდნენ დღიწილს. ქალები საჭმელს აწერსიგებდნენ. მოიტანეს კერძები: მსუყე უველი და მწვანალი, ურო მლისოდაც კართული უველი არ იქნება, — ძრბის ზორცის დიდი ნაქრები, რომელთაც ოშვარა ასდიოდათ, მწვანალითა და დუშის ქონით შევარებული ცხვრის მსუქანი სუბი: შემწვარი ან მოხარშული მთელ-მთელი კათმები და ინდურები (მათი ასოასოდ აქნა განსაკუთრებული ხელოვნება და იმას ეციხრება ვინც ამის მცოდნეა). ცეცხლზე შიშინებდა რამდენიმე შამფური მწვადი, რაც ასე უფრო მთელს ამიერკავკასილებს. მწვადები ირგვლივ სასიამოვნო სურნელს ავრცელებდნენ. ისინი სუფრაზე კერძის უველი გამოცვლისას მოჭონდათ. დამოლოს განდა ფლავი, რაკილა ამიერკავკასიელებს შორის კოჭება ჩერ კიდევ არაა დიდად მოდაში, მათ ჩვეულებრივად სამი დიდი თითი ამიერკავკასიელი. მწვადები ირგვლივ მრავალგვარი იყან: ცხარე და ტბილულობა მათ არ უფეროთ: ხმარობენ მხოლოდ მუყეუ საწვლებლებს, კართული კერძები გამოიღია და მსუყე, როგორც სამხრეთის უხვი ნადავას ნაწარმი, თუ ისინი დამადებულთა ოსტატური ბელით, მაშინ იმით პირის ჩატყარუნება უფეროთ თით ევროპელ გულაზივ გასტრონომებსაც კ.

## HEINZ FÄHRNICH. DIE GEORGISCHE LITERATUR

თბილისი, 1981, 272 გვ.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გერმანულ ენაზე „ქართული ლიტერატურის“ მოკლე მიმოხილვა, რომელიც ეკუთვნის ჩვენში კარგად ცნობილ მეცნიერს ჰაინც ფენრიხს, იენის უნივერსიტეტის დოცენტს (ამჟამად უკვე პროფესორად წარდგენილა), რომელმაც აქ თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა თავისი სადოქტორო დისერტაცია ქართულ ენაზე. იგი ჩინებული მკვლევარია ქართული ენისა და დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა გააცნოს ყველას, ვინც გერმანული ენა იცის: მან თარგმნა ქართულიდან გერმანულად ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცოცხლის“ წიგნი, გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, ჩემი „იველი ქართული ენის გრამატიკა“, ჩემი და სხვათა სამეცნიერო გამოკვლევები იგივე ჰ. ფენრიხი უდგას სათავეში „გეორგიკას“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტისა და მისი ამობილი იენის უნივერსიტეტის საერთო გამოცემას წარმოადგენს. ეს კრებული 1978 წლიდან გამოდის — ყოველწლიურად თითო ნომერი გერმანულ ენაზე; შიგ იბეჭდება თბილისისა და იენის უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა წერილები უმთავრესად ლიტერატურისა და ენის შესახებ.

ჰ. ფენრიხის ახალი ნაშრომი „ქართული ლიტერატურა“ სწორედ დროული და მეტად სასურველი წიგნია, რომელიც ცოდნითა და დიდი სიყვარულით არის შედგენილი და შეიცავს სანდო ცნობებს მრავალსაუუფოვანი ქართული ლიტერატურის შესახებ მე-5 საუკუნიდან ჩვენს დრომდე.

წიგნში პირველად მოთხრობილია, თუ რა ქართველოლოგიური ლიტერატურა მოიპოვება გერმანულ ენაზე (ლაისტის, დირრის, მეკელანის, ბლაიხშტაინერის, პეჩის, მოლითორის, ასფალაგის და სხვ.). შემდეგ მოთავსებულია ცნობები ქართველებისა და ქართული ენის შესახებ, რამდენად გავრცელებულია იგი და როგორია მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

უთუოდ მოსაწონია, რომ წიგნში ერთი თავი აქვს დათმობილი საქართველოს კუთხეების აღწერას (გვ. 19-29) და შემდეგ მოთხრობილია ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელსაც უძველესი ორიოდ სიტყვა ქართული ხალხური სიტყვიერების შესახებ (მითები, ზღაპრები, გადმოცემები, ანდაზები და სხვ.). ადრეფეოდალურ ლიტერატურის მონაკვეთში (მე-5—11 სს.) ჭერ ააუბარია ქართული ანბანის შესახებ და შემდეგ განხილულია ლიტერატურის ძეგლები (წამება შეშანიკისა, ევსტათი მცხეთელისა, აბო ტფილელისა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და სხვ.), განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის (მე-11—13 სს.) მიმოხილვაში მკითხველი იპოვის ცნობებს ეფთვიმე და გიორგი ათონელების ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, არსენ იყალთოელისა, მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანისა, მეხოტბეებისა და, რასაკვირველია, შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების შესახებ. შემდეგ კი მიდის გვიანფეოდალური ეპოქის ლიტერატურა (მე-16—მე-19 სს-ის პირველი ნახევარი). საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ახალი დროის ლიტერატურას (მე-

19 ს. მეორე ნახევარი — მე-20 ს-ის მეოთხედი), ხოლო ყველაზე მეტი — თანამედროვე ლიტერატურას, რომელიც მოიცავს საბჭოთა პერიოდს (70-იან წლებამდე). წიგნს ამთავრებს თავი, რომელსაც სათაურად აქვს „ქართული ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურებს შორის“, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია ქართული ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა.

3. ფენრიხის „ქართულ ლიტერატურაში“ განხილულია 296 მწერალი, ზოგი მათგანი საკმაოდ ვრცლად (რუსთველი, ილია, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი) მოყვანილია თვითთელი მათგანის ბიოგრაფიული ცნობები, დაბადებისა და გარდაცვალების წლები (რამდენადაც ეს ცნობილია), საზოგადოებრივი საქმიანობა, დამაბასიათებელი ნიშნები თხზულებათა. ქართული ლიტერატურის განვითარების გზები ფენრიხის წიგნში განხილულია ქართველი ერის ისტორიული სვეტების ფონზე, საზოგადოებრივი წყობილებისა და ეკონომიკის ვითარების გათვალისწინებით. რაც მეტ წონას ანიჭებს მონათხრობს. განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული საბჭოთა ხანის ლიტერატურის დარგები: პოეზია (ლექსები, პოემები), პროზა (მოთხრობები, რომანები), დრამა, საყმაწვილო ლიტერატურა. საგანგებო მსჯელობაა მწერალ ქალებზე და მათ შემოქმედებაზე. ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნი მოკლედ. მაგრამ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ქართული ლიტერატურის მრავალფეროვნებისა და ღირსების შესახებ.

წიგნში რაიმე მნიშვნელოვანი შეცდომა არ შემინიშნავს. მხოლოდ შეეკუება, რომ სწორი იყოს დიდი მოურავის Der große Fürst-ად (ან Großfürst-ად) თარგმნა (გვ. 68 და სხვაგან). თითქო აქობებს, რომ „მოურავი“ გერმანულადაც Mourav-ად დარჩეს და შენიშვნაში იქნეს განმარტებული მისი მნიშვნელობა. ლეოსტი პროველის თხზულების

სათაურში ნახმარი „ნათესავთა“ აქობებს, რომ ითარგმნოს Völker და არა Verwandten (გვ. 56); ეფთვიმე ათონელს შევეუნახოთ მისი სახელის მის დროინდელი გამოთქმა და არ გადმოვიტანოთ დღევანდლურზე (ეკვთვიმე). გვეყო, რაც დიდი ხანია დამახინჯებულად ვხმარობთ ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელს (იხმარება „რუსთაველი“ და არა „რუსთველი“, როგორც თვითონ პოეტი ეძახის თავის თავს); აგრეთვე, სადაც ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებელმა 1122 წ. თბილისი აიღო და იგი სატახტო ქალაქად აქციაო (ძველად ქუთაისი იყოო), აქობებს, რომ ქუთაისი იმდროინდელი ფორმით მოვიყვანოთ (ქუთათისი) და ვუჩვენოთ, რომ დღეს მას ქუთაისი ჰქვია. არჩილის ლექსი „კაცს უთხარ“ ნიშნავს, რომ „მე (ვ)უთხარ კაცს“, აქ არ არის ბრძანება მეორე პირისადმი (Sage es dem Mensch) (გვ. 64) და უნდა ითარგმნოს ასე: Ich sagte es einen Mann. დინჯა ხულევი (გვ. 130) მე დინჯა ხულევი მგონია. ვაჟა-ფშაველა რომ აოფელში მასწავლებლად იყო, იმ სოფელს დიდი თონეთი ჰქვია და არა დიდი თონეთი (გვ. 132); შალვა დადიანის „უბედური რუსი“ და „იური ბოგოლუბსკი“ (გვ. 239) ერთი და იმავე თხზულების სხვადასხვა გამოცემის სათაური მგონია.

ეს შენიშვნები, ალბათ, შემდეგი გამოცემისათვის იქნება გათვალისწინებული. წიგნის ღირსებას ისინი არას აცლებენ.

სასურველია, რომ 3. ფენრიხის წიგნი ქართულადაც გამოვიდეს, რომ ყველამ ნახოს, თუ რას წარმოადგენს უცხოელის თვალით დანახული ქართული ლიტერატურა.



# ლაქსი და მკითხველი

მაქსიმ გორკოვმა თქვა, უოველ წიგნში მწერლის სულა დატყვევებულია. თუ ეს სწორია, მაშინ იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ წიგნზე იტყობს, იმიტომ რომ, ლექსი უფრო მეტად არის სულს აღსარება, ვიდრე ლიტერატურისა და ზელოვნების რომელიმე სხვა ენარის ნაწარმოები. და რამდენადაც სპეტაკია ეს სული, იმდენად მისი უოველი ზარბაზა — კმუნვა და სიხარული მკითხველისთვისაც ახლობელი და სისხლბორცეულად გახაგები ზღეზა. ამასთანავე, ასეთ წიგნში მეტად მკაფიოდ ჩანს ერთი უფროსი და უპირველესი ღირსება და საჭიროება მხატვრული ლიტერატურისა — თვით ავტორის, შემოქმედის ზნეობრივი დონე და არსებული სინამდვილისადმი მისი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, ჩანს თავისი ქვეყნის, ხალხის რა სოციალური თუ ყოფითი საკითხები უფროსობებს გულს მწერაღს. რას ეუბნება იგი თანამომხეთ, რას უწონებს ან უწუწუნებს მათ, რა ზარბაზებს გულისკვთებს მკითხველს. საიტიენ მიმართავს ხალხის გრძობა-გონებას და რა ეთელი ზარბაზებსა და მისწრაფებებს აღუძრავს ადამიანებს.

თუ წიგნს ეველა ეს ღირსება ახლავს, იგი უდავოდ კარგი და სასარგებლო წიგნია. სწორედ ასეთია დიდად ავარდავის ახალი ლექსთა კრებული „მელოდე“. რომელიც გამოცემილია „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა. წიგნი მოცულხობით დიდი არ არის, ავტორს მასში ძირითადად ბოლოდროინდელი ლექსები შეუტანია, მაგრამ ფიზიკური სიმკაცრე მის ღირსებას ოდნავადაც ვერ ამცრობს. უოველი ლექსი და თვით ცალკეული სტრიქონებიც კი უზვად არის დატვირთული შინაარსით, გარეგნულად მარტივი და ძალიდაუტყანებლად გაწყობილი ეს სტრიქონები წიგნს მეტ სინათლესა და ემოციურობას ანიჭებს. უოველი ლექსი იმ სადღეისო სათქმელით არის გაშსკვალული, რაც უოველ ჩვენგანს, პირიქნულად თუ ზოგადად, გეოლხინს და გვანუსებს, სულერითა, იქნება ეს „ოდოია“, „ნამოსახლარი“, „სიცოცხლე“ თუ „ფიქრები მშობლიურ ეზოზე“. ცნობარების იმ პირველ პაწია საწვისსა და გარემოზე, რომელსაც ეველა ჩვენგანი რადიკალირი ამო ტკივილით განვიცდიით და მასთან შეუტისას კვლავ ის შეოცნებე, გულუბრყული ბავშვები ვხდებით. და პოეტაც თითქოს ჩვენს სათქმელს ამბობს:

ეს მისით არის, ზემში რაც არის,  
მე საქართველომ აქედან ვიკო.  
აქ ნანას მიმღერს ქარი დამსტრალი,  
ნაკლებად ებოლავ და... მეტად ვიწყო.

განსაკუთრებით შთაბეჭედავია ლექსი „ნამო-

სახლარი“. ამ პატარა ორსტროფიან ლექსში მთელი ჩვენი საწუნხარი და გულსიტყვილია ნათქვამი. ვის არ შეგვეყრია სუნთქვა და მოგზავლია თვალში ცრემლი ამ ნამოსახლარებისა და ნასოფლარების დანახვისას, ზედისწერის უნდობლობითა თუ ჩვენი უთაურობით ქვეყნით რომ მოსდებია ჩვენს ღამაზე სამკვედრო-სამოსახლებს. თვით სიტყვაც კი — „ნამოსახლარი“ ამაზრუნენი და თავზარდამცემია. უფრო უარესია ოდენადაც კაცის ზრუნვით გარემოსილი, ნალოლიავეები, სიცოცხლით სავსე და აწ ატკრეციტ მზარალი, გასარტახებული ეზო-კარმიდამოებისა და ბაღნა-ბაღების მკვედრული დუმილი, რომელსაც დროდადრო უცაცრიელი შემოგარენიდან მონაბერი ქარის სვედამაი ვასისხინება თუ დაარღვევს: „ქარი ჩაუბრბებს აღუბლებს ოხვრით და მოაქვს სუნთქვა უცაცურ ველს“.

ეტუობა, პოეტს ეს საუოველთაო საწუნხარი თვითონაც მტკივნეულად ახია გულზე, რადგან მას რამდენჯერმე კიდევ უბრუნებდა, ხოლო ერთ ლექსში „წერობები“ ალგორითლა ბერბითაც კი გამოხატავს:

ვაი, რა ზეტიალს უნდებოთ,  
ფრთხილად ტუთი სიმაღლე ბრუღებდა...  
თქვენ, ალბათ, როდესაც ბრუნდებოთ,  
სვედა გავლავთ მტოკეველ ბეღეთა.

სარტყენწიო წიგნი თემატიკითაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ერთმანეთს ავსებს და ენაცვლება ადამიანი და ბუნება, სოფლის მშრომელი თუ ქალაქის მკვიდრი, ჩვენი დღეების, პერსოკა და სახელოვან წინაპარა ნათელი აზრდილები — დიდი დავითი, დიმიტრი თავადებუელი, ერცელე და თვით ისეთებიც კი, — მშობელ მიწაწუალს ავბედლობით მოწვევტილნი — როგორც რუსეთის არმიის გამოჩენილი სარდალი, ბოროდინოს გმირი პეტრე ბაგრატიონი იყო:

შენი ცხოვრებით, შენი ფიქრებით  
სატყვარებით ვარ შემართული,  
და სულერითა, თუ სად იქნება,  
ქართველს სისხლი აქვს მარად ქართული.

კითხულობთ ამ სტრიქონებს და უნებურად გაკონდებათ ქართლის მწარე ზედდრი, როცა ვაფთრებული მტერი ოთხივე მხრიდან სასიკვდილო მახვილს უღერდა, ხოლო მისი რჩეული შვილების ერთი ნაწილი ხმაღს უცხო, ხშირად ირანისა თუ ოსმალეთის მიწაწუალზე აქნედა და სისხლს სხვათა სასიკეთოდ ღვრიდა, საშოქმედო და საბრძოლო ასპარაზს ეველგან დიდგორად, ბანიანად, მარაბდად და შამქორად აქ-

ცედა და გმირობის სასწაულებს ახდენდა. აქვე არ შეიძლება დიდი ილიას გულისტკიავებით ნათქვამი სიტყვებიც არ გაგახსენდეთ: „შენ რაა, რომ ამჟღინებ შენს დამღუპველ ოსმალებსა?!”.

პოეტს არც ჩვენი ხუროთმოძღვრული ძეგლები დავიწყებია — ჩვენი „ბორცის, ხისხლესა და სულის ნაწილი“, რომლებიც „წლების სრბილაში ზიდად გაწვდილან“, როგორც მარადიული დიდების უტყუო მოწმენი, და ჭველსა და ახალს ერთმანეთთან ორგანულად აერთებენ, ადუღებენ. კრებულში მათდამი მიძვლებლი რამდენიმე ლექსია შეტანილი, ხოლო თვითონ ავტორის, როგორც პოეტისა და მამულიშვილის მისდამი გულმზურვალე, მოყრდენი და მოკვებულეა ერთ-ერთი ლექსის „წუნდის ტბასთან“ ზოლო ტაქშიც თვალნათლივ ჩანს:

ტანზე ჩაგვიდო ლამის ებილები,  
რომ გარს მოგავლო შისიფერი ელო,  
წელი რამდენი ტბას ერკენები,  
ჩემო დაღლილო დამწვარი სულო!

ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე საუბრისას არ შეიძლება კაცს თავისი ქვეყნის წარსულაც არ გაგახსენდეს და აწუო და მოძაელი თვალწინ ცოცხალდ არ დაგიაღვს. დროის ეს სამი მონაკვეთი მუდმივ მონაცვლეობაშია, მაგრამ მაინც მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ქმნის კაცთა ცხოვრების ამ ერთიან გეგმას, რომელიც უწყვეტად და უსასრულოდ მეორდება, და პოეტაც საყოთარი ქვეყნის, სამშობლოს სრულ სურათს ამ მთლიანობასა და მარადიულობაში იძლევა. ამ მდიდარ თემას კრებულში ბევრი კარგი, მადლობდებური ლექსი ეძლევა: „სიმაღლის ფუძე“, „თბილისი ჩემი“, „კოლხეთი“, „ჩემი მამულის უანა“, „შემომტალა სურნელი პიტნის“ და რამდენიმე უსაუბრო ამთიგან აზრის სიმკვეთრითა და სათქმელას მასშტაბურობით ცალკე უნდა გამოირჩეს „ჩემი მამულის უანა“ და „კოლხეთი“. ორივე ამ ლექსში პოეტი წარსულის ფონზე თანამედროვე საქართველოს აწმუროს და მოწვევას ქვეყნის და მკითხველსაც თვალწინ მთელი სიხვედრის ვადრეშლის. ერთმანეთს ვაზრებულად უპირისპირებს ჭველსა და ახალს, შორეული ძნელებდობის გამართლებულ სურათებს—მუდმილი დამქიმებულ მუხას, გადტარუსულ მოლს, სიკვდილის შიშით ათრობებულ ვაჭებსა და ჩვენი ახლანდელი უოფის იმედითა და რწმენით სავებ დღეებს, და მამულიშვილური საამაუთი აცხადებს, რომ ნამუშლარ-ნახანძრალზე დღესაც ბიზინებს უძიძებს ზედრგამოვლილი სიცოცხლის უანა, ბიზინებს და სამუშაოდ კვლავ მოუბზობს იმ მხედარსა და გუთნისდღვას, რომელთა სიმზნევემ და გამძლეობამ იგი ჩვენ დრომდე მოიუყანა:

საბოდნენ და... კვლად მოსწეს,  
როგორც კაითული ნანა,  
დღეს კი ეძახის მომწელს უანა,  
მამულის უანა

უმთავრესი თემა მხატვრული ლიტერატურაშია და, მამასადავ, ლექსისაც მაინც ადამიანი — მისი შინაგანი სამუარო, მისი ფიქრები, მიზნები, მისწრაფებები, მისი ადგილი საზოგადოებაში და მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ერთი სიტყვით, უოველივე ის, რაც ადამიანის სიცოცხლის, არსებობის აზრსა და დანიშნულებას შეადგენს. ლექსთა კრებული „მედლოდე“ ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარ სურათს იძლევა. ეს მარადიული თემა — ადამიანი ერთი რომელიმე ცალკეული კუთხით არ ამოიწურება, იგი მეტად რთული, სათუთი და ბევრსახოვანია და მიდგომასაც ახვთსავე მრავალწანავოვანს საქირობებს, სწორედ ეს არის ამ წიგნდობლივი, პოეტმა იცის, რომ უმოკმედობა და მერმისზე იწერტული სვედა-წუხილი უძღურთა და უმაქნისთა ზედრია, ამას გამოტეხილად აღიარებს ერთ-ერთ უსათაურო ლექსში, მაგრამ იქვე საპირისპირო კითხვასაც სვამს:

მაგრამ რად არი — დაკარგვის ფიქრებს  
ვაწულები როგორც კრანა ფიქსა?

ეს კითხვა უმალ თავის თავშიც ჩაგაბედებს, და გრძნობ, რომ უოფნა-არყოფნისა, თუ სიკვდილის შედეგ გაუტეხობის, გაქრობის ის საუველთაო შიში, რომელსაც უოველი ადამიანი გულში ფარულად დაატარებს, არც შენთვის უოფილა მთლად უცხო და შორეულია. ასევე მზის ქვეშეთში ადამიანის უოფანსა და დანიშნულებას ეხება ლექსი „ქალაქის პორტალთან“. ადამიანი ბუნებათ თავის გვირგვინად გაანა და მოვალეობაც თავისივე მასშტაბისა დაკისრა — მუდმივ სიკეთის ქმნა და უოფიერების გაუჭობებება-გაკეთილშობილება. ეს არის კაცთა მოდგმის თავდაპირველი კაცობრიული ვალი და თეთრული ჩვენგანა მის აღსასრულმლად ძალით დაუწოგავადაც იწვეის, მაგრამ საყოთარი თავთი კმუოფილი კაცი დედამიწის ზურგზე აღბათ ქერაც არ დაბადებულა, მის უოველ მოკმედებას განუშორებლად თან სდევს მარადიული იჭვიც: რად? რატომ? რისთვის? ან: იქნე სხვაგვარად გოზდა და არა ასე? უპირისპირობის ეს აბეზარი, მღრღნელი კია ადამიანს ვაჩენის დღიდან სიკვდილამდე ერთოთავად გულში ურუჩუნებს, მის უოველ ნაბიჯს ზომავს, წონის, ნაღვანს, ნამოკმედარს, ფიქრსა თუ სწრაფვას თავის ულშობელ სამტკიცში ატარებს, უჩინარ კითხვისნიშანივით უდვას თვალწინ და დაუსრულებლად ჩასძახის: რად? რატომ? რისთვის?

„თუ მკითხავთ: — ასე ვის რად უნდოდა? — ვერც კი ავიხსნით განაჩენს ბედის“. — ამბობს

პოეტი და გრძობით, რომ ეს არ არის ლიტონი  
სიძულებით, მარადიან ქველთა ამ უცხოთ კოხტე-  
ზე პაპუნის ვაქცია, მაგარმ, მიუხედავად ამისა,  
პოეტა მანც უმეტის ამსას და ერთ-ერთ ხა-  
რუაღესო ღუქსს „უქრებია პარამიდასთან“ თა-  
ოქოს ვოველიავე ზემოაქმუნებს — მარადიული  
შინის, იქცისა და უქმარისობის მტანჯველი  
გრძნობის პარდასობი პასუხით ამოატრებს:

ისე, ვით ზარებს ჰეიდია მნავე,  
შენი ცხოვრებაჲ თან ახლავს მიზანს,  
შენს, სოციალური ღამეს თუ ათვე,  
წარმავალბა ვერაფერს გიზნას,  
ნა, უნდა სვავდეს ზობოქარ მორცეს,  
სამარადისოდ არა დროებით, —  
მამინ იტყვიან საქვეყნოდ სწორედ:  
— არ იმხებრველიან ქარში რტოებო.

არის წიგნში ღუქსები, რომლებიც, როგორც  
თქმატყობს, ისე მხატვრული ვლერადობის  
რეალისზრისით ცალკე უნდა გამოიყოს და ერთ  
რკალში ვერათიანდეს. ასეთებია: „დედა“, „ცი-  
რას“ და კიდევ რამდენიმე უსათაურო. ამ ღუქ-  
სებში ქალია ხამი სახეა გათლიანებული: ქალი  
— ხატაფო, რომლის ხსოვნა და იღუმალი  
ტრფალია გულში არახოდეს გვიტრება, რომე-  
ლიც კუბოს კარამდე სისხლს ძალში ცეცხლით  
გვიჩქროლებს, ერთი მისი ხაოცნებო დიმილი,  
ანცი შერბა, ერთი წამიერთი ჩაქროლება სიკარ-  
მავება და ხანდაზმულობაშიც მკლავს მხარ-  
გრძლივად გაგავლიყენებს, კვლავ მეოცნებე  
კანტუებად გვიტყვის და გვიროზნას და სასწაუ-  
ლებს მოგვარადიანებს: ქალი — მჭედღე. ბურ-  
ქად რომ გვიდგას მხარში და თავისი უშუალო,  
ულოგეო სათრუბით, სანაზით, სიოცხლის  
უხალტრო ხალისსა და რქმენას გვანიჭებს,  
ჩვენს ცხოვრებისეულ აე-კარგავს უაღებლივ  
ყოფს — საწუნარს გვიამბუბუქებს, ღზინს  
შინის ღანათის მატებს და ჩვენზე ზომ, უთქმელ  
ზრტენაში ღოცყასავით უზმუროდ იფერფლე-  
ბა:

ქვედაც, ოთახში ფესფესებს სვია,  
ფუხსწერებზე დაღიზარ როცა,  
ღღეს ამ სიჩუმეს სიხუმე ჰქვია,  
შერე კი აღბათ ერქმევა ღოცა.

და ბოლოს ქალი-დედა, რომელიც საქორე-  
ბის უამს მამიყის უშიზრად დაუდგა გვერდით,  
„მარკადებზე დეცა“ და სიოცხლიცა და თა-  
ვისი უპირველესი ზედართი — ზეღის აღერ-  
ბა — საეკონომიო სიყვითის ხსანსა და ვადარ-  
ჩენას შესწირა, არც ფერფლადაქციული ქვეწიის  
აღდგენაში დატოვა მარტო თავისი თინამეცხე-  
დრე — თბილი, მუუდრო ყერა ხარჩოებზე გა-  
ცვალა და აქაც თავისა წილი დაიღო, ხოლო  
როცა სიოცხლეს ისევ სიკვდილის ხაშიზრებია  
თავიქტა, „შაშხანის“ ზელში კვლავ აღხდგა

დედა“ და თავისი „ნათელი კლარით“ „ღომ-  
გულ ვაქცავენს“ გამარჯვების ცეზა გუნათა.

ქალის — დედის, ცოლის, ხატაროს — სიწ-  
მინდობი, სათრუბითა და ღვაწლით აღფრთო-  
ვანებული პოეტი თითქოს თავს ველარ ერევა,  
მის ყველა ღირსებას, სიყვითეს, საბოლოოდ ერთ  
ამაღლებულ სახეში — დედის სახეში აერთო-  
ნებს და ხმაყ თითქოს ამხდაკვალად უმაღლ-  
დება:

დედაც მალალო, დედაც ნათელი  
სიოცხლეს შენი სიოცხლე იხსნის,  
როგორ აგვიყონ, როგორ გავგეთღონ,  
სანამ ძარღვებში ზვიანობს სისხლი,  
სანამ დიდება შენი ზვიანობს,  
სანამ არსებობს სახელი დედა...

პოეტთა და შემოქმედთა ერთი მართიადი,  
სათაყენო თემა ბუნებაჲ არის. თუმცა ბუნე-  
ბაზე წერა, მისი მდიდარი სურათების ხატვა  
საერთოდ, და, ყერძოდ, ქართულ ღუქსში, ად-  
ვილი საქმე არ გახლავთ. იმატომ რომ ჩვენმა  
დიდმა პოეტებმა უთქმელი და დაუნახავი ბუ-  
ნებაში თითქმის აღარაფერია დატოვეს, ხოლო  
გრძნულმა ვეამ იგი სულით ხორცამდე ამო-  
წუნა. გარდა ამისა, ბუნება თვითონ არის უვე-  
ლურად დიდი მხატვარი და თავისთავში იმდენ  
მეტყველ ფერსა და ბგერას აერთიანებს, რომ  
კაცის უხუსურო, ლიტონი სიტყვა იმის მანახედ-  
საც ვერ გამოხატავს. მაგარმ ნიჭიერებაც სწორედ  
ის არის, რომ ეს ძლიერი ბარიერი დაძლიო ბუ-  
ნების ზელთუქმნელი სურათები იმ უტონი და  
იმგვარად დაინახო, მათი ღრმა შინაარსი ისეთი  
ენათ აამეტყველო, რომ იგი მკითხველისთვისაც  
საესებით ახლოხელი და გასაგები გახდეს. დი-  
ლარ ივარდავა, რომ იტყვიან, აქაც სასურველ  
სიმაღლეზე დგას, ბუნების უკვლავ კონკრეტულ  
სურათსა და მოღვენას ახსნავ შესაბამისი და  
განზოგადებული აქვს მონახული. „თითქოს აქ  
ყო დიდი მხატვარი, დახატა ტყე და წავიდა  
მერე“, — წერს იგი ერთ-ერთ უსათაურო ღუქ-  
სში და მართლაც, ბუნებაში თითქმის უკველ  
ნახიჭზე ვხედებით ისეთნაირად განლაგებულ  
აღვილებს, ურთიერთშერუნასწორებულ ხატებს  
— ბუჩქებს, კორღებს, წყაროებს. რომ მნახ-  
ველს უსათოდ კაცის ზელით გაკეთებულა  
ევონება.

ეს მშობლიური მიწაწულის მბოლოდ ერთი  
მცირე მონაკვეთია, მისი მთლიანი სურათი —  
სიღამაზე, წიარგვარობა და დინამია პოეტს  
გახსნალი აქვს ღუქსში „კავასონი თვითმფრე-  
ნავიდან“: „მიწა კი, როგორც დამფრთხალი ზე-  
ბრა, გარბის ფერადი და ამღვრული“.

ამაზე უფრო მოკლედ, ღამაზად და ამომწუ-  
რავად თქმა მართლაც შეუძლებელია. მაგარმ  
დილარ ივარდავა ბუნების მარტო კარგი მხატ-  
ვარა როდია, მის უკველ ჰეიწყესა თუ მოკლე-  
ნაში კანონზომიერ შინაარსს ზედავს და წინა

პლანზე სწორედ ეს ცნობიერი განცდა და გააზრება გამოაქვს. ამის დასტურად ერთი მაწარწინა. მაგრამ ღრმავარაყვანი და ბევრისმთქმელი ლექსი „ფოთლის სიკეთელიც“ კმარა:

ევლება და... ფოთლის ცეცხლს მოკეცს,  
(ტანზე ცრემლივით ებრწინავს ცვარს).  
მერე მათს ურაცხვ სასაფლაოზე  
ღვას თმაგაშლილი „მწუხარე ქარი“.

ფოთოდ ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსი „ლომი ზოოპარკში“. ამათ ეველა ჩვენგანს გვიანავს და დაგვანებია ზოოპარკის ვოლიერარში ჩამწუვადეული ღომი — დამცარებელი და შეურაცხყოფილი ბუნების უძლიერესი შვლი, თვითონ მზარბანებელი და ახლა კი თავისზე სუსტთა ნებასტრავილს დამორჩილებული. მელატურებთან გათანაბრებული და მათსავე ბედში მყოფი ნადირთა მეთუ... დაახ. დაგვანებია და ეს ფიქრიც უსათუოდ აღვძვარია:

ასე გასწორეს, არ შეიბარლეს,  
და ზურგს აკიდეც უძღურთა ტერითი.  
დასიზმრებთა დაღლილ თვალებს,  
რომ ზოგჯერ ქტება ძლიერთა მიოიც.

წიდან ვთქვი, ლიტერატურას საერთოდ და ცეროდ ლექსს, თუ სურს იუს უკვდავი და შარადიული, კონკრეტულ სახეებზე ფურდნობით ხალხის ზოგად ფიქრსა და სულისკეთებას უნდა გამოზატედეს-მეთქი, პოეტურ ქმნილებათა უკველი თაობა თავის გულის პასუხს უნდა პოულობდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი იმ ნოეური ნადავადან უნდა იუს ამოზრდილი, რომლსაც დადი სახელი — ცხოვრება ჭკვია, უამისოდ ხალხს გულისაყენ გვას ვერ ვიკვი. მანამ და არც ხანგრძლივი სისოცხლად უწირია. მაგრამ წიგნის ღირსება — სულერთია, პარონა იქნება იგი თუ პოეზია — მარტო თემატკეთთა და საოქმელის აქტუალობით არ ამოიწურება. მხატვრულ ლიტერატურას ორი მარადი და ძირითადი განზომილება აქვს — სიღრმე და სიმაღლე. სიღრმე შინაარსია, სიმაღლე — ფორმა. ფორმას ემოციის ფუნქცია აუხარია და მხატვრულ ნაწარმოებს მანში მოკვეთული კონკრეტული მომენტისა და სიტუაციის შესაბამისად ეწეობა. თუ ფორმა შინაარსში ორგანულად არ ზის და შინაარსი ფორმასში, ასეთი ნაწარმოები შეუმცნებელი ღრებულდება რამდენადმე მოკლებულია — არც თვალს ატყობს, არც სმენას და არც რაიმე კვალს სულში ტოვებს. დიდარ ივარდავას ლექსთა კრებული „მელოდრე“ ამ მხრივაც საყსებით დაზღვეულია, არსებით ნაკლებ თუთ უკიდურესად კირვეული და მომთხოვნი მკითხველიც ვერ უპოვის. ამ პატარა წიგნში თანამედროვე ადამიანის ეველა ძირითადი ფიქრი და საოქმელი ჩატეული — არც მსოფლიო საზრუნავი აქლია და არც საყოთარი ღებნა-

წუბილი, მაგრამ უკველ სათქმელის, აზრს, სიტყვას. ფორმაც შესატყვისი აქვს ნონახული, ეველა ლექსი მისთვის მოსარგო სამოცელში ზის და მკითხველის გულსა და სისოვანოც ბოლომდე წარტულილად მკეთდრდება.

ერთ-ერთ ლექსში პოეტი რითმის რაობაზე მსჯელობს (ლექსს სახელიც „რითმა“ ჭკვია) და სრულიად საშარტლიანად ასკენის, რომ რითმა, ნორჩი ეყავილის დარად, უთვალავჯერ გაშლილა და დაღვრილა მუსიკად, მაგრამ არ დაბერებულა და არც გაევეთილა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგია ლექსის მწვანე ოაზისი, რამლის იქით უსიციცხლო, უსაკრეილი უდაბნო იყება, მიუხედავად ამისა, კრებულში რამდენიმე ეგრეტოცილებული „თეთრი ლექსი“ თვითონაც შეუტანია.

ამგვამდ ჩვენში თეთრი, ეხე იგი, ურითმო ლექსის ირველიც ბევრი მიოქმამოიქმამა და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთი ამბობენ, საქაროველოში თეთრი ლექსი უკველთვის არსებობდაო. მეორენი იმასაც ამტკიცებენ, გოურითმავი სტრაქონენი აზრს, საოქმელს უკეთ გამოსატყვის. ჩემის აზრით, არც ერთია სწორი და არც მეორე. საქაროველოში თეთრი ლექსი არასოდეს არსებულა. ქართული ცაცი, რასაც კვემმარტი ლიტერატურული თვალსაზრისით ქმნიდა და ლექსს არქმევდა, ურითმო და თეთრი არასოდეს უკფილა, უფრო გამოევეთილად რომ ვთქვათ, რითმის ქართული მბოლოდ ლექსისათვის ხმარობდა და ლექსსაც მბოლოდ იმას ეძახდა, რასაც რითმით გააწეობდა. და ქმნიდა მბოლოდ იმ მზნითა და დანიშნულებით, რომ თავისი ძლიერი პოეტური სიტყვით თანამომძე-თათვის ავი და კარგი თვალნათლივ დაენახებინა, ცუდი დაეგმო, კარგი გაეშნევებინა და ამით ხალხისათვის გზა ცხოვრებისა კვემმარტი დაემკიდრებინა. ერთი სიტყვით, ქმნიდა იმისათვის, რასთვისაც ნამდვილი ლიტერატურაა მოწოდებული.

ურითმო ტექსტებს კი ასეთი ძალა და განზოგადების უნარი არ გააზნიათ. ისინი, უკლებლივ ეველა, სარითუალო ტექსტებია — ან ლოცვაა, ან შელოცვა, ან მისნობა, ან გლოვა, ან ვედრება და დანიშნულებაც ასეთივე ვიწრო, სიტუაციური, გაწეებული და ეროხელ და სამუდამოდ განსზღვრული აქეთ, მათ ღრისთან, რეალურ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ გააზნიათ, მთლიანად ცხოვრების მიღმა არსებულ, არეალურ საშეაროს განეუთვნებთან და სახლავ ხალხის მიწიერი შეგნების და თვალსაწიერის გარეთ დგანან. სწორედ ამიტომ ქართული სინამდვილე მათ ლექსებს არ უწოდებდა და არც გარითმვას თვლიდა საქიროდ. მველმა ქართულმა კარგად იციოდნენ, რომ ცხოვრება არც ლოცვაა, არც გლოვა და ვედრება, იგი მძროლის, შრომის, მოქმედების ასპარეზია და მოძღვრება და სამოციქულოც თაქისნარჩ მზნე და აქტური კირდება.

რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს გაუ-  
რითმალი სტრუქტურები სათქმელს უკეთ გამოხა-  
ტავდეს, ესეც უსაფუძვლო აზრებია, თორემ  
ვინ იტყვის, რომ მაგალითად, ამას: „რა ვარდ-  
მან თვისი უვადელი გააზროს, დაამტკიცაროსა, იგი  
წავა და სხვა შოვა ტურფასა საბადნაროსა“,  
ეს ქობიაო: ვარდი თვისი უვადილს რომ გააზ-  
როს და დაამტკიცარებს, იგი წავა და ტურფა  
საბადნაროსი სხვა შოვა.

შორს რომ არ წავიდეთ, ამის თვალსაჩინო  
სურათს თვით ეს სარტყენო წიგნიც ცხადად  
ჩიღვება. როგორც ზემოთ ითქვა, კრებულში რა-  
მდენიმე თეორი ლექსიც არის შეტანილი: „ბეთ-  
მოენი“, „ფიქვი“, „ჰიმნი“ მზეს“, „ბედნიერე-  
ბა“, „ჩანჯი“ და კიდევ ერთი უსათაურო. ამ  
ლექსებში, გარდა იმისა, რომ რითმა არა აქვთ,  
მეტრიც დარღვეულია. მეტრის დარღვევას  
რითმიანი ლექსი უფრო იტანს, ურითმო კი,  
უპირველეს ყოვლისა, რიტმს, მეტრსა და ინტო-  
ნაციას საჭიროებს და მხოლოდ მათ ეურდნობა.  
სწორედ ამ მიზეზით ეს ლექსები, მიუხედავად  
ავტორას მიერ მათში ნაგულისხმევი ღრმა ში-  
ნარსისა, თემატიკის მასშტაბურობისა და ცალ-  
კუთლი პოეტური ფრაზებისა და სტრუქტურებისა,  
მიანც ვერ დგანან სათანადო მხატვრულ სიმაღ-  
ლეზე, აკლიათ ემოცია, სათქმელი მკითხველმა-

დე სრულად ვერ მიაქვთ და ამდენად, ვერც  
წიგნის საერთო დონეს უტოლდებიან.

წიგნში ერთ-ორ ადგილზე ენობრივი უზუს-  
ტობაც გვხვდება. „სადაც არ ვიყო, შენეული  
ტკიული შაბდავს“, — წერს პოეტი და ამით  
სურს იქვას, რომ სადაც არ უნდა ვიყო, უვა-  
ლგან შენეული ტკიულით ექნები გამსჭვალუ-  
ლიო, მაგრამ კავშირ „უნდას“ თვითნებურად  
ამოგდებამ სათქმელს სრულიად საპირისპირო  
შინაარსი შესძინა. მართალია სათქმელისთვის  
ფორმის მონახვა პოეტის შეუვალი უფლებია,  
მაგრამ შინაარსის მხრივ ენის უფლება სჭარ-  
ბობს მისას და პოეტმაც ამ საჭიროებას უსა-  
თუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს. ასეთივეა „ნა-  
მარანალიც“ ნამარნალის მაგიერ.

მაგრამ ესენი მხოლოდ კაწაწინა, გარეგანი  
ლაფსუხებია, ძირითადად კი წიგნი „მელოდო“  
მთლიანად აქმაყოფილებს თანამედროვე ლიტე-  
რატურული განვითარების მაღალ დონეს, ასევე  
სრულად აქმაყოფილებს დღევანდელი მკითხვე-  
ლის გაზრდილ მოთხოვნილებასაც, წაკითხვის-  
თანვე როგორღაც ერთბაშად ეუფლება მკითხ-  
ველის გრძნობა-გონებას, თითქოს უკველი ლე-  
ქსი მისივე გულიდან მოდინარეობს და, ერთდა-  
იმავე დროს, კითხვასაც სვამს და პასუხსაც თვი-  
თონვე იძლევა.

სულხან მთებლავრი



# კავშირები

თამაზ ზილქაძე

## ეროსი მანჯგალაძე

პალტოს ჯიბებში ხელბრანაწყოებილი, გრძელი ნაბიჯით, თითქოს ქუჩას ზომავსო, რუსთაველის თეატრისაკენ მიდის ეროსი მანჯგალაძე. ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ცხოვრებისეული კადრი, სამწუხაროდ, დღეს მოგონებალაა, მეტი არაფერი. ქუჩა ისევ საესეა ხალხით, თეატრი ისევ ისე განაგრძობს ცხოვრებას. თითქოს არაფერი შეცვლილა...

სინამდვილეში კი შეიცვალა ბევრი რამ: ჩვენს თეატრს და, ამდენად, ჩვენს საზოგადოებას გამოაყვანა დიდად ნიჭიერი მსახიობი, დიდი შემოქმედებითი, შეიძლება ითქვას, დაუხარჯავი ენერგიით სავსე ხელოვანი, რომლისგანაც ყოველდღე ველოდით ახალ, მისი ტალანტის შესაფერ სახეს, რომელსაც სხვა სიტყვით — შემოქმედებითი აღმოჩენა ჰქვია. მე, მაგალითად, ველოდი, რომ შესრულებდა ბევრ ახალ როლს, ნაიკითხაედა ვაფა-ფშაველას „ბახტრიონს“. თითქოს მესმის კიდევ მისი დიდებული ხმა:

„გაღმოდგა ბორბალაზედა  
თაისუფლების მთავარა...“

ჩემს მოლოდინს, რასაკვირველია, ამტყობდა და ის დიდი საუნჯე, რომელსაც ფლობდა, ეს იყო ხ მ ა, ჩვენს წარმოდგენაში უკვე დამოუკიდებელ ღუნომენად გადაქცეული ე რ ო ს ი ხ მ ა! თითქოს მსახიობის არსების ნიაღში ვეება ზარი გუგუნებსო, ლაღად, შვებით, სიხარულით. სიხარულით იმიტომ, რომ უამრავ და უამრავ ადამიანს ესმის, ჭირდება, უყვარს. ეს ხმა გვესმოდა სცენიდან, კინოკრანიდან, რადიოდან, ტელევიზორიდან, გვესმოდა სტადიონზე, ქუჩაში, სუფრაზე სიხარულითა თუ მწუხარების ფაშს. სიხარულში, დროშასავით, ნელაგამართული და ამაყი იყო, მწუხარებაში

ღრუბელივით დამძიმებული და ჩამოქუფრული. არასოდეს დამავინწყებდა ეროსი მანჯგალაძის — დიდი ხელმწიფის მოთქმა შვილის კუბოსთან. სიშართლე ვითხრათ, არც მეგონა, ვერც კი წარმომედგინა, რომ ხორავას საყდარივით ხმის შემდეგ, რომელიღე სხვა ხმას შეეძლო ასეთი მწუხარებით ჩვენი შეძერა. ეს ხმა ეროსისთან ერთად, ეროსის გვერდით, ეროსისგან დამოუკიდებლად (ასეთი რამც ხდებოდა!) მართლაც რომ ცოცხალ არსებასა. ვით ცხოვრობდა და მოქმედებდა იმ სამყაროში, სადაც ყველა ძვირფასი არსებანი გვეყავს ერთად თავმოყრილნი. დიახ, ყველასა აქვს ასეთი სამყარო და მსახიობის დაკრძალვის მნახველს, შემოძლია ვთქვა, რომ ეროსის ხმა ყველა ამ სამყაროს ბინადარი იყო...

ეროსი მანჯგალაძე ქართულ კლასიკურ თეატრს წარმოადგენდა დღეს და მისი თავგამოდებული დამცველიც იყო. ამიტომაც, ზოგიერთ სპექტაკლში, თითქოს არ იცოდა, რა მოუხერხებინა, ქარის წისქვილის ფრთებივით, უწარმაზარი ხელებისათვის, მოგუგუნე ხში. სათვის... მაგრამ კლასიკური თეატრი ამ შემთხვევაში არ უნდა გაეიცოთ, როგორც ყოველგვარი სიახლისადმი დაპირისპირებული ციხე-სიმაგრე, კონსერვატორული შეხედულებების თავმუსაფარი, კლასიკა ხომ სიახლის საფუძველი და ჰიძგია! ასე ესმოდა ეს ეროსი მანჯგალაძესაც. თამამად შეიძლება ითქვას, ალბათ, ბევრი მსახიობი არ იყო ისე შონადინებული ახალთან შეხედვრისა, როგორც ის; ამავე დროს, არც ერთი მსახიობი ისე მტკივნეულად არ ჯანციდოდა იმ ძველის დავინწყებას, მიტოვებას, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ოცნებების ნალოკში დააფრენდა რომანტიკ.

მის აღისფერი აფრებით. ეს კი, რა თქმა უნდა, მის ადამიანურ კეთილშობილებაზე მეტყველებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ის არასოდეს ყოფილა ახლის შორიდან მხვერავი და გამკიდავი, ყველაფერი, რაც კი ქართულ თეატრის სახელს უთქვამდა, მისი აღტაცებისა და პატივისცემის საგანი ხდებოდა. ის ქვეშაირიტი ხელოვანი გახლდათ და მთელი არსებით გრძნობდა იმ სიახლეთა აუცილებლობას, რაც მის ირგვლივ, ცხოვრებაში ხდებოდა.

ეროსი მანჯგალაძე თავისი ტალანტის თავისუფლების გამო, საერთოდ, რეჟისორის მსახიობი არ იყო, ის გახლდათ დრამატურგის მსახიობი. მართალია, ეს ფრაზა დღეს — რეჟისორთა დიქტატურის ეპოქაში — უცნაურად და მეტისმეტად თამამად გაისმის, მაგრამ ასეთი რამ ნამდვილად შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ერთ-ერთი ფრაზა მისი ახალგაზრდობისდროინდელი ინტერვიოდან: „...რაზე ვოცნებობ? უმთავრესად იბსენზე...“. ჩვენ შეგვიძლია ამ ფრაზის გაგრძელება, ანუ დასახელება ყველა იმ დიდი დრამატურგისა, რომლებმაც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შექმნეს ეკრანოდაფული ახალი დრამა, ანუ შექმნეს ახალი დროის თეატრი. იბსენი, ჩეხოვი, შოუ, სტრინდბერგი, მეტერლინი, პირანდელო — ეს დიდი პოეტები თეატრის რეჟორმატორები და თეორეტიკოსებიც არიან. საქართველოში ახალი დრამის წარმომადგენელი დივით კლდიაშვილია, თავისი შესანიშნავი „ირინეს ბედნიერებით“... ისიც უნდა ვთქვათ, რომ არა მარტო ეროსი მანჯგალაძე ოცნებობდა ამაზე, არამედ მისი თაობის თითქმის ყველა მაღალნიჭიერი მსახიობი. დღემდე იგრძნობა ჩვენს თეატრში ამგვარი დრამატურგის, ასეთი სახის თეატრის ნოსტალგია. რასაკვირველია, საქმეს ვერც „ექიმი სტოკმანი“ და ვერც „მოჩვენებანი“ ვერ შევლის, მე ვგულისხმობ გარკვეულ მხატვრულ აზროვნებას, უფრო სწორად — აზროვნების გარკვეულ სტილს, ცხოვრების დრამატული წარმოდგენის გარკვეულ ფორმას, რომელიც ერთი მხრივ მელოდრამას ემიჯნება, მეორე მხრივ კი — ტრაგედიას, მაგრამ არც ერთს არ ეუფენის, რადგან დრამა ახალი თეატრის ყველაზე სრულყოფილი (თქვენი წარმოდგენით, თვით ბრუნტისთვისაც კი) დრამატურგულ-თეატრალური ფორმა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თეატრი არ შეიძლება თანამედროვე დრამის გარეშე, რომლის საშუალებითაც ჩვენს თეატრში დღევანდელი ადამიანის ცხოვრება იშლება. ფრანგული თეატრის წარმომადგენლები ამბობენ, თეატრის ინდივიდუალობას თანამედროვე რეპერტუარი განსაზღვრავს. ამ აზრს არ შეიძლება ანგარიში არ გავენოს.

ეროსი მანჯგალაძე, რომელმაც, სხვათაშორს,

რის, თეატრში ფეხი შემოგდგა, რეჟორმა მის მსახიობმა [ტეტერევი „მეშინებანი“] თული თეატრის რეპერტუარზე ძალიან ბევრს ფიქრობდა. ხშირად ესაუბრებოდა ამის შესახებ მწერლებს, მწერლებს შორის ბუერი მეგობარი ყავდა. დღევანდელი ქართული მწერლობის დიდი იმედი ჰქონდა თეატრის პრობლემების გადაწყვეტის დროსაც კი, რაც ზოგჯერ, ზოგჯერ კი არა, ხშირად არ უმართლებდა, ამ საკითხისადმი ჩვენი მწერლების საოცარი პასიურობის გამო. ჩემთვისაც უკითხავს, მაგრამ გზა არსებობს, ან თუ არსებობს, საერთოდ გზა, ამ საქმეს რომ ეშველებოდესო. გულით უნდოდა, თანამედროვე ქართულ პიესაში ეთამაშა. სამწუხაროდ, უმთავრესად სუსტ პიესებში უხდებოდა მონაწილეობის მიღება, პიესებში, რომლებიც ისევ მისი წყალობით თუ შემორჩა ჩვენს ხსოვნას. მე, როგორც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას, ამ კითხვაზე მხოლოდ პანალური პასუხის გაცემა შემეძლო: თეატრის ნამდვილი რეჟორმატორები თავიანთ საქმიანობას სცენაზე ეროვნული ლიტერატურის დამკვიდრებით იწყებენ, ახალი დრამატურგიული ნაწარმოების შესაქმნელად ინიციატივა თეატრისაგან უნდა მოდიოდეს და ბოლოს, თეატრმა უნდა აღმოაჩინოს თავისი დრამატურგი. ამისთვის კი საჭიროა, თეატრი ენდოს ნამდვილ მწერლობას და სრული (აბსოლუტური!) უნდობლობა გამოუცხადოს. ხადოს დრამისმკეთებლობას, რომელშიც, ფაქტურად, სახელე გაუტეხა ნამდვილ ქართულ დრამატურგებს. მთავარი, ბოლომდე პრინციპულუბით ვიყოთ. ნახევრად პრინციპულობა არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ნახევრად სიყვარული, ნახევრად შეგობობა, ნახევრად ნდობა...

ზემოთ ვთქვი, ეროსი მანჯგალაძე დრამატურგის მსახიობი იყო-მეტი. ის თავისი ტალანტის შესატყვის ქართულ პიესას რომ ვერ პოულობდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ასეთი პიესა სინამდვილეში რომ არ არსებობდეს. ჩვენ ბრწყინვალე კლასიკური დრამატურგია გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა თაობის ქართველი რეჟისორების ერთობლივი, საკვირველი ტენდენციურობის გამო, ეს დრამატურგია თეატრალურ სკოლად არ ჩამოყალიბებულა, როგორც მოხდა ეს საფრანგეთში, ინგლისში, რუსეთში... სიამოვნებით დავასახელებდი თუნდაც ნაწილს ჩვენი შესანიშნავი დრამატურგისა: „გაყრა“, „მოკვეთილი“, „პატარა კახი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქეთვან სამებული“, „სამშობლო“, „ლაღატი“, „ირინეს ბედნიერება“, „ყვარულზე თუთაბერი“, „გუმინდელი“... სხვათაშორის, თუკი დღევანდელ ქართულ დრამატურგებს სურს თუნდაც ერთი ნაბიჯით წინაშის წინ, ეს ნაბიჯი ჯერ უკან უნდა გადადგას და გუმინდელ დრამა-



ტურგიას მიებაროს შეგირდად. იმ დრამატურ-გთა შორის, რომლებმაც ეროსი მანჯგალაძის მსახიობური თვისებებზე მისი ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა, ერთ-ერთი პირველთაგანი მოლიერი უნდა დავასახელოთ.

ეროსი მანჯგალაძეს ერთხელ მოლიერის როლის შესრულება მოუხდა ბუღაკაოვის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში, ერთხელაც თვით მოლიერის პიესაში ითამაშა. მართალია, არც ერთ ამ სპექტაკლს მის არტისტულ ბიოგრაფიაში არაფერია კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ მოლიერთან ნამდვილი შეხვედრა კი მოამზადა. ეს მოხდა სატელევიზიო დადგმაში „უჩინებლობის ქუდი“, მოლიერის გავლენით დაწერილ ქართულ ეოდევილში.

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ეროსი მანჯგალაძის მიერ განსახიერებულ კომედიურ როლებს, დავრწმუნდებით, რომ არც ერთ ჩვენს ლიტერატორს თუ თეატრალურ მოღვაწეს ისე ზუსტად არ ნაუკითხავს ამ დიდი ფრანგის ნაწარმოებები, როგორც ქართველმა მსახიობმა ეროსი მანჯგალაძემ შესძლო. თამამად შეიძლება ითქვას, ის იყო მოლიერის ყველაზე კარგი მთარგმნელი ქართულად. რასაკვირველია, თარგმნას პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ, რამდენადაც მსახიობი დრამატურგის სულის „მთარგმნელი“ და არა ლიტერატურული ტექსტისა...

თუკი ეროსი მანჯგალაძის მასწავლებლებს დაუფრევთ ძებნას, ბუნებრივია, თეატრალური ინსტიტუტის კედლებით ვერ შემოვიყარვებით და ვერც მხოლოდ ქართული თეატრითა თუ ლიტერატურით. ამით იმის თქმა მინდა რომ, უპირველეს ყოვლისა, მოლიერიდან აიღო მან ის ნიღბი (და ეს მოხდა მოლიერთან უშუალო შეხვედრამდე), რომლითაც დაუნდობლად დასცინოდა სიბრყველეს, უნდობლობას, სიღატაკს, სიხარბეს, ყველა იმ ადამიანურ მანკებებს, რომლითაც იწყება კაცის სულის ეროზია...

ახლა, როცა მასთან შეხვედრებს ვისხენებ, მისი სამი ხატი არ მშორდება რატომღაც. ამავე დროს, სამივე ამჟამად ჩემთვის გარკვეული მნიშვნელობის შემცველია. აი, მე მას ვხედავ ერთ-ერთ რეპეტიციაზე, სადაც მონაფესავით თავრადუნული, განითლებული — ამ მსახიობ კაცს სიცოცხლის ბოლო დღემდე ჰქონდა შენარჩუნებული განითლების, დამორცხვების ეს იშვიათი უნარი — ენის ბორძიკით (შალი-შალ ხელს გამოიქნედა ხოლმე ჩემსკენ, ვე აქედან წაეიდგოს!) წარმოსთქაშს ჯერ კიდევ დაუზეპირებელ ფრაზას. ის ახლა როლის ანბანსა და არითმეტიკას სწავლობს, ხელ სცენაზე, მაყურებელთან პირისპირ დარჩენილმა, მისი გულსყურის დასაპყრობად მარტომ რომ გადაიხადოს ბრძოლა. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, მინცდამიანიც „ცხარე“ ბრძოლების გადახდა არ უწევდა,

რადგან როცა სცენაზე გამოდიოდა, მისი სულ მისი „ტყუებით“, ანუ დიდხანს-ნაწილად ვე მონადირებულ, დატყუებული გულებით იყო სავსე. სცენაზე ფეხმედეგული ეროსი მანჯგალაძე, მართლაც, გულთა მყურობელი, მეფე ხდებოდა. ასე იყო იმ დღიდან მოყოლებული, როცა მთლად ვმანეილმა ტეტერევის როლი შეასრულა ტოესტონოვოვის მიერ დადგმულ სპექტაკლში, როცა ხორავასა და ზაქარიასის მხარდამხარ ოიდიპოსის როლს ასრულებდა, როცა ტარიელ გოლუას, ივანე მრინხანეს, ბრუტოსს, ზიზიზიოვს, ლიპესს თამაშობდა...

აქვე მინდა ვთქვა, რომ მის მიერ განსახიერებული გმირები ყოველთვის უფრო ხიერები ჩანდნენ, ვიდრე პიესის მიხედვით იყვნენ. ეს რასაკვირველია, ტალანტის თვისებებზეა გახლდათ, რის გამოც, ეროსი მანჯგალაძე თავისი ნინამორბედი დიდი მსახიობების უმცროს ძმას უფრო ჰგავდა, ვიდრე შვილს. დღეს კი მისი ნაადრევი სიკვდილი უნებურად იმასაც გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო ეს გაუაზრებელი ლტოლვა იმ ასაკისაკენ, რომელიც, სამწუხაროდ, თურმე ვერ უნდა გადაეღებინა?...

მეორე მისი ხატიც ასევე თეატრალურია. თუმცა, განა შეიძლება, რაც ეროსისთანა დაკავშირებული, თეატრალური არ იყოს?

ეროსი მანჯგალაძე თეატრის ცარიელ დარბაზში ზის. ნიკაი ნინა რიგის საეარძლის ზურგზე დასვენებულ ხელებზე ჩამოუდვია და სცენას შესცქერის, სადაც მუშები სპექტაკლის დეკორაციას დგამენ... ასე სხედან მორწმუნე ეკლესიაში...

ეს ხატი თვითონ არის უკვე სპექტაკლი, უსიტყვოდ, დრამატოზირებული სანახაობა... მესამე ხატი მსახიობისა მოსკოვიანაა დაკავშირებული, რუსთაველის თეატრის ბოლო გასტროლებთან. ეროსიმ მცირე თეატრის წინ ჩამოიარა, ხელში ნაეატრით სავსე მონწილე ჩანთა ეჭირა. რატომღაც „ჭიჭრაქას“ დათვი გამაზნენდა, თავისი ჩანთითა და „ბორჯომის“ ბოლით. მართლაც მის მიერ ბრწყინვალედ განსახიერებულ „დათვსა“ ჰგავდა, იმასავით მიღებული იყო, მოღუშული კი არა — სევდიანი... მარტოხელა...

„ნებისმიერ მსახიობს სურს ყველა როლი ითამაშოს“, — პიტერ ბრუკის ამ სიტყვებში აქტიორული პროფესიის კიდევ ერთი, ჩვენთვის შეიძლება საკვირველი, მაგრამ აქტიორული პროფესიისთვის მეტად ორგანული თავისებურება ირკვევა — ეს არის სურვილი გამუდმებული პროფესიისა. უამრავ სახედ გარდაქმნისა, განუწყვეტელი ქმედებისა, მუდმივი თამაშისა.

მსახიობმა ყველაზე უკეთ იცის სიამე ტანჯვისა, სინათლე წყვდიადისა და, რაც მთავარია, სიმრწმე სიცრუისა. ეს თვისებები, რათქმა უნდა, არ შეიძლება მის ცხოვრებას



პარამონიულსა ხდიდეს. აქ არის აღმადგენის სიხარული და დაცემის სიმწარეც, შემოქმედებითი შრომაც და შემოქმედებითი კრიზი. სიყ, რომელსაც შემოქმედებითი იმიტომ პქვია, მხოლოდ ისეთ ადამიანს რომ ემართება, ვინც რაიმე ახალსა ქმნის; საშუალო ნიჭმა და ერთფეროვნებამ შემოქმედებითი კრიზისი არ იყის...

ნურც იმას ვიტყვით, თეატრი მხოლოდ ანგელოზების საუფლოა. თეატრი ხელოვნებაა და, როგორც საერთოდ ხელოვნებისათვის, მისთვისაც დამახასიათებელია დაუნდობელი ბრძოლა საკუთარი სათქმელის დასამკვიდრებლად. ეს ბრძოლა — ასე მომხიბლივ, სუნთქვისშემკრერი, ამაღლებელი, წარმტაცი მყოფრებისათვის, განსაკუთრებით კი იმ ყა. იდის მყოფრებისათვის, რომელიც თეატრში ხელოვნების კი არა, ჭოჩების სიყვარულს მოჰყავს — ხელოვანის სულს ჯიღოდ ღრმა ჭრილობებს უტოვებს მხოლოდ. ამავე დროს, არც ერთი ნამდვილი ხელოვანი იმ ტკივილებით თავს ცხოვრებას არ გაკვივებს ანგელოზების მშვიდ და უზრუნველ სამყოფელზე. ამ ტანჯვისთვის მადლობელიცაა, რადგან სანამ იტანება — აზროვნებს, ანუ ცხოვრობს...

ეროსი მანჯგალაძე სულით ხორცამდე მსახობი იყო, თეატრისთვის დაბადებული, თეატრი იყო, მარტო მისი მონოდეება, არამედ მისი სულიერი დანიშნულებაც, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ასრულებდა. ეროსი მანჯგალაძე თავისი არსებობით საერთოდ მსახობის სახელს ღირსებას მშატებდა. მას რომ თეატრის გარეთ უყურებდი ანუ „სხვის მოედანზე“ გრძნობდი, უბრალო კაცი რომ არ იყო, იმდენად თავმდაბალი, მოკრძალებული და, როგორც უკვე ვთქვი, მორცხვი გახლდათ. საოცარი ღმირი ქონდა, გაღმებისას გვერდზე გაიხედავდა ხოლმე... მისი გაცნობის მერე, თეატრი რომც არ გვერებოდა, თეატრში ფეხიც რომ არ გქონოდა შედგმული, მიხედებოდი, რა მშვენიერი სამყარო იყო იგი, რა კეთილშობილი, რა ნატიფი, რა რაინდული ადამიანების სამკვიდრო გახლდათ. ყველას ეამაუებოდა მასთან მეგობრობა, ყველას უნდოდა, მაინც და მაინც მის სუფრასე მჯდარიყო და ისიც თითქოს ერთდროულად ყველას სუფრასე იყდა. თუ როგორ ახერხებდა ამას, ძნელი ასახსნელია, რამდენადაც ამასაც თანდაყოლილი მადლი და ნიჭი განაპირობებდა.

ეროსი მანჯგალაძეს ნიჭიერებს უთქვამს სტიქიური გამოვლინება ახასიათებდა, თითქოს ტალანტს თავისი პირველყოფილი სახით გვანვდიდა, თითქოს ჩვენს თვალწინ ამოქონდა მიწიდან ოქრო და გულუხვად გვასაუქრებდა კიდევ. ეს აქტიორული (და არა მარტო აქტიორული) ტალანტის ერთგვარი თვისება გახლავთ. უცხოელ მყოფრებს შიძლება გულიც კი დასწყდეს იმ დაუდევრობის გამო, რასაც ქართველი მსახობი თავისი ტალანტის მიმართ იჩენს. მაგრამ ეს არაპროფესიონალისმი კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ ქართული თეატრალური სკოლის გამოცდილების შედეგი. ეს არის ერთგვარი ბენვის ხიდზე გაველა, თვითშემოქმედების უფსკრულის თავზე შენარჩუნებული დიდი პროფესიონალური ნონანსორობა. ეს ძველი ხერხია, ჯერ კიდევ ნიკო გაცირიძისა და ვასო აბაშიძის სკოლაში ჩასახული და თითქმის ვირტუოზობამდე მიყვანილი შემდგომი და შემდგომი თაობების მიერ. ამ ხერხს შეიძლება მოჩვენებითი იმპროვიზაცია ეწოდოს, რომლის უნარიც ერთგვარი საბუთია იმისა, რამდენად ხარ ქართველი მსახობი.

ეროსი მანჯგალაძე სწორედ ამგვარი იმპროვიზაციის შემართო ოსტატი გახლდათ, შუთვისებული ქმონდა „კანონთა არსში ნდომის“ ყველა საიდუმლო და ამიტომაც იყო, ქართულ სცენაზე თამამად რომ დააბიჯებდა თავისი გრძელი, მართლაც, მინისმომელის ნაბიჯებით.

ეროსი მანჯგალაძის სიკვდილით დამთავრდა კიდევ ერთი დიდი ეპოქა ჩვენი თეატრის ცხოვრებისა — ბრწყინვალეობით, გამარჯვებებით, მარცხით, სასონარკვევით, იმედითა და ნიჭიერებით თავს. ეროსი მანჯგალაძე შეუერთდა იმ დიდ სამყაროს, რომელსაც კლასიკა ეწოდება, ხოლო დრო კიდევ უფრო მიაახლოვებს მას ჩვენი თეატრის ყველაზე კაშკაშა სახელებთან, დააყენებს იმ დიდი ნინაპრების გვერდით, რომელთა, როგორც უკვე მოგახსენეთ, უმცროსი ძმა იყო და არა შვილი.

მსახობის უკვდავება ხალხის სიყვარულია. ეროსი მანჯგალაძეს ხალხის სიყვარული არასოდეს მოჰკლებია. ამ სიყვარულის გამოხატულება იყო ის ცხარე ცრემლიც, მთელმა ქართველმა ხალხმა მკერდზე რომ დააქურა...

6. 85/  
47

3360 80 333.



საქართველოს  
რესპუბლიკის  
საქართველოს

0620660

7 6 1 2 5

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**